

Академия Наук Грузии
Институт языкознания имени Арн. Чикобава

Нана Гулуа

**Лексика связанная с птицами
в занском**

Тбилиси
2006

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნანა გულუა

ფრინველთა ლექსიკა ზანურში

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია 2003 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში და ამავდროულად ინსტიტუტის ზუგდიდის ქართველურ ენათა ლაბორატორიაში.

რედაქტორი: პროფ. ავთ. არაბული

რეცენზენტები: პროფ. ვ. შენგელაია

დოც. მ. ნაჭყებია

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

© ნ. გულუა, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006

თბილისი, 0128, ი. შავაშავის ბაზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-04-6

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 7 |
| თავი 1. დარგობრივი ლექსიკის აღწერითი ანალიზი | 21 |
| § 1. ფრინველთა სახეობების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში | 21 |
| 1.1. შინაურ ფრინველთა სახელწოდებანი..... | 21 |
| 1.2. გარეულ ფრინველთა სახელწოდებანი..... | 28 |
| § 2. ფრინველთა ანატომია-გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში | 48 |
| 2.1. ფრინველთა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა..... | 48 |
| 2.2. შინაური ფრინველის გარეგნული იერის აღმნიშვნელი სახელები..... | 56 |
| 2.3. ფრინველთა შეფერილობის აღმნიშვნელი ლექსიკა..... | 59 |
| § 3. ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში | 68 |
| 3.1. შინაურ ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა..... | 68 |
| 3.2. გარეულ ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა..... | 72 |
| § 4. შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში | 73 |
| 4.1. შინაური ფრინველების სადგომებთან დაკავშირებული ლექსიკა..... | 73 |
| 4.2. შინაურ ფრინველთა მოხმობა-გადენასთან დაკავშირებული ლექსიკა..... | 77 |
| 4.3. შინაურ ფრინველთა გამრავლების აღმნიშვნელი ლექსიკა..... | 79 |
| 4.4. შინაურ ფრინველთა ავადმყოფობის სახელები..... | 83 |

| | |
|--|-----|
| § 5. შინაურ ფრინველთა მოქმედება-მოძრაობის გამოხატვა მეგრულ-ლაზურში | 86 |
| § 6. ფრინველებზე ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები მეგრულ-ლაზურში | 87 |
| § 7. ფრინველებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები | 99 |
| § 8. ფრინველებთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მეგრულ-ლაზურში | 107 |
| თავი 2. ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის სიტყვაწარმოებითი ანალიზი. | 113 |
| 1. სუფიქსური წარმოების ტერმინები | 114 |
| 2. პრეფიქსული წარმოების სახელები | 116 |
| 3. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ტერმინები | 117 |
| 4. სახელზმნური წარმოების ტერმინები | 124 |
| 5. კომპოზიცია | 130 |
| 6. ტერმინოლოგიური შესიტყვებები | 136 |
| თავი 3. აღწერილი დარგობრივი ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი | |
| § 1. ქართველური დონის ძირეული ლექსიკა | 139 |
| § 2. ქართული ლექსიკის ერთეულები ზანურში | 156 |
| § 3. ნასესხები ლექსიკა მეგრულ-ლაზურში | 159 |
| § 4. სახელდების მოტივაციის საკითხი ფრინველებთან დაკავშირებულ ლექსიკაში | 169 |
| 4.1. მოტივაციის საკითხი ფრინველთა ტერმინოლოგიაში | 169 |
| 4.2. ცალკეულ ტერმინთა წარმომავლობა-ეტიმოლოგია ... | 172 |
| დასკვნითი დებულებები | 183 |
| გამოყენებული წყაროები (შემოკლებანი) | 187 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 191 |
| რეზიუმე | 204 |
| მეგრულ-ლაზურ ლექსიკურ ერთეულთა საძიებელი | 218 |

საქართველოს მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას, როგორც მატერიალურ-სამეურნეო ობიექტს, უძველესი დროიდანვე მიუქცევია ადგილობრივ მკვიდრთა ყურადღება. ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ცნობები გვაგვარაუდებინებს, რომ ნადირობის რიტუალური წეს-ჩვეულებები ქართველურ ტომებში ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ჩამოყალიბებულა და შესაბამისი ასახვაც უპოვია ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა თუ სიტყვიერებითსა და ენობრივ მემკვიდრეობაში.

ისტორიულ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილია, რომ ნადირობა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში საზოგადოების უმეტესი ნაწილი ნადირობასა და სარჩო-საბადებლის მოპოვებას მისდევდა: მამაკაცი უმთავრესად მონადირე იყო, ქალი — საკვების შემგროვებელი, მოხუცთა თაობა კი — ამ საქმიანობისათვის საჭირო იარაღს ამზადებდა. „შრომის ასეთი დანაწილება შედეგი უნდა ყოფილიყო მონადირეობის შედარებით სისტემატური ხასიათისა და განპირობებული იყო საერთოდ მეურნეობის წინსვლის ინტერესებით. ნადირობა უძველესი ადამიანების ადრიდანვე ჩამოყალიბებულ საქმიანობად ითვლებოდა“ (სა, 1959, 34-35).

ზედა პალეოლითის ხანის ძეგლებში აღმოჩენილი მდიდარი პალეოზოოლოგიური მასალა მოწმობს აღნიშნული კუთხით ამ ეპოქის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ზედა პალეოლითში მონადირეობის განვითარებული ფორმების არსებობაზე მიგვითითებს ხელშუბებისა და ისრის პირების გაჩენა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მონადირეობა ვერ უზრუნველყოფდა პირველყოფილი ადამიანის საჭირო პირობებს, ამიტომაც მონადირეობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკვების შემგროვებლობასაც.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ზედა პალეოლითიდან ტრადიციულად გადმოსული მონადირეობა თითქოს ერთგვარად კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც მეურნეობის ძირითადი დარგი, მაგრამ ამ მეურნეობისათვის საჭირო იარაღები მაინც განიცდიან განვითარებას.

ენეოლითის ხანაში მონადირეობა ჯერ კიდევ საკმარისად ასრულებდა. განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო მონადირეობისთვის მაღალმთიანი და ტყიანი ადგილები, რომელიც მდიდარი იყო ნადირ-ფრინველით. მაგრამ სავარაუდოა ამ პერიოდისათვის მონადირეობის მნიშვნელობის შემცირება მესაქონლეობის სულ უფრო და უფრო მეტი განვითარების გამო.

როგორც ჩანს, მონადირეობა ადამიანის ორგანიზებული შრომის ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში იწყება მონადირეობის, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმის, ინტენსიური განვითარება. მონადირეობა, როგორც სასიცოცხლო საშუალებათა მოპოვების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ადამიანს უვითარებდა არსებობისთვის ბრძოლის აუცილებელ ჩვევებს, აწრთობდა მას და უნერგავდა კოლექტივობის გრძნობას. ხოლო ზედა პალეოლითის ბოლოდან ნადირობა საზოგადოებრივი შრომის წამყვან ფორმად ქცეულა. შემდეგ ეპოქებში კი, როდესაც განვითარებას იწყებს მიწათმოქმედება, ნადირობის მეშვეობით საფუძველი ეყრება მესაქონლეობას.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურისათვის ხშირია გულსაბნევადად განკუთვნილი ცხოველების ქანდაკებანი. ქანდაკებათა საგანს უმთავრესად შეადგენდა გარემომცველ ცხოველთა სამყარო, რომელთა შორის არის ფრინველთა გამოსახულებანიც.

არქეოლოგიური წყაროები ადასტურებენ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხ მელითონე-ხელოსანთა ნაწარმის მრავალრიცხოვანებასა და მრავალფეროვნებას. აღმოჩენილია საომარი, სამეურ-

ნეო თუ სარიტუალო ცულები, სამიწათმოქმედო იარაღები, საბრძოლო იარაღები, ჭურჭელი და მათ შორის, მაღალი ოსტატობით შექმნილი მცირე ზომის ქანდაკებანი — ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი.

გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის განათხარი ძეგლებიდან საინტერესოა ბრინჯაოს სარტყელი, რომლის ზედაპირიც დაფარულია გეომეტრიული სხეულების, ნადირობის სცენების, ამა თუ იმ ღვთაების თაყვანისცემისას შესრულებული რიტუალური წესების და მრავალ მისთანათა გამომხატველი სახეებით. სიუჟეტურ კომპოზიციებში ჭარბობს ნადირობის სცენები, სადაც ადამიანები ხშირად შენიღბულად არიან გამოხატული. ზოგჯერ ნიღაბი **ფანტასტიკური ფრინველის** სახეს გამოხატავს. უნდა ითქვას, რომ ბრინჯაოს სარტყელზე გამოხატული ნადირობის სცენები ხასიათდება მასში მონაწილე ცხოველთა სახეობრივი სიმდიდრით. მათ შორის დასახელებულია „ირემი, შველი, ქურციკი, გარეული თხა, გარეული ღორი, დათვი, მგელი, თევზები, **გარეული იხვი, ბატი, ქათამი** და ბევრი გამოუცნობი და ფანტასტიკურად გაგებული ცხოველი და ფრინველი“ (სა, 1959, 178-179).

საინტერესოა ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილი გრაფიკული გამოსახულებანი. ანტიკურ ხანაში არა ერთი გამოსახულებაა ნაპოვნი **იხვისა**, რაც დაბლობ რაიონებში ამ ფრინველის დიდ სამეურნეო მნიშვნელობას უნდა მოწმობდეს (მაგ.: დას. საქართველოში ნაპოვნია მწვანე მინის პაწია იხვი — საკიდი; ვერცხლისაგან დამზადებული მშვენიერი გამოსახულება იხვისა). ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პერიოდშიც არ კარგავს მნიშვნელობას მონადირეობა, რასაც ადასტურებს ქვევრებზე, ვერცხლის ჭურჭლებსა თუ სხვა ნივთებზე გამოყვანილი მშვენიერი გამოსახულებანი **ცხოველ-ფრინველებისა**.

არქეოლოგიურმა გათხრებმა საინტერესო მასალა დაადას-

ტურა ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში ორნამენტიკის მხრივ. ორნამენტაციის ძირითად მოტივს შევრონების სისტემა წარმოადგენს, რომელიც ტალღისებრი ხაზებით, **ფრინველებისა** და სვასტიკის ფიგურებითაა შევსებული.

მეტად საყურადღებოა თრიალეთის სარტყელზე ასახული კომპოზიცია, რომელზეც გამოსახულია „ორი ცხენოსანი მხედარი: ზემო — ირემს ესვრის, ქვემოს — სადავით ცხენი უჭირავს. ზემო მხედრის უკან ჩანს ირემი და ორი თევზი. ცხენოსნის წინ ორ მწკრივადაა განლაგებული მსრბოლი ირემი, ქვემო მწკრივში, ირემებს შორის, ორჯერაა გამოსახული **ფრინველი**. კომპოზიციას ასრულებს თავით მარცხნივ მობრუნებული ორი თევზი“ (ამირანაშვილი, 1961, 40).

ცხოველთა სამყარო მდიდრადაა წარმოდგენილი ადრინდელი კოლხეთის ხელოვნებაში, რომელსაც ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ: პირველს მიაკუთვნებენ რეალურად არსებული ცხოველებისა და **ფრინველების** გამოსახულებებს, მეორეს კი — ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებს.

ვანის არქეოლოგიური ძეგლების გათხრისას ნაპოვნია ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი (თუ სხვა საგანი — ხაზგასმა ჩვენია — ნ.გ.), დათარიღებული IV-III სს. ჩვ. წ. აღ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჭურჭელი ცეცხლისგან ძლიერ დეფორმირებულია, მაგრამ მიუხედავად დეფორმაციისა, მასზე მთლიანად შემორჩენილია მისი სკულპტურული მორთულობა. „ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა **ფრინველის (არწივის)** ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებაზე. ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული **არწივის** სამი გამოსახულება: ფრთაგაშლილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი (ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები) მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული“ (ლორთქიფანიძე, 1972, 65).

გ. გობეჯიშვილის მიერ წარმოებულ იარქეოლოგიური გა-

თხრების შედეგად აღმოჩენილია ბრინჯაოს ბალთები, დათარიღებული მე-7-6 საუკუნეებით ჩვ.წ.აღ. მღე და ის მიჩნეულია ქართული კულტურის კოლხური კომპლექსის კუთვნილებად. გ.გობეჯიშვილი დღეისათვის ცნობილ ბრინჯაოს ბალთას ყოფს ხუთ ჯგუფად, რომელთაგან პირველ ჯგუფს აკუთვნებს იმ ბალთას, რომლის ცენტრში გამოსახულია ირემი, ზურგისკენ მობრუნებული თავით. ფეხებს შორის გამოსახულია ფრინველი პროფილში და ვერძის თავი; მეორე ჯგუფს ეკუთვნის მსრბოლი ირემი გამართული თავით, რომლის ფეხებს შორის ძალღია. იქვეა გამოსახული ბალთის ზემოთ ხარის თავი ან ფრინველი, წინ-ძალღი, ფრინველი, გველები; მეოთხე ჯგუფი — ცენტრში მოთავსებულია ხარი. ხარის ფეხებს შორის წარმოდგენილია პროფილში ფრინველი; მეხუთე ჯგუფს მიეკუთვნება ორი ბალთა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. ერთ მათგანს ფრინველის თავი აქვს, ამ არსების ფეხებს დაკარგული აქვს რეალისტური ფორმა (გობეჯიშვილი, 1943).

ნაკლებ საყურადღებო არ უნდა იყოს ქართული ხელოვნების ძეგლებში (მოზაიკურ მხატვრობასა თუ ჩუქურთმების გაფორმებაში) ფრინველთა გამოსახულებით გაფორმებული კომპოზიციური სქემები. მაგალითად: ბიჭვინთის ტაძრის საკურთხეველის იატაკის მოზაიკური მოხატულობა, რომელიც დათარიღებულია 325 წლით. საკურთხეველის იატაკის ცენტრში მოთავსებულია დიდი ე.წ. ქრიზმა. „ქრიზმის მარცხნივ მოთავსებულია შტო, შემკული ხილისა და ყვავილების გამოსახულებით. ხის ტოტზე გრძელკუდა **ფრინველი** ზის. მარჯვნივ გამოსახულია აგრეთვე ფრინველი, რომლის მახლობლადაც ბერძნული წარწერაა. ამავე ტაძრის კარიბჭეში მოთავსებულია შადრევნის მოზაიკური გამოსახულება, რომლიდანაც უხვად გამოდის წყალი. მარჯვენა მხარეზე **ფრინველი** წყალს სვამს, ემბაზის ნაპირას კი ზის მეორე **ფრინველი**. **ფრინველების** გამოსახულება აცხოველებს კომპოზიციას“ (ამირანაშვილი, 1961, 117).

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ჩუქურთმებში დადასტურებულია გეომეტრიულ მცენარეთა და ცხოველთა გამოსახულებანი. ამ პერიოდისათვის ძალიან ხშირია **არწივის** გამოსახულებიანი ჩუქურთმები.

საინტერესოა სვეტიცხოველზე მოთავსებული მხატვრობა XVIII-ის მიწურულის, სადაც ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია ანგელოზები, ლომი და **არწივი**.

ვ. ბერიძე განიხილავს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მათგანში, მაგალითად, ნიკორწმინდის ტაძრის მონასტულობაში, ცნობილი ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით ბევრია ისეთი მოტივიც (რეალური და ფანტასტიკური ცხოველები, რომელთაც სათანადო განმარტებითი წარწერებიც აქვთ. მაგ.: ლომები, **ფასკუნჯი**, სირაქლემი, ქათამ-ვეშაპი, ხარი ზებუ და სხვა), რომლებიც, უეჭველია ხალხურ წინაქრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ბერიძე, 1974, 145).

საფიქრებელია, რომ სხვადასხვა ცხოველის, ფრინველისა თუ ასტრალური სხეულების გამოსახვას სიმბოლური დატვირთვა ჰქონოდა.

ძველი კოლხეთის ფაუნის ფრინველ-ნადირით სიმრავლისა და ნადირობის კულტურაზე ჯერ კიდევ ჰიპოკრატე და სტრაბონი საუბრობდნენ, ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოისა საქართველოსა“ (ვახუშტი, 1941). საკვებად გამოყენებულ ფრინველთაგან გავრცელებული ყოფილა **ხოხობი, გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი**. ამათგან, არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზეც, სახელი მოუხვეჭია კოლხურ-**ფასისურ ხოხობს. ფასისურ ხოხობს** განსაკუთრებით საკვებად ეტანებოდნენ და, ამიტომაც, ძვირადაც ფასობდა. თუმცა, გ.გამყრელიძის ვარაუდით, არც ისაა გამორიცხული, რომ **ხოხობს** დეკორატიული დანიშნულებაც ჰქონდა მისი ბუმბულის შეფერილობის გამო

(გამყრელიძე, 1993, 20).

საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ანტიკური ხანის მწერლები კოლხეთის ფაუნის მრავალფეროვნებაზე, ნადირობის კულტურაზე. პროკოფი კესარიელის ცნობით, ჭანები ძველთაგანვე ღმერთებად ჰქალებს, **ფრინველებს** და სხვა რაღაც ცხოველებს სახავდნენ და თაყვანს სცემდნენ“ (გეორგიკა, 1965, 213), მთელ ანტიკურ სამყაროში სახელგანთქმული იყო კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად არისტოფანე ახსენებს (ძვ. წ. V ს.), ხოლო შემდეგ — ძვ. წ. III-II სს. ბერძენი მწერალი აგათარქიდე კნიდოსელი (ლორთქიფანიძე, 1972, 47).

ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიდან ჩანს, რომ **ხოხობი** და მისი სახელიც ანტიკურ სამყაროში კოლხეთის ფასისიდანაა გავრცელებული.

მ. ბერძნიშვილის ნაშრომში „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“ კვითხულობთ: „ფაზისის ამ ფრინველზე (იგულისხმება **ხოხობი**) ძალიან დიდი მოთხოვნილება ჰქონია ნებიერი ნების გემოვნების საზოგადოებას (პეტრონიუსი, გარდ. 66 წ. ახ. წ.), მის მოსაპოვებლად არც შიშს ერიდებოდნენ (პლინიუსი, გარდ. 79 წ. ახ. წ.) და არც დიდი ფასის გაღებას (კოლუმელა, I ს. ახ. წ.; პლინიუსი; ასტერიოსი, IV ს-ის II ნახ.). საგულისხმოა, რომ დიდი მოთხოვნილების გამო ეს ფრინველი გაუწყვეტიათ. პეტრონიუსი ასაბუთებს, რომ ფაზისის ტალღებს უკვე მოაკლდა **ფრინველები** და მღუმარე ნაპირზე მარტო ქარიღა დაქრის უღაბურ ფოთლოვანში. მარციალის ცნობით კი, **ხოხობს** ბერძნები გაეცნენ ფაზისის წყალობით. იგი **ხოხობს** ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: „მე პირველად გადატანილი ვიქმენ არგოს ხომალდზე. წინათ (მანამდე) მე არაფერს (არა მხარეს) არ ვიცნობდი კოლხეთის გარდა“ (ბერძნიშვილი, 1969, 36-38) (შდრ.: ანტიკური ხანის მწერლები (იუვენალის სქოლიასტი, ესტატე თესალონიკელი) განმარტავდნენ, რომ მდ. ფასისის მიხედვით მიიღეს ეს სახელი (ფასიანები) ფრინველებმაც, რომ-

ლებიც აქ დიდი რაოდენობითაა. ბერძნულად ხოხობს $\phi\alpha\delta\gamma\acute{\alpha}\nu\omicron\varsigma$ ეწოდება, ლათ. *Fasianus*, აქედან გადავიდა ევროპულ ენებში: (ფრანგ.) *feisan*, (გერ.) *der Fasan*, (ინგ.) *Pheasan*, (რუს) *фазан* და სხვა).

არქ. ლამბერტის ცნობით, მთელ კოლხეთში მრავალნაირი **ფრინველია**. მათ შორის კეთილშობილად მიაჩნდათ **ხოხობი**. ამბობენ, რომ ეს **ფრინველი** მხოლოდ კოლხეთის კუთვნილებაა. კოლხიდაში ურიცხვი **წყლის ფრინველია**, როგორც ზღვაში, ისე მდინარეებში მცხოვრები. ფრინველებზე ნადირობით ისეა გატაცებული მთავარი, რომ არ მოიძებნება არც ერთი **მონადირე ფრინველი**, არცა დიდი და არცა პატარა, მას რომ არ ჰყავდეს (ლამბერტი, 1938, 171-172).

ფრანგი მოგზაურის — ჟან შარდენის — მტკიცებით, სამეგრელოს დიდებულნი ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი დიდი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი: **შეგარდენი, მიმინო, მარჯანი** და სხვა, როგორც ეს სამეგრელოშია (შარდენი, 1936, 113-114).

ღონ ქრისტოფორო დე კასტელის ცნობით, კოლხეთის ტყე და ველი სავსე ყოფილა გარეული **ნადირითა და ფრინველით**, მრავალი ჯიშისა და სახის ოთხფეხი ცხოველით, ისე რომ, მცხოვრებლებში ნანადირევი უფრო ხმარებაში იყო, ვიდრე შინაური ცხოველის ხორცი (კასტელი, 1977, 229).

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ოგიერ ბუსბეკის სტამბულში გაგზავნილი წერილი, სადაც ხაზგასმულია, რომ კოლხთა მხარე ძალზე მდიდარია ყოველგვარი ნაყოფით, ტყეები გამოირჩევა **ხოხბებისა და მწყერების** სიუხვით. სუფრას სხვადასხვა საჭმლით ავსებენ, მაგრამ უმთავრესად — ნანადი-

რევით. დიდი პატივია სტუმრების სანადიროდ წაყვანა. ბუსბე-
კის ცნობით, დადიანმა სულეიმანს ძვირფასი თვლებით მოოჭ-
ვილი თასი მიართვა, რომლის შუქზე ღამის გაკვლევაც კი შე-
იძლებოდა და, ამ თასთან ერთად, „დადიანმა აგრეთვე მოიყვა-
ნა ოცი **შეგარდენი**, რომლებსაც **თეთრს** უწოდებენ, ანუ ის
ქორის სხვა ჯიში იყო და კოლხეთში ხშირად გვხვდება“ (ბუს-
ბეკი, 1582).

ცნობილია, რომ სამეგრელოს თავადების მსგავსად, ლაზი ბე-
გების საყვარელ და საპატიო საქმედაც ნადირობა და მიმინოს
გაწვრთნა ითვლებოდა (მარი, 1910; ალი თანთ-ოღლი, 1938).

მონადირეობასთან ერთად, სამეგრელოსა და ლაზეთში აღ-
რიდანვე დაუწყიათ **შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებაც**,
რასაც მოწმობს ისტორიული წყაროები (მაგ.: არქეოლოგიური
მასალების მიხედვით, შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებაზე
უნდა მიუთითებდეს ქვევრებზე **მამლის**, **ქათმის**, **იხვის** გამოსა-
ხულებანი) და საეკლესიო გადასახადების ნუსხა, რომლის შე-
მადგენლობაშიც ფრინველებიც სახელდება.

ამ მხრივ საინტერესოა 1616-1621 წწ. საცაიშლო გადასა-
ხადების დავთარი, სადაც გადასახადების სიაში სხვა გადასახა-
დებთან (საკლავი, პური, ღომი, ღვინო, თევზი, ყველი) ერთად
დასახელებულია **ქათამი**. ამავე დავთარში ჩართულია მინაწე-
რი, რომ „წყარიგზურის კაცების ჯუმალი ბეგრისა არის 13 სა-
კლავი, **13 ქათამი**, 70 საწყაო ღვინო, 41 სამადგანი ღომი; ხე-
თის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 4 ზროხა,
144 საკლავი, **44 ქათამი**, 32 პური, 266 ლიჯიბი ღომი, 420
ფოხალი ღვინო; ცაიშის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის
ჯუმალი: 6 ზროხა, 2 საკლავი, **76 ქათამი**, 70 პური, 5 მრთე-
ლი თევზი, 511 ლიჯი ღომი, 792 ფოხალი ღვინო; დარჩელის
მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: ათმან აზნაურიშვილმან
ზროხიანი კარგი საკმელი თავის-თავი გვაჭამოს, რარიგადცა
თავი ესახელებოდეს და ამას გარეთ ერთი ზროხა და 237 სა-

კლავი, **37 ქათამი**, 31 პური, 3 მკერდი თევზი, 723 ფოხალი ღვინო, 600 ლიჯიბი ღომი; ჩოხთის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 38 საკლავი, **12 ქათამი**, 11 პური, 3 მრთელი თევზი, ას და ცამეტი ფოხალი ღვინო, ას და ათი ლიჯი ღომი; ჭალაის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 32 საკლავი, **9 ქათამი**, 9 პური, 120 ფოხალი ღვინო, ას და ათი ლიჯი ღომი; ჯგალის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 45 საკლავი, **6 ქათამი**, 6 პური, 140 ლიჯი ღომი, 178 ფოხალი ღვინო, 4 წონა სანთელი და 300 ადლი ტილო; ჯორიელის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი: 1 ზროხა, 5 საკლავი, **6 ქათამი**, 20 ლიჯი ღომი, 15 საწყავი ღვინო; და მერმე როცა საცაიშლო ნავი ზღვაზედა სათევზაოდ დავიდოდეს, თითოს მრთელს ნედლს ზუთხსა ცაიშლის ოფსინატურსა მიაბარებდეს (ქსდ, 1970, 477).

ბიჭვინთის ტაძრისადმი 1628 წ. შეწირულობის სიგელში ლევან დადიანი ღვთისმშობელს ავედრებს თავის ოჯახს გასამარჯვებლად და ძეთა „გაწადმართებისათვის და ნებსით და უნებლიეთ ცოდვათა სახსარად და აღსახოცელად“, სწირავს მას „ღავლიძგას ძველ სასახლეს მის კარის ეკლესიითა“ და 12 მოსახლე კაცით. ლ.დადიანი შეწირულობის სიგელში იქვე განმარტავს, რომ ამ 12 მოსახლეს ემართა სააღაპო გადასახადი, მათ შორის, მართებს „პარასკა აღესანდრიას და ხახუტაი კოზმას ერთი ზროხა, ორსავ სწორად სამი გუდა ღვინო, ოროლი ქილა ღომი, **ერთი ქათამი**, ერთი თევში პური; ელიჯარი ჩანგელიას და მისსა სახლის კაცსა გურმიხილი კუბეციას და მისსა სახლის კაცსა ერთი ზროხა სწორად, სამსამი გუდა ღვინო, ოროლი ქილა ღომი, ერთი თევში პური, **ერთი ქათამი**. აწე ამა ოთხმან მოსახლემან კაცმან ორი ზროხა, მისი ღომი და ღვინო, პური და **ქათამი** ერთს წელიწადს მიიტანონ სააღაპოდ; მართებს გურმიხილი ესებიას ერთი ზროხა, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ღომი, **ერთი ქათამი**, ერთი თევში პური; მართებს გა-

იდურთი გაბრავას და მისსა სახლის კაცსა ერთი ზროხა, ერთი მახათელი ლომი, სამი გუდა ღვინო, **ერთი ქათამი**, ერთი თევში პური; მართებს მუთაგილუნ ხუბილავას ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ლომი, **ერთი ქათამი**; მართებს ძვიბი ხუბილავას და მისსა სახლის კაცსა სქვამიშია ნადარაიას და მისსა სახლის კაცსა ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ერთი მახათელი ლომი, **ერთი ქათამი** (კაკაბაძე, 1921, 41-42).

ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია, რომ XIX-ის 60-იან წლებში სამეგრელოს გლეხები ბატონს უხდიდნენ თავბეგარას და დამატებით ბეგარას. თავბეგარა შეადგენდა ერთ ღორს 4-5 მანეთიანს, 1-10 კოკა ღვინოს, 15 ქილა ლომს და **ერთ ქათამს**. თითოეულ კომლს ეს გადასახადი ყოველწლიურად უნდა ეხადა. ამას გარდა, დამატებით გადასახადში შედიოდა საუდიერო (ყოველწლიური გადასახადი) 1-2 მანეთიანი ღორით, 10 კოკამდე ღვინით, 1-5 ქილა ლომითა და **ერთი ქათამით**; **საბოჭი ქათამი** (ქათმის მოგროვება) — ხსნილში ბატონი მოთხოვდა თუ არა ქათამს, თითოეულ კომლს თითო **ქათამი** უნდა მიეცა. **ქათმების** მობოჭვა თვეში ერთხელ ხდებოდა (შდრ.: ქათმების მოგროვება (ლექსი); სააღდგომო ბეგარა კვეცხებითა და **ქათმით** იყო; ციხეების შესანახად კი — გლუხს 1 კოკა ღვინო, 1 ქილა ლომი ან ხორბალი და **ერთი ქათამი** უნდა გადაეხადა (ბოროზდინი, 1927, 51-52; მაკალათია, 1941, 76-78).

როგორც ვხედავთ, გადასახადების ნუსხაში ძალზე ხშირია გამოსაღები ფრინველით (ქათმით), რაც იმაზე მეტყველებს, რომ შინაური ფრინველის მოვლა-მოშენება საოჯახო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

ლაზეთშიც მისდევდნენ შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებას, რასაც მოწმობს ლაზეთიდან ბიზანტიაში მე-7 ს-ში სავაჭროდ გატანილი ქათმის კვერცხები (ჭიჭინაძე, 1927, 11).

როგორც ჩანს, ნადირობა და შინაურ ფრინველთა მოშენება ძველთაგანვე ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელო-

ვანი დარგი ყოფილა მთელ საქართველოში, რაზედაც მიუთითებს არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური აღწერა. ამ დარგთან დაკავშირებული ლექსიკის სრულად აღწერა და ისტორიულ-მედარეობითი ანალიზი წარმოდგენას შექმნის როგორც დარგის განვითარების ტენდენციების, ისე შესაბამისი ენობრივი მასალის ისტორიული განვითარების გზების შესახებ.

ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში დღემდე არ ყოფილა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი, თუმცა, მეგრულ-ლაზურ ლექსიკას თავის დროზე ბევრი მკვლევარი იკვლევდა, მათ შორის, ფრინველთა ლექსიკას ყურადღება მიაქციეს ნ.მარმა, ი.ყიფშიძემ, პ.ჭარაიამ, ივ.ჯავახიშვილმა, არნ.ჩიქობავამ, ვ.თოფურიამ, ს.ქლენტმა, გ.როგავამ, რ.ჟორდანიამ, გ.ელიავამ და სხვებმა.

ჩვენს ნაშრომში ანალიზის საგანს წარმოადგენს ლექსიკონებში, ეთნოგრაფიულ მასალებსა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში დადასტურებული ფრინველთა და ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში. ასევე გამოყენებული გვაქვს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური ფონდის არქივისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული მასალები. ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო მეგრულ-ლაზურის სალექსიკონო ფონდი, რომელიც დაცულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (ზუგდიდის ქართველურ ენათა ლაბორატორიაში). სათანადო ლექსიკური ერთეულები ავტორის მიერაა მოძიებული ან შემოწმებული სხვა სამუშაოების დროს ზუგდიდის (სოფლები: ანაკლია, ერგეტა, დარჩელი, ჭურია, დიდინეძი, კოკი), წალენჯიხის (სოფლები: ლია, ჯვარი, ოჭანე, პალოური), ხობის (სოფელი: პირველი მაისი), ჩხოროწყუ (სოფლები: ხაბუშე, ჭუმითი, ზუმი, ჭოლა, ლევახარე, სარაქონი), მარტვილის რაიონებსა და

ქ.ფოთში (ნაბადა, მალთაყვა, ყულევი). ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის ლაზური მასალა ჩაწერილია ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში — სარფსა და ვარშალომში.

ზანურში დადასტურებული დარგობრივი ლექსიკა სათანადო პარაგრაფებში შედარებული გვაქვს ძველი და ახალი ქართულის ლექსიკასთან, ქართულის დიალექტთა იმ ლექსიკურ მარაგთან, რაც დღემდე გამოცემულ დიალექტურ ლექსიკონებშია დადასტურებული. აღნიშნული გვაქვს ნასესხები ლექსიკური ერთეულების წარმომავლობაც. ნასესხები ერთეულების წარმომავლობის რკვევისას ვსარგებლობთ არსებული ლიტერატურით. გამოვიყენეთ სპეციალური ზოოლოგიური ლიტერატურაც, სადაც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ფრინველების მეტ-ნაკლებად სრული დახასიათება.

ფაქტია, რომ მეგრულ-ლაზური ლექსიკის თვალსაზრისით ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ნებისმიერი ორი დიალექტი, ერთმანეთს სცილდება. ზანური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითმა მიმოხილვამ ცხადყო, რომ ლაზურის ლექსიკამ უფრო მეტი ცვლილება განიცადა, ვიდრე მეგრულის ლექსიკამ. ლაზურში, ისტორიულ-გეოგრაფიულ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნასესხები ლექსიკის ჭარბი ფენა დასტურდება. ამასთან, საანალიზო მასალის შედარებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფებში ბევრია საერთო ძირეული ლექსიკა. ეს ძირითადად ეხება ფრინველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკას, შეფერილობის, გარეგნობის, ხშიანობისა და ნაწილობრივ, ფრინველთა ჯიშის აღმნიშვნელ სახელებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფრინველთა სახეობების აღმნიშვნელი ლექსიკა დაყოფილი გვაქვს ორ ძირითად სემანტიკურ ჯგუფად: შინაურ ფრინველთა სახელწოდებანი და გარეულ ფრინველთა სახელწოდებანი.

დარგობრივი ლექსიკის კვლევისას ყურადღებას იქცევს სინონიმთა მრავალფეროვნება. ერთი და იმავე ცნების აღსანიშნა-

ვად ხშირად რამდენიმე ლექსიკური ერთეულია გამოყენებული. თუმცა, ამგვარ ფორმებს აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობები ყოველთვის არ გააჩნია, შეინიშნება ნიუანსობრივი სხვაობა, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა მაინც საერთოა.

საკვლევი მასალის მიხედვით ნათელი გახდა, რომ მეგრულ-ლაზურში ფრინველებთან დაკავშირებულ ლექსიკას ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც, საზოგადოდ, ლექსიკისთვისაა დამახასიათებელი როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. აგებულების მიხედვით გამოიყოფა: მარტივი ფუძეები, დერივაციის გზით მიღებული სახელები, კომპოზიტიური წარმოებები, შესიტყვებები.

ნაშრომში წარმოდგენილია მეგრულ-ლაზურში დადასტურებული ფრინველთა და ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის მეტ-ნაკლებად სრული აღწერა, ტერმინთა წარმოქმნის საშუალებებისა და განვითარების გზების ძიება, აგრეთვე, ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა მოტივაციისა და წარმომავლობის საკითხების კვლევა-ძიება. ვიმედოვნებთ, რომ ჩატარებული კვლევა საჭირო სამსახურს გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს.

დარბობრივი ლექსიკის ალფბითი ანალიზი

§ 1. ფრინველთა სახეობების აღმნიშვნელი ლექსიკა
მეგრულ-ლაზურში

1.1. შინაურ ფრინველთა სახელწოდებანი

მეფრინველეობას ჩვენში უძველესი დროიდან მისდევდნენ: „კუალად ფრინველი: **ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური, ქათამი, ტრედი** ამათ შინ იპყრობენ“ (ვახუშტი, 1941).

დროთა განმავლობაში მოუშენებიათ შინაურ ფრინველთა შემდეგი სახეობები: **ქოთომი** („ქათამი“), **ლორლონჯი** („ბატი“), **კვატა** („იხვი“), **ინდური** („ინდაური“), **ციცარი** („ციცარი“).

სამეგრელოში შინაური ფრინველებიდან თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს **ქოთომი** („ქათამი“). ლაზურში ქათამს **ქოთუმე**-ს ეძახიან, ზოგან კიდევ — **ქორმე**-ს.

ქოთომი („ქათამი“) ტერმინი მეგრულში იხმარება როგორც საზოგადო, ასევე ვიწრო მნიშვნელობითაც. **ქოთომი**, ერთი მხრივ, მეგრელისათვის მხოლოდ „დედალი ქათამია“, მეორე მხრივ, **ქოთომი**-საზოგადოდ, შინაური ფრინველის შესაბამისი ჯიშის სახელია: შდრ.: **ქოთომი** კვერცხის მისკუნს „ქათამი (დედალი) კვერცხს დებს“; ხეჟ შხვას გეგნაჟუნუ დო **ქოთომქ** ვადმაჟყანუ „ხელი სხვას გადაჰყვა და ქათამს ვერ ვიშენებ“ (შდრ.: **ქათამი** (ძვ. ქართ.) „მფრინველი მამალი“ (აბულაძე, 1973).

ლაზურშიც, მეგრულის მსგავსად, **ქოთუმე** („ქათამი“) ვიწრო მნიშვნელობითაც იხმარება და ზოგადად, შინაური ფრინველის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინიცაა: შდრ.: **ქოთუმე** უწუმელან დადული იენ „ქათამს როდესაც იტყვიან, დედალი იქნება“; **ქოთუმე ქოთუმე** იენ, მამული ცალკე ითვლება „ქათამი ქათამია, მამალი ცალკე ითვლება“; **ქოთუმე** მამულეთი იენ დო დადულეთი „ქათამი-მამალიც იქნება და დედალიც“.

შინაური ფრინველების სახელდება, სხვა ძირითად ნიშნებთან ერთად, ხდება ასაკისა და სქესის მიხედვით. ე.ი. სხვადასხვა სქესისა და ასაკის ფრინველებს სხვადასხვა ლექსიკური ერთეული გამოხატავს.

ზანურში ფრინველის სქესთა ზოგადი სახელია **დადული**||**დადულე** („დედალი“) და **მუმული**||**მამულე** („მამალი“) (შდრ.: „მამალ-დედლობა ყოველთა სულიერთა ზედა ითქმის“ (საბა).

მეგრულში **დადული** დედალი ქათმის სახელია. **დადული** ტერმინი სხვადასხვა პარალელური ფორმებით არის დადასტურებული: **დადული**||**დადულია**||**დადუ(ლ)ია**||**დადუცია**||**დადუია**||**დადუი** (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001); **დუცია**||**დოია**||**დოცია** (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; კილანავა, 1998; ქაჯაია, 2001); **ვარაია**||**ვარაჯია**||**ვარიცა**||**ვარიკა**||**ვარაჯა** (ყიფშიძე, 1914; ქაჯაია, 2001);

მთქმელთა განმარტებით, **დადული** ზრდადასრულებული ქათამია, **დუცია**||**დოცია** დედალი ქათმის სახელია, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყია კვერცხის დება, **ვარაია**-ს კი — მოზრდილ, სადედლედ გამზადებულ წიწილას ეძახიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულის ჯვარულ თქმაში **ვარაია**||**ვარაჯია** ტერმინი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ქათმის სქესს, ის გულისხმობს ორივე სქესის ზრდადაუსრულებელ ქათამს.

ლაზურში **დადულე** („დედალი“) ტერმინის პარალელურად დასტურდება **ვაია**||**ვარიკა**: ვაია დიდო ვა მიყონან „დედალი ქათამი ბევრი არ მყავს“.

ზრდადასრულებული დედალი ქათამი კვერცხის მოლევის მერე კრუხია, რომელსაც მეგრულსა და ლაზურში **მონჭვა**||**მოჭვა**-ს ეძახიან. ლაზურში **მოჭვე**||**მონჭვე** ფორმაც დასტურდება (მარი, 1910): ქოთუმექ მარქვალი ოსქუმენა ქამეჭკვიდას, **მონჭვა** იყვენ „ქათამი კვერცხის დებას რომ შეწყვეტს, კრუხი იქნება“. **მოჭვა**, **მოჭო**, **მოჭუა** ზანიზმი ჩანს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (გურ.; იმერ.; აჭარ.). ლაზურის ათი-

ნურ კილოკავში დადასტურებულია **კროხი** ფორმაც (შდრ.: **კროხი** (რაჭ.) „კრუხი“ (ს. ჭიჭ.).

მეგრულში **მუმული** მამალი ქათმის სახელია. **მუმული** („მამალი“) სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით არის დადასტურებული: **მუმული**||**მუმულია**||**მუმულიცა**||**მუმუცია**||**მუმუია**||**მუმუი** (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). ლაზურში მამალს **მამულე** ჰქვია, ნ. მარის მიერ დადასტურებულია **გომახი** ფორმაც (მარი, 1910).

სამეგრელოში ცნობილია მამლის დაკოდვის წესი. დაკოდლი მამალი საუკეთესოდ ზრდის და იცავს წიწილებს მტაცებლებისაგან. მამლობადაკარგულ ქათამს **ყვარილი**||**ცვარილი** ჰქვია. მეგრულის მარტვილურ თქმაში ყვარილის მნიშვნელობით დადასტურებულია **კვანწილა** ტერმინი (ცხადაია, 1987) (შდრ.: **ყვერული**(საბა); **ყვერული**(გურ.) „დაკოდლი მამალი ქათამი“ (ალ. ლღ.); **ჭაკოდლი** (გურ.) „ცუდად დაკოდლი მამალი“ (შარაშ.).

ლაზურ ტექსტებში დადასტურებულია დაკოდლი მამლის აღმნიშვნელი ლექსემა **კვარელი**||**ყვაველი**: ყვაველი მამულის გამაწიე წიწილეფეს ორდაფათან. ფილიჭი დოკვარა-შ-კულე **კვარელი** დივუ (ბსკიდა) „დაკოდლი მამალს გამოჩეკილ წიწილებს აზრდევინებენ. ყვინჩილა დაკოდვის მერე ყვერული გახდება“. თუმცა, დღეს ლაზი მთქმელები უარყოფენ მამლის დაკოდვის წესს. მათი თქმით: მამულიში ოყვარუ ჩქინ ვა მიჩქინან „მამლის დაკოდვა ჩვენ არ ვიცით“.

შინაურ ფრინველთა სქესობრივი კლასიფიკაცია ერთგვარად დამოკიდებულია მათ ასაკზე. ქათმის სქესისა და ასაკის გარჩევა გარეგნული ნიშნის მიხედვითაც ხდება. შინაურ ფრინველებში **თიკი** („თვერი“, „ბიბილო“) უფრო მეტად განვითარებული აქვს მამლებს.

ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი შინამრეწველობის მასალების მიხედვით, ქვემო სამეგრელოში ერთ

თვემდე ქათმის ნაშიერს **წიწილა**-ს ეძახიან, ერთი თვის შემდეგ **ცურუა**-ს, ორი თვის შემდეგ **დუცია**-ს, ხუთი თვისას, თუ დედალია, **დადულ**-ს, თუ მამალია — **მუშულია**-ს (მასალე-ბი...1986). აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში ვერ ვადასტურებთ **ცურუა** ტერმინს.

მეგრულში ახალგამორჩევილ, კვერცხის ნაჭუჭიდან გამო-სულ, ჯერ კიდევ ბუმბულით შეუმოსავ ქათმის ნაშიერს ერთ თვემდე, ჰქვია **წიწილა||წიწია||წიწგლა||წგწგლა** (ყიფშიძე, 1914; ქარაია, 1997); **ჭუჭული**. ლაზურში ახალგამორჩევილ წი-წილას **წიპილი**, **ჭუჭული**, **მაწიწილე**-ს ეძახიან (მარი, 1910); აქა-იქ **ჭუჭული** ფორმაც დასტურდება (ასათიანი, 1974); ნა-გვიანვე წიწილას **ჩხოროზი** ჰქვია (შდრ.: **მოჩხოროზი** (გურ.) „ახალფრთაშესხმული წიწილა“ (ი.ჰყ.).

რამდენიმე კვირის შემდეგ, ფრთებწამოზრდილ წიწილებს **მოჩიტოლირი** („წამოჩიტული“) ჰქვია. **მოჩიტოლირ**-ს, მე-გრულში, გადატანითი მნიშვნელობით ბავშვზეც იტყვიან: **მო-ჩიტოლირი ბადანა** „წამოზრდილი ბავშვი“ (შდრ.: მოზრდილი, ფრთებშესხმული წიწილის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეუ-ლები მრავლადაა დიალექტებში: **მოჩეთი**, **ჩონტო** (ლეჩხ.); **მოჩვეთი**, **მოჩოთი**, **მოჩიტი** (იმერ.); **მოჩხოროზი**, **მოხონჩო-ლებული**, **მოფთიანებული** (გურ.); **მოჭონი**, **როჭო** (რაჭ.); **დაშაშვეებული** (აჭარ.); **მოჩეთი**, **შურდუხი** (ქეგლი).

მოჩიტოლირ წიწილას („წამოზრდილ წიწილას“) თვენა-ხვერის-ორი თვის ასაკში **საკამაწყარო||საბულიონო** წიწილა-ს ეძახიან. ხოლო, გეგეჰკორის მკვიდრთათვის, მოზრდილ, დასაკ-ლავად ვარგის წიწილას ჰქვია **ოჩხოტე**, **ოჩხოტუ** (ყიფშიძე, 1914; ელიავა, 1997).

ლაზი მთქმელისათვის ფრთებწამოზრდილი წიწილას სახე-ლი **კვინჩასთეი** ტერმინით არის ცნობილი: ეკულე მციქანა მი-რდას, **ქომოიკვინჩუას**, ეკულე იყი დადულე დო მამული „მერე ცოტა გაიზრდება, წამოიჩიტება, მერე იქნება დედალი და მა-

მალი“, ლაზურში ყვინჩილას ფილიპი ჰქვია.

ბ) სამეგრელოში შინაური ფრინველებიდან ქათმის მერე უპირატესობას ინდაურს ანიჭებენ. მეგრულში ინდაურს ჰქვია **ინდური**|| **ინდური**||**ინდოური**, **კოკუში** (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). **ინდაური** „მოზრდილი შინაური ფრინველია, რომელსაც თავი შეუბუშბლავი აქვს, ნისკარტს ზემოთ კი — ბიბილოსავით წანაზარდი“ (ქეგლი) (შდრ.: საბასთან დადასტურებულია **ინდოური ქათამი**).

სამეგრელოში ჰყავთ ჩვეულებრივი, რუხი და იშვიათად, ფერო ფერის ინდაურები. ლაზები ინდაურის მოშენებას ნაკლებ მისდევენ.

მეგრულში **ინდური** ტერმინის პარალელურად (უფრო მეტად ზუგდიდურსა და ჯვარულ თქმებში) დადასტურებულია **კოკუში**||**კოკუჩი** ფორმები. ი. ყიფშიძე ინდაურის განმარტებისას უთითებს **კოკუში** ფორმასაც და ამ უკანასკნელს თურქული წარმომავლობის სიტყვად ასახელებს (ყიფშიძე, 1914) (შდრ.: ლეჩხუმურში ინდაურს **კოშია**||**კოშიე**-საც ეძახიან, რომელიც თურქული **კოკოში**-დან მომდინარედ მიაჩნიათ (გურგენიძე, 1973); **კოშია** (სვან.) „ინდაური“; თურქული **კოკუში**||**გოგუშ** „ლურჯი ფრინველის“ სახელია (სევორთიანი, 1978).

მეგრულში ინდაურის სქესის სახელდება წარმოდგენილია ტერმინოლოგიური შესიტყვებით: **დადული ინდური** („დედალი ინდაური“) და **მუმული ინდური** („მამალი ინდაური“).

ზრდადაუმთავრებელ, პატარა ინდაურს, გამოჩეკიდან 3-4 თვემდე **ჭუია** ჰქვია: **ჭუიფს** დუდის რღვაფაშა უჭირს მეულა, ვარა უკულ რდილი რენა „ინდაურის ჭუეებს თავის გაყვლეფამდე უჭირთ მისვლა, თორემ მერე გაზრდილები არიან“ (შდრ.: **ჭუკი** (აჭარ.; ქიზ.; გურ.; ქართლ.) „ინდაურის წიწილა“).

ინდაურის ასაკის განმსაზღვრელია **დუდოშ რღვაფა**-ს („თავის გაყვლეფა“) პროცესი. 3-4 თვის **ჭუიფს** („ინდაურის წიწილები“) თავზე თმები გასცვივით. მთქმელის განმარტებით:

ჭუიაშო დუდიშ რღვაფა აუცილებელი რე. ათე დროს დუდი ხოპოთი აფუ გოჯიჯიხიტელი. **დუდიშ რღვაფაშ** დროს შილებე ჭუიეფქ გოჰყორდასგნ, მარა უკულ მუთუნ ვემერიებუ „ინდაურის წიწილისათვის აუცილებელია თავის გაყვლეფა. ამ დროს თავი ფუფხით აქვს გამაგრებული. თავის გაყვლეფისას შეიძლება ჭუკები დაწყდეს, მაგრამ მერე ვერაფერი მოერევა“.

თავის გაყვლეფის მერე **ჭუია** უკვე არის **ახალი ინდური** („ახალი ინდაური“). ერთ წლამდე **ახალი ინდური-ა**, ერთი წლის შემდეგ კი — **ჩვეში** („ძველი“). **ჩვეში ინდურს** („ძველ ინდაურს“) **წანამოთირელ-ს** ეძახიან. **წანამოთირელი** სიტყვა-სიტყვით „წელიწადგამოცვლილ“-ს ნიშნავს.

ბ) კვატა||კვატია („იხვი“) წყლის ერთ-ერთი შინაური ფრინველია. სამეგრელოში ჰყავთ ჩვეულებრივი და **შინური** („ჩინური“) ჯიშის იხვები, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, **შინური** ჯიშის იხვები მუქი ფერისაა.

მეგრულში დედალ-მამალი იხვის აღმნიშვნელი სპეციალური ლექსიკური ერთეულები არ გვხვდება, გარდა ტერმინოლოგიური შესიტყვებებისა: **დადული კვატა** („დედალი იხვი“) და **მუმული კვატა** („მამალი იხვი“).

მეგრულში ახალგამოჩეკილ იხვის მართვეს **ბურბუ||ბუბუ-ს** ეძახიან. რამდენიმე კვირის მერე **ბურბუ ჭიჭე კვატა** („პატარა იხვი“) იქნება. ზრდადასრულებულ იხვს, განურჩევლად სქესისა, **კვატა||კვატია** ჰქვია (შდრ.: იხვი „პატარას ჰქვია **კოკონა**, დიდს-**სუსხარი**, შვილთა მათსა **ჭუჭული**, ვითა ბატსა“ (ნ. ჩუბ.).

ლაზურში იხვ-ს **ბიბი** ჰქვია. ამავე დროს, **ბიბი ორდელი-ს** სახელითაც არის დადასტურებული (შდრ.: თურქ. **ordeg** „იხვი“). თუმცა, მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ლაზურში **ბიბი** და **ორდელი** ტერმინების დიფერენციაცია ხდება. **ბიბი** — ძირითადად სახელდება შინაური იხვის აღმნიშვნელად, ხოლო **ორდელი** — გარეული, სანადირო იხვის სახელია. არის შემთხვევები, როდესაც ორივე ლექსემა — **ბიბი** და **ორდელი** —

ერთი და იმავე მთქმელის მიერ იქნა დასახელებული შინაური იხვის აღმნიშვნელ სახელად.

ლაზები ე.წ. იტალიურსა და ჩვეულებრივი ჯიშის იხვებს აშენებენ: იტალიური ჯიშის ბიბი უჩა იენ, ბიბილო მჭითა უღუნ „იტალიური ჯიშის იხვი შავია, ბიბილო წითელი აქვს“; ჩვეულებრივი ჯიშის იხვი, იტალიური ჯიშისაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს **ხჩე** („თეთრი“), **კავერენგი** („ყავისფერი“), **ჰე-ერელი** („ჰრელი“).

დ) ზანური **ღორღონჯი**||**ღორღოჯი** „ბატის“ სახელია (შდრ.: **ღერღედი** (ძვ. ქართ.).

ძირეული ქართველური წარმომავლობის **ღორღონჯი**||**ღორღოჯი** ლექსიკური ერთეული დღეს მხოლოდ მეგრულშია შემონახული, თუმცა სენაკურ თქმაში უკვე **ბატი** ტერმინი დამკვიდრებულია; ხოლო ლაზურისათვის დროთა განმავლობაში ძირეული ლექსემის ნაცვლად ბუნებრივი გამხდარა **ყაზი**, **კაზი** ტერმინი (შდრ.: თურქ. **kaz** „ბატი, სულელი, ყყუჩი, წყლის დიდი ფრინველი“).

მეგრულში, **ქათომი** („ქათამი“) ტერმინის მსგავსად, **ღორღონჯი** გამოყენებულია როგორც საზოგადო, ასევე ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. **ღორღონჯი** ზოგადად სახელია შინაური ფრინველის ერთი სახეობისა და, ამავე დროს, ვიწრო მნიშვნელობით **ღორღონჯ** ტერმინს აქვს დედალი ფრინველის გაგება: მასქუალი **ღორღონჯი** ბრელი ვაპუნს „კვერცხისმდებელი ბატი (დედალი) ბევრი არ მყავს“.

მამალ ბატს **მუმული** **ღორღონჯი**-ს ეძახიან, შეიძლება თქვან **ბატიც**, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ მამალთან მიმართებით ითქმის.

ზრდადაუსრულებელ, ახალგამოჩეკილ ბატის მართვეს მეგრულში **ჟინტუ** ჰქვია.

1.2. გარეულ ფრინველთა სახელწოდებანი

როგორც ითქვა, კოლხეთის ფაუნა მდიდარია გარეულ ფრინველთა მრავალსახეობით. ამას ადასტურებს ის ლექსიკური მასალაც, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში.

მეგრ.: **ქილორი||ქლორი||ქიორი** „ხოხობი“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; კილანავა, 1998). **ქილორი** სილამაზით გამორჩეული ფრინველია, ის უფრო ზღვის სანაპიროებზე ბუდობს. შინაური ქათამივით იბუდებს ხეზე, ბუჩქებში. **ქილორზე** შემოდგომით ნადირობენ. მონადირეები დედალ-მამალს ერთმანეთისაგან ასხვავებენ ფერით, სიდიდითა და ბიბილოთი. ამ ფრინველის ბუმბული განსაკუთრებული ლამაზი ფერების სიუხვით ხასიათდება: დაღული ეკუდელერი-ჯგუა რე, მუმულს კუდელი მეტრას ქორე ეკაბუნი, მაღალ კუჩხებს გერე, კისერი ხოლო მაღალს უღუ „დედალი ბოლომოკვეცილივითაა, მამალს-კუდი ერთ მეტრომდეც კი აქვს, მაღალ ფეხებზე დგას, კისერი კიდევ მაღლა აქვს“. მამალი **ქილორი** დედალზე დიდია. მამალს ფეხზე ამოსული აქვს **ქარცხი||ჩქვა||ქა** („დეზი“). ასაკის მომატებასთან ერთად ფეხზე ეს წამონაზარდები რაოდენობრივად მატულობს. მამალს, ამასთანავე სახეზე აქვს ხაზები. რამდენი ხაზიც ექნება, იმდენი წლის იქნება მამალი **ქილორი**. დედალი **ქილორის** ასაკის გარკვევა კი ცოტათი ძნელია.

მეგრ.: **კვათარა||კვათარი||კვანთარი** „ტყის ქათამი, როკო“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; კილანავა, 1998; ქაჯაია, 2002). მთქმელთა განმარტებით, **კვათარას** გრძელი, მაგარი, მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, ტანი კი-ჩალისფერი ბუმბულით აქვს დაფარული. ძალზე ფრთხილი და სწრაფი ფრინველია: **კვათარი** რე ნენძგ მოღულა, ართ ცინდა ქორე ნინძგ გგმე აფუნი „კვათარი არის ნისკარტ-მრუდე, ერთ ცინდა კი არის, ნისკარტი ქვემოთ რომ აქვს“.

მეგრ.: **გვ** „ტყის ქათამი; გრძელნისკარტა; მწყერჩიტა“

(ყიფშიძე, 1914; ელიავა, 1997; კილანავა, 1998; ქაჯაია, 2001).
გვ ტერმინი უფრო მეტად გავრცელებულია სამეგრელოს მთიან რაიონებში.

მეგრ.: **ტყაშ ქოთომი**: ლაზ.: **მტკაშ ქოთუმე** „ტყის ქათამი“: **მტკაშ ქოთუმე** კიშის მტკაეფუნას იყვეს „ტყის ქათამი ზამთარში ტყეში იცის“. სამეგრელოში გავრცელებულია ნადირობა **ტყაშ ქოთომ-ზე** („ტყის ქათამზე“). მთქმელთა უმრავლესობისათვის **ქილორი, კვათარა, ტყაშ ქოთომი** და **გვ** — სინონიმებია და ამ ტერმინებით აღნიშნულია ხოხბის, ტყის ქათმის მეგრული სახელი.

სამეგრელოში გარეული ქათმის რამდენიმე ჯიშს არჩევენ. მთქმელთა განმარტებით, გარეული ქათამი არის სამი სახეობის. ერთია **წყარიშ ქოთომი** („წყლის ქათამი“), შავი ფერისაა. სიდიდით შინაურ ქათამს არ ჩამოუვარდება, სულ წყალშია, ნაპირზე იშვიათად გამოდის. ამ ჯიშის მამალ ქათამს წითელი თავი აქვს, დედალი — გრძელნისკარტიანია და თავზე ბიბილოც არა აქვს; მეორე სახეობაა **ბართვიშ ქოთომი**, ძალზე პატარაა, თუმცა მაღალ ფეხებზე კი დგას. იტყვიან, **ვიროშფერიაო** („ვირისფერი“); მესამეს კი — **თურქულ ქოთომი**-ს ეძახიან, სულ მთლიანად შავი ფერისაა. ლაზურში წყლის ქათამს **წყაიშ ქოთუმე**-ს და **მტკაშ დალიში ქოთუმე**-საც ეძახიან.

მეგრ.: **ტყარ კვატა** „გარეული იხვი“. სამეგრელოში ძალიან უყვართ **ტყარ კვატა**-ზე ნადირობა. გარეული იხვი ძირითადად ბინადრობს რუსეთში, მაგრამ იქაურობას ყინვების დაწყებისთანავე ტოვებს. ძალზე ფრთხილი ფრინველია, საგულდაგულოდ იცის დამალვა. ძირითადად წყალში ბინადრობს. მასზე ზამთარში ნადირობენ, ამ დროს ის გამოირჩევა განსაკუთრებული სიმსუქნით. გარეული იხვი სხვადასხვა ჯიშისაა: **წყარიშ კვატა, ბაყვა კვატა, ჩვეულებრივი კვატა**. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან რაღაც ნიშნის მიხედვით განსხვავდება:

წყარიშ კვატა („წყლის იხვი“): თავზე აქვს ოქროსფერი ბუმბული და კუდიც ზევით აქვს აშვერილი;

ბაცვა კვატა პატარაა, მოზრდილ წიწილას ჰგავს. ძირითადად ბინადრობს ზღვაზე. მის დასაქერად ხაფანგებს აგებენ. კვერცხს ეწერ ადგილებში დებს.

მთქმელები, თავის მხრივ, **ბაცვა კვატა**-ს სამ სახეობას არჩევენ: ერთია — ჩვეულებრივი, ოჯახის იხვის მსგავსი, მეორეა — **ოშქარი კვატა** და მესამე — **კუდელაში კვატა**. არის **ბაკვია კვატაც**, სულ პატარა, შაშვისმაგვარი. **ბაკვია კვატა** ზოგი წითელთავიანია, ზოგი — მსხვილთავიანი, ზოგი ქოჩრიანი და ზოგიც — წვრილნისკარტა. მთქმელთა განმარტებით, გარეული იხვის წიწილები კვერცხიდან იჩეკება შავი ფერის ბუმბულით, ხოლო ჩვეულებრივი, ოჯახისა კი — ყვითელი ფერის ბუმბულით.

ლაზ.: **ბიბი, ორდელო** „იხვი“. **ბიბი** ტერმინი ძირითადად დადასტურებულია ოჯახის, შინაური იხვის სახელად, ხოლო **ორდელო** — სანადირო იხვის სახელია. **ორდელო** თურქულიდან ნასესხები ტერმინია ლაზურში. **ორდელო** შეიძლება იყოს **მჭიფეში** („პატარა“) და **მჩხუში** („დიდი“). **მჭიფეში ორდელო**-ს **სიბილიაშუა**-ს ეძახიან, ანუ თეთრი ფერის იხვი. **მჩხუში ორდელო** შეიძლება იყოს **იეშილბაში** („მწვანეთავიანი“), რომლებიც ძირითადად მამალია და **გულბაში, ქურბაში** („ვარდისფერთავიანი, თავწითელი“). დედალი იხვები უმეტესად არის წითელთავიანი.

ლაზ.: **მტკაშ ბიბი** „ტყის იხვის“ სახელია. ტერმინი წარმოდგენილია მართულმსაღვრელიანი სინტაგმით.

მეგრ.: **ღორღონჯი** „ბატი“. **ღორღონჯი** გარეულიც არის და შინაურიც. გარეგნული სხვაობა გარეულსა და შინაურ **ღორღონჯ**-ს შორის ტანისა და ნისკარტის სიდიდეშია. შინაური ბატები უფრო დიდები არიან. გარეული **ღორღონჯი** ძირითადად ზღვის ბინადარი ფრინველია.

ლაზ.: **მტკაშ კაში** „გარეული ბატი“. როგორც ვხედავთ, ლაზურში გარეული ბატის სახელი ტერმინოლოგიური შესიტყვებით არის დადასტურებული.

მეგრ.: **კოკუჩი** „ინდაური“. სამეგრელოში **კოკუჩი|კოკუ-ში**-ს ეძახიან გარეულ და შინაურ ინდაურს. სანადირო **ტყარ კოკუჩი** („გარეული ინდაური“) შინაურ ინდაურსა ჰგავს. ოლონდ, შინაურისაგან განსხვავებით, კისერზე არა აქვს წითელი ფერის ხორცმეტები და თავზეც — **ჩაყურა**. სამეგრელოში გარეული **კოკუჩი** მხოლოდ ზამთრობით მოდის. დედალ-მამალი ერთმანეთისაგან ფერთა და სიდიდით განსხვავდება.

მეგრ.: **ციცარი** „ციცარი“. ზღვაზე ბინადრობს. **ციცარი** მოშინაურებულიცა ჰყავთ, ის პატარა ტანისაა. შინაური ციცარისაგან განსხვავებით, ზღვის ციცარს, **კვათარა**-ს მსგავსად, გრძელი ნისკარტი, ჩალისფერი ბუმბული და თეთრი წინწყლები აქვს.

მეგრ.: **ციცარკა**. ციცარკა დიდი ზომის წყლის ფრინველია. მთქმელთა განმარტებით **ციცარი** და **ციცარკა** სხვადასხვა ფრინველის სახელია. ერთმანეთისაგან სიდიდითა და ბუმბულის ფერთ განსხვავდებიან.

მეგრ.: **კოკორინა|კოკორნა** „პატარა, წყლის მოყვარული ფრინველია“ (ქაჩაია, 2002); ლაზ.: **კოკაინა** „წყლის მოყვარული ფრინველი“. ძალზე სწრაფი ფრინველია, მონადირეებს უჭირთ მისი მოხელთება. **კოკორინა** თავდაცვის მიზნით წყალში ჩაყვინთავს და შეუძლია ასე დიდხანს გაძლოს. ამ თვისების გამო სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში **კოკორინას წყარწყვითა, წყარკაკია**-ს ეძახიან.

მთქმელთა დახასიათებით **კოკორინა|კოკაინა** სიდიდით პატარა ფრინველია, წვრილნისკარტიანი, ფართო ფეხებით. თავზე ფართო წანაზარდები აქვს, რომელიც მას წყალში ცურვაში უწყობს ხელს. ლაზები **კოკაინა**-ს ხორცს არ ჰამენ, მაგრამ იყენებენ მის ლამაზ ბუმბულს.

მეგრ.: **ჩვამა||ჩვამაია** „ყანჩა, თევზიყლაპია“ (ჭარაია, 1997; კილანავა, 1998). **ჩვამა** ძალიან ჰგავს **კოკორინა**-ს, თუმცა, **კოკორინა**-ზე დიდია, თავზე ქოჩორიც აქვს. **ჩვამა**, **ჩვამაია** შავზე შავი ფერის ფრინველია, ის წყალში ბინადრობს, თუმცა, მთქმელების განმარტებით, **ჩვამა**-ს ხეზეც შეუძლია ჩამოჯდეს და ისე დაიბუღოს ღამე.

მეგრ.: **სინდი**, **წყარ(ი)სინდი** „იხვი“ (ყიფშიძე, 1914): **წყარისინდი** წყარს გეხე, მიკორდე-კოკოზე „გარეული იხვი („წყლის ჩიტი“) წყალზე ზის, ნაპირთან — კაკაბი“ (გულდავა, 1975).

„ხანდაზმული ინფორმატორებისათვის **სინჯი||სინდი** არის არა იხვი, არამედ ზოგადად ჩიტი, ფრინველი ან სულაც წყლის იხვი. ამ უკანასკნელის მნიშვნელობით უფრო გავრცელებულია **წყარსინჯი** (← **წყარიშ სინჯი** „წყლის სირი“). შექმნილი არის ამ სიტყვის ე.წ. ხალხური ეტიმოლოგიაც: **წყარსინჯი** ზღვის ჩიტია, კისერბატულა, გრძელნისკარტა. წყლის სინჯვა უყვარს, ხშირად ჩაჰკრავს ნისკარტს წყალში, ამიტომაც დარქმევია **წყარსინჯი**“ (ცხადაია, 1999).

მეგრ.: **მაფშალია||მაფშაია||მაბშალია||მაფშაია** „ბულბული“ (ყიფშიძე, 1914; ელიავა, 1997; კილანავა, 1998). რ. ჟორდანიას შემოთ ჩამოთვლილ ფონეტიკურ ფორმებს უმატებს **მეფშალია** ფორმასაც (ჟორდანიას, 1970): **მაფშალიაშ** ღურჭულს მუ შედარებ? „ბულბულის გალობას რა შეედარება?“ (შდრ.: ქართულმა ამ ჩიტის აღმნიშვნელ სახელად, ერთი მხრივ, ბერძნულიდან ნასესხები **იადონი||აედონი** და, მეორე მხრივ, სპარსული **ბულბული** დაამკვიდრა. რ.ერისთავი ბულბულს განმარტავდა, როგორც „ვარდის ჩიტს“).

მთქმელები მეგრულში ბულბულის სახელად, **მაფშალია**-სთან ერთად **იადონი** ტერმინსაც ადასტურებენ (შდრ.: **იადონი** „ბულბული“ (ყიფშიძე, 1914; ელიავა, 1997). თუმცა, უპირატესობას მაინც **მაფშალია**-ს ანიჭებენ: **იადონი** იბირს „იადო-

ნი მღერის“.

ლაზ.: **ბულბული** „ბულბული“. ლაზურში ამ ფრინველის აღსანიშნავად, ქართულის მსგავსად, სპარსულ-თურქული ნესესობა — **ბულბული** — დასტურდება.

მეგრ.: **მაჭირხოლი** || **მაჭირხორი** || **მარჭინოი** || **მარჭინორი** || **მაჭერხოლი** „მერცხალი“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; კილანავა, 1998; ყორღანია, 1970); ლაზ.: **შილიდონი** || **მშილიდონი** || **ფშირიდონი** || **მშქირიდონი** || **ფშქირიდონი**, **კულელმაკასი** „მერცხალი“ (მარი, 1910).

მტკმელთა განმარტებით, **მაჭირხოლი** მშვიდი, მოჭიკჭიკე, მომღერალი ფრინველია. **მაჭირხოლი** ერთადერთი ფრინველია, რომელიც ბუდეს სახლის აივნებზე იკეთებს. მისი მოკვლა არ შეიძლება. ის სიკეთის შემომტანია ოჯახში. **მაჭირხოლს** შეუძლია ბუდე შიგნით, ოთახშიც კი გაიკეთოს. თუ გადმოცემას დაეუჭვრებთ: **მაჭირხოლზე** დიგურუ კოჩქ ცუდეშ კეთება. დიო გოლობუ, უკულ ღობილს ქუგაბუ ლეტა. ათენა დიგურუ **მაჭირხოლზე** „მერცხლისაგან ისწავლა კაცმა სახლის გაკეთება. ჯერ შემოლობა, მერე მას მიასხა ტალახი. ეს ისწავლა მერცხლისაგან“ (ზუგდ.).

მეგრ.-ლაზ.: **გუგული** „გუგული“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; ქაჯაია, 2001; მარი, 1910). ტერმინი **გუგული** ქართველურ ენებში წარმოდგენილია ფონეტიკურად იდენტური ფორმით, რაც ამ სიტყვის ხმაბაძვითი ბუნებით უნდა აიხსნას: ირჩქილე მაჭირხოლიში ჭირხოლი დო „ხაჩქითბარგით“ **გუგულიში** (სამუშია, 1990) „ისმის მერცხლის ჭიკჭიკი და თოხნეთ-ბარეთ გუგულისი“; **გუგული** ყონა ოხაჩქუმ ვახთის გუგუ-გუგუ იქიფს. გუგუ ვა ყვაში, ჩქვა ყონა ვა იხაჩქენ (ბსკიდა) „გუგული ყანის თოხნის დროს გუგუ-გუგუს იძახის. გუგუ რომ არ თქვას, სხვა ყანას ვერ დათოხნის“ (შდრ.: **გუგუტიპ** (მოხ.; ხევს.; თუშ.) „გუგული“ (ქაჯ.; დიალ.; 551).

მეგრ.: **ოფოფი**||**ოფოფია** „ოფოფი“ (ჭარაია, 1997); ლაზ.:

ოფამფე „ოფოფი“. **ოფოფია** მწყურის მოსვლის დროს მოდის. ლაზი მთქმელების განმარტებით: **ოფამფე** თის კაუხა, გეხუნეი კვინჩი იენ „ოფოფი, თავზე ქოჩორი რომ აქვს, ის ჩიტია“.

მეგრ.-ლაზ.: **გედი** „გედი“. მეგრულ-ლაზურში ტერმინი ქართულიდან ჩანს შემოსული. დედალ-მამალ გედს შორის ბევრი სხვაობაა. დედალი თეთრი ფერისაა, მამალზე — უფრო მოწითალოს იტყვიან. მთქმელების გადმოცემით, გედებმა ტირილი იციან. ვინიცობაა და გედი დაჭრეს, ის ადამიანივით ცრემლებს ღვრის. თანაც, წესად აქვს გედს: თუ ორი გედიდან ერთი მოკლეს, მეორე არაფრით თავს არ იცოცხლებს: დუხვილუნა ჟირ **გედი** დო მასმას გეუფურინუ გვალო მაღალიშა დო გურ გოხარცქუ დო თექ ქოგებათქაფე „მოუკლავთ ორი გედი და მესამე სულ მაღალზე აფრენილა, გული გასკდომია და იქვე ჩამონარცხებულა“ (ერგ.).

მეგრ.-ლაზ.: **ტორონჯი||ტოროჯი||ტოოჯი** „მტრედი“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; მარი, 1910). სამეგრელოში **ტორონჯ-ს დორონთიმ ქოთომს** „ღვთის ქათამს“ ეძახიან. მისი მოკვლა არ შეიძლება, „ვაშინერსია“ — იტყვიან. **ტორონჯი** შინაურიც არის და გარეულიც. ისინი ერთმანეთისგან ფერით განსხვავდებიან. შინაურ მტრედს უმეტესწილად თეთრი ფერი აქვს.

ლაზურში გარჩეულია **მჩხუშ ტოოჯი** და **მჭიფეშ ტოოჯი**: **ტოოჯი** იყვენ, **მჭიფეშ ტოოჯი** იენ, **მჩხუშ ტოოჯი** იენ, შინაურითი იყვენ **ტოოჯი** (ბსკიდა) „მტრედი არის: პატარა მტრედი, დიდი მტრედი, შინაურიც იქნება მტრედი“. მთქმელებისათვის **მჩხუშ ტოოჯი** არის „ქედანი“, **მჭიფეშ ტოოჯი** კი — „გვრიტი“ (სარგ).

მეგრ.: **ტურტურუე||ტურტურგე||ტურტური||ტურტურუ-გე||ტურტურუა** „გვრიტი“. მეგრული **ტურტურუე** „ტოროლა“-ს სახელია (ელიავა, 1997), თუმცა, სამეგრელოში ტოროლა არ იცის. **ტურტურუა** გარეგნულად მტრედსა ჰგავს, მაგრამ მასზე

უფრო პატარაა, მარაოსავით ლამაზი კუდი აქვს.

მეგრ.: **ოზარა** „ქედანი“ (ყორდანი, 1970). **ოზარა** პატარა მტრედია. შდრ.: ქედანი „პატარა მტრედი“ (საბა).

ზოგიერთი მთქმელი გარეული მტრედის სხვადასხვა ჯიშს ასახელებს, როგორცაა: **ტურტურუა**, **ქედანი**, **დიდი ტორონჯი**, **გვრიტი**, **ვეჯანი მტრედი**, **გურჯამე**.

მეგრ.: **კოკობე**||**კოკობე** „კაკაბი“ (ყიფშიძე, 1914; ელიავა 1997; ქაჯაია, 2002): **ონტოფუსუ** ტოფი ხე დო, წყარი პისგ **კოკობე** (ყიფშიძე, 1914) „სატოფეში ტოფი ბუდობს, წყლის პირას კი კაკაბი“. მთქმელები, ეტყობა ქართულის გავლენით, დღეს მხოლოდ **კაკაბ** ტერმინს ხმარობენ.

მეგრ.: **ბალირე**||**ბაღგრე**||**ბალირე**||**ბაღგრე**||**ბაღრი**||**ბაღრე**||**ბაღრი** „ბელურა“ (ყიფშიძე, 1914; ყორდანი, 1970; ელიავა, 1997; ქაჯაია, 2001); **ლაზ.**: **ბრინჯიშკინჩი** „ბელურა“:

ბაღგრე ლუმუში მახირალც, ლუმუ ქუულუნო ხაზირცია? (ყიფშიძე, 1914) „ბელურას, ღომის ქურდს, ღომი თუ აქვს დამზადებული?“.

ლაზურში ბელურას **ბრინჯიშკინჩი**-ს ეძახიან. მთქმელები **ბრინჯიშკინჩი**-ს პარალელურად **დიკაშკვინჩა**-საც ადასტურებენ. მათი განმარტებით, **ბრინჯიშკინჩი** და **დიკაშკვინჩა** ერთი და იმავე ჩიტის სახელია. ეს ჩიტი სიდიდით პატარაა, ფერით მწყერსა ჰგავს: ჭკემი იმხორს, ყოყორეში ჭკემი, ემუშენი **ბრინჯიშკინჩი** ენ. **დიკაშკვინჩი** „თესლს ჭმს, გოგრის თესლს, იმისათვის ბრინჯის ჩიტია. „ხორბლის ჩიტი“ (ბელურა)“ (ასათიანი, 1974).

მეგრ.: **გურმეჭვია** „გულწითელა“ (ჭარაია, 1997; კილანავა, 1998; ქაჯაია, 2001): **ლაზ.**: **ცანა** „გულწითელა“ (მარი, 1910): **გურმეჭვია** პატარა ჩიტის სახელია, ზამთარ-ზაფხულ ჩვენთან არის, ოღონდ ზაფხულში შეუმჩნეველია ბუმბულის ფერის გამო. ფერს იცვლის წელიწადის დროის მიხედვით. ზამთრობით ამ ჩიტს გულის პირი წითლად უღვივის და ამიტო-

მაც ეძახიან **გურმეჭვია, გურჭითა-ს.** ო. ქაჯაიას **გურმეჭვია** „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ განმარტებული აქვს, როგორც „1. გულწითელა, ჩიტია (მაფშალია). ზოთონს **გურმეჭვია** რე დო ზარხულც თხოზ პეპელას „ზამთარში გულწითელა არის და ზაფხულში დასდევს პეპელას“; იქვეა დადასტურებული **გურიჭითა, გურწითე** („სკვინჩა, გულწითელა“) და **გურყვინთელი** („მკერდყვითელი, ჩიტია ერთგვარი, მოლალური“) ერთეულები (ქაჯაია, 2001) (შდრ.: ქართ.**გულწითელა**).

ლაზურში „გულწითელა“-ს **ცანა** ჰქვია. ნ. მარის განმარტებით, **ცანა** პატარა, წითელნისკარტა ჩიტია: არ ყალი-მჭითა კვინჩი ენ, **ცანა** ვუწუმელთ (ჩიქობავა, 1929) „ერთი ყელ-წითელი ჩიტია, გულწითელას ვეძახით“. მთქმელთა აღწერით: **ცანა** გუპიჯი მჭითა, გურ-ჭითა იენ; **ცანა** გუპიჯი საი კვინჩი იენ; უბა მჭითა კვინჩი ენ. **ცანა** ჰეფთენ გუი მჭითა, მჭიფე კვინჩი ენ (ბსკიდა) „**ცანას** გული წითელი აქვს; გულწითელა, გულისპირი ყვითელი ფერის რომ აქვს, ისეთი ჩიტია; უბეწითელი ჩიტია, **ცანა** გულწითელა, პატარა ჩიტია.“

მეგრ.: **კიდუ||კიდგ||კგდი||კგდგ** „კოდალა, ხეკაკუნა“ (ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; ქაჯაია, 2002); ლაზ.: **მკუდი||კიდი** „კოდალა“ (მარი, 1910). კოდალას ბუმბული მწვანე, წითელი, შავ და თეთრწინწკლებიანია. სამეგრელოში კოდალას პოეტურად **ჯაშექიმსაც** („ხის ექიმი“) ეძახიან. ლაზი მთქმელების თქმით, **კიდი** იენ, ჯა იმხოსს. **კიდიქ** ნჯაშენ მუნტუი გამიყონოუს „კოდალა იქნება, ხეს ჰამს. კოდალა ხიდან მატლს გამოიყვანს“.

მეგრ.: **მალუღია||მალადური||მაიაღური** „მელეღვიე, კვირიონი, მოლალური“ (ჯორდანია, 1970; ჭარაია, 1997); ლაზ.: **მალადუდე||მალადურე||მალუდე** „მელეღვიე“ (მარი, 1910). მეგრულში **მალუღია**-ს ეძახიან: 1. ფრინველს; 2. ლეღვის წვენი-საგან ტუჩზე გაჩენილ მუწუქს. მთქმელების განმარტებით, **მალუღია** ჩიტი ლეღვის დამწიფების პერიოდში მოდის. **მა-**

ლაღური ფორმის პარალელურად მეგრულში დასტურდება ქართული **მოლაღური-ც**.

ლაზურში ნ. მარს ერთმანეთის გვერდიგვერდ აქვს დასახელებული **მაღაღუდე, მაღაღურე, მალუდე** ფორმები. ნ.მარის განმარტებით: **მალუდე** („მელედვიე“) ჰრელი ფერის ჩიტია. მიუხედავად სახელწოდებისა — „მელედვიე“, ეს ჩიტი ლედვს არ ჰამს. ის იკვებება მუმლითა და მწერით (მარი, 1910): **მაღაღურე** ბუტკუჯი დიდო კოობუფს ია კვინჩი რენ“ (ბსკიდა) „მელედვიე ფუტკარს (resp. მწერს) დიდად (ბევრს) იჭერს, ისეთი ჩიტი არის“ (შდრ.: **მელედვია** „პატარა ჩიტია ერთგვარი“ (ქეგლ).

ლაზ.: **ლუდიმონჭაფუ** „მელედვიე“. ლაზურში **მაღაღურე||მალუდე** ლექსემის პარალელურად დადასტურებულია **ლუდიმონჭაფუ** ფორმა: **ლუდიმონჭაფუ** კვინჩი ენ (ჩიქობავა, 1929) „მელედვიე ჩიტია“; **ლუდიმონჭაფუს** ათმაჯაშა აშკურინე დო კრუჯ, კრუჯ-ს იძახ (ბსკიდა) „მელედვიეს მიმინოსი შეეშინდება და კრუჯ, კრუჯ-ს იძახის“.

მეგრ.: **მაბზაკუნა||მაზაკელა||მაზაკელი, მასაქელა||მასაქილა||მასახელა ||მასახანა||მასაქილე||მაცაქელა** „ბოლოქანქალა“ (ყიფშიძე, 1914; ჰარაია, 1997; ელიავა, 1997; ყორდანი, 1970); ლაზ.: **მაბუზალე** „ბოლოქანქარა“ (მარი, 1910). **მაბზაკუნა||მასაქელა||მაბუზალე**-ს ქართულში „წყალ-წყალა, ბოლოქანქარა||ბოლოქანქალა“-ს ეძახიან. ეს ჩიტი წყალ-წყალ დაფრინავს, ხოლო როცა ქვაზე დაჯდება, კუდს აქანქარებს: რე ჩიტი, **მაცაქელა** ჩიტეფს უძახენა, ქუას გგლადობოდუ, კუდეღს უქანცალუანს „არის ჩიტი, „მაცაქელა ჩიტებს“ ეძახიან, ქვაზე ჩამოჯდება, კუდს (ბოლოს) აქანავებს“; ნ.მარი ერთგან შენიშნავდა, რომ ლაზურში **მაბუზალე** ფორმის პარალელურად ესმოდა **მაპუზალე-ც**.

ლაზ.: **კუდეღლიმწინუ, სიმსიკოკარი, ვიწივიწი** „ბოლოქანქალა“. ნ. მარი „ბოლოქანქალა“-ს სახელად **სიმსიკოკარი||სიმ-**

სიგოკარი-ს ადასტურებს: „პატარა ჩიტის სახელია, რომელიც კუდს ქვაზე ურტყამს, აქანქარებს, ჩქარ-ჩქარა დახტის, წყალ-წყალა, მაბზაკუნა“ (მარი, 1910). მთქმელები **სიმსიკოკარი-ს** სინონიმად ასახელებენ **კუდელიმწინუ, ვიწივიწი** ლექსემებს: **კუდელიმწინუ, სიმსიკოკა(რ)ი** დო **ვიწივიწი** ართი კინჩი იენ (ბსკიდა) „**კუდელიმწინუ, სიმსიკოკა(რ)ი** და **ვიწივიწი** ერთი ჩიტია; **სიმსიკოკაი-დოსქიდუნ**. გინძე კუდელონი კინჩი რენ. ღალი დო ღალი გულუნ. ხჩე გურ-პიჯი უღუნ, საი-თი გოყვენ. მეორე რენგი ვა უღუნ, გე ოსაეფს „სიმსიკოკაი“ რჩება. გრძელ კუდიანი ჩიტია. ღელე-ღელე დადის. თეთრი „გულ-პირი“ აქვს, ყვითელიც არის. მეორე ფერი არა აქვს, წაიყვითლებს“ (ასათიანი, 1974).

მეგრ.: **მადლოკია||მადრაკია||მადლაკია** „ასპუჰაკი“ (ჟორდანი, 1970). **მადლოკია** ერთგვარი ჩიტის სახელია, მას ზურგი-მოწითალო და მკერდი თეთრი ფერისა აქვს. ხშირ-ხშირად კისერს იგრებს, იღრეკს. შესაძლებელია ეს თვისება გახდა ამ ჩიტის სახელდების მიზეზი.

მეგრ.: **ღაჟო „ღაჟო“**; **ლაზ.: ღაჟო „ღაჟო“** (მარი, 1910). **ღაჟო** სიტყვა მეგრულში შემდეგი ნაირსახეობით გვხვდება: **ხაჟო, ღვეჟელუა, ხაჟვი**, აგრეთვე — **ჯონოლა** (ჟორდანი, 1970). მოძიებული მასალის მიხედვით, მეგრულში **ღაჟო** ტერმინი პოლისემიური მნიშვნელობით დასტურდება: 1. ჩიტია ერთგვარი; 2. აღნიშნავს ფერს (კრელ ფერს). მაგ.: **ღაჟო ქოთომი, ღაჟო ლებია**.

ლაზურში **ღაჟო** პატარა ჩიტის სახელია, რომლითაც ღაზები მიმინოს იჭერენ. მისი ხორცი არ იჭმევა: არ ჩქვა **ღაჟო** უწუმელან, ემუთუ ათმაჯა ჭოუფან (ჩიქობავა, 1929) „ერთი ჩიტია, ღაჟოს ეძახიან, იმით მიმინოს იჭერენ“; **ღაჟო** გუპიჯი ხჩე კვინჩი იენ დო ათმაჯა ჭოუფან (ბსკიდა) „ღაჟო თეთრი გულმკერდის მქონე ჩიტია და მიმინოს იჭერენ“.

მეგრ.-ლაზ.: **ზესქვი||ზესკვი||მზესქუ||მზესკუ** „შაშვი“ (ყიფ-

შიძე, 1914; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; მარი, 1910). ამ ჩიტზე ნადირობენ, თუმცა გამოცდილ მონადირეებს **ზესკვი-ს** მოკვლა ვაუჟაცობად არ მიაჩნიათ: **მზესკუ** უჩა კვინჩი იენ „შაშვი შავი ფერის ჩიტია“. დედალ შაშვს ნისკარტი შავი აქვს, ხოლო — მამალს ყვითელი, თუმცა შეიძლება ნისკარტი წითელი ფერის ჰქონდეს. ლაზი მთქმელები არჩევენ **მზესკუ-ს** ორ სახეობას, რომელთა სახელდებაც გადმოცემულია ტერმინოლოგიური შესიტყვებებით: **ღალიშ მზესკუ** („ღელის შაშვი“) და **წკაი მზესკუ** („წყლის [მდინარის] შაშვი“).

მეგრ.: **შოშია** „შაშვი“. ლაზ.: **შუშანი** „შაშვი“. **შოშია, შუშანი** — შავი ფერის ფრინველია, შეიძლება ბუმბული თეთრად დაწინწკლულიც ჰქონდეს. ლაზურში **შუშანი** ლექსემის სინონიმად რამდენიმე სახელია დადასტურებული. ესენია **მსურაიდა** (მარი, 1910); **სივიჭული**||**სივირჭული** (ჩიქობავა, 1929); **მზიულული** (სარფი).

მეგრ.: **კვინჩა**||**კინჩა** „სკვინჩა, ნიბლია“ (ყიფშიძე, 1914; ჟორდანი, 1970; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; ქაჯაია, 2002); ლაზ.: **კვინჭახი** „სკვინჩა“.

სამეგრელოში არჩევენ ჩვეულებრივ **ჭიჭე კვინჩა-ს** („პატარა სკვინჩა“) და **გოლურ**||**გოლაშ კვინჩა-ს** („მთის სკვინჩა“). **გოლური კვინჩა** ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, მსხვილი და დიდი ნისკარტის მქონეა.

ლაზი მთქმელების განმარტებით, **კვინჭახი** პატარა ჩიტია, ცოტა ბრეშია, ფრთები თეთრი ფერისა აქვს. ერთმანეთისგან განასხვავებენ **კვინჭახ-სა** და **გოლა კვინჭახ-ს** („მთის სკვინჩა“): **კვინჭახი** — კიშის დოსქიდუნ „სკვინჩა ზამთარში დარჩება“ (ასათიანი, 1974); კვი, კვი, **კვინჭახი**. **კვინჭახის** ყვიანა კვინჩითი უწუმელან (ბსკიდა) „კვი, კვი, „კვინჭახი“. სკვინჩას მყვირალა (მჩხავანა) ჩიტსაც ეძახიან“; **გოლა კვინჭახი** ჰეელი კვინჩი იენ „მთის სკვინჩა ჰრელი ფერის ჩიტია“.

მეგრ.: **ცაშლაკვეფი** (სიტყვასიტყვით: „ცის ლეკვები“). მე-

გრულში ერთერთ სანადირო გადამფრენ ფრინველს **ცაშლაკ-გეფ**-ს ეძახიან. ამ ჩიტს სახელი თავისი ხმიანობის მიხედვით შერქმევია: თინა ირო ლალუნს დო თიშენი ჯოხო თე ჩიტის **ცაშლაკეფი** „ის ყოველთვის ყეფს და ამიტომ ჰქვია ამ ჩიტს ცის ლეკვები“.

მეგრ.: **ქალამი** „ერთგვარი ჩიტი“. მეგრულში **ქალამი** პატარა, ძალზე სწრაფი და ფრთხილი ფრინველის სახელია. მთქმელების განმარტებით, ამ ფრინველს თავზე ორი დიდი ბუმბული აქვს, რომელსაც **ქა**-ს („რქა“) ეძახიან; ამ ჩიტს თავი, ტანი, ზურგი — შავი ფერისა აქვს, ფრთები კი — თეთრი.

მეგრ.: **კიუ-კაუ** „მინდვრის ჩიტი“ **კიუ-კაუ** გადამფრენი, მოშავო ფერის ფრინველია. ეს ჩიტი დღენიადაგ **კიუ-კაუ**, **კიუ-კაუ**-ს მსგავს ხმიანობას გამოსცემს, შესაძლებელია ამის გამოც შეარქვეს მას **კიუ-კაუ**.

მეგრ.: **ჭინჭა** „ლობემძვრალა, ჭინჭრაქა“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997); ლაზ.: **ჭურჭა** „პატარა ჩიტი, ლობემძვრალა“ (მარი, 1910). მეგრულში ზოგიერთი მთქმელი **ჭინჭა**-ს **ბადგრე**-საც ეძახის. ლაზური მასალების მიხედვით: **ჭურჭა** ჭუჭუტა კვინჩი იენ. **ჭურჭა** ცანაშენ მჭიფე იენ(ბსკიდა) „ჭინჭრაქა პატარა ჩიტია, ჭინჭრაქა გულწითელაზე უფრო პატარაა“.

ლაზ.: **ჭურჭასიჭა** „პატარა ჩიტის სახელია“. **ჭურჭასიჭა** ჭურჭა ჩიტზე უფრო პატარაა. ის ძირითადად ჩირგვებში ბუდობს; **ჭურჭასიჭა** ჭურჭაშენ მჭიფე, მტვეიში ფეიში კვინჩი იენ „ჭურჭასიჭა ჭინჭრაქაზე პატარა, მტვრის ფერის ჩიტია“.

მეგრ.: **ჭღგრჭღგ||ჭღირჭღუ** „ჩხართვი“ (კილანავა, 1998); ლაზ.: **მაჭაჭღა** **||მაჭაჭღე** „ჩხართვი“ (მარი, 1910). **ჭღგრჭღგ**, **მაჭაჭღა** — ტანად შოშისა ჰგავს, მაგრამ უფრო მომცროა. ის ზაფხულობით მთებშია, ბარში ზამთრობით ჩამოფრინდება. საკვებად ეტანება მსხლის ხეზე წამონაზარდ ბუჩქს — ლიყვს. სწორედ ამიტომაც, სამეგრელოში მთქმელთა უმეტესობა ამ ჩიტს **ლიყვიშ** **ჭღირჭღი**-ს ეძახის (მდრ.: **ჭიჭღი** „ერთგვარი

ფრინველია, „შაშვის გვარისა“ (ქველ).

ლაზი ინფორმატორების თქმით: **მაჭაჭლა** თი ღორღელი კვინჩი ძენ, ლაფლაფს დო ყუაფს (ბსკიდა) „ჩხართვი თავ-დიდი ჩიტია, ლაპარაკობს და ყვირის“.

მეგრ.-ლაზ.: **ჩხვიცი||ჩხვირკი||ჩიქვი||ჩიქი** „ჩხიკვი“ (ყიფში-ძე, 1914; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997; მარი, 1910). მთქმელები განმარტავენ: **ჩიქვით** მარგალური რე დო **ჩხვიცით**, ართ დო იგივე ფრინველი რე „ჩიქვიც მეგრული არის და ჩხიკვიც, ერთი და იგივე ფრინველია“; **ჩხვიციქ** ყონა ხაჩაშში ლაუზტეფე იში-მეს (ბსკიდა) „ჩხიკვმა ყანის თოხნისას სიმინდი იშოვოს“.

მეგრ.-ლაზ.: **წერო** „წერო“ (ჭარაია, 1997). **წერო** გადა-მფრენი ფრინველია, უფრო მეტად ზამთარში იცის. მეგრულ-ლაზურში ტერმინი ქართულიდან ჩანს შემოსული.

მეგრ.: **ყანჩა||ყანჩი** „ყანჩა“ (ჭარაია, 1997). **ყანჩა-ს მე-ჩხომე** („მეთევზე“) ჩიტსაც ეძახიან.

მეგრ.: **სრიალე** „ნამგალა“. **სრიალე ჭღვრჭღვ-ს** მაგვარია, მხოლოდ ზაფხულობით იცის.

მეგრ.: **ღობერიშ ჩიტი** (სიტყვასიტყვით: „ღობის ჩიტი“) ერთგვარი პატარა ჩიტია.

მეგრ.: **ცქვრპაპა||ცქვრპაპი** „წივწივა“ (კილანავა, 1998). **ცქვრპაპა** პატარა, მოუსვენარი ჩიტია. მთქმელებს ამ ჩიტისა და **კვინჩა-ს** ჭიკჭიკი, სტვენა ცუდად აქვთ დაცდილი და ამიტომაც მათი ჭიკჭიკის გაგონებისას იტყვიან: **ჯგირიშ-სიკეთეშია** „კარგის, სიკეთის იყოს (თქვენი ჭიკჭიკიო)“. ზოგიერთი ინფორმატორი **ცქვრპაპა-ს** „მოჭორავე ჩიტი“-ს სახელითაც იცნობს.

მეგრ.: **ბეკასი** „ადგილობრივი ჩიტის სახელია“. არჩევენ გრძელ და მოკლე-ნისკარტიან ბეკასს. ბეკასი ძალზე ხმაურიანი ფრინველია, ტანად პატარა ტანისაა, ზურგი და ფრთა შავი ფერისა აქვს, ბუმბული კი — ალაგ-ალაგ თეთრია. **ბეკასი** ზაფხულობით ჭაობიან ადგილებს ეტანება.

მეგრ.: **წკინტალი||წკინტალე** „წინტალა“. დადასტურებუ-

ლია ასევე ჩიტის სახეობები: **ღვაბურა ჩიტი, ჩხოტუ, უჩა ჩიტი.**

მეგრ.: **ჩერჩელა** „მეთოვლია“. მეთოვლიას ლაზურში **ალი-ონი** ჰქვია.

მეგრ.: **მათირიეფი, ჩაიკა** „თოლია“. ლაზ.: **ზოღაშ კვინჩა, მართვინი** ||**მართინი** „თოლია“. მეგრულში თოლიას სახელი **მათირიეფი** მხოლოდ ხანდაზმული ინფორმატორების მეხსიერებას შემორჩენია. თოლია-ს სახელად დღეს მეგრულში რუსული წარმოშობის **ჩაიკა** გაბატონებულა. ანლოგიური სიტუაციაა ლაზურში. მთქმელებისათვის **ზოღაშ(ი) კვინჩა** („ზღვის ჩიტი“) თითქმის მივიწყებას ეძლევა და მისი ადგილი დაუკავებია თურქულიდან ნასესხებ **მართვინი** ტერმინს. ნ.მარის ლექსიკონში თოლიას კიდევ ერთ სახელს — **ჭინო**-ს ვხვდებით (მარი, 1910).

მეგრ.: **ჰყორი** „მწყერი“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997); ლაზ.: **ოტრიკე, ორტიკი** „მწყერი“ (მარი, 1910).

ჰყორი „მწყერი“ გადამფრენი ფრინველია. ის ძალზე ფრთხილი, მშიშარაა. ღამე ვერ დაფრინავს. სხვა ფრინველები-საგან განსხვავებით, მწყერს წვიმაში ფრთები უსველდება და ძირს ვარდება. მთქმელი განმარტავს: **ჰყორი** დუთმოცენს გლახა ამინდის, ბურღლა აშოლუ. ჰიჰე რე, მარა ქონამი, გემუანი ხორცი ულუ. ფანარით ფჰოფუნთ, ჯოლორ გეიოფურინუანს (ზედმიწევნით: „მწყერი ცვივა ცუდ ამინდში, ბუმბული უსველდება, პატარაა, მაგრამ ქონიანი, გემრიელი ხორცი აქვს. ფანარით ვიჭერთ, ძალლი როდესაც ააფრენს“ (ერგ).

ლაზურში მწყერს **ორტიკი, ოტრიკე** ჰქვია: **ოტრიკე** მტვეიშ რენგი, ნაცრისფერი კვინჩი იენ „მწყერი მტვრის ფერი, ნაცრისფერი ჩიტია“. ლაზურში **ორტიკი, ოტრიკე** ლექსიკური ერთეულების სინონიმად დადასტურებულია ნასესხები **ბულ-დუჯინი** ტერმინი. ეს უკანასკნელი ლაზური ლექსიკის თითქმის ორგანულ ნაწილად არის ქცეული (შდრ.: სულხან საბას ქართული მწყერის თურქულ თარგმანში მიწერილი აქვს **ბლდრ-**

ჩინ, ბილდირჩი, ბლდირჩი): ათმაჯაქ **ბულდუჯინი** ქოუფტუ „მიმინომ მწყერი დაიჭირა“.

მეგრ.: ღარღა „ღალღა“. **ღაზ.: იელგე „ღალღა“.** მეგრელი და ღაზი მთქმელები განმარტებით, **ღალღა** გადაფრენისას წინ უძღვის მწყერს. მონადირეებისათვის ძნელი მისაგნებია მისი საბუღარი: **იელგე** ქუნცხეფეს სქიდუნ დო მთუგისთე თუმა უღუნ. **იელგე** ბულდუჯინისთე იენ, ჰამა კუჩხეფე გინძე უღუნ (ჩიქობავა, 1929) „ღალღა ქარცხებში (ეკლიან ჩირგვებში) რჩება (ბუღობს) და თავგის ფერი ბუმბული აქვს. ღალღა მწყერივითაა, თუმცა ფეხები გრძელი აქვს“.

მეგრ.-ღაზ.: კვარია||ყვარია||ყვარია||კვაოჯი||ყვაოჯი „ყვავი“ (ყიფშიძე, 1914; ჟორღანია, 1970; ჭარაია, 1997; მარი, 1910). **ყვარია** მტაცებელი ფრინველია. მეგრულში ყვავს **კოჭო-ყვარია**-საც ეძახიან (ყიფშიძე, 1914; ჟორღანია, 1970). ი. ყიფშიძე ყვავი-ს განმარტებისას მეგრულში **ღუღ-უჩა** ტერმინსაც ადასტურებს. მთქმელებთან საუბარში ნათელი გახდა, რომ ისინი ფრინველებს ყოფენ კატეგორიებად, რომლებიც ასოცირებულია სიკეთესა და ბოროტებასთან. ბოროტებასთან ასოცირებული ფრინველის სახელს ჩვეულებრივ არ იტყვიან, ტაბუ აქვს დადებული. ერთ-ერთი ასეთი ტაბუირებული ფორმაა **ღუღ-უჩა**: ოკმარეს **ღუღ-უჩაქ** ქინმოჩხიუ დო მუში იმენდი მიღუდას „დიღას თავ-შავმა (ყვავმა) მომაჩხავლა და რისი იმედი მქონდეს“.

ღაზურში ყვავს **კვაოჯი||ყვაოჯი** ჰქვია: ყვა, ყვა, **ყვაოჯი, ყვალი** დო მქკიდი ქომომჩი „ყვა, ყვა, ყვაო, ყველი და მჰადი მომეცი“. **ღაზურში** ძირეული **კვარია||კვაოჯი**-ს პარალელურად დადასტურებულია **კარღა** ტერმინიც. **კარღა** ნასესხები ლექსემაა.

მეგრ.: ობრი||ობი||ორბი „ორბი“ (ყიფშიძე, 1914; ჟორღანია, 1970; ჭარაია, 1997; ელიავა, 1997). **ორბი** მტაცებელი ფრინველია: **ობრიშ** ბუღეშა შურღგემიღს ვემიართე „ორბის ბუღესთან სულღგემული (სულიერი) ვერ მივა“.

მეგრ.: **ნძერა||ძერა** „ძერა“ (ელიავა, 1997); ლაზ.: **მჯაჯი** „ძერა“ (შდრ.: **ჯაჯაი** (გურ) „ძერა, ქორი, მტაცებელი ფრინველი“ (გ. შარაშ.; ა.ლლ.).

მეგრ.: **ჟვაბუ** „ძერა“. მოქმელები **ნძერა** ტერმინის სინონიმად ადასტურებენ **ჟვაბუ** ლექსემასაც (ჩხოროწყუ) (შდრ.: **ჟვაბუ** „ბაყაყი“ (ყიფშიძე, 1914), სამეგრელოში ბაყაყს **ჟვაბუ-გორდო**-საც ეძახიან).

მეგრ.-ლაზ.: **ირაო** „ირაო“ (შდრ.: **ირაო** „დიდ-დიდი ფრინველი“ (საბა): **ირაო** მტაცებელი ფრინველი რე, ჩექმა მაძუდასუნ თეში კუჩხი ბურღლამი აფუ, ბურღლა კაკაოშ ფერიშ მსგავსი რე „**ირაო** მტაცებელი ფრინველია, ფეხი ჩექმის მსგავსად ბუმბულიანი აქვს. ბუმბული კაკაოს ფერის მსგავსია“.

მეგრ.-ლაზ.: **ქირი||ქგრი||ქური||შქირი||შქიი** „ქორი“ (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997): ქირცალო იჯინე „ქორივით იმზირება“. მეგრულში **ქირი**-ს სინონიმად მოქმელები ასახელებენ ტაბურიებულ ლექსემას — „**ჟან-მალუ** (შდრ.: **ჟინ-მალუ** (მეგრ.) „ქორი“ (ყიფშიძე, 1914; ჟორდანია, 1970).

ლაზურში ქორს ჰქვია **შქირი||შქიი||ქური**. ათმაჯაქ კინჩი ჭოუფს, **ქურის** ვა აჭოფენი „მიმინო ჩიტს დაიჭერს, ქორი კი — ვერა“. ლაზურში ასევე დადასტურებულია **ჩაილალი||ჩუი-ლალი** ტერმინი „დაბერებული ქორის“ სახელად. ლექსემა თურქული წარმოშობისაა.

მეგრ.-ლაზ.: **მიმინო** „მიმინო“ (ყიფშიძე, 1914). ლექსემა ზანურში ქართულიდან შემოსული ჩანს: **მიმინოთი** გიოგინაფან დო ოკულე ჭოფუფს კვინჩი „მიმინოთი მიაგნებენ და მერე იჭერენ ჩიტს“.

ლაზები უძველესი დროიდანვე იყვნენ ცნობილი მიმინოთი ნადირობით. ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, ლაზი ბეგების საპატოო და საყვარელი საქმე მიმინოთი ნადირობა და მიმინოს მოვლა-პატრონობა ყოფილა (მარი, 1910). ლაზი მონადირეები მიმინოს თვალის ფერის მიხედვით არჩევენ. მონა-

დირეთა განმარტებით: კაი იჩინენდეს, გუისია საი ფერი ულუნია, ჰეელი ულუნია. თელითელი იენ, უწუმელან უჩათოლონი, საითოლონი, გუპიჯის ზოლეფი ულუ „კარგს იცნობდნენ, გულ-მკერდი ყვითელი ფერის, ჰრელი აქესო. სხვადასხვანაირი არის, იტყვიან შავთვალებას, ყვითელთვალებას, გულ-მკერდზე ზოლები აქეს“.

ლაზურში ტერმინ მიმინო-ს სინონიმად რამდენიმე ლექსიკური ერთეულია დადასტურებული: ლაზ.: **კარაგიოზი** „მიმინო“. **კარაგიოზი** ლაზურში მიმინოსაც ჰქვია და თევზსაც; ლაზ.: **მჭითა კიზილი** „წითელი მიმინო, მიმინოს კარგი ჯიშია“ (ყლენტი, 1939) (შდრ.: თურქ. **kizil** „წითელი“);

დღეს ლაზებისათვის მიმინოს სახელად ბუნებრივია ტერმინი **ათმაჯა**: **ათმაჯაფეთე** ოტრიკე ჰოუფან. ათმაჯას კიკილი მოდრიკა ულუნ „მიმინოთი მწყერს იჭერენ. მიმინოს ნისკარტი მოდრეკილი აქეს“;

ლაზი მთქმელები **ათმაჯა**-ს პარალელურად **სიფთალი**-საც ამბობენ. აღსანიშნავია, რომ **ათმაჯას** სინონიმად ნ.მარი **სიფთერი** ტერმინსაც ადასტურებს, რომელიც **სიფთალი**-ს ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს. ნ.მარის მითითებით, **სიფთერი** ბერძნული ნასესხობაა ლაზურში.

მეგრ.: **არწივი** „არწივი“. ლაზ.: **კართალი** „არწივი“. ლექსემა მეგრულში ქართულის იდენტური ფორმითაა გავრცელებული, ლაზურში კი — ნასესხები სიტყვით.

ლაზ.: **დოღანი** — ქორის მსგავსი დიდი ფრინველია, რომელსაც პატარა ჩიტებზე უყვარს ნადირობა: **დოღანი** დუზისნა გულუნ დიდი კვინჩი იენ (ბსკიდა) „დოღანი ტყეში რომ დიდის, ის დიდი ჩიტია“.

მეგრ.: **შაარდენი**||**შარდენი**||**შარდინი** „შევარდენი“ (ყიფშიძე, 1914; ჰარაია, 1997); ლაზ.: **შევარდენი**, **შაჰინი** „შევარდენი“. ლაზი მთქმელები დღეს **შაჰინი** ტერმინს ადასტურებენ. ლაზურში **შაჰინი**-ს სინონიმად კიდევ ერთ ტერმინს, **ანკე**-ს ვა-

დასტურებთ (მარი, 1910).

მეგრ.: **ყორანი** „ყორანი“: ლაზ.: **ყუი** „ყორანი“: **ყუი** ჰეფ-
თენ უჩა კვინჩი იენ „ყორანი სულ მთლიანად შავი ფერის ჩი-
ტია“. ლაზურში ასევე დადასტურებულია **ყური** ტერმინი, რო-
მელიც შესაძლოა **ყუი**-ს ფონეტიკური ვარიანტი იყოს.

ლაზ.: **ბალბანი** — შევარდნის მსგავსი ფრინველის სახე-
ლია, ის შევარდენზე ცოტათი დიდია, იკვებება როგორც თევ-
ზით, ასევე წვრილ-წვრილი ჩიტებით.

ლაზ.: **კივიწი** „ფრინველია ერთგვარი“. გადმოცემის თა-
ნახმად, **კივიწი** დაწყველილი ჩიტია: **კივიწი** ბედუალი იენ,
ხვალა ნჯასნა დოლოდგინ წკაი აშვენ. უხვენუ ოხორჯას წკაი
მაგოელოვენ დო ღალის შვასინტეეში, **კივიწიქ** წიწილა ქოდო-
ლოტკოჩენ. ოხორჯაქ ბედუნა დოლოდენ: წკაი გაშვეტას დო
მო გაშვასია. ედო, აწი წკაი ხვალა ნჯაეფესნა დოლოდგიტას
ექ აშვენ (ბსკიდა) „კივიწი დაწყველილია, მარტო ხეში ჩამდგა-
რი წყალი შეუძლია დალიოს. ქალს წყალი მოუნდა და წყარო-
ზე რომ უნდა დაელია, კივიწმა გველი ჩააგდო, ქალმა დაწყევ-
ლა: წყალი დაგელიოს და არც დაგელიოს. და ახლა, მარტო
ხეში ჩამდგარი წყალი შეუძლია დალიოს“.

მეგრ.-ლაზ.: **შვილოგოგია**||**შილოგოგია** „შვილოგოგია“.
შილოგოგია ყვითელი და თეთრი ფერის შერეული ბუმბულის
მქონე ჩიტის სახელია.

ლაზი მთქმელები ლაზურში დადასტურებულ ფრინველთა
აღმნიშვნელ კიდევ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს შემდეგნაი-
რად აღგვიწერენ:

კორკუ თავ-ჭრელი ჩიტია; **მჩქირი**||**მჩქი** პატარა, ცისფერი
ფერის ფრინველია; **მსიიდა**||**მსისუ**||**მსიჯა** — შაშვს ჰგავს;
ოლოლი — ეს ჩიტი დღე ცუდად ხედავს და ამიტომაც ღამე
დაფრინავს; **კურკამტუხუ** სხვებისაგან მსხვილი ნისკარტით
გამოირჩევა; **გოლაკვინჩა** მთის ჩიტს ჰქვია; **მშქირი** ნისკარტ-
თეთრი ჩიტის სახელია; **კულიეთი** ყელგრძელი, შავი ჩიტია;

მესმერთული წეროს მსგავსი, გრძელფეხა ფრინველის სახელია. ეს ტერმინი ლაზურში ნასესხებია; **ფაფადანი** თუთიყუშის სახელია: **ფაფადანიქ** კოჩისთეი ღალალაფს (ბსკიდა) „თუთიყუში კაცივით ღალალაკობს“; **იოლკუნი** სწრაფმავალი პატარა ჩიტის სახელია; **კული** რუხი ფერის ჩიტია ბატის ოჯახიდან, მისი ხორცი არ იჭმევა; **თიასპირონი** ჩიტბატონას ჰქვია; **ქივანი-ნა||ქივანეი||მქივანე** პატარა ჩიტია, მას ჩიტი-მკითხავის სახელით იცნობენ; **ჩიჩინა** ჩიტის სახელია (შდრ.: **ჩიჩინაკი** (გურ.); **ვასილი||ვასვილი||ბასილი** შავ-თეთრად აჭრელებულ ჩიტს ჰქვია.

ლაზურში **საკა**-ს ჭაობის ფრინველს ეძახიან; **ლინგოზი** — ერთ-ერთი წყლის ფრინველია, მას გრძელი ფეხები აქვს. ზღვის ფრინველებია **კოლბუნა** და **კაბათალი||კარაბათალი**: **კარაბათალი** უჩა იენ, გინძე ყალი დო კიბირი ულუნ, ზოდას ინჩვირს (ჩიქობავა, 1929) „კარაბათალი — შავია, გრძელი კისერი და ნისკარტი აქვს, ზღვაში ცურავს“.

ლაზურში ნ.მარის მიერ დადასტურებულია ფრინველთა სახეობების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, რომლებიც თანამედროვე მთქმელებში თითქმის მივიწყებას არის მიცემული, ესენია:

წინტანი — პატარა, მწვანე ფერის ჩიტია, კუდს აქანავებს წამდაუწუმ; **სპიწილი** ერთგვარი ჩიტის სახელია; **მქონა** ჩიტს ჰქვია: **ანაჯი** ძალზე პატარა ჩიტია; **კახი** ბელურას სახელია; **კურძული** ნ. მარს მტრედის სახელად აქვს დადასტურებული; ლაზურში **კირიკვეში||კირიკუა** მელეღვიე ჩიტის სახელია. ნ.მარი მთქმელის გადმოცემაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ ამ ჩიტს სახელი მისი ხშიანობის გამო დარქმევი (მარი, 1910).

შესაბამისად, აქვე მოვიტანთ ფრინველთა აღმნიშვნელ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მეგრულს დაუცავს მხოლოდ ლექსიკონებში, თანამედროვე მთქმელებისათვის კი — აღნიშნული ტერმინების სემანტიკა გაბუნდოვანებულია:

ზღირზღუ — ღაჟო, სიმიინდის ჩიტია, მოყვითალო ფერი-
სა; **კობახი** მთის ჩიტია; **რძგომი** — ჩიტია ერთგვარი, აქვს
გრძელი ნისკარტი, ცხოვრობს მდინარის პირას, იჭერს თევზს;
რწომი — წრომი, ჭოტი: **რწომი** ტოლბაში ორდუ დო მაფშა-
ლიეფ მაყარეთ „წრომი თამადა იყო და ბულბულეები — მაყ-
რად“ (შდრ.: ქართ. წომი, წრომი); **მალურია** — პატარა ჩიტია
ერთგვარი: **მალურიას** ღუცალო უჩქუ ღუღინი „მალურიაშ ღა-
მურასაგით იცის ღუღუნი“.

ბარდღალია — „ბოლოკარკაზას“ ანუ „უფეხურას“ სახე-
ლია, **ჭერჭიბიე** — „ბოლოცეცხლასი“; **ჭურჭულია**, **ყვანაშ ჩი-
ტი** ჰქვია „გრატა“-ს; **ბირცხა**, **მაქიქალა**||**მაქიქელე**-ს ეძახიან
„თოხიტარა ჩიტს“, **დიდქერიო** კი — „კაკაჩაა“; **კვარკვან-
ტია**||**ქვარქვალა** ||**ქვარჭვალა** ჰქვია „კოკონა, მურტალა“
ჩიტს; **ჭითაჩიტი** — „კოჭობას“; **ნაძვიშ კვინჩა** — „მესკიას“;
წალამიშ ჩიტი „მეჩალიას“ სახელია, **სვაფი**||**სავი** — „სვაფის“.
„ალპური ჰკა“ **ჭკუტკვარია**-ს სახელით არის ცნობილი, „მთის
ჭილყვავი“ კი — **ჭვეკვარია**-თი; **სისონდია**-ს „ყარანას“ ეძახიან;
ჭიჭე კვინჩა კი — „ჩიტბატონაა“; მეგრულში **კიონტია** ჰქვია
„წიწკანას“, **ზანთია** — „ჭაობის ქათამურას“ (ყორდანია,
1970).

§2. ფრინველთა ანატომია-გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში

2.1. ფრინველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა

საინტერესო მასალას იძლევა მეგრულ-ლაზურში ფრინვე-
ლის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა. ზოგიერთი
ტერმინი, როგორც მოსალოდნელია, ემთხვევა ადამიანის ანა-
ტომია-ფიზიოლოგიის აღმნიშვნელ ძირითად ლექსიკურ ერთე-

ულეხს. ვლინდება განსხვავებული მასალაც, რაც უპირველესად განპირობებულია შესაბამისი ანატომიური სხვაობით.

მეგრულში ფრინველის თავი აღინიშნება **დუდი** სიტყვით (შდრ.: **დუდი** (იმერ.; გურ.; ზ.აჭარ.; ფერეიდნ.) „1. ქათმის ბიბილო“ (ე.ნინ.; თ.კიკვი.; ს.ჟღ.); 2. „თხემი თავისა“ (შ. ნიჟ.); ლაზურშიც არის დადასტურებული **დუდი** ლექსემა, თუმცა მას ხშირად ენაცვლება **თი** ერთეული. ლაზურში, როგორც ჩანს, მომხდარა **დუდი** და **თი** ერთეულების დიფერენციაცია. **დუდი** ტერმინით აღინიშნება „თავის ნაწილი, თხემი, კეფა“, ხოლო **თი** ერთეულით — „თავი“: კოჩიში თის-თი დუდი ავენ, -თიში დუდი. თის „დუდი“ ვუწოდებთ „კაცის თავსაც თხემი აქვს, — თავის თხემი, „კინკრიხო“, თავს „დუდის“ ვეტყვით“ (ჩიქობავა, 1938). მეგრულმა ეტყობა შეინარჩუნა **დუდი** ერთეულის თავდაპირველი მნიშვნელობა და ნიშნავს მთლიანად თავს.

ფრინველის თავის ქალის ძვალს მეგრულში **დუდიშ ხოპოს** ეძახიან (შდრ.: **ნახაპურიხ** (გურ.) „თავის ქალა“ (გ.შარ.); **ხოპე** (ლექხ.) „ხილის საკრეფი გრძელტარიანი ჭურჭელი აყიროსი“ (ქეგლ). ლაზურში ფრინველის თავის ქალის ძვალს **კაფა** ჰქვია (შდრ.: **კეფა** „ადამიანის თავის უკანა ნაწილი; ხმელი ხის ქერქი“ (საბა; ქეგლ).

ფრინველის ბიბილოს **თიკი** ჰქვია (ყიფშიძე, 1914; ელიავა, 1997; ქაჯაია, 2002): ცვარილებს **თიკი** დადულიშა უგუნა, კუდელი — მუმულიშა „ყვერულებს ბიბილო დედალს მიუგავთ, კული-მამალს“ (ქაჯაია, 2002). თიკი უფრო მეტად განვითარებული აქვს მამალ ფრინველს. **თიკი** შეიძლება სხვადასხვა ფორმისა იყოს (შდრ.: **თიკი** (იმერ.; გურ.; რაჭ.) „თვერი, ქათმის ბიბილო“ (ვ.ბერ.); ლაზურში ბიბილოს **ფამფაი||ფამფარი||ფანფარი** ჰქვია; **ფამფაი** მამულის დიდი ულუნ „ბიბილო მამალს დიდი აქვს“. ქოთუმეს თის უინ კაუხა ულუნ „ქათამს თავზე ბიბილო აქვს“.

თავის ქალის ღრუში მოთავსებულია **ტვინი**: ქოთომიშ **ტვინი** მუქ გიჟოროფუ „ქათმის ტვინი რამ შეგაყვარა.“ ლაზურში ტვინს **ქუნი** ჰქვია.

ფრინველის თვალის აღმნიშვნელი ლექსემა ზანურში **თოლი** ტერმინითაა წარმოდგენილი.

მეგრულში **ნინძგი** ფრინველის ნისკარტია, დადასტურებულია შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **ნინძგი** || **ნინძგი** || **ნეძგე** || **ნენძგე** || **ნიძგი** (ყიფშიძე, 1914); მუშ მაგინძა **ნინძგი** უღუ ათე ქოთომს „რამხელა ნისკარტი აქვს ამ ქათამს“ გ.ელიავას მარტვილურში **ნინძგი**-ს პარალელურად მოყავს **ნიქითი** ფორმა. **ნინძგი**||**ნიქითი**-ს სინონიმურობას ი.ყიფშიძის ლექსიკონშიც ვადასტურებთ.

ლაზურში ნისკარტს **კიბირი**||**კიბრი**||**კირბი**||**კიბი**, **კიკილი**-ს ეძახიან: ქოთუმეს, ბიბის, მამულის, კაზის, კვინჩეფეს-**კიბი** უღუნ „ქათამს, იხვს, მამალს, ბატს, ჩიტებს-ნისკარტი აქვს.“

მეგრულში **კისერი** („კისერი“) ქართულიდან ყოველგვარი ცვლილების გარეშე შემოსულა. ლაზურში კი — კისერს **ყალი**||**ცალი**||**ალი** ჰქვია, ასევე დადასტურებულია **ყიყინტონი**-ც.

პ. ჭარაიას განმარტებით, მეგრულში **ჩიყვაგი** ჰქვია „ჩინჩახვს, ფრინველის კუჭს“ (მდრ.: **ჩინჩახვი**, **ჩიჩახვი** (აჭარ.; იმერ.; გურ.) „ფრინველთა საჭმლის ბუშტი“ (ს.ჟლ.); „ქათმის ბუშტი, საყლაპავი“ (ალ. ღლ.). ლაზურში „ჩიჩახვი“ **ხვანჩი** ტერმინითაა გადმოცემული: ქოთუმეს დაჰა **ხვანჩი** უღუნ „ქათამს აქვს ჩიჩახვი“.

მეგრულში მკერდს **კიღირი**||**კვღერი** ჰქვია. მთქმელთა ერთი ნაწილი ქათმის **კიღირს** („მკერდს“) **გუგუბა**||**გუგუფა**-ს ეძახის: **გუგუბა**შ ხორცი გემუანი რენია დო თინა ქოფჩია. **გუგუბა** კიღირი რე „მკერდის ხორცი გემრიელია და ის მაჭამეო. „გუგუბა“ მკერდია“ (ჩხორ.).

ფრინველის მკერდს ლაზურში **გუბიჯი**-ს ეძახიან. მთქმელები **გუბიჯის** პარალელურად ადასტურებენ **გიობღე** ტერ-

მინსკ, „მკერდის“ მნიშვნელობით გამოიყენება **გონქსი** ლექსე-
მაც (ასათიანი, 1974).

ფრინველის მკერდის ძვალი **გოდლო-ა**. მეგრულში **გოდლო||
გოდლოძლო** არის „ფრინველის მკერდი, გულისპირი“ (ჭყონ.);
„ქათმის ხერხემლის ძვალი“ (ფიფია, 1999); „ფერდი ქათმისა“
(კილანავა, 1998); „საწიწკარა, ფრინველის ძვალი მკერდის
მიმყოლი წვრილი ნეკნებით“; სინდისიერი მართული მუშო
გოდლოძლოს დიტენცია „სინდისიერი გამყოფი თავისთვის
„გოდლოძლოს“ (ქათმის ზურგისა და მკერდის ძვალი მომყოლი
წვრილი ნეკნებით) დაიტოვებსო“ (ქაჯაია, 2001). პ. ჭარაიას
ლექსიკონში **გოდლო-ს** მნიშვნელობით დადასტურებულია **ძონ-
ძლი, ძლონძლი, გულონძლი** ფორმები (შდრ.: **გუ-
ძუნძლო**(გურ.) „ფრინველის ზურგი ფრთებსა და კურტუმოს
შუა. ხერხემლის ეს ნაწილი ნეკნებიანია“ (გ.შარ.); „ფრინვე-
ლის მკერდი“ (ჭყ.); **გოდორძლო** (აჭარ.) „გულმკერდისა და
მუცლის არე ნეკნებს შორის მოთავსებული“; **ბუძუნძლო||ფუ-
ცუნცხო** (იმერ.; ქართლ.) „ნეკნები ქათმისა, ფრინველის ხორ-
ცგაცილილი ან მცირე ხორციანი ძვლები; ნესვის ან კიტრის
გული, რომელშიც ახვევია თესლი“ (ბ. წერ.; კირიონი).

გულ-მკერდის ძვალის აღსანიშნავად **აფხა-საც** ხმარობენ,
რომელსაც ძველად სამეგრელოში სამარჩიელოდ იყენებდნენ
(შდრ.: აფხ. **აბლა** „ზურგი“, შეიძლება **აბხა||აფხა** იგივე იყოს,
რაც აფხ. **აბლა** (ბუკია, 1999).

„ზურგი“ მეგრულში **ოჭიში** ერთეულითაა გამოხატული.
ფრინველის ზურგის აღმნიშვნელ ტერმინად ასევე გამოყენებუ-
ლია **პუნუ** ტერმინი. **პუნუ** „ზურგი კურტუმოსკენ, კუზი“; **ქო-
თომიშ პუნუ** „ქათმის ზურგი“ (ელიავა, 1997).

ზანურში ფრინველის „ბოლოს, კუდს“ **კუდელო** ჰქვია.
ლაზურში **კუდელო** ლექსემა თურქულიდან ნასესხები **კულოქქ**
და **კულოქქსოხუმი** ტერმინებითაც არის დადასტურებული.

კურტუმელი „ფრინველის კურტუმს“ აღნიშნავს: ქოთო-
მიშ **კურტუმელიშ** მაგეჟუანა მუთუნი ვარენია „ქათმის კურ-
ტუმზე გემრიელი არაფერი არისო“. ფრინველის სხეულის ამ
ნაწილს — **კურტუმს** — ლაზურში **კურტუმი**, **კურტუმენი**
ჰქვია. ნ.მართან ამავე მნიშვნელობით დადასტურებულია **კუ-
კურაზი**, **კონკურაზი**, **კონკორაზი** ფორმები (შდრ.: კუკუზო
(იმერ.), კურტუმა).

კუდს ზემოთ, კურტუმელთან, ჭირკვლებია განლაგებული,
რომელშიაც სპეციფიკური ქონია მოთავსებული. ამ ჭირკვლები-
დან გამონადენი ქონით ფრინველი დილაობით ნისკარტით პო-
ხავს ბუმბულს. მეგრულში კუდუსუნის ჭირკვლიდან გამონადენ
ქონს (ცხიმს) **ცვშიციშუ** ჰქვია, ხოლო ფრინველის შიგნეულო-
ბის ცხიმს **პაზანა**-ს ეძახიან (შდრ.: **პოზნამა** „ჩობალი“ (საბა).
ლაზურში ფრინველის „ცხიმს“ **იაღლიი|იაღ(ლ)|ი|იაღი** ჰქვია.

მეგრულ-ლაზურში ფრინველის სიარულისა და ფრენის
ორგანოების აღმნიშვნელი შემდეგი ლექსიკური ერთეულებია
დადასტურებული: **სუა||ფსუა||ფსვა||მსუა** „ფრთა“; **კუჩხი||კუ-
ჩხე** „ფეხი“. ფრინველების სქესს ფეხებითაც არჩევენ: ფრინვე-
ლი, რომელიც დაბალ ფეხზე დგას, დედალია; თუ მაღალ ფეხ-
ზე დგას — მამალი: ოფუთხუნეში ქოთუმეს **მსვაღეფე** ულუნ.
დადული ჭიტა იენ, მამული დიდი **მსვა** დო გინძე **კუჩხე**
ულუნ „ქათამს საფრენად ფრთები აქვს. დედალი პატარაა, მა-
მალს დიდი ფრთა და გრძელი ფეხი აქვს“.

ფრინველის ფეხზე რქოვან წანაზარდს მეგრულში **ბირ-
ცხა||ბიცხა**-ს („ფრჩხილი“) ეძახიან; ასევე იტყვიან **ჭღვალიკი**,
ჭვალიკი-ს („ბრჭყალი“); ლაზურში მას **ჭანგი** ჰქვია; ინდურს
მანგარ **ჭღვალიკი** ულუ „ინდაურს მაგარი კლანჭი აქვს“; ქო-
თუმეში, მამულიში, კვინჩის კუჩხეს **ჭანგი** იყვენ „ქათმის, მამ-
ლის, ჩიტის ფეხს კლანჭი აქვს“ (შდრ.: **ჭვანგი**, **ჭვანკი** (გურ.)
„კატის, ძაღლის, ფრინველის კლანჭი“ (ალ. ლლ.)

მამალ ფრინველს, დედლისაგან განსხვავებით, წვივის შიგ-

ნითა მხარეს, გარკვეულ სიმაღლეზე, მოთავსებული აქვს დეზე-
ბი, რომელსაც მეგრულში ქა-ს ეძახიან. მეგრულ ტექსტებში
დეზების მნიშვნელობით დადასტურებულია **მუნხამუზი** ლექსე-
მაც: მუმულს უღუ ოქროშ ფერი **მუნხამუზი** „მამალს აქვს ოქ-
როს ფერი დეზები“ (სამუშია, 1990); ქა-ს სინონიმად მე-
გრულში გამოიყენება **ქარცხი**. ლაზურში კი, ფრინველის დეზს
კაჩა-ს ეძახიან: მამულის კუჩხეს ელაჩანს **კაჩა** „მამალს ფეხზე
დეზები აქვს.“

მეგრულში ფრინველის ფეხს, თეძოს სახსრიდან მუხლის
თავამდე, **ბარკალს**||**ბორკს** ეძახიან (ყიფშიძე). **ბარკალ**-ის მნიშ-
ვნელობითვე გვაქვს მეგრულში შემდეგი ერთეულები: **კვინჭი-**
ხე||**კვინჭხე**||**კვინჭხე** (ყიფშიძე, 1914); **ჩირქე** „ფეხი“.

ლაზურში ბარკალს ჰქვია **ტუტული** და **ბუთი**. მთქმელე-
ბი არჩევენ **ჟინი ბუთი** („ზედა ბარკალი“) და **თუდენი ბუთი-**
ს („ქვედა ბარკალი“).

ფრინველის ლავიწის აღმნიშვნელი სახელი მეგრულში
შემდეგი ვარიანტებით არის ცნობილი: **ლაბერჯი**||**ლაბერწი**||
ლაბირწი||**ლაბიწი**|| **ლაბიწი** ||**ლაბიწიკე** (ყიფშიძე, 1914; ჭარა-
ია, 1997; ელიავა, 1997; ფიფია, 1999). ო. ჭაჭაია მეგრულში
ამავე მნიშვნელობით ადასტურებს **კიკიბე** ტერმინსაც: **კიკიბე**,
„ლავიწი, მხარი, ფრინველის მკერდის ორკაპი ძვალი (შდრ.:
კიპკიპა (იმერ.) „ლავიწი საზოგადოდ და არა მარტო ქათმის“
(ვ. ბერ.; აღ. დლ.) (ჭაჭაია, 2002).

ლაზურში ფრინველის სხეულის ნაწილების აღსანიშნავად
დადასტურებული გვაქვს **კაბუღა**, **ჭინიქი**, **ჭოჭი**, **ტკენჩეფე**
ლექსიკური ერთეულები. მთქმელთა განმარტებით: თელი მუში
ონდი, ბარკალიშა მეხთიმაფაშა უღუნ, ჯოხოს **ჭოჭი**, **ჭოჭიშ**
კულე **ბარკალი** ენ, ბარკალიშ კულე **გურბიჭი** მულუნ. იშა
ტკენჩეფე ჯოხონ, ემუს ეკულე **კაბუღაში** ხერხემალი ჯოხონ.
კაბუღა კურტუმოში მომყოლი არის „მთელ ნაწილს ბარკლა-
მდე ჰქვია **ჭოჭი**, **ჭოჭის** მერე არის ბარკალი, ბარკალის მერეა

მკერდი, მანამდე ტკენჩე ჰქვია. მერე კი ზურგის ხერხემალი. კაბულა კურტუმოს მომყოლი არის“. ლაზურში კაბულა და ჯინჯი ფრინველის „ზურგს“ ჰქვია.

მეგრულში ძვალი ტერმინი ქართულიდან ჩანს შესული. „ძვალი“ ლაზურში არის ცვილი|ცილი|ილი (შდრ.: ყვლივი „მხრის ძვალი“ (საბა)).

ლაზურისაგან განსხვავებით, ფრინველის ძვალთან დაკავშირებით მეგრულში არაერთი ტერმინოლოგიური შესიტყვება გვხვდება, რომლებიც მართულმსაზღვრელიანი სინტაგმითაა წარმოდგენილი: კისერიშ ძვალი („კისრის ძვალი“), კიდირიშ ძვალი („მკერდის ძვალი“), ოჭიშიშ ძვალი („ზურგის ძვალი“), გოდლოშ ძვალი („საწიწკარას ძვალი“), ფსუაშ ძვალი („ფრთის ძვალი“), პუხუშ ძვალი („ზურგის ძვალი“), კურტუმელიშ ძვალი („კურტუმის (კუდუსუნის) ძვალი“), ჩირქეშ ძვალი („ბარკალი“), აფხაშ ძვალი („ბეჭის ძვალი“), კვინჭიხეშ ძვალი („ბარკალი“).

ლაზურში ფრინველის ძვლის აღსანიშნავად დადასტურებულია მხოლოდ კაბულაში ყვილეფე („ზურგის ძვლები“) ტერმინი.

მეგრულში ფრინველის „უძვლო, უქონო, რბილ ხორცს“ ძელი, ძელხორცი ჰქვია. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში ძელხორც-ს ხშირად ენაცვლება ტერმინოლოგიური შესიტყვება ჩე ხორცი, იმავე მნიშვნელობით: ნამთინეს ვაცუორს ქოთომიშ ძელ ხორცი. კიდირიშ ხორცი იე ჩე ხორცი „ზოგიერთს არ უყვარს ქათმის რბილი, თეთრი ხორცი. მკერდის ხორცი იქნება თეთრი ხორცი (ჩხორ). „რბილ ხორცს“ ლაზურშიც ძელი ჰქვია.

ზანურში ფრინველის კანის საფარველს ბურდლა|| ბუნდლა-ს ეძახიან. (შდრ.: ბურდლა (გურ.; აჭარ.) „ფრინველის ბუმბული“ (ს. ყდ.; შ. ნიჟ.). ქართული ენის დიალექტებისაგან განსხვავებით, მეგრულსა და ლაზურში მთქმელები არ ასხვავე-

ბენ ფრინველის „წვრილ“ და „მსხვილ“ ბუმბულს.

ფრინველის გაბრღენისას კანში ჩარჩენილ ძირებს მეგრულში **ძლილი**, ლაზურში კი — **კვირტი** ჰქვია: საერთოდ უჩა ქოთუმეს უჩქუ ბრელი **ძლილი** „საერთოდ შავმა ქათამმა იცის ბევრი ტიღვი“ (შდრ.: კვირტი (იმერ.) „ქათამის ბუმბულის ძირი“ (ბ. წერ.); უჩა ქოთუმე ვაყოფვან, ემუს კვირტი უღუნ „შავი ქათამი არ ჰყავთ, არ უნდათ, მას „კვირტი“ აქვს (შდრ.: კვირტი (იმერ.) „ქათამი კარგადაა გასაკვირტი“ (ქიზ.; თუშ.), „მუწუყის ძირი“ (ს. მენტ.).

ფრინველის შინაგანი ორგანოებია **გური** || **გუი** („გული“), **ჭკაჭკა** („ნაწლავი“), **ჭაჭა** („თირკმელი“), **ფირტივი**||**ფიტოტული**||**ფურფუ** („ფილტვი“). ლაზურში დღეს **ფურფუ**-ს მნიშვნელობით დადასტურებულია **ჭიგერი**||**ჭიგეი** ტერმინიც. მთქმელები **ჭიგეი**-ს ყოფენ **ხჩე** **ჭიგეი** („თეთრი ჭიგარი“) და **უჩა** **ჭიგეი**-დ („შავი ჭიგარი“). **ხჩე** **ჭიგეი**-ს ფილტვს ეძახიან, ხოლო **უჩა** **ჭიგეი**-ს — ღვიძლს. მეგრულში ღვიძლს **ჩხონჩხი**||**ჩონჩხი** ჰქვია.

მეგრულში **ნოღმელი** „ნაღველს“ ჰქვია. ეს ტერმინი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტითაა გავრცელებული: **ნაღმელი**, **ნოღმელი**, **ნოღველი**; ლაზურში „**ნაღველი**“ **აღაო**, **აღო**-ს სახელითაა ცნობილი: უჩა ჭიგეიწკმა უღუ დო სოთინ მუთუნის ვაგაბაქია, კოლო რენია, ინა უწუმელან აღო „ღვიძლთან რომ აქვს და არსად არაფერს უნდა გაესხას, მწარე არის, იმას ეტყვიან ნაღველს“ (სარფი).

ფრინველის კუჭს მეგრულში **ჭიკორკული**||**ჭკორკული**||**ჭიკოკული**||**ჭკოკული**, ხოლო ლაზურში — **კუჭი** ჰქვია.

ფრინველის შიგნეულობას **კუჭმაჭი**, **ხაბაკი**||**ხაბალაკი** ჰქვია. მეგრულში კუჭმაჭში შედის **გური**, **ფილტვი**, **ჭიკორკული** და **ჩხონჩხი**. ამავე დროს, დადასტურებულ ტერმინს — **კუჭმაჭი** — მეგრულში ეძახიან ცხოველის შიგნეულობისაგან დამზადებულ შეკაზმულ კერძს (შდრ.: **კუჭმაჭი** (იმერ.;

ქართლ.; კახ.) „ქათმის შიგნეულობა“ (გ.ბერ.); **ხაბალაკი** ჰქვია ფრინველის კუჭმაჭსა და თავ-ფეხს ერთად: ქოთომიშ ცვილუა დო ხაბალაკიშ ხაშუაქ ართიქ იცუ „ქათმის დაკვლა და შიგნეულობის მოხარშვა ერთი იქნა“.

ფრინველის შიგნეულობას ლაზურში **სკემბე||შემბე** ჰქვია. ნ. მარი ამავე მნიშვნელობით უთითებს **ხვარდავართი||ხვირდავართი** ფორმას (მარი, 1910). მთქმელები **ხურდავართი** ვარიანტსაც ასახელებენ.

ლაზურში „გულ-ღვიძლის“ მნიშვნელობით არის დადასტურებული **გუჯაბალი** ტერმინი: ბუნდლოლანთ, ოკოპკიაპთ, გუჯაბალი გამოვილუ „გავბრდღვნით, დავჭრით, გულ-ღვიძლს გამოვიტანთ“.

მეგრულში დაკლული ფრინველის გაბრდღვნას, გაპუტვას **პუტორუა** ჰქვია. გაპუტულ ქათამს ცხელ წყალში ამოავლებენ, რასაც **გოდგინუა**-ს ეძახიან. **გოდგინელ** ფრინველს გატრუსავენ. გატრუსვა მეგრულში **მანუა** არის. ფრინველის გამოშიგვნას **ხარუა**, ხოლო გასუფთავებული, დარეცხილი ფრინველის აქნას **ნწყუმა** ჰქვია.

ლაზურში ფრინველის გაბრდღვნაზე იტყვიან **ბუნდლოლაფთ**, აქნაზე კი — **დოპკიითი**. მთქმელის განმარტებით: არ ქოთუმეშე 26 ფარსა ოკო გამახთას „ერთი ქათმიდან 26 ნაჭერი (ნაწილი) უნდა გამოვიდეს.“

2.2. შინაური ფრინველის გარეგნული იერის აღმნიშვნელი სახელები

ზანურში შინაურ ფრინველს, მაგ. ქათამს, გარეგნული ნიშნის მიხედვითაც ერქმევა სახელი. აღსანიშნავია, რომ შინაური ფრინველის სხეულის ცალკეული ნაწილებისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანი ენობრივად სხვადასხვანაირად რეალიზდება. მაგალითად:

დიდი ჯიშის ქათამი მეგრულში **ქვერსემი** ტერმინითაა გადმოცემული, უმეტესწილად მამალ ქათამზე იტყვიან; მსუქანი ქათამი ზოგადად გამოხატულია მიმღობით: **გვანილი ქოთომი** („მსუქანი ქათამი“). მარტვილურში დიდსა და მსუქან ქათამზე იტყვიან **ღოღო-ს** (დიდი რდ, **ღოღო** „დიდი იყო, ღოღო“); **ჩაკატურა**, **ჩოკორო-ს** (ცხადაია, 1987, 464).

დაჩიავებულ, გაძვალტყავებულ, მჭლე ქათამს **ჭკოლა-ს** ეძახიან: **ჭკოლა** ქოთომში ხორცი მუთუნშო ვერგუ „მჭლე ქათმის ხორცი არაფრად ვარგა“; **სუსტ**, **გამხდარ**, **მაგრამ ცოცხალ**, მოძრავ ქათამზე იტყვიან **ჭვირკა**, **ჭვარკალა** არისო. ხოლო **ანუსია** მარტვილურში ჰქვია იმდენად სუსტ ქათამს, რომ მისი კვერცხიც არ ვარგა. ლაზურში მჭლე ქათამს **ხრაკა-ს** ეძახიან.

თიკალი მეგრულში აგრესიული მამლის სახელია (**თიკალი-ს** აგან არის ნაწარმოები **ოთიკინანს** ფორმა (**მუშულცალო** **ოთიკინანსია** გადატანითი მნიშვნელობით ადამიანზე (კაცზე) იტყვიან, რომელიც ზედმეტად ამპარტავანი, თამამი და ჩხუბისთავია).

მეგრულში მაღალ ფეხებზე მდგომ ქათამს **ჩედერია**, **ჩეკერია**, **ჩირღალი**, **ჩიღალი-ს** ეძახიან, ხოლო ლაზურში — **კუჩხეგინძე ქოთუმე-ს**. ლაზურში პატარა, ჩია ტანის ქათმის აღმნიშვნელად დადასტურებული გვაქვს **კუჩხემწყუი** ტერმინი: **კუჩხემწყუი** ჯონონს ქოთუმეს, ნამუსთხაენ მჭიფე-მჭიფე კუჩხეფე ულუნ დო მუქთი მჭიტაენ (სარფი) „კუჩხემწყუი ჰქვია ქათამს, რომელსაც პატარა ფეხები აქვს და თვითონაც (ტანად) პატარაა“.

მეგრულში, ქათამს, რომელსაც **ბურღლა** („ბუმბული“) ყოველთვის აშლილი აქვს, **ბუძგა**||**ბურძგა-ს** ეძახიან, ხოლო ხშირბუმბულიან ქათამს **ბურღლა**, **ბურღლამი** ჰქვია. ლაზურში ბუმბულაბურძგნული ქათმის სახელია **ბუძგი**, **ბუძგინელი**, **ბუძგინეი**: თელი ტანზე ულუ თომა **ბუძგინეი** „მთელ ტანზე აქვს ბუნღლა (ბუმბული, თმა) აბურძგნული“.

ზოგიერთ ქათამს ფეხზე ბურღლა აქვს, ამიტომაც მისთვის **კუნხბურღლა, კურჩხბურღლამი** („ფეხბუმბულიანი“) შეურქმევიათ (შდრ.: **ფეხბურღლა** (გურ.). მეგრულში „ფეხბუმბულიანის“ მნიშვნელობით ასევე დადასტურებულია **ჩექმა, ჩექმამი** („ფეხზე ჩექმის მსგავსად ბუმბულის მქონე“) და **შარვალა, შარვალამი** („ფეხზე შარვლის მსგავსად ბუმბულით შემოსილი“) ტერმინები. ე.ი. მეგრულში **კუნხბურღლა||კუნხბურღლამი, ჩექმა||ჩექმამი** და **შარვალა||შარვალამი** ლექსიკური ერთეულები სემანტიკით იდენტურია, ანუ აღნიშნული ტერმინები „ფეხბუმბულიანი“ ქათმის სახელია. ლაზურში ფეხბუმბულიან, ფეხქორიან ქათამს **კურჩხექორორა, კურჩხექაჩაჩიანი** ჰქვია. მთქმელები ამავე მნიშვნელობით ადასტურებენ **საპოხონი** ტერმინსაც: **საპოხონი** ქოთუმეს კურჩხე თუდეშახ თომა აყვენ „საპოხონ ქათამს ფეხი ბოლომდე თმით აქვს დაფარული“.

მეგრულში **ქორორა, ქორორია, ქორორა** ჰქვია ქათამს, რომელსაც თავზე ბლომად, ქუდის მსგავსად აქვს ბუმბული. თავქორიან ქათამს **ოფოფია** და **ქუდამი**-საც ეძახიან: **ქორორამი** ქოთომს ოყვილარო ვამუოსქიდუქუ „ქორიან ქათამს დასაკლავად ვერ გავიმეტებ“. ლაზურში თავქორიანი ქათმის სახელად რამდენიმე ლექსიკური ერთეულია დადასტურებული: **ქორორა, თიკურკულა, თიკაუხა, თიქუდონი, ქუქუდალი, ქუქუდა**: თიკაუხა ვუწუმეთ თის-ნა ქორორი უღუტას ქოთუმეს „თიკაუხას ეძახით, თავზე ქორორი რომ აქვს იმ ქათამს“.

ქათამს, რომელსაც თავ-კისერზე ბუმბული არა აქვს, მეგრულში **კიტა||კიტაია** ჰქვია, ლაზურში კი — **კიტაი||თიტეტელი, ცალიტეტელი, ცალიუთომელი**: კიტაი უწუმელან ცალიუთომელი ქოთუმეს „კიტაის ეტყვიან ყელშიშველ ქათამს“; ცალიტეტელს ცალის ნა ბურღლა ვა უღუნ „ყელტიტველს კისერზე ბუმბული არა აქვს“ (შდრ.: **კისერტიტველა** (გურ.) „კისერზე ბუმბულგაცლილი ქათამი“).

მეგრულში **ცუჯა** („ყურა ქათამი“) ჰქვია ქათამს, რომელსაც ყურები დაფარული აქვს ბუმბულით (მდრ.: ქართ. ყუჯა).

ზოგიერთი ქათამი სხვებისაგან გამოირჩევა ყურის ძირებში წითელი წანაზარდებით. ასეთი წანაზარდების მქონე ქათამს **ფიღვა**, **ფიღვაია**, **ფიღვიე**-ს ეძახიან (**ფიღვა**, **ფიღვაია** მეგრულში ერთგვარი ავადმყოფობის სახელია. **ფიღვა**, **ფიღვაია** ანუ „ყბაყურა“).

ლაზურში ყელგამობერილ ქათამს **ცალიბარელი**-ს ეძახიან, ხოლო **ღვაბუჯა**, **ღაბუჯა** — „ლოყებგამობერილი ქათმის“ სახელია: **ღვაბუჯა** ვუწუმეთ ღვაეფენა ელაბაელი ულუნ ქოთომს „ღვაბუჯას ვეტყვით ლოყებამობერილ ქათამს“.

მამალ ქათამს შეიძლება ჰქონდეს წვერები, ასეთ ქათამზე მეგრულში იტყვიან **ფიმულამი**, **ფრიმულამი**, **ფილაცამი** არისო. მამალ ქათამს ლაზურში **თინერხონი**-ს ეძახიან, თუ მას თავზე ხერხის მაგვარი ბიბილო აქვს განვითარებული.

მეგრულში ქათამს სახელი **კუდელი**-ს („კუდის, ბოლოს“) მიხედვითაც ჰქვია. **უკუდელე** ქათამს ეძახიან, საერთოდ, ბოლოს, კუდის არმქონე ქათამს, **კუდელამი**, **სქვამი კუდელამი ქოთომიო** იტყვიან ლამაზი კუდის მქონე ქათამზე, ხოლო გრძელი კუდის მქონეს **გინძე კუდელამ**-ს („გრძელ კუდიანი“) ეძახიან.

ღაბაბიან ქათამს **ღაბუა**, **ღაბაბამი** ჰქვია.

2.3. ფრინველთა შეფერილობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა ფერის აღმნიშვნელი ტერმინების კვლევას. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ენაში ფერთა ლექსიკური წარმოდგენა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას: „ფერთა სახელების აღნიშვნა გარკვეული პრაქტიკული საჭიროების გამოძახილია

და არა მხოლოდ თვალის მიერ მისი გარჩევისა და ამოცნობის შედეგი. სამყაროს ფერთა აღქმა ნიშნავს გარე-სამყაროდან მივიღოთ აურაცხელი ინფორმაცია, რომელსაც არა მარტო ესთეტიკური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს“ (ჩიქოვანი, 1992).

ძველი ლიტერატურული ძეგლების, ისტორიული წყაროებისა თუ ჩვენს მიერ ველზე მოძიებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ფერებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა და სხვა საგანთა აღმნიშვნელი სახელები.

ენობრივმა ცნობიერებამ სამყაროში არსებული ფერები ასახა შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით. ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ტერმინოლოგიური სტატუსის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ფერების დაჯგუფება პირობითია, მათ შორის არ არის მკვეთრი ზღვარი და, თანაც, არსებობს უამრავი გარდამავალი ფერი, ამიტომაც ხშირად ჭირს ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის შეტანა რომელიმე ჯგუფში.

მეგრულ-ლაზურში ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ფრინველთა სახელების უმეტესი ნაწილი მოტივირებულია. სახელდების მოტივაციის თვალსაზრისით გამოიყოფა ფრინველთა სახელების შემდეგი ჯგუფები: ფიზიკური გარეგნობის, ბუმბულის, ნისკარტისა და ფერის მიხედვით შერქმეული სახელები. მათ შორის შეფერილობა სახელდებისას ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს. ფრინველთა შეფერილობის აღმნიშვნელი ტერმინების გადმოსაცემად ენა ზედსართავ სახელს იყენებს.

ენობრივი კოლექტივი შინაურ ფრინველებს ერთმანეთისგან შეფერილობითა და გარეგნული ნიშნით განასხვავებს.

მეგრულში შინაური ფრინველის ფერთა აღსანიშნავად დადასტურებულია: **ჩე** („თეთრი“), **მორჩე** („მოთეთრო“), **უჩა** („შავი“), **მოუჩე** („მოშავო“), **ჭითა** („წითელი“), **მოჭითე** („მო-

წითალო“), **რუმე** („ბნელი“), **ფერო** („ფერადი“) ფერები. ლაზურში კი — ქათამი შეიძლება იყოს **კავერენგი**, **კარინი** („ყავისფერი“), **ურა** („შავი“), **ხჩე** („თეთრი“), **საი** („ყვითელი“), **მჭითა** („წითელი“), **სერი** („ბნელი“).

მეგრულში **ჩე** სრულიად თეთრი ფერის ფრინველის სახელია. შეიძლება ფრინველი მოთეთრო ფერისა იყოს, მაშინ იტყვიან **მორჩე**-ს, ზოგჯერ **ჩელაია**-საც. **ჩელა** ტერმინი ოდენ საკუთრივი ფერია მეცხოველეობის ლექსიკაში. **ჩელაია** („თეთრონი“) ლექსემა შინაური ფრინველის ფერთა გადმოსაცემად დაცულია ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და იდიომატურ გამოთქმებში. მაგ.: **ჩე** ქოთომი **ჩელაია**, **ჩე** კვერცხისი მასქუალი „თეთრი ქათამი თეთრონი, თეთრი კვერცხის მღებელი“ (ყიფშიძე, 1914) (შდრ.: ჩელაია ძღაბი „თეთრი გოგო“). ლაზურში თეთრი ფერის ქათამს **ხჩე ქოთუმე**-ს ეძახიან.

მეგრულში წითელი ფერის ფრინველის მიმართ დადასტურებულია **ჭითა** ტერმინი, ლაზურში კი — **მჭითა**. მეგრულის მარტვილურ თქმაში წითელი ფერის გამოსახატავად გვხვდება **ჭითალა** ფორმაც: **ჭითალა** ქოთომეფი ჯგირი ჯიშიშ რე „წითელი ფერის ქათამები კარგი ჯიშის არის“. მეგრულში მოწითალო, ოდნავ წითელი ფერის ქათამს **მოჭითე** ჰქვია. ზოგჯერ **ჭითა** კონკრეტულ წითელ ფერს არ აღნიშნავს და ის გამოყენებულია წაბლისფერი ბუმბულის მქონე ფრინველის ფერის აღსანიშნავად.

ზანურში შავ ფრინველს **ურა** ფერით აღნიშნავენ. მეგრულში მოშავო ფერის ფრინველს **მოურჩე**-ს ეძახიან.

უფერული, ბნელი, რუხი ფერის შინაურ ფრინველებზე იტყვიან **რუმე** ფერს: **რუმე** ფერიშ ქოთომეფი პუნდუ „რუხი ფერის ქათამები მყავდა“ (შდრ.: **მრუმე** ფერი ხშირად იხმარება ძველ ტექსტებში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **მრუმე**, **მრომი** „ესე არს ბნელი, საჩინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი. გოდ. 4.1“).

მეგრულში ქათმის, ინდაურის სპეციფიკურ ფერად დასახელებულია **ფერო** ფერი. **ფერო** — ფერადი, ჭრელი ფერია. მეგრულის ჯვარულ თქმაში **ფერო** მხოლოდ და მხოლოდ მოწითალო და ყვითელი ფერის ნარევია. პ.ჭარაიას ლექსიკონში **ფერო** განმარტებულია, როგორც „ლურჯის, თეთრისა და შავის საშუალო“: **ფერო** ქოთომეფი მანგარ სქვამი რე „ფერადი (ჭრელი) ქათმები ძალზე ლამაზია“; **ფერო-ფერო** ქოთომეფი არძა ტურას ქოჩია „ფერად-ფერადი (ჭრელ-ჭრელი) ქათმები ყველა ტურას აჭამეო“ (შდრ.: **ფერო** „თეთრსა და შავს საშუალი“ (საბა).

ლაზურში, მეგრულისაგან განსხვავებით, შინაური ფრინველის შეფერილობის აღმნიშვნელად დადასტურებულია **საი||სარი** („ყვითელი“) ფერი: **საი** ფერიშ ქოთუმე მიყონუნა „ყვითელი ფერის ქათმები გყავდა“ (შდრ.: **saari** (თურქ.) „ყვითელი“); უფერული, ბნელი ფერის ბუმბულის ფერის ფრინველზე, **სერი** ფერის არისო, იტყვიან: **სერისთეი** რენგი იენ „უფერული ფერის არის“ (შდრ.: **სერი** (მეგრ.) „1. ღამე; 2. შავი, მუქი ფერი; სერი ქობალი „შავი, რუხი პური“).

ასევე დადასტურებულია **კარიჩნი** (რუს. „ყავისფერი“), **კავერენგი** („ყავისფერი“) ფერი. ლაზურში **რენგი** ფერს ნიშნავს. ფრინველის შეფერილობის აღმნიშვნელ ლექსიკაში **რენგი** დასტურდება როგორც კომპოზიტებში, ისე შესიტყვებებში: მამულის სერისთეი რენგი უღუ, ჰამა ხჩე რენგი ვაულუნ. რენგი უჩა ყვაოჯი „მამალს უფერული ფერი აქვს, მას თეთრი ფერი არა აქვს. შავი ფერის ყვავი“; ქოთუმე იენ **საი, კავერენგი** „ქათამი იქნება ყვითელი, ყავისფერი (ფერის)“

როგორც აღვნიშნეთ, შინაურ ფრინველთა სახელები ითავსებენ ფერთა სხვადასხვა სახელსა და ხარისხს. ფერის აღმნიშვნელ ტერმინებს ხშირად უკავშირებენ ჭრელს. ჭრელი, საზოგადოდ, სხვადასხვა ფერს გულისხმობს. მეგრულში სიჭრელეს ზოგადად გამოხატავს **რჭელი, ჭარგა** და **კორობა** ტერმინები

(შდრ.: **ჭარგა და კორობა** ლექსემები პროდუქტიულია მეცხოველეობის ლექსიკაში). მასალის მიმოხილვისას ირკვევა, რომ ჭრელი რამდენიმე ფერისაგან შემდგარი სახელია. მთქმელს თითქოს უძნელდება ფერის ნიუანსის დასახელება და მას აღწერს, ირჩევს შედარების გზას.

მეგრულში ჭრელი ფერის ქათმის გამომხატველი შემდეგი სახელები გვაქვს: **ჭვატორია, ჭურჭოია, ჭურჭულია, ჭარჭულია, ჭარჭუია, ჭვარჭვალაია, ჭაქო, ჭერჭე, ჭურჭე, ჭარჭულერი, ჭაჭვა, ჭაჭვია, ღაჟო, ღაჟოია, ღაჟურია, ხანტურია, ჭკარჭკუნტია, ჭარკუნტია, ჭკარჭკუნტელი, ჭკარკუნტია, ღანტურია, ჭერჭოია.** ბუნებრივია, რომ სახელწოდებათა ამ ნაირსახეობაში სიჭრელის ნაირგვარობა იყოს გამომხატული. კერძოდ:

მეგრულში **ჭაჭვა, ჭაჭვია** „ჭაჭვისებური სიჭრელის“ მქონე ფრინველის სახელია. მეგრულში **ჭაჭვა, ჭაჭვია** ფერი ვარიაციებითაა წარმოდგენილი: **ჩე ჭაჭვა** „საერთო ფონზე თეთრი ჭაჭვისებური რგოლებით“; **რუმე ჭაჭვა** „საერთო ფონზე შავი, რუხი, ბნელი ფერის ჭაჭვისებური რგოლებით“; **ღია ფერის ჭაჭვა** „ერთ ფონზე ღია ფერის ჭაჭვისმაგვარი წყობა წითელი, თეთრი, ოდნავ მოყვითალო ფერებისა“. საერთო ფონად უფრო შავი ფერის ჩანს (შდრ.: **ჭაჭვედა, ჭაჭვედაი** (გურ.) „რუხი ფერის ჭრელი ქათამი, რომელსაც ტანზე მრგვალი თეთრი წინწკლები აქვს, ჭაჭვის მსგავსი“ (გ.შარ.; ს.ჟდ.); **ჭაჭვაი** (აჭარ.) „მუქი ნაცრისფერზოლებიანი ან ნაცრისფერწინწკლებიანი ქათამი“).

მეგრულში შავ-თეთრად მოხატულ, აჭრელებულ ქათამს **ხანტურია, ღანტურია** ჭქვია, უღამაზო ჭრელს კი — **ჭაჭო.** ჭრელი, ფერად-ფერადი წინწკლების ფერის მქონე ქათამი არის **ჭვატორია, ჭვარჭვალაია, ჭარჭულერი, ჭარჭულია, ჭარჭუია, ჭერჭე.**

ქათამი შეიძლება იყოს წითელი, მუქი, კაშკაშა ნარევი

ფერების მქონე. ასეთი ფერის ქათამს ეძახიან **ჭარკუნტია**, **ჭკარჭკუნტია**, **ჭკარჭკუნტელი**-ს. ლაზურში ჭრელ ქათამს **ჭა-კაჭუკა**, **ჭეელი**, **ჭეემა**-ს ეძახიან, ხოლო შავ-თეთრად დაწინ-წკლულ ქათამს — **კეფიჭკემა**-ს (შდრ.: **ჭეჭელა**, **ჭეჭუკა** (აჭარ.) „ჭრელი“ (ბსკიდა).

საერთო ზოგადი ფერი არ განარჩევს ერთმანეთისაგან გარეულსა და შინაურ ფრინველს. თუმცა ფაქტია, რომ შინაური ფრინველებისაგან განსხვავებით, ზანურში ფერთა განსაკუთრებული სიუხვით ხასიათდება გარეული ფრინველები. ლექსიკური მასალის მოძიებისას მთქმელები ერთი და იმავე ფრინველის მიმართ რამდენიმე ფერს ასახელებენ. საანალიზო მასალის მიხედვით გამოიკვეთა თემატური ჯგუფები, რომელთა ნიშანდობლივი ამოსავალია ფრინველის ფერი:

ა) ზოგიერთი ფრინველის მიმართ დადასტურებულია ოდენ „საკუთრივი“ ფერი: მეგრულში **ჩე** („თეთრი“) ფერის არის: **ტორონჯი** || **ტოოჯი** („მტრელი“), **გედი** („გედი“), **ლორ-ლონჯი** („ბატი“); ლაზურში კი — **მართინი** („თოლია“); **უჩა** („შავი“) ფერის არის **კვარია**||**ყვარია** („ყვავი“), **წყარიშ ქოთო-მი** („წყლის ქათამი“), **ჩვამა** („ჩვამა“), **ზესქვი** („შაშვი“); ლაზურში „საკუთრივი“ **უჩა** („შავი“) ფერის არის **ყვაოჯი** („ყვავი“), **ყუი** („ყორანი“), **მზესქუ**||**მზესკუ** („შოშია“), **კარაბათალი** („ჩვამა“);

ბ) გარეული ფრინველების სქესის გასარჩევად გამოყენებულია მათი ფერი. საილუსტრაციოდ მოვიტანთ საანალიზო მასალას:

მეგრულში: **ქილორ** დადულ-მუშულ შქას ქიანა განსხვავება რე, მუშული მუდგარენი **მელანიშფერიე** დო დიდი, დადული ართ ფერი რე, **ყავისფერცალო**, წინწკლეფი ულუ „დედალ-მამალ ხოხობს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მამალი რადაცნაირად მელნისფერია და დიდი. დედალი ერთი ფერია, ყავისფერი წინწკლები აქვს“; მუშული **ჭყორი** უმოსო

დღეღმწკმა რე ყავისფერი, დადული რე ღია ფერი დო წინ-
წკლებიანი „მამალი მწყერი უფრო ყავისფერია, დედალი კი
ღია ფერისაა და წინწკლებიანი“; დადული **ჭყორი** რე ღია
ჭაშფერი, კიდირს წერტილეფითუ „დედალი მწყერი არის ღია
ჩალისფერი, მკერდზე წერტილებით“; დადულ **კვატა ლანდღვე**
წყარიშფერი რე. დადულს კისერს ჩე რგოლი უღუ, ტანო
ხომლა ჭაშფერი, **ხარხუნტია** რე „დედალი იხვი მღვრიე
წყლისფერია. დედალს კისერზე თეთრი რგოლი აქვს, ტანად
ხმელი ჩალისფერია, ჭრელი“; მუმული **კვატა ცაშფერიე** „მამა-
ლი იხვი ცისფერია“; დადულ **კვატა ბალოტაშ** ფერი რე, ეხა-
მებ ჭაობიშ ფერს. მუმული უმოსო **წვანე ფერიშ** რე დო ჩე
კიდირი უღუ „დედალი იხვი ჭაობის ფერი არის, ეხამება ჭაო-
ბის ფერს. მამალი უფრო მწვანე ფერის არის და თეთრი
მკერდი აქვს“.

ლაზურში: **მზესქუ უჩა** კვინჩი იენ. მამული **მზესქუს** კი-
ბიი **საი** აყვენ, დადულის — **უჩა** „შაშვი შავი ფერის ჩიტი
არის. მამალ შაშვს ნისკარტი ყვითელი აქვს, დედალს კი —
შავი“.

გ) ცვალებადი ფერის მქონე ფრინველები წელიწადის
დროისა და ბუდობის მიხედვით.

ზოგიერთი ფრინველი ფერს იცვლის წელიწადის დროის
მიხედვით, ამიტომაც ჭირს ამა თუ იმ ფრინველის დასახასია-
თებლად ფერის მითითება. ასეთია **გურმეჭვია** („გულწითელა
ჩიტი“): **გურმეჭვია** ზაფხულობით **ყვინთელ**, ვარა შურო შე-
სამჩნევი ვარე. ზოთონც სარკეცალო იძირე, თე ჩიტის კიდირი
მუჭომ **ჭითა** ბურდღამი აფუნე „გულწითელა ზაფხულობით
ყვითელი ან შეუმჩნეველი ფერია, მაგრამ ზამთარში სარკესა-
ვით ჩანს ამ ჩიტის მკერდზე წითელი ბუმბული“; კვდ ზოთონ-
ზაფხულიშ მიხედვით **წვანე**, **ჭითა**, **უჩა** დო **ჩე** წინწკლეფით
რე „კოდალა ზამთარ-ზაფხულის მიხედვით არის მწვანე, წითე-
ლი, შავი და თეთრი წინწკლებით“;

ლაზურში: **ცანა** კიშის **მჭითა** კინჩი იენ, ზამანის გუპიჯი **საი** აყვენ „გულწითელა ზამთარში წითელი ფერის ჩიტია, ზაფხულობით გულისპირი ყვითელი აქვს“; **ლაქო** კიშის გუპიჯი **საი**, **უჩა**, ზამანის — გუპიჯი **ხჩე** დო **მჭითა** კინჩი იენ „ლაქო ჩიტის გულისპირი ზამთარში ყვითელი, შავი, ხოლო ზაფხულში თეთრი და წითელი ფერისაა“.

გარეულ ფრინველთა ფერი ასევე გარჩეულია მათი ბინადრობის მიხედვითაც: მეგრულში: **გალური კობახია** „დიდი ჭრელი ჩიტია“; **ტყარ ქოთომი** უირი ნერი რე, გვალას რე **უჩა ქოთომი** „ტყის ქათამი ორი სახეობისაა, მთაში არის შავი ქათამი“; **კუბანიშ ჭყორი** რე **მუქი კარიჩი** ფერი, კახეთში — **იასამანიშ** ფერი, შერეული, უჩა კუჩხეფით, კუდელი გინძე რე „ყუბანის მწყერი მუქი ყავისფერია, კახეთის მწყერი — იასამანის ფერია, შერეული, შავი ფეხებით. გრძელი კუდი აქვს“; **ციცარის** ორი სახეობაა: შინაური და ზღვის ციცარი. **შინაური ციცარი** არის **რუმე ჭაჭვია**, ზოგჯერ **ჩე** („თეთრი“) წინწყლებით, ხოლო ზღვის ციცარისათვის დამახასიათებელია **ხომლა ჭაშფერი** („ხმელი ჩალისფერი“).

ლაზურში: **ბიბი ხჩე**, **კავერენგი**, **ჭეერელი** იყვენ „იხვი თეთრი, ყავისფერი და ჭრელი იქნება“; **შილოგოგია საი** დო **ხჩე** ოქოქთეი კვინჩი იენ „შილოგოგია ყვითელი და თეთრშერეული ფრინველია“.

უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში, ქართულის მსგავსად, გარეული ფრინველების შეფერილობასთან მიმართებით გამოიყოფა ფერთა აღმნიშვნელი ლექსემები, რომელთა ამოსავალია მცენარის, ნივთიერებისა თუ სხვათა სახელები. სხვადასხვა ფრინველის მიმართ მთქმელების მიერ დადასტურებული გვაქვს შემდეგი ფერები: **ტუტაშფერი** („ნაცრისფერი“), **ხვილარიშფერი** („ხვლიკისფერი“), **ხორციშფერი** („ხორცისფერი“), **რკინაშფერი** („რკინისფერი“), **ხაკიშფერი** („გადადის ბორდოსფერში“), **ხომლა ჭაშფერი** („ხმელი ჩალისფერი“),

თხოლოშფერი („მთხლისფერი“), **დიხაშფერი** („მიწისფერი“), **ჭუბურიშფერი** („წაბლისფერი“), **ბადრიჯანიშფერი** („ბადრიჯანისფერი, გადადის მელნისფერში“), **ოქროშფერი** („ოქროსფერი“).

როგორც ვხედავთ, შეფერილობა ერთ-ერთი ზოგადი ნიშანია ფრინველთა სახესხვაობის ერთმანეთისაგან გამოსარჩევად. ანუ, შეფერილობა ხშირად დამოკიდებულია შესაბამისი ფრინველის ჯიშის საცხოვრის გარემოზე; ფრინველის შეფერილობა სხვაობას ავლენს სქესის მიხედვით; ზოგი ფრინველი ფერს იცვლის წელიწადის დროის მიხედვით.

ფერის აღნიშვნისას გამოყენებულია უპირატესად ძირეული წარმოშობის ზედსართავი სახელები, რომელთაგან არც ერთი მათგანი არ არის ოდენ მეფრინველეობის ლექსიკისათვის დამახასიათებელი სიტყვა, ისინი გამოიყენება სხვა ჯგუფის ლექსიკის მსაზღვრელ სახელებადაც.

§3. ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში

3.1. შინაურ ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ხმაბაძვითი სიტყვები ახლოს დგას შორისდებულებთან, ოღონდ, შორისდებულებისაგან განსხვავებით, ხმაბაძვა ბუნებაში არსებული სულიერისა და უსულო საგნების მოქმედებით გამოცემული ხმის შესატყვისი სიტყვაა, რომელიც მიღებულია ამ ბგერითი მოვლენის მიახლოებითი გამოხატვის გზით. „ასეთი სიტყვებით გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველების, უსულო საგნებისა თუ ბუნებრივი და ფიზიოლოგიური მოვლენების მიერ გამოცემული ხმა“ (კვაჭაძე, 1969, 328).

ცნობილია, რომ ქართველურ ენათაგან მეგრული განსაკუთრებით მდიდარია ხმაბაძვითი სიტყვებით, ლექსემათა გადმოსაცემად აქ მოიპოვება უამრავი ზმნა, ბგერწერითი კონები (გუდავა, 1958).

ხმაბაძვითი სიტყვები „გამოხატავენ მოქმედებას, რომელშიც აქცენტირებულია არა იმდენად მოქმედება თავისთავად, რამდენადაც ის ფაქტი, რომ მოქმედება სრულდება გარკვეული ხმის თანხლებით“ (ქობალავა, 1980, 69).

ხმაბაძვით სიტყვათა დაჯგუფებას საფუძვლად შეიძლება დაედოს ან ბგერადობა, ან სტრუქტურა, ან სემანტიკა, ამიტომაც გამოიყოფა ქვესისტემებად დაყოფილი სემანტიკური რიგები, მათ შორის — საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა, ანუ ხმიანობა.

ხმაბაძვითი სიტყვებისაგან იწარმოება სრული მნიშვნელობის მქონე ფორმაცვალებადი სიტყვები, მათ შორის — ზმნები. „ყოველი ენა საკუთარი ტრადიციით შეპირობებული ბგერათსისტემის გამოყენებით ქმნის ხმაბაძვით სიტყვებს. ამ უკანასკნელებთან ხშირად ვხვდებით ფუძის გაორმაგებას, გაორმაგებას ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით“ (ფოჩხუა, 1974).

მეგრულ-ლაზურში დადასტურებულია შინაურ ფრინველთა ხშიანობის აღმნიშვნელი რამდენიმე ლექსიკური ერთეული:

ქათამი კვერცხის დადების შემდეგ იწყებს კაკანს, ასეთ დროს ქათმის ხშიანობას მეგრულში **კარკალი** ჰქვია: ქოთომქ დააჭყ კარკალი „ქათამმა დაიწყო კაკანი“ (შდრ.: **კარკალი** (გურ.) „ქათმის ხმაურობა კვერცხის დადების დროს და შემდეგაც“ (ი.ჭყ.); „ქათმის კაკანი კვერცხის დადებისას ან შეშინებისას“ (ს.ჟღ.; ალ.ლღ.). ლაზურში ქათმის ხშიანობას კვერცხის დადების დროს **ოკარკალუ** („კაკანი“) ჰქვია: მარქვალაი გესქუბტაში ქოთუმექ კარკალაფს „კვერცხის დადებისას ქათამი კაკანებს“; გარეფექ ქოგოიჭკეს ქოთუმესტერი **ოკაკანუ** „მგლებმა დაიწყეს ქათმის მსგავსი კაკანი“.

გაჭირვების, საფრთხის დროს წიწილები ჟივყივებენ, წივიან. მეგრულში წიწილების ხშიანობას საფრთხის დროს — **წიაფი**-ს ეძახიან: წიწილეფიმ წიაფიქ გური შემიწუხუ „წიწილების წივწივმა გული შემიწუხა“ (შდრ.: **წიაქი** (იმერ.; გურ.) „წიწილათწირიანი, ხმაურობა“ (ვ.ბერ.); „წიწილის წრიპინი“ (ა.ლღ.); **წრიაქი** (გურ.) „წიწილების ხმაურობა“ (ი.ჭყ.); **ბზიაქი** (გურ.) „წიწილების მოშლილი ხმა, როცა მკბენარი აწუხებთ ან კრუხი შორს არის და მარტო რჩებიან“). ლაზურში წიწილის წივწივი არის **წიაფი**, **წიპინი**. ლაზი მთქმელებისათვის **ჭუჭული** და **წიპილი** — ორივე ლექსემა — **წიწილის** აღმნიშვნელი სახელია. მაგრამ ხშიანობის დროს **ჭუჭულის**ათვის იყენებენ **წიაფი** ერთეულს, ხოლო წიპილისათვის — **წიპინი**-ს: **ჭუჭული**ქ წიაფს, წიპილიქ წიპინს „ჭუჭული (წიწილა) წივწივებს, წიწილა წივის“ (შდრ.: **წიპანი** (ხევს.; მთ.) „წრიპინი, ხმაური“ (ლ.კაიშ.; ქეგლი).

მეგრულში მამლის ყვილი არის **ცოინი**: მუმული მოგოთაენეს **მიოცოინანს** „მამალი გამთენიისას მიაყივლებს“. მარტვილურში დადასტურებულია **ცომა** ფორმაც: მუმულიშ **ცომა** „მამლის ყვილი“ (ელიავა). ლაზურში მამლის ყვილს ჰქვია **ოყიუ**,

ოკიუ: მამულის უჩქინ ოკიუ „მამალმა იცის ყივილი“; მამულის კაი სესი აყვენ დო კიამს „მამალს კარგი ხმა აქვს და ყივის (კივის)“ (შდრ.: **რკიაფი** (მეგრ.) „კივილი“; **კივილი** „მალის ხმით ზახილი“ (საბა).

შინაური ფრინველი მოსალოდნელი საფრთხის დროს გამოსცემს ერთგვარ ხმას, რასაც მეგრულში **კვირაფი** ჰქვია: მონჭვამ კვირაფი ვადგალორენს „კრუხის გაკვირება არ მოგატყუებს“ (შდრ.: **კრუხის შეკვირება** (გურ.) „კრუხის მიერ წიწილების გაფრთხილება საშიშროების მოლოდინში, თავისებური ხმიანობის ატეხით: კრუხმა შეიკვირვა, ყვაფი თუ მუუხთა“ (გ.შარ.). ო.ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ქათმის „კრიახი“ დადასტურებულია **კრიხინი**, **კრიხინუა** ლექსიკური ერთეულებით: ქოთომეფი კრიხინს ქიდიჭყანა, მუ დროსგთ ქირს, ვარდა ხოხუს ქოძირუნან „ქათმები კრიახს დაიწყებენ, როდესაც ქორს, ანდა მხოხავს რომ დაინახავენ“ (ო.ქაჯ.). ლაზურში კრუხის „შეკვირებას“ **ოკვირუ** ჰქვია.

მეგრულში **ტკარჩალი** გაჭირვების დროს ფრინველის გამომცემული ხმიანობაა: ტკარჩალანა ეზოს ქოთომეფი, ინდურეფი „კრიახობენ ეზოში ქათმები, ინდაურები“ (შდრ.: **ტკარჩალი** (მეგრ.) გადატ. მნიშვ. ტკარჩალანა ოსურეფი „ქალები ტკარცალობენ (იცინიან)“; **ტკვარცალი** (იმერ.) „კვერცხის დადების შემდეგ ქათმის კაკანი, ხმამალლა კარკაცი“ (ვ.ბერ.); **ტკრციალი** „ცეცხლის ტკრცოლა, მჭურვალის ქვის დახეთქა“ (საბა).

ქათამი როდესაც კვერცხის დებას შეწყვეტს, იწყებს კრუხუნს, ანუ ასეთ დროს კრუხ-კრუხებს. ქათმის ასეთ კრუხ-კრუხს მეგრულში **კუხაფი** ჰქვია: ქოთომი გაყალბებული გილერულე დო გილაკუხანს „ქათამი გამწარებული დარბის და დაკრუხუნებს“ (შდრ.: **კრუშ-კრუში** (მოხ.) „ქათმის ქოთქოთი, კაკანი“ (დიალ. 562). ლაზურში ქათმის კრუხუნს ეძახიან **ოკუხუ**-ს, ზოგჯერ იტყვიან **კლიუხუმ**-საც.

შინაური ფრინველების — ინდაურის, ბატის, იხვის — ხმიანობა გადმოცემულია ძირითადად შორისდებულების მეშვეობით. მაგ.: ინდაური **კოუ-კოუ**-ს იძახის; იხვი — **ვიტ-ვიტ**-ს. იხვთან მიმართებით შეიძლება თქვან: **კვატა ღიანსია** „იხვი ყვირისო“.

შინაურ ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელ ტერმინებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დადასტურებული ლექსიკური ერთეულებით გარჩეულია შინაურ ფრინველთა სქესი და ასაკი:

1. გარჩეული არაა ფრინველის სქესი: მეგრ. **ტკარჩალი** „ტკარცალი“; მეგრ. **კვირაფი**: ლაზ. **ოკვირუ** „ხმიანობა გაჭირვების, საფრთხის დროს“;

2. გარჩეულია ფრინველის სქესი: ა. მხოლოდ მამალი ფრინველის ხმიანობას გამოსცემს: მეგრ. **ცოინი**: ლაზ. **ოყიუ**, **ოკიუ** „ყვილი“; ბ. მხოლოდ დედალი ფრინველის ხმიანობას აღნიშნავს: მეგრ. **კარკალი**: ლაზ. **ოკარკალუ** „აკანი“; მეგრ. **კუნაფი**: ლაზ. **ოკუნუ** „კრუხუნი“;

3. გარჩეულია ფრინველის ასაკი: მეგრ. **წიაფი**: ლაზ. **წიაფი**, **წიპინი** „წიწილების ხმაურობა, წიფწივი, წივილი“.

3.2. გარეულ ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა

როგორც ცნობილია, ფრინველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები ძირითადად წარმოდგენილია ხმაბაძვითი სიტყვებით. კერძოდ, ფრინველთა გარკვეულ ნაწილს სახელები დარქმევია მათ მიერ გამოცემული ხმის მიხედვით. მაგალითად: ყვავს, გუგულს, ჩხიკვს, წიწილას, კრუხს და სხვა.

ველზე მოპოვებული მასალის (მთქმელების მიერ შორისდებულის დახმარებით აღწერილი) საფუძველზე საშუალება მოგვეცა დაგვედასტურებინა ზოგიერთი გარეული ფრინველის მიერ გამოცემული ხმიანობა.

სამეგრელოში ჩაწერილი მასალის მიხედვით **ღარდა** („ღალდა“) **ღებ-ღებ-ს** იძახის, **ჭყორი** („მწყერი“) **წრგებ, წრგებ; ღებ, ღებ-ს; კვათარა** („ტყის ქათამი“) **დრგგ-ს; ქილო-რი** („ხობობი“) **კრგგგ-ს; ტორონჯი** („მტრედი“) **ღუ, ღუ, ღუ-ს.**

ლაზი მთქმელების აღწერით, **ლუღი-მომჭაფუ** („მელღვიე“) **კრუბ-კრუბ-ს** იძახის; **მშირიდონი** („მერცხალი“) **ჭი-კაჭიკ-ს;** შეშინებული, დამფრთხალი **ათმაჯა-ს** („მიმინო“) ხმიანობა **კრუშკრუშ-ია**, მამალი ათმაჯა კი **კურ-კურ-კა-კა-კა-ს** გაიძახის; **ცანა-ს** („გულწითელა“) ხმიანობაა **ცგებ, ცგებ; ყუი-ს** („ყორანი“) **ცვაბ, ცვაბ; ხიმსიკოკარის** („ბოლოქანქალა“) **წიბ, წიბ; ოფამფე** („ოფოფი“) კი **ფხ, ფხ-ს** მაგვარ ხმიანობას გამოცემს.

გუგული **გუ-გუ-ს**, ხოლო **ყვარია, ცვაოჯი** („ყვავი“) **ყვა, ყვა, ყვა-ს, კვინჭახი** („სკვინჩა“) **კვი, კვი, კვი-ს** ძახილით ხასიათდება.

მეგრულსა და ლაზურში გარეულ ფრინველთა ხმიანობა, ისევე როგორც შინაურ ფრინველთა ხმიანობა, გადმოცემულია რამდენიმე ლექსიკური ერთეულით, დადასტურებული ერთეულები ძირითადად ხმაბაძვითი ხასიათისაა.

ცნობილია, რომ ქართულში გარჩეულია გარეულ ფრინველთა ხმიანობა სტვენის, გალობის, ჭიკჭიკის, ჟღერტულის, ჭახჭახის და ა.შ. მიხედვით. შესაბამისად, მეგრულში ფრინველის, ჩიტის ხმიანობას, გალობას — ზოგადად ჰქვია **ჭურჭული, ჭვიტუა, ჭვიტაფი, ჭირჭინი, ჭუქაფი, კუთაფი.** მაგალითად: ჩიტი ჭურჭულანს „ჩიტი ჭიკჭიკებს (მღერის)“ (შდრ.: **ჭურჭული** მეგრულში ომონიმური ფუძე ჩანს. **ჭურჭული** ნიშნავს „1. ჩიტის ხმიანობას; 2. თვალს; 3. წყლის წვეთვას“); ჩიტიჟ ოჰმარეშე ქუდაჰყუ ჰყვიტაფი დო გუმალიზიანუ „ჩიტმა დილიდანვე დაიწყო სტვენა და გამალიზიანა“.

მეგრულში **ღუღინი** მტრედის ხმიანობაა; მერცხლის ჭიკჭიკს ჰქვია **ჭირჩინი, ჭირჩოლი;** ბულბულის გალობა — **ღურ-**

ჭულია: ბალანა არკვანც ტორონჯცალო ინოლუდინუნც „ბავშვი აკვანში მტერდივით ღულუნებს“; მაჭირხოლიშ ჭირხოლიშ მორჩქილაფას ოჭმარეს მუ უჯგუ „მერცხლის ჭიკჭიკის მოსმენას დილას რა ჯობია“; მაფშალიაშ ღურჭულს უჯგუ, თქვანი მშვენიერი ხუმა „ბულბულის გალობას ჯობია თქვენი მშვენიერი ხმა“ (დანელია, ცანავა, 1991).

მთქმელების განმარტებით, **წირწინი** („წივილი“) მამალ ხოხობს სჩვევია. **ჭყიაფი** („ჭყივილი“) — მწყერს, გარეულ იხვს; **კუთაფი** („კუთვა“) — შაშვს.

ლაზი მთქმელების განმარტებით, ყველა სახეობის ჩიტის ხმიანობა ლაზურში არის **ყუაფი**. თუმცა საუბარში ასახელებდნენ დიფერენცირებულ სხვა ლექსიკურ ერთეულებსაც, როგორცაა: **ღაფღაფი** — იხვის, ჩხართვის ხმიანობა; **ობირუ** — ბულბულის სიმღერა, გალობა; **ოსტვინუ**, **ღურღული-ს** — მერცხლის ჭიკჭიკზე იტყვიან, ასევე მერცხლის ხმიანობაა **ოჭიხონუ-ც**.

§4. შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში

4.1. შინაური ფრინველების სადგომებთან დაკავშირებული ლექსიკა

შინაური ფრინველები ბინადრობენ სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში. მეგრულში ქათმების ღამით დასაბუდეებელ შენობას **ოქოთომე**, **ოკარიე** ჰქვია. მთქმელების განმარტებით, **ოქოთომე** („საქათმე“) აღნიშნავს კონკრეტულად **ოკარიე-საც** და იმ ტერიტორიასაც, სადაც **ოკარიე** არის ჩადგმული. შდრ.: **ოკარიეშ** კარი დოკილე „საქათმის კარი დაკეტე“; **ოქოთომეს** ოდიარე ვეგინხარენს „საქათმეში ბალახი არ (ვერ) გაინხარებს“ (შდრ.: **კარია**, **კარიე**, **საკარიე**, **საკარია** (გურ.) „საქათმე“).

ოკარიე-ს, **ოქოთომე-ს** („საქათმე“) ფრინველების ასასვლე-

ლად **ჩართი** („კიბე“), **კიბე** აქვს მიღებული. საქათმეში ფრინველთ ჩამოსაჯდომად გადებულ ჯოხს მეგრულში **დანო**, **გოძგალი** („ქანდარა“) ჰქვია.

ლაზურში საქათმეს **ოქოთუმალე**-ს ეძახიან: ქოთუმე ოქოთუმალეს მოლოოხუნაფთ „ქათამი საქათმეში დავსვათ“.

ოქოთუმალე-ში („საქათმეში“) ფრინველების ჩამოსაჯდომად გადებულია **ქანდარა**, **დიშკა**, **გერმეფე**, **ბიგაფე**, **სქენჯე**: ოქოთუმალეს კეტეფე გონდვეის უწუმელან ქანდარა „საქათმეში გადებულ ჯოხებს ქანდარას ეძახიან“ (შდრ.: ლაზურშივე **ქანდარა** „ფრინველის დასაჭერი მახის, კაკანათის ერთ-ერთი სახეობაა“ (მარი); ოქოთუმალეს მოლოოხუნაფთ. **დიშკა** გუნძინ დო ექ გელახედუნან „საქათმეში დავამწყვდევთ. ჯოხია (შეშა) გადებული და იქ სხედან“; ოქოთუმალეს დოლოხე **სქენჯე** გოუნდუმეთ დო ექ გელახენან. ქოთუმეში გეხუნეში **სქენჯე** „საქათმეში შიგნით კიბეს გავდებთ და იქ სხედან. ქათმის ჩამოსაჯდომი კიბე (ქანდარა)“; ოქოთუმალეს **გერმეფე** გონძინ დო ექ გელახედუნან ქოთუმეფე „საქათმეში გადებულია ხეები და იქ სხედან ქათმები“; ოქოთუმალეს **ბიგაფე** გონძინ დო ექ გელახედუნან „საქათმეში ჯოხებია გადებული და იქ სხედან“.

სამეგრელოში იხვები **ოკვატე**-ში („საიხვე“), **ბატები** — **ოლორდონჯე**-ში („საბატე“), ინდაურები — **ოინდურე**-ში („საინდაურე“) ჰყავთ.

მეგრულში გარეული ფრინველის „ბინას“ **ბუდე**-ს ეძახიან. შინაური ფრინველების მიმართ **ბუდე**-ს მეგრულში ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მიღებული. ის მიუთითებს შინაური ფრინველის „საკვერცხე, კვერცხის დასადებ ადგილს“. სამეგრელოში შინაური ფრინველის **ბუდე**-ს **ოგვაჯე** ჰქვია. მთქმელების განმარტებით, **ოგვაჯეში** („საბუდარი“) შინაური ფრინველი დებს კვერცხს: **ოგვაჯეს** ჯალი კვერცხი ირო ოკო გეძუდას „საბუდარში მძევალი კვერცხი ყოველთვის უნდა იდოს“ (შდრ.: გად. მნიშვ. **გვაჯინი** (მეგრ.) „წრიალი“. მასკუალი ქო-

თომცალო იგვაჭუნია „კვერცხისმდებელი ქათამივით წრიალებსო“). **ოგვაჭე** („საბუდარი, ბუდე“) „შეიძლება იყოს მოწნული ან ფიცრებისგან გაკეთებული“ (ქაჯ.).

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ განმარტებულია **სედო** ტერმინი, როგორც „ისლით დახურული დაბალი სახლი. შიგნით დებდნენ საბუდრებს (ოგვაჭეფი), იქ შედიოდნენ ქათმები და დებდნენ კვერცხს“ (ქაჯ.). მოძიებული მასალის მიხედვით, მეგრულში **სედო** ლექსიკურ ერთეულს დღეს ვერ ვადასტურებთ.

ლაზურში საბუდარს **ოსქვე** ჰქვია: ოსქვეს გედუმეს მარქვალი, ონწიაფუ დულუძინ „საბუდარში დადო კვერცხი, მძევალი რომ დევს (შიგ)“. ასევე, ქათამი კვერცხს დებს **ძაო||ძარო||ძარო** (რ)ო, **იოვა**, **ბუჭერი**, **ობდე**, **ფაცხა**, **ქაცანცელ**-ში.

ძაო||ძარო „ბუდე“: ქოთუმექ ძაოს მარქვალი გესქუფს, ძაო ოქოთუმალეში ეინ იყვენ „ქათამი ბუდეში კვერცხს დადებს, ბუდე საქათმის ზევით იქნება“ (შდრ.: **ძარო** (გურ.) „წვრილი წნელით დაწნული საქათმე“ (ა. ლ.); **ძარი** (გურ.) „1. წვრილი წნელისაგან მოწნული სამწყვდევი ფრინველთ გასასუქებლად; 2. წნელისაგან დაწნული ოთხ ბოძზე დადგმული სასიმინდე“ (ე. ნინ.; თ. კიკ.);

იოვა-ს („საბუდარი“) ლაზურში მთქმელები თურქულიდან ნასესხებ სიტყვად მიიჩნევენ: იოვას გესქუფს მარქვალი. იოვას ჩაი დოლოურჩაფთ დო ემუს გებედუნ „იოვაში (ბუდეში) დადებს კვერცხს. იოვაში (ბუდეში) ჩაის ჩავაფენტ და იმაზე ჯდება“;

ლაზურში **ბუჭერი** „საბუდარ-ს“ ჰქვია (შდრ.: **ბუჭერი||ბუჭეჭი** გავრცელებულია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (რაჭ.; აჭარ.; ლეჩხ.; გურ.) რამდენიმე მნიშვნელობით, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა აღნიშნავს „საბუდარს“, სადაც შინაური ფრინველი კვერცხს დებს. მაგ.: **ბუჭერი** (აჭარ.) „მობუჯრული აქ თივაა, შიგ ჩუუდებთ ძევალს, რომ კვერცხი დადოს“ (ბსკიდა);

ობლე „კვერცხის დასადები ადგილი, ბუდე“: მაქვალიში გედუმეს **ობლე** უწუმელან „კვერცხის დასადებს „ობლეს“ (ბუდეს) ეძახიან“; **ობლე** ჩქინი ზოლა პიჯი ქოკობლაფთ „ჩვენი ბუდე ზღვის პირას გავაკეთოთ“ (შდრ.: ლაზ. **ობლე** „ჩიტის ბუდე“ (მარი); მოწნული სათავსი“);

ფაცხა — „მოწნული სათავსი-ბუდე, სადაც ქათმები კვერცხს დებენ“ (მარი): უკულე დიმონჰვენ, **ფაცხა** დიქიფან, ეჩ-ეჩლოვითი მარქვალი ქეგიულუმელან „შემდეგ დაკრუხდება, ფაცხას (საბუადრს) გააკეთებენ, ოც-ოცდაათ კვერცხს დაუდებენ (შდრ.: **ფაცხა** (მეგრ.) „ქოხი, მოწნული ქოხი“ (ყიფშ.); „წნული სახლი“ (საბა); „წისქვილის ქვაზე დადგმული პატარა კალათა, რომელშიც ჩადის სიმინდი ხვიმრიდან“ (ზ.იმერ.; ქეგლ);

ქაცანცელი არის „მოწნული ბუდე, სადაც ქათმები დებენ კვერცხს“ (მარი).

მეგრულში „ფრინველთ სამწყვდევის“ აღმნიშვნელი ტერმინი გადმოცემულია რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით: **გოდლო||გგძღვ||გგძღობია** (ჩხორ.; წალ.; ერგ.); **გიძღი||გიძღუ||გგძღვ** „ძარი, გალია“ (ჭარ.); **გაძღა** „გალია“; **გგძღვ||გგძღობი||გგძღობია** „კალათა, ძარი“ (ქაჯ.); **გგძღვბია** „კალათა“ (ყიფშ.) (შდრ.: **გორძღო** (აჭარ.) „წიწილათ სამწყვდევი: ზამთრობით ქათმებს ასუქებდნენ გორძღოში“ (ბსკიდა). დადასტურებული „ფრინველთ სამწყვდევი“ ფორმით სხვადასხვა სახისა და ზომის შეიძლება იყოს. მას თხილის წნელებისაგან ლობავენ. ზოგიერთ ასეთ სამწყვდევს ჰერიც აქვს, ზოგიერთი კი უჭეროდ არის მრგვლად შემოწნული. ასე მოწნულ გალიას **ღობილი**-ც ჰქვია.

მეგრულში **გიძღი**-ს პარალელურად ასევე დადასტურებულია **გალია** ტერმინიც: შდრ.: დოღობეს გგძღი დო თოკი ქუმუსკვეს „დაწნეს ძარი და თოკი გამოაბეს“; თი ტორონჯი თი გალიათ ცუდეს ოკო მობრდიკონი „ის მტრედი იმ გალიით სახლში უნდა გამეზარდა“.

გ. ელიავა მეგრულში **ქუფე** ტერმინსაც ადასტურებს, როგორც „ფრინველის, ცხოველის დასამწყვდევე გალიას“; ქოთომი ქუფეს დოზვილით „ქათამი გალიაში დაამწყვდიეთ“ (ელიავა) (შდრ.: **ქუფე** (მეგრ.) „ურმის ჩელტები სიმინდის ჩასაყრელად“ (ჭარ.); „თევზის დასაქერი ერთგვარი მოწნული მახე“).

4.2. შინაურ ფრინველთა მოხმობა-გადენასთან დაკავშირებული ლექსიკა

ადამიანის ურთიერთობამ ფრინველთა სამყაროსთან განაპირობა მათთან თავისებური „ენობრივი კავშირ-ურთიერთობის“ დამყარების აუცილებლობა. ადამიანის მეტყველებაში გაჩნდა და დამკვიდრდა ფრინველებისადმი მისამართავი ბგერითი კომპლექსები და სიტყვები.

ა. შანიძის განმარტებით, ბგერა, ბგერათა კომპლექსი ან სიტყვა, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი იმ განცდისა, წარმოადგენს შორისდებულს (შანიძე, 1973).

სამეცნიერო ლიტერატურაში შინაარსის მიხედვით შორისდებულების შემდეგი ძირითადი ჯგუფებია გამოყოფილი: 1. ემოციური შორისდებული (ამა თუ იმ გრძნობის გამომხატველი); 2. იმპერატიული შორისდებული (მოუბრის ნება-სურვილის ამსახველი); 3. ფიცილის, ალერსისა და სხვათა გამომხატველი შორისდებულები. თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ქვეჯგუფად (გაჩეჩილაძე, 1979).

ჩვენს შემთხვევაში ფრინველთა მისამართი შორისდებულები განეკუთვნება იმპერატიულ შორისდებულთა ჯგუფს. ფრინველთა მიმართ შორისდებულები გამოიყენება ფრინველთა მოხმობის, გაგდების (გარეკვის), დაფრთხობის მიზნით.

ქართული ენის დიალექტების მსგავსად, მეგრულ-ლაზურ-

ში ფრინველთა მიმართ გამოყენებული შორისდებულების დიდი მრავალფეროვნებაა. შეიძლება გამოიყოს ფრინველთა მოსახმობი, გადენისა და დაფრთხობის გამომხატველ შორისდებულთა ჯგუფები:

ა) ფრინველთა მოსახმობი შორისდებულები.

სამეგრელოში შინაურ ფრინველებს შემდეგნაირად მოუხმობენ:

ინდაურს: **ჭუი-ჭუი; ჭუკა-ჭუკა; ჭუკ-ჭუკ; კურ-კურ; კოუ-კოუ;** (შდრ.: პიი-პიი; ინდო-ინდო (ქიზ.); ჭუკი-ჭუკი; ჭუკრრ; კური-კური; ბიო-ბიო (ქართლ.); ქულა-ქულა (იმერ.);

ინგს: **ბიო-ბიო; ვიტ-ვიტ; ვიტი-ვიტი; ვატა-ვატა** (შდრ.: სოი-სოი (გურ.); ბატთ გადენის ხმა (საბა); ბული-ბული (ინგ.); უტ-უტ (ქართ.);

ბატებს: **დოი-დოი** (შდრ.: ბილი-ბილი; დოი-დოი; სოი-სოი (იმერ.); ბული-ბული (ინგ.; ქართლ.); სოი-სოი; ყუტი-ყუტი (რაჭ.);

ქათმებს: **დრუ-დრუ; ბდრუ-ბდრუ; მოიჭან-მოიჭან; მეუჭან-მეუჭან; მეიჭან-მეიჭან; მოუჭან-მოუჭან.** მეგრულში ამ შორისდებულების გამოყენებით ქათმებს უხმობენ დასაბურებლად, ხოლო დასაბუდებლად დადასტურებულა **ოკარ-ოკარ;**

წიწილებს: **წიბ-წიბ; ჭი-ჭი-ჭი; წიბე-წიბე; წიბა-წიბა** (შდრ.: მოჭის-მოჭის; ბუდრააშ-ბუდრააშ; ჯიჭი-ჯიჭი, ჯუჯუ-ჯუჯუ (გურ.); რრრჟუუ-წიიწი-წიიწი; დია-დია; რრუ-რრუუ; ჯიჩ-ჯიჩ; მეეჩი-მეეჩი; ჯიჯ-ჯიჯ (იმერ.); ჯია-ჯია; ჭიჭ-ჭიჭ; ქიჩ-ქიჩ; ბუდა-ბუდა (რაჭ.); წიქა-წიქა-წიქრრრ; ჯუგრაახ-ჯუგრაახ; წია-წია; წიკა-წიკა (ქართ.); წიგო-წიგო; ჯუჯი-ჯუჯი; ჯუჯუ-ჯუჯუ; ქეჩი-ქეჩი; ჯუჭუ-ჯუჭუ (ქიზ.); კიტ-კიტ (ინგ.); წიკა-წიკა (მთ.); ჯუჯუ (საბა).

ლაზები შინაურ ფრინველებს უხმობენ შემდეგნაირად:

ბატებს: **ბილი-ბილი; კოუ-კოუ;** ინგებს: **ვიტ-ვიტ;** ქათმებს: **ფრიე-ფრიე; ბრიე-ბრიე; ჯუ-ჯუ; დრუ-დრუ;** წიწილებს: **ჭუჭუ-ჭუჭუ; ჯიჭი-ჯიჭი; წიბი-წიბი; წიბა-წიბა.**

წარმოდგენილი მასალაც ცხადყოფს, რომ შინაურ ფრინველთა მოსახმობ შორისდებულებს ახასიათებს განმეორებადობა (ზოგჯერ მრავალგზისი).

ბ) ფრინველთა გადენის აღმნიშვნელი შორისდებულები:

ზანურში ფრინველთა გასადენი შორისდებულების სიმცირეა. მეგრულში ამ მიზნით დადასტურებულია შორისდებულები შიო, ხოლო ლაზურში ქშა, ქშია, აქშია (შდრ.: გადაროქშ; კუტა (ქართლ.); ჰაქში (გურ.); აქში (რაჭ.); ქში-ქში (საბა; ნ. ჩუბ.); ჰაქშა (ქიზ.); საი-საი (ქიზ.; საბა).

გ) ფრინველთა დასაფრთხობი შორისდებულები:

ამ ჯგუფის შორისდებულები ძირითადად გამოყენებულია გარეულ მტაცებელ ფრინველთა მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტესწილად ჰირს ადამიანის მიერ გამოცემული ფრინველთა დასაფრთხობი ბგერათკომპლექსების (შორისდებულების) ფონემების (გრაფემების) მეშვეობით წარმოჩენა. მაგ.: მტაცებელ ფრინველებს (ძერა, ქორი) აფრთხობენ ჰეა-ჰეა; ეჰა-ეჰა; ეჰ-აჰ-აჰაა; ჰაი-ჰაი; ჰა-ჰა-ჰა და მსგავსი შორისდებულების შეძახილებით (შდრ.: არი-არი (რაჭ.).

4.3. შინაურ ფრინველთა გამრავლების აღმნიშვნელი ლექსიკა

მამალ ქათამს არჩევენ საჯიშედ, ასეთ მამალ ქათამს მეგრულში ეძახიან **საორინჯო, ორენჯი, დარენჯი, დარინაფალო** და **სამუმულე**-ს; ლაზურში კი-**ოხორიშ მამული**-ს („სახლის მამალი“): ჩე მუმული დარინაფალო მოკო „თეთრი მამალი საჯიშედ (საყოლად) მინდა“; ოხორი მამული ხვალა ართ უონან „სახლის მამალი (საჯიშე მამალი) მხოლოდ ერთი ჰყავთ (შდრ.: **საყოლი** (გურ.; მთ.; აჭარ.) „სანაშენე საქონელი, შინაური პირუტყვი საერთოდ“ (აღ.დღ.; ლ.კაიშ.); „შინაური ცხოველი, ფრინველი“ (ნიე.); **სახლისმამალი** (გურ.) „საჯიშედ დატოვებული საუკეთესო მამალი“ (გ.შარ.); **სანჩხე** (იმერ.) „სათესური,

მოსაშენებლად გაშვებული საქონელი, ფრინველი“ (ბერ.).

ფრინველები მრავლდება კვერცხით. „კვერცხს“ მეგრულ-ლაზურში ჰქვია **მარქვალი**||**მაქვალი** (ყიფშიძე, 1914; მარი, 1910). მეგრულში **მარქვალი** ერთეული დღეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშია შემორჩენილი. მის ადგილს იკავებს ქართულიდან შემოსული **კვერცხი** ტერმინი.

ფრინველთა „პეპლვას“ მეგრულში **ჩიჩუა** ჰქვია. დედლის მიერ უმამლოდ დადებულ კვერცხს მეგრულში **უჩიჩ კვერცხის**, **უმუმულ კვერცხის**-ს („დაუმამლაჲ კვერცხს“) ეძახიან (შდრ.: **ნაფუტკი**||**ნაფუტკნი**, **ნაფუტკარი** (მოხ.; ქიზ.; ფშ.) „უმამლოდ დადებული კვერცხი“ (ს.მენტ.; თ.რაზ.; ი.ჰყ.).

საბუღარში შინაურ ფრინველს მისაჩვევად კვერცხს დაუდებენ, რომელსაც მეგრულში **ჭალი** კვერცხი ჰქვია. მარტვილურში ამავე მნიშვნელობითაა დადასტურებული ასევე **რძიალი**||**რზიალი** ტერმინი (შდრ.: **მძევალი** (გურ.) „ბუდეში დატოვებული კვერცხი“ (ს.ჟღ.). საბუღარში მძევლად დადებულ კვერცხს ლაზურში **ონწიაფუ**-ს ეძახიან. ნ.მარი „მძევალი“ კვერცხის სემანტიკით ადასტურებს **კიძოლი**||**კუძოლი** ტერმინს.

სამეგრელოში ძველ, გაწყალებულ, გაფუჭებულ კვერცხს **ტყვებე**, **ტყვაბა**, **ტყვაბაია**, **ტყვაბრა**-ს ეძახიან (შდრ.: **ნატყვეპარა**, **ნატყვობარა** (გურ.) „დასისული კვერცხი“; (რაჭ.) „ლაყე, ნაკრუხალი კვერცხი“ (ვ.ბერ.). ლაზურში გაფუჭებულ, გალაყებულ კვერცხზე იტყვიან: „**მაქვალი დონდღვაბენი**“-ა.

კვერცხის ნაჭუჭს მეგრულში **ჩვერჩვი**, **ნოხი** ჰქვია. ლაზურში კვერცხის ნაჭუჭია **ხეჭება**. ლაზი მთქმელების განმარტებით: **მაქვალი ხჩე რენ**, **ჭიტა დოგინძურა რენ** (მურგვალი) — **ხეჭება ხჩე ულუნ**, **დოლოხე გური საი რენ**, **ცილი ხჩე ულუნ**. **ცილი წკაისთეი რენ** „კვერცხი თეთრი ფერისაა, ცოტა (ოდნავ) წაგრძელებულია (მრგვალი). ნაჭუჭი თეთრი ფერის აქვს, შიგნით გული ყვითელი ფერისაა, ცილა — თეთრი აქვს,

ცილა წყალივით არის“.

შინაური ფრინველის კვერცხის დების დაწყებას სამეგრელოში **მოჭყავა** ჰქვია (შდრ.: **მოწყება** (ლენხ.) „ქათამმა (დედალმა) კვერცხის დება მოიწყო“ (მ.ალავ.); **მოჩეიწყებს** (იმერ.) „კვერცხს შეიწყებს“ (პ.გაჩ.).

კვერცხის დება არის **სქულა||სკულა**, ზოგჯერ იტყვიან **დოდვალა**, **გედვალასაც** („დადება“): ქოთომქ კვერცხი ქოს-ქუ||ქუდოდუ „ქათამმა კვერცხი დადო“; ღორღონს დო კვატას წყარპის უჩქუნა კვერცხიმ ეკოდვალა „ბატსა და იხვს წყლის პირას სჩვევიათ კვერცხის დადება“; ლაზურში კვერცხის დებას **ოსქუ**-ს ეძახიან: ქოთუმეშენი ჰენ კაი ლაზუტი იენ, მაქვალი დიდო სქუფს (ბსკიდა) „ქათმისათვის სიმინდი კარგია, ბევრ კვერცხს დადება“.

ლაზურში **ქამეტკოჩუია** იტყვიან, როცა ქათამი შეწყვეტს კვერცხის დებას. **გამასქვეი მარქვალის**-ს (პაწაწინა კვერცხი, რომელსაც ქათამი კვერცხის მოლევისას დებს, მამლიკვერცხი) დადების შემდეგ **ქოთუმე დიმონჭვენ** („ქათამი მოკრუხდება“): მარქვალი ოსქუმენა ქამეჭკვიდას, მონჭვა იყვენ „კვერცხის დებას რომ შეწყვეტს, კრუხი იქნება“.

კრუხს ბუდეში ჩაუდებენ 21 კვერცხს და გიოხუნუნან („დასვამენ“). კრუხი ერთი თვის განმავლობაში **გეხე** („ზის“) კვერცხებზე. კვერცხებზე მჯდომი კრუხი კვერცხებს აბრუნებს, რასაც მეგრულში **რთინაფა**-ს, ლაზურში კი — **ოქთაფს** ეძახიან: მონჭვაქ კიბიითე მარქვალი ოქთაფს (ბსკიდა) „კრუხმა ნისკარტით კვერცხი აბრუნოს“.

დღევამოშვებით დიასახლისი კრუხს **გალინუანს** („გაასეირნებს, გაარონიებს“). კვერცხს 15 დღის შემდეგ **ლანდუნა** („დალანდავენ“), ანუ კვერცხს სინათლეზე შეამოწმებენ, ლაყე არის თუ არა (შდრ.: **დალანდავს** (იმერ.) „კვერცხს დალანდავს, კვერცხს სინათლეზე გახედავს იმის გასაგებად, ვარგა თუ არა საწიწილედ“ (პ.გაჩ.).

კრუხი ერთი თვის განმავლობაში ზის კვერცხებზე. კვერცხებიდან წიწილების გამოყვანას **გუმოცონაფა, გიშაცონაფა** („გამოყვანა“) ჰქვია. მეგრულში **ცხაკუა** ჰქვია ნისკარტის ჩაცემას, ანუ წიწილი კვერცხის ნაჭუჭს ნისკარტს ჩასცემს და გარეთ გამოვა.

ლაზურში **ნუცხანკუ, გამახთიმუ**-ს იტყვიან წიწილის კვერცხიდან გამოსვლაზე: ჭუჭული გამახთიმეს ხეჭებაზე. ჭუჭულიქ ნუცხანკაფეს დო გამულუნ (ბსკიდა) „ჭუჭული გამოვიდა კვერცხის ნაჭუჭიდან. წიწილმა ნისკარტი ჩაჰკრა და გამოვიდა“. ასევე, **გამაწილუფს** არის „გამოყვანა“: კაი მონჭვაქ მთელი გამაწილუფს „კარგმა კრუხმა ყველა გამოიყვანა (გამოჩეკა)“

ახალგამოჩეკილ წიწილის კვერცხის გულით დაპურებას მეგრულში **დალეცირება** ჰქვია.

თუ ვინიცობაა და კრუხი ცუდი გამოდგა, ის კვერცხებს აცივებს, რასაც მეგრულში **რგილაფა** ჰქვია. შეიძლება რამდენიმე ქათამმა ერთდროულად „მოიკრუხოს“. ამ დროს საჭიროზე მეტს **ადადულენა** („ადედლებენ“). **მოსადადულებელ მონჭვა**-ს („მოსადედლებელ კრუხს“) დაამწყვდევენ რამდენიმე დღით. 1-2 დღე არაფერს აჭმევენ, წყლის გარდა, მერე კი ბლომად საკენკს დაუყრიან. მოდედლებული ქათამი ცოტა ხანში ისევ იწყებს კვერცხის დებას. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: როდესაც ქათამი კრუხად არ ჯდება, მას ძალით დასვამენ საბუდარში (სადაც მძევალი დევს), სანამ არ შეეჩვევა, კვერცხებს არ ჩაულაგებენ.

კრუხის მოდედლებას ლაზურში **მონჭვაში მოქითუ**-ს ეძახიან, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „კრუხის მობრუნებას, მოქცევას“: მონჭვა ვა მინონნა ქამოოქთაფთ, წკაის ვოშოლაფთ, ელო ხვალა ქომოლოოხუნაფთ „როდესაც კრუხის მობრუნება გვინდა, წყლით დავასველებთ (ქათამს) და მარტო დავამწყვდევთ“.

ლაზი მთქმელები ირწმუნებიან, რომ: უმქესეის დო საპა-

ტონის მონქვა გეხუნე კაი რენ, კაი გამაწილუფს ჭუჭულეფე დო ემუშენი (ბსკიდა) „პარასკევსა და შაბათს კრუხის კვერცხებზე დასმა კარგია, რადგანაც წიწილებს კარგად გამოიყვანს“.

4.4. შინაურ ფრინველთა ავადმყოფობის სახელები

შინაურ ფრინველებს სხვადასხვა ავადმყოფობა უჩნდება. თითოეული ავადმყოფობის აღსანიშნავად ენას სპეციალური ლექსიკური ერთეული მოეპოვება.

სამეგრელოში ცნობილია ქათმის ავადმყოფობები: **ივანია**, **ჭირი**, **მაწკინტილაია**, **ფარალათი**, **ცხირტუ||წყვრტუ**, **წყვტ**. დაავადებული ფრინველი სხვებისაგან გამოირჩევა ერთგვარი მობუზულობით, მეგრულში ავადმყოფი ფრინველის მობუზვას **ფიჯვინი**-ს ეძახიან.

ივანია „ქათმის ავადმყოფობა, ქათმის ჭირი“ (ყიფშ.; ჭარ.; ელიავა). მთქმელების განმარტებით, **ივანია**-თი („ჭირი“-თ) დაავადებული ქათამი სხვებისაგან გამოირჩევა უმაღობით, **წკინტილი**-ს („განავალი“) ფერის ცვლილებით და, რაც მთავარია, მას **თიკი** („თვერი, ბიბილო“) უშავდება: ქოთომეფი ივანიაქ გომიჭყვიდღე „ქათმები ივანიაქ (ჭირმა) გამიწყვიტა“.

ივანია ტერმინი მეგრულში ხშირად არის გამოყენებული წყევლის ფორმულებში: ღორონთ დო მარდიანი, ივანიაქ გორსირუა „ღმერთო დიდებულო, ივანიაქ (ჭირმა) გაგჟლიტოსო“.

მეგრულში **ივანია**-ს პარალელურად დასტურდება ქართულიდან შემოსული **ჭირი** ერთეული: ქოთომშა ჭირიშ წამალი მაფუ ოჩამალი „ქათმისათვის ჭირის წამალი მაქვს საჭმელი“.

მაწკინტილაია-თი დაავადებულ ქათმებს **სკინტილი** (შდრ.: მეგრ. **წკინტილი** „ფრინველის განავალი“) თხელი და მოთეთრო ფერისა აქვთ, რომელიც უკანალზე ახმებათ: მაწკინტილაია ოჭირუ ქოთომს დო ირო მოტყაპურელი რე „მაწკინტალაია აქვს ქათამს და ყოველთვის მოსვრილი დადის“.

ფარალათი (შდრ.: ქართ. **ფალარათი** „ეუჭის აშლილობა“ (ყიფშ.; ელიავა). მთქმელების განმარტებით, ფალარათით ავადდება 6-7 თვის ასაკის წიწილები, რომელთაც სკინტლი თეთრი ფერისა აქვთ.

მეგრულში წიწილების ერთგვარ დაავადებას **ცხირ-ტუ||ცხირტაფი** ჰქვია.

ქათამი ზოგჯერ პირს აღებს, გამალებით სვამს წყალს, ამ დროს ის დაავადებულია **წყვტგ||წყვტგ**-თი: ქოთომეფს წყვტგქ ქალოლ დო წყვტგშ წამალი ოკო ქოფჩე „ქათმებს წყვტგ დაემართა და წყვტგ-ს წამალი უნდა ვასვა“.

მთქმელების განმარტებით, ფრინველისათვის (მაგ: ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური) მომაკვდინებელია **ტი** („ტილი“): ფრინველს ვარენო ტიქ ქოუციუდა, არძაშ უნწარაში რე,ხელათ ხუჯიშა ქალუხობუნს დო დოჰვილუნს „ფრინველს ტილი თუ დაესია,ყველაზე ცუდია, უცებ ყურში ჩაუძვრება და მოკლავს“. ტილი შეიძლება გაჩნდეს **ოკარიეშიც** („საქათმეში“). ტილის მოსაცილებლად საქათმეში კირს ყრიან.

ინდაურებისათვის დამახასიათებელია **დუდიშ რღვაფა**. **დუდიშ რღვაფა||ღვაფა** (სიტყვას. „თავის ყრა, თავის ყვლე-ფა“) ყველა ინდაურს აქვს. ეს ემართებათ ჭუჭყულობის ასაკში, თავზე ბუმბული სცვივით. ამ დროს ფრინველებს თავი უწით-ლდებათ და მაღალი სიცხე აქვთ. **დუდიშ რღვაფა**-ს დროს ინდაურის ჭუკებს თავზე ღორის ან ძროხის უმარილო ქონს წაუსვამენ. **დუდიშ რღვაფა**-ს დროს შეიძლება ინდაურებმა ერთმანეთიც დაკორტონ (შდრ.: **თავის ხოტვრა** (იმერ.) „ინდაურის ჭუკების თავის ბუმბულის ცვივნა; ხდება გამოჩეკიდან თვენახევარი, ორი თვის ასაკში. ამ დროს ჭუკები ერთმანეთს კორტნიან თავში, ზოგჯერ სისხლსაც კი ადენენ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თითქოს ასე უნდა იყოს უთუოდ“ (პ.გაჩ.).

სამეგრელოში ფრინველის ნაწლავის დაავადებას **ხოლე-**

რაქოლერა ჰქვია (შდრ.: **ხოლერა** „კუქ-ნაწლავის მწვავე გადამდები დაავადება“ (ქეგლი).

ლაზი მთქმელები აცხადებენ, რომ იციან **ქოთუმეში ძაბუნობა** („ქათმის ავადმყოფობა“), მაგრამ მათგან ჩვენთვის მხოლოდ ორი ტერმინი გახდა ცნობილი: **ხრიაპა** და **ჩიტილი**.

ხრიაპა „ფრინველის ყელის ავადმყოფობაა, ქათმის ხველა“: გურჯეფე ხოლო ხრიაპა უწუმელან „ქართველები კიდევ ხრიაპას ეძახიან“ (შდრ.: **თხიაპაჟ** (გურ.; ლეჩხ.; იმერ.) „ქათმის წიწილის ავადმყოფობა“ (ვ. ბერ.; ა. ღლ.; მ. ალაფ.); **ხიაპაჟ** (გურ.) „ქათმის წიწილის ყელის ავადმყოფობა“ (ს. ჟლ.).

ჩიტილი-ც „ყელის დაავადებას“ ჰქვია: ზამანის ჩიტილით ზაბუნეტუ ქოთუმე „ძველად ჩიტილით ავადდებოდა ქათამი“. მთქმელების განმარტებით, წიწილებს გაცივების შემდეგ უჩინდებათ ყელის დაავადება — **ჩიტილი**.

§5 შინაურ ფრინველთა მოქმედება-მოძრაობის გამონატვა მეგრულ-ლაზურში

მეგრულში ფრინველის მიერ ნისკარტით საკენკის აკენკვას **კიკონი|კკკონი** ჰქვია. ასევე, საკვების მოპოვების მიზნით ფრინველი **ბუცხანს, ჩხირკანს, ცხიკონუნს** (ფეხებით). ფრინველებმა ერთმანეთში ჩხუბი იციან, განსაკუთრებით მამლებმა. მამლების ჩხუბს მეგრულში **ძიძიკი, თიკინი** ჰქვია (შდრ.: **ძიძგილი** (ქართლ.; ქიზ.) „მამლების ან ქათმების ჩხუბი“ (კირიონი; ს.მენტ.).

მეგრულში **ცვაგუა, ჩვაგუა** არის კრუხის მიერ წიწლების ან სხვა ფრინველების დანისკარტება. ფრინველი ზოგჯერ აიფხორება, რასაც მეგრულში ჰქვია **ფოფორი, ბუძორი, სუაშ ფაჩუა**.

მეგრულში **გვეჯინი** არის კვერცხისმდებელი ქათმის წრიალი. კრუხის მიერ წიწილების ფრთის ქვეშ დაბუდებას **ათოჯურშუა, ათოჯონუა**-ს ეძახიან, ხოლო შებინდებისას შინაური ფრინველის დაბუდებას — **ცურჩუა, ცურშუა, ყურჩუა, ცონუა**-ს. მთქმელები **ცონუა** და **ცურშუა** ლექსემებს სემანტიკურად ერთმანეთისაგან ასხვავებენ: **ცურშუა**-ს იტყვიან მაშინ, როდესაც ფრინველი ღამე საქათმეში (resp. ფრინველთათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში) იბუდებს, ხოლო **ცონუა**-ს — როდესაც ფრინველი ხეზე ჩამომჯდარი დაიბუდებს: ქოთომქვას ქიგლეცონუ „ქათამმა ხეზე დაიბუდა“; ქოთომეფი ოკარიეს ცურშუნა „ქათმები საქათმეში ბუდობენ“

ლაზურში საკენკის აკენკვას **ჩხინკოლი** ჰქვია. ფრინველთა ჩხუბზე იტყვიან **ოკაკიდეს**-ო. ქათმის მიერ ფრთების შეფერთხვას **ფართხალ**-ს ეძახიან, ფრენას — **ოფუთხინუ**-ს. მივიწყებას არის მიცემული **ოკომოთე** ტერმინი, რომელსაც ეძახიან „წიწილების თავმოყრას კრუხის ფრთის ქვეშ“: დიძგილიე ჰუჭულეფექ ოკომოთე გიოჰკაფან „სალამოს წიწილები იწყებენ თავმოყრას კრუხის ფრთის ქვეშ“.

56. ფრინველებზე ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები მეგრულ-ლაზურში

ქართველი ხალხი ოდითვანვე მისდევდა ნადირობას, რასაც მოწმობს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები თუ ხალხური გადმოცემები. შესაბამისად, ნადირობის რიტუალური წეს-ჩვეულებები ქართველურ ტომებში ჩამოყალიბებულა ჭერ კიდევ ადრეულ პერიოდშივე და შესაბამისი ასახვაც უპოვია ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა და ენობრივ ცნობიერებაში.

მეგრულში „ნადირობას“ **ჯინა**, **ნადირუა** ჰქვია, „სანადიროდ წასვლას“ — **ონადირუშა ულა**, **ოჯინუშა ულა**. „მონადირეს“ **მონადირე კოჩი**, **მაჯინე**, **მენაველე**-ს ეძახიან. მონადირის აუცილებელი ატრიბუტებია **თოფი**, **ჭაყვა** („დანა“), **ფალასკა** („სარტყელი, სადაც ტყვიას იღებენ“), **ობოხუა** („სპეციალური სანადირო ჩექმა“), **ლაბადა** („საწვიმარი, მოსასხამი“), **ჩახვია** („ჩანთა ნანადირევისათვის“), **ლაგუჯი** („გუდა, წყალგაუმტარი ჩანთა საგზლისათვის“).

ლაზურში „მონადირეს“ **ავჯი|აბჯი** ჰქვია, „ნადირობას“ კი **ავჯობა|აბჯობა**-ს ეძახიან. მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზურში ფრინველებზე და ცხოველებზე ნადირობა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულითაა გამოხატული. ლაზურში ფრინველებზე ნადირობას **კუშლუღი**, **საძადი**-ს ეძახიან.

მთქმელების განმარტებით, მონადირისათვის აუცილებელია კარგი **ტუფელი**-სა („თოფი“) და **ხეგბე**-ს („ჩანთა“ ნანადირევისათვის) ქონა. **ხეგბეს** მნიშვნელობითაა დადასტურებული **ცანცა** („წაბლის ხის ქერქისგან დამზადებული ჩანთა“) ტერმინი.

ფრინველებზე სანადირო იარაღებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახის მახეს. ეთნოგრაფიული აღწერებისა თუ ჩვენ მიერ ველზე მოძიებული მასალების მიხედვით მეგრულსა და ლაზურში დადასტურებულია ფრინველთა დასაჭერი მახის აღმნიშვნელი რამდენიმე ლექსიკური ერთეუ-

ლი. ესენია:

მეგრული: რაგვი||რაგი, სარეგავი, საციცეშ რაგი||საციცე(შ) რაგი|| საციცეშ რაგი||საციცე რაგი, სხაპი, ძუა, მაყურყა||მაყურუა||მარყუჟი||მაყრუჟი, ცხირი||გეცხირილი, აშ-რიალა, დიდ ბადე, ჟირფა ბადე, ართკეცი|| არკეცი||ანტკეცი||ანკესი||ანკეცი.

ლაზური: რაგი, ციცი, ცხაპი, ირეკი||ირენჩქა||ერენ-ჯი||ერერენჯი, წაშ|| წარი||წა(რ)ი, შირმა||შიმა, ოკვინჩე, ქან-დარა, ქოხი, მოსა, მანთა, მოსა-მანთა, თენტა, ჩერგა, ნეძერი, სინდომი.

ზანურში ფრინველთა დასაქვრი მახის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა რაგვი||რაგი („მახე“) ტერმინით არის დადასტურებული. რაგვი-ს გასამართავად ხეს შუაზე გაჩეხავენ და ერთ ნახევარს მალლა ააყუდებენ. ნაპობი პირით მიწისკენ უნდა იყოს. მას შიგნით სალასი აქვს შედგმული (სალასი — „ერთგვარი პატარა ჯოხი“). ჩიტი თვითონ მოშლის „სალასს“ და ხე თავზე დაეცემა (წალენჯ.);

სხვა ვერსიით, რაგვს ამზადებენ ფართო ფიცრისაგან, ფიცარს ქვეშ ბიგად კენტის („ჯოხს“) შეუყენებდნენ, ჯოხზე კი ბაწარია მიბმული. როდესაც ჩიტი შეფრინდება ფიცრის ქვეშ, ბაწარს მოსწევენ, ჯოხი გამოვარდება და ფიცარი ზედ დაეცემა ჩიტს (ხობი; ზუგდ.; ოჩამჩ.). რაგვი უმთავრესად გამოყენებულია პატარა ჩიტების დასაქვრად.

ლაზურ ეთნოგრაფიულ მასალაში მოყვანილია რაგი-ს გამართვის შემდეგი წესი: „აიღებდნენ ფიცრისაგან გაკეთებულ მრგვალ თაბალი-ს (შდრ.: მეგრ.: ნისორი „გობი“), რომელსაც ლაზები სკამზე დადებენ და მაგიდადაც ხმარობენ. თაბალი ფორმით ნახევრად ჩაზნექილია ისე, რომ ქვეშ მომწყვდელი ჩიტი უვნებელი რჩება. თოვლისაგან გაწმენდილ მიწაზე დადებული თაბალის ერთი მხარე პატარა ჯოხის დაბიძგებით მიწიდან 20-25 სმ-ით აწეული რჩება. ჯოხზე მიბმულია თეთრი ბაწარი“ (ვანილიში, თანდილავა, 1964) (შდრ.: ლაზ.: რაგი. მთუ-

თიშ რაგი „დათვის მახე“; მთუგიშ რაგი „თაგვის მახე“ (მარი, 1910).

მეგრულში მახის სახეობად დადასტურებულია აგრეთვე **საციცე(შ) რაგი**. მთქმელების განმარტებით, ამ მახის გასამართავად საჭიროა ყოველ 2-3 სმ-ში ამოღრუტნული ფიცარი. ამ ფიცარზე ზედ საჭმელს მოაბნევენ. მოტყუებული ჩიტი დაფრინდება ფიცარზე და ფეხით ჩამოეკიდება (ხობი) (შდრ.: მეგრულის სალექსიკონო მასალაში **საციცი** განმარტებულია, როგორც „კაკანათის ნაწილი“ (კილანავა, 1998); „კაკანათის სასხლეტი“ (ფიფია, 1999).

ლაზურში მთქმელები მახის აღმნიშვნელ **ციცი** ლექსიკურ ერთეულსაც ასახელებენ: ციცის რაგი ვუწუმეთ, ჭკადეი რენ სუმ რეიკათენ, ყინდოლე კეტი ულუნ, გდაი გეობლაფტით, გდაიშა გეხთატუში კეტი გმატეტუ დო ქონიჭოფეტუ „ციცის მახეს ვეძახით, სამი ფიცრისგან არის დაჰედლი, ზევით ჯონხი აქვს, საჭმელს დაფუყრით, საჭმელზე რომ დახტება, ჯონხი გამოვარდება და იქ ჩამოეკიდება“.

სხვა ვერსიით, **ციცი** („მახე“) შემდეგნაირად არის აღწერილი: ბოჭკაში ონდეთ მორგვალი ქარა უწუმელან, ინა ქარას მოსას ქოფშუნდით, ჯას ქოგონოუბდით დო გდაის დაფუყრდით „კასრის მრგვალ ნაწილს ქარას ეძახიან, იმ ქარაზე ბადეს შემოვაქსოვდით, ხეზე დაკვიდებდით და საჭმელს დაფუყრდით“. ამ წესით გამართულ მახეს ხეზე ჩამოეკიდებდნენ, მიმალული კაცი თოკს გადაჭრიდა და ციცის რაგი ჩიტს თავზე დაეცემოდა და იქვე მოამწყვდევდა.

ფრინველთა დასაჭერი მახის ერთ-ერთი სახეობაა **სხაპი**: **სხაპი** მოლულა კეტი რე, შპაკატის ქუმკუბუნუნანდეს, დაკინალს ქოლოლანდეს, ჩიტი ქიგლადოხოლუნ, შპაკატის განკუკუნანდით დო კუჩხის ქინკიჭოფანდ იშო „სხაპი მოლუნული ჯონხია, ბაწარს გამოვწევდით, დასაწევს გავუკეთებდით, ჩიტი რომ დააჯდება, ბაწარს გამოვწევთ და ფეხით ჩამოეკიდებოდა

იქ“ (წალენჯ.); სხაპის გედგუნა, ლობილი რე კუნოშნერო „სხაპს დგამენ, მოწნულია კუნოს მსგავსად“ (ფოთი). მეგრულში **სხაპი** ლექსემის არსებობას ადასტურებს ი.ყიფშიძე, ოღონდ მას **სხაპუა** („ცეკვა, ხტომა“) სიტყვის ბოლოს განმარტების გარეშე აქვს მიწერილი **სხაპი** და ამ ლექსიკურ ერთეულს აგზავნის **რაგვი** ერთეულზე, რაც „მახეს“ ნიშნავს (შდრ.: **სხაპი** (გურ.) „ფრინველების საჭერი ძუის მახე“ (ე.ნინ.; თ.კიკვ.); „მახე, მსხვილი მკედის ძაფით გამართული“ (გ.შარაშ.); „ჩიტის მახე“ (ს.ჟღ.); „მახე, ხაფანგი“ (ალ.ლღ.). მეგრულის სალექსიკონო მასალის ფონდში **სხაპი** ტერმინი ბ.ჭირიას განმარტებული აქვს, როგორც „ჩხიკვის დასაჭერი ხაფანგი“.

ლაზი მონადირეები ლაჭო-ს („ლაჟო“) **ირეკი**||**ირენჩქა**-ს საშუალებით იჭერენ. მთქმელთა განმარტებით, **ირეკი** აუცილებლად ხურმის ხის ტანისაგან უნდა იქნეს დამზადებული: ხურმას ერთ ადგილას ერთი ზომის, ერთნაირი ტოტები აქვს. ამ ადგილს მოაჭრიან ხეს, ქობს გაუკეთებენ ქვემოთ, ერთ ტოტს მოლუნავენ და დაამაგრებენ ძაფით. საკენკს მოლუნული ტოტის ქვეშ დაყრიან. როგორც კი ჩიტი საკენკის ასაკენკად დაფრინდება, მოლუნული ტოტი მაშინვე აიტაცებს და იქვე ჩამოჰკიდებს ფეხით (სარფი) (შდრ.: გურიის **მიწის სხაპი**, ირეკის მსგავსად, კომშის ნედლი ტოტისაგან კეთდება, რომლის მსხვილი ბოლო დატყეპნილ მიწაშია ჩასმული. ბიის მოლუნულ ტოტს, ანუ გარას, მეორე ბოლოზე მობმული აქვს ძაფი. ასე მოწყობილ მიწის სხაპს ლობეს უკეთებენ ისე, რომ მხოლოდ ერთი მხრიდან ჰქონდეს ჩიტს მისასვლელი გზა (რობაქიძე, 1949).

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მახის აღსანიშნავად დადასტურებულია: **ირენჭკა** (იმერ.; გურ.) „მახე ჩიტის“. ნ.ირენჭკა, ირანჭკა, ირანჯიკა (ბერ.; ძოწ.); **ერენჯიკა** (იმერ.; ლეჩხ.) „ილინჯა, ირენჭკა, რენჭკა, ლენჭკა — ჩიტების მახეა ერთგვარი“ (ბერ.; ჯაჯ.; ჩიქ.); **რენჭკა** (ქვ.იმერ.) „ჩიტის

მახე“. ი. მეგრელიძეს **ირენჯა||ირენჯკა**-ს დახასიათებისას შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „როდესაც ადამიანთა გუნდი, ჯგუფი კარგად მღერის და ვინმეს უნდა მიიღოს მონაწილეობა სიმღერაში, მაგრამ არ შეუძლია, მას ეტყვიან: სუ, ირენჯკასავით გვაქვს აწყობილიო“ (მეგრელიძე, 1938) (შდრ.: **ირეჰი** „მახე ხითა და თოკითა შემზადებული, რათა ფერჯითა მალლა შეჰკიდოს ნადირი“ (საბა).

ნ. მარს ლაზურის სალექსიკონო მასალაში მითითებული აქვს **ირეჰი** („ფრინველთ მახე, კაკანათი“), **ერენჯი** ფორმები და თან დასძენს, რომ ესმოდა **ერერენჯი** ფორმაც (მარი, 1910).

ს.ჟღენტის აღწერით, იმერული **ირენჯკა** და ლაზური **ირეჰი** („ჩიტის მახე“) ერთი და იგივეა.

პატარა ჩიტების (**კვინჩა**, **ბაღრე**, **გურმეჰვია**, **ზესკვი**) დასაჭერად ყველაზე მარტივი და თანაც პრაქტიკული ფრინველთსაჭერი საშუალებაა **ძუა**: **ძუას** გიოცხირანდეს ცხენიშ კუდელიშ თუმაშე „ძუას ცხრილავდნენ ცხენის კუდის თმისგან“ (წალენჯ.); ცხენის ძუას წნავდნენ, შემდეგ ერთ ბოლოს ბამბუკის ჯოხზე მიამაგრებენ. მეორე ბოლოზე, სადაც მარყუჟი იყო გაკეთებული, გამხმარ შტოებს წამოაცვამენ შენიღბვის მიზნით (ერგ.); ზოგიერთები ჯოხზე გამოაბამდნენ თოქს, მეორე ბოლოს პატარა რგოლად განასკვავდნენ, სწორედ იმ რგოლში ჩაუვარდებოდა ფეხი ან თავი ჩიტს. ასე გაწყობილ ძუას **მახირინაია სკვილი** ნიშნავს „ადვილად გასახსნელად შეკრულს“. **მახირინაია სკვილის** ანტონიმური ფორმაა **ცურუო სქვილი** — „ძნელად გასახსნელი“).

მთქმელებმა ძუის გამართვის კიდევ ერთი ვარიანტი შემოგვთავაზეს, მათი თქმით, „ნაყანარ ადგილას გადმოლუნავენ სიმინდის ღეროს, რომელსაც ფრინველის თავის სიმაღლეზე ძუას გაუკეთებენ და მაგაში გაებმებოდა იხვი, შაშვი, ტყის ქათამი“

(წალენჯ.; ოჩამჩხ.) (შდრ.: ცხენის ძუა (იმერ.) „ჩიტის მახე“).

ძუის მახე ლაზ მონადირეებშიც დასტურდება. ლაზები მას საგანგებოდ ამზადებენ ლაქოს დასაპერად **„ცხენიშ კუდელიშ ნწაითენ“** („ცხენის კუდისგან“). ძუა ლაზურში **ნწაძ** ტერმინით აღინიშნება: ცხენიშ კუდელიში ნწაითენ ხამანწა გამაკირუფან დო მთხირიშ ბიგას ნუკირაფან „ცხენის ძუას ხამანწას (შდრ.: ხამანწკა „ერთგვარი ბრტყელი ლოკოკინა“ (ქეგლ) გამოაბამენ და თხილის ჯოხზე დააკრავენ“.

ცხენის ნწაძ-ს („ძუას“) ფერის მიხედვით არჩევენ. სამეგრელოს მსგავსად, სარფშიც **ნწაძ-ს** გამართვის სხვადასხვა ხერხი დასტურდება: **ნწაძს** გუუკიაფტია ფიცაის, გიაფ ქოგეობლაფტით დო კუჩხეფეთენ ქონოკიდეტუ „ძუას დავაკრავდით ფიცარზე, საკმელს დაყვირდით და ფეხებით ჩამოეკიდებოდა ჩიტი“; **ნწაძ** — ძუა, ია მსიჯით, მზესკუს, ცანას ფჰოფუნტით, ბიგას ცხენიშ ნწაძთ ვიქიფთ კვინჩიშ ოჭოფინუტუ „ძუა-სუროთი შაშვს, გულწითელას ვიჰერდით, ჯოხზე ცხენის ძუას ვაკეთებდით ჩიტის დასაპერად“ (ბსკიდა).

ნ. მარს „ძუის“ აღსანიშნავად დამოწმებული აქვს **შინა** ლექსიკური ერთეულიც (მარი, 1910); ხოლო არნ. ჩიქობავას ჩაწერილ „ჭანურ ტექსტებში“ ერთმანეთის სინონიმადაა დადასტურებული **ცხენიშ კუდელი** („ცხენის კუდი“), **ცხენიშ წაძ||წა(რ)ი** („ძუა“) და **ცხენიშ შირმა||შიმა** („ძუა“) ფორმები: კინჩის ქანდარა გეუდგიმან, წაძ გჟუწიფხამთ, კოლი ნუკიდუმან, კინჩი ჰემუთი ჰოფუმან; ცხენიშ კუდელი შირმა||შიმა ულუნ. ცხენი შიმათე კინჩი იჰოფან. შირმა||შიმა არ ონ (ჩიქობავა, 1956) „ჩიტს ქანდარას დავუდგამთ. ძუას დავწნავდით, კალიას ჩამოვკიდებდით, ჩიტს იმით იჰერენ. ცხენის კუდს ძუა აქვს. ცხენის ძუით შეიძლება ჩიტი დაიჭირო. შირმა და შიმა ერთი და იგივეა“.

სამეგრელოში ჯოხზე გამობმულ „ძუას“ ეძახიან **მაყურყა||** **მაყურუა-ს** (ზუგდ.); **მაყრუფი-ს** (ფოთი). **მაყურყახ** გასამარ-

თავად ჯოხზე გამობმულ ძუას ყოველ ორ-სამ სმ-ში გამარყუყავენ. ძუას დააფრინდება ჩიტი, **მაყურყაში** ჩაუვარდება ფეხი და ჩამოეკიდება (შდრ.: **მაყურყა** (მეგრ.) „თოკი, რომლითაც იჭერენ ფრინველ-მხეცს“ (ბ. ქირია);

ძალზე ხშირია მახის გამართვა შემდეგი ხერხით: **ჩხანჭ**-ს („მოხრილი თხილის წნელი“) დაასობდნენ მიწაზე, ზევიდან დაიწყებდნენ თხილის ტოტებითვე ქსოვას და მიწაზე დააქსოვდნენ. შემდეგ ერთ ჯოხს მოღუნავენ და ძუას გამოაბამენ. ძუას გაჭიმავენ და როგორც კი გაჭიმულ ძუას ჩიტი შეეხება, ჯოხი გადაიზნინქება და ფრინველს შიგ მახეში ავდებს. ამ ხერხით გამართულ მახეს **გეცხირილი**||**გეცხგრილი** ჰქვია (ერგ.; ოჩამჩ.; ზუგდ.; ჯვარი; ხობი). ფოთელი მთქმელების განმარტებით: **გეცხირილი** რე თი სხაპი, ბაწარით. თინა კეტეფით ოკო დოლოზე ჭაობის, ათაქ გეშკუ კეტი. თე კეტის ათაქ გოძუ თუდო კეტი დო ათაქ კულუძუ დო გეკოფილი აფუ, გეზინდილი აფუ გიმე. კვატა უი ხო ვეგნოსხაპუნს, ალაყუნუ, ალაყუნუ დო გითაულარს გორუნს ირო, ათე ინაშა კუჩხი ქუმუხვადუ ოდო კაკრას კისერი ხოლო თექ ინოძ, კუჩხ ქუმუხვადუნ ი კეტი გიმე ქუითოლოუ, ენა ავრე ეშე მოსოფუნს კისერს „გეცხირილი არის სხაპი. ის ჭაობში ჯოხებისგან უნდა დაწნა, აქ დასობილია ჯოხი. ამ ჯოხზე ქვევით გადებულია ჯოხი და მარყუყი არის გაკეთებული. ამაზე გაჭიმული არის ჯოხი. მარყუყი ჯოხზეა გაყრილი და დამაგრებული. იხვი ზევით ხომ არ გადახტება, ჩამოჰყვება, ჩამოჰყვება და ყოველთვის ეძებს გასასვლელს. ამაზე ფეხი მოუხვდება და კისერიც მანდ არის. ფეხი რომ მოუხვდება, ის ჯოხი ქვევით ჩამოვარდება, ის კი იქით წააცლის თავს“.

მეგრული სალექსიკონო მასალის მიხედვით, **გეცხირილი** არის 1. „ხაფანგი, ღობესავით შემოვლებული და შესასვლელში აქვს მაყურყა, იხმარება ტყის ქათმისათვის“ (ბ.ქირია); 2. „ბრტყელად დაწნული ხაფანგი“, დადასტურებულია მეგრულში

როგორც ერთ-ერთი თევზსაჭერი მოწყობილობა (სალია, 2000). საზოგადოდ, მეგრულში **ცხირი** ჰქვია „ძუის მახე“-ს, **ცხირუა** კი — „მახის დაგება“-ს (შდრ.: **ცხირუა** (მეგრ.) „ლობვა მეჩხრად, წნელის შორიშორს მოდებით, როცა საჭიროა ვრცელი ტყის ან საძოვრის შემოსაზღვრა“; **დოცხირუა** (მეგრ.) „1. დაცხრილვა, ბევრგან გახვრეტა; 2. დარწყმა (ჭარაია); მახის დაგება“ (ქაჯაია, 2001).

ლაზურში „მახე“-ს **კაფანი|კაპანი**-ც ჰქვია (შდრ.: **კაპანი** (ლაზ.) „მახე“ (მარი, 1910). მას ლაქოს დასაჭერად იყენებენ. ხათანგი **ჩხუ მოსა**-თი („მსხვილი ბადე“) არის დაფარული. მახის ამ სახეობას (ხათანგს) კარი აქვს, საიდანაც ჩიტი შედის შიგ (ჩამოკიდებული მახრის საკმელად). როგორც კი ჩიტი შევა კარში, სახურავი დაიკეტება და შიგ მოემწყვდევა.

ლაზური **ოკვინჩე** („საჩიტე“) გაწყობის ხერხით თითქმის ემსგავსება მეგრულ **გეცხირილ**-ს: ღალის პიჯეფე ქუდოციკაფლით ჯოხეფე, ქომოობლაფტით, არკელე ჭინოთენ დობშუფტით, მაყვანიკელე აჩილი ტუ. ბჰოფუნტით კვინჩი, ბელურა, კვინჭახი, მტკამ ქოთუმე, მზესკუს „ღელის (მდინარის) პირას დავასობდით ჯოხებს, შემოვლობავდით, ერთ მხარეს წნელებით დავწნავდით, მეორე მხარეს ღია იყო, ვიჭერდით ჩიტს, ბელურას, ტყის ქათამს, შაშვს“ (სარფი).

ლაზური **ქანდარა** ჩიტის, შაშვის დასაჭერი მარტივი ხერხია: **ცხენიშ ნწაჟს|წაჟს** („ძუას“) ფერის მიხედვით აიღებენ, მოკეცავენ შუაში და დაგრეხენ. **მზესკუსა** („შაშვი“) და **მაჯაჯალას** („ჩხართვი“) დასაჭერად ორმაგ ძუას დაგრეხენ, გამარყუჟავენ, ხოლო შეკრულ ბოლოებს თხილის ჯოხზე დანით შეჭრილ ადგილებზე დაამაგრებენ. ერთ ჯოხზე შეიძლება ათამდე მარყუჟის დამაგრება. **ქანდარა**-ს გამართვისას სატყუარად გამოყენებულია სუროს ნაყოფი და მსხლის ფითრი, რომელსაც ეტანება მზესქუ და მაჯაჯლა (ვანილიში, თანდილავა, 1964); ქანდარას ბწოფხუმთ, ფუჯის შინათე ბკალუმთ, ბკოლი მევე-

ბამთ, ჰიშოთე ბჰოფუმთ „ქანდარას ვწნავთ, ძროხის ძუისაგან ვგრეხთ, კალიას ჩამოვკიდებთ და იმით ვიჭერთ“ (სარფი).

6. მარის განმარტებით, **ქანდარა**-თი ლაზები იჭერენ ჯი-ჯელენის, ჩიტს, ხოლო თურქები — ლაჭოს, რომელსაც შემდგომში მიმინოს დასაჭერად იყენებენ (შდრ.: **ქანდარა** (ლაზ.) „1. მახე, კაკანათი; 2. სულელი, ტუტუცი, ქანდარა კაცი“ (მარი, 1910).

ლაზი მონადირეები მიმინოს დასაჭერად იყენებენ ფოთლებიანი ტოტებისაგან გაკეთებულ კარავს, რომელსაც ჰქვია **ქოხი**. **ქოხი**-ს გვერდით სამკუთხედ ბადეს გაშლიან, მიმინოს გამოჩენისთანავე ბადის უკან ჯოხზე ლაჭოს აათამაშებენ. მიმინო მთელი სისწრაფით ეშვება ძირს და ბადეს ეცემა: **ქოხი** იქიფან, ჯაეფეთე, მოსათენ იქიფან, ათმაჯას ჭოუფან „ქოხს აკეთებენ ხეებისგან, ბადესაც უკეთებენ, მიმინოს იჭერენ“ (სარფი).

მეგრულში ფრინველთა დასაჭერ მახეთა სახესხვაობებში დადასტურებულია ასევე **ანკესი||ანტკეცი||ანკეცი||არკეცი||ართკეცი** ტერმინი, სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით. ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, **ანკეცი** გამოიყენება მხოლოდ კვატაზე („იხვზე“) სანადიროდ. ანკესზე სატყუარად საქონლის ფილტვს ჩამოჰკიდებენ, ანკესის მეორე ბოლოს მიწაზე დაამაგრებენ. სატყუარათი მოტყუებული ფრინველი **ანკესის კაცხუ**-ზე („ანკესის კავზე“) ჩამოეკიდება (ერგ.; ფოთი).

ფრინველთა დასაჭერად (გარდა სხვადასხვა სახის მახისა) გამოყენებულია სპეციალური ბადეები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ფრინველებზე სანადიროდ არის ვარგისი.

ქვემო სამეგრელოში **აშრიალა**-ს („ბადეა ერთგვარი“) ეძახიან ჯოხზე ჩამოცმული ძუის მახეების ერთობლიობას, რომელსაც სუროიან ხეზე გააკრავენ და ფრინველი ზედ ჩამოეკიდება (მასალები... 1992) (შდრ.: **აშრიალი** „საქორე ბადე“ (საბა); „ქორის დასაჭერი ბადე“ (დ. ჩუბ.).

სამეგრელოში იხვებზე სანადირო ბადეს **სახსირე**-ს ეძახიან.

სასირე დიდ ბადე-ს („დიდი ბადე“) სახელითაც არის ცნობილი. აღნიშნული ბადის გამოსაყენებლად მდინარის პირას დაამაგრებდნენ ორ ბოძს, ბოძებს შუა ბადეს გაშლიდნენ, გადაისროდნენ წყალში და შიგ იხვეები გაებმებოდა.

ქორისა და მიმინოს დასაჭერ ბადეს **ჟირფა ბადე** („ორფა ბადე“) ჰქვია. მთქმელების განმარტებით, **ბადეს გედგუნა** (სიტყვას. „ბადეს დგამენ“) (შდრ.: **რაგვიშ გედგუმა** „მახის დადგმა (გაწყობა)“

სამეგრელოში ფრინველებზე სანადიროდ ბადეები ძველ დროშიც ყოფილა გამოყენებული. ამას მოწმობს ჟან შარდენის ცნობები სამეგრელოს ისტორიაზე, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ „სამეგრელოს დიდებულები ნადირობას დიდად ეტანებიან. ნადირობას სხვადასხვა ხერხით აწარმოებენ... მათ შორის, მეგრელები გარეულ მტრედებზე ნადირობისას სპეციალური ბადეების გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას“ (შარდენი, 1975).

ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ლაზ მოსახლეობაში ოდითგანვე, მეთევზეობასთან ერთად, განვითარებული იყო ნადირობა. ისინი ფრინველებზე სხვადასხვა ხერხითა და სანადირო იარაღით ნადირობდნენ. ლაზი მონადირეების ლექსიკა უფრო მდიდარია ფრინველთ დასაჭერი ბადეების აღმნიშვნელი ტერმინებით, ვიდრე მეგრული. მართალია, ზოგი მათგანი სხვა ენიდან არის ნასესხები, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში ლაზურის ორგანულ ნაწილად ქცეულა.

ლაზური **მოსა**, **მანთა**, **მოსა-მანთა** („ბადის ერთ-ერთი სახეობა“) გამოყენებულია მიმინოს დასაჭერად. მთქმელები ხან **მოსა** ტერმინს ხმარობენ, ხან **მანთა**-ს: ტოოჯი დო ათმაჯა ფჭოუფთ **მოსათენ**. **მოსა** დობდგით ხუთ კულაჭი გინძანა „მტრედსა და მიმინოს ვიჭერთ ბადით. ბადეს ვდგამთ ხუთი საყენი სიგრძისას“ (სარფი) (შდრ.: **მოსა** (მეგრ.) „ბადე, ქსელი; მოსა-ბადე“ (ყიფშიძე, 1914); **მოსა** ტერმინი მეგრულში დღე-

საც დასტურდება მეთევზეობის ლექსიკაში (სალია, 2000).

მანთა ორ მაღალ ხეს შუა გაბმული ბადეა, რომელიც შუა ნაწილში მოშვებულია და თანაც წვრილი ძაფითაა მოქსოვილი, მიმინო ვერ ხედავს **მანთა**-ს („ბადე“) და შიგ იხლართება: ჯას გილუდგიფან მოსას ჯოხო **მანთა** „ხეზე გაბმულ ბადეს ჰქვია მანთა“. პარალელურად დასტურდება **მანთრა** ვარიანტი: მანთრათენ კვინჭახი აღუსტოზის დიფან. მანთრა შვეფ ძენ (ბსკიდა) „მანთრათი (ბადით) სკვინჩას აგვისტოში იქერენ. მანთრა მოქსოვილი არის“.

მოსა და **მანთა** სიტყვების პარალელურად ლაზურში უფრო ხშირად დადასტურებულია **მოსა-მანთა** კომპოზიტიური ტერმინი: ჯას ცაეფია გამაჰკილუფან, ჟირ ბიგასთუმე გონდუმელან მოსა, ია უწუმელან **მოსა-მანთა**. კვინჩი **მოსა-მანთას** ვაძიოფს „ხეზე ტოტებს მოჭრიან. ორ ჯოხზე გადებენ ბადეს, მას მოსა-მანთას ეძახიან. ჩიტი მოსა-მანთას ვერ დაინახავს“.

მიმინოს დასაჰერ ბადეს **ჩერგა**-ც ჰქვია. **ჩერგა**, მთქმელთა განმარტებით, თურქული სიტყვაა. ნ. მარს **ჩერგა** დადასტურებული აქვს თავის ლექსიკონში: **ჩერგა** „ათმაჯაში ჩერგა“; ბადე მიმინოზე სანადიროდ. შდრ.: თენთა, მოსა“ (მარი, 1910) (შდრ.: თურქ. **çerga** „კარავი, ფანჩატური, ფარდული, ჩარდახი“ (შჩეკა, 2000);

სანადირო ბადის ერთ-ერთი სახეობაა **თენთა**. **თენთა**-ს ნ. მარი ნასესხობად თვლის ლაზურში: **თენთა** „თენთე, სიქთერი თენთე, ბადე მიმინოზე სანადიროდ“ (მარი, 1910) (შდრ.: თურქ. **tente** „კარავი, ფარდული, მახე“ (მაგაზანიკი, 1945).

ლაზურში **სინდომი** ფრინველთ დასაჰერი ერთ-ერთი ბადის სახელია. ნ.მარის განმარტებით, **სინდომი** ჰქვია „ქორის დასაჰერ სამკუთხა ფორმის ბადეს“. ბადე გაჭიმულია ორ ჯოხზე, რომლის ბოლოები კუთხეს ქმნიან. ლაზური **სინდომის** აღწერილობა ემთხვევა გურულ ჩიტბადეს (შდრ.: გურული

ჩიტბადე ორი გრძელი თხილის ტოტისაგან შედგება, რომლებიც გამართულ მდგომარეობაში სწორ კუთხეს ქმნიან, ტაროებს შუა ბადეა ამოქსოვილი, უმეტესად შავი ფერის ძაფისაგან (რობაქიძე, 1949).

ლაზ მონადირეებში ძალზე ხშირია **ნეძერი||ნეძე(რ)||ნეძეი** ტერმინი. **ნეძერი** სპეციალურად მოქსოვილი ბადეა, რომლის შუა ადგილი მოშვებულად არის დატოვებული. „**ნეძერი**-ს ტყეში მალლობ ადგილას ხეებზე გაჭიმავენ და ბადის ქვედა მხარეს სარს მიაბამენ. მონადირე როგორც კი ნახავს, რომ ბადეს მოაწყდა ჯგუფურად მომავალი ჩიტები, მაშინვე სწევს ბადეზე მიმაგრებულ სარს და დაფარავს **ნეძერს**. დაჭერილი ფრინველი თავს იყრის ბადის შუაგულში“ (ვანილიში, თანდილავა, 1964); მოსას უწუმელან **ნეძერი**. **ნეძერი** თურქული ენ. ქუდიციკაფან დიდ კაზულეს, ქოგიდუმელან მოსას მალლა გორას, ემუთი ჭოუფან ტოოჯი „**ნეძერის** ბადეს ეძახიან. **ნეძერი** თურქულია, დაასობენ დიდ ბოძებს მალლა გორაზე და გააბამენ ბადეს, იმით იჭერენ მტრედებს“; **ნეძერი** მჭიფე მოსა იენ გადამფრენი კვინჩეფეშე „**ნეძერი** წვრილი ბადეა გადამფრენი ფრინველებისათვის“ (სარფი) (შდრ.: **ნეძერი||ნეძელი** „ფრინველის დასაჭერი ბადე“ (მარი, 1910); თურქ. **nefel** „ალაფი, დავლა, ნადავლი“ (მაგაზანიკი, 1945).

ლაზი მონადირეები სპეციალურად ქსოვდნენ ფრინველების დასაჭერ სხვადასხვა ზომისა და სახის ბადეებს, თითოეულ მათგანს თავისი შესაფერისი სახელი ჰქონდა, მაგალითად: **სიფთერიშ მოსა** („მიმინოს ბადე“), **ფენერიში მოსა** („წვრილი ჩიტების ბადე“), **ტოოჯიში მოსა** („მტრედების ბადე“) და სხვა.

§7. ფრინველებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები

მოსახლეობაში დროთა განმავლობაში იცვლება ადამ-ჩვევები, თუმცა ხშირად ძველი ჩვეულების მთლიანად წაშლა არ ხდება. ზოგიერთი მათგანი გადმონაშთის სახით მაინც განაგრძობს არსებობას.

სამეგრელოში ბევრია ხალხური დღეობა-დღესასწაული, რომელსაც **დღანუს** ეძახიან. თითოეული მათგანი კალენდარული განრიგის მიხედვით აღინიშნება. მაგ.: **წაკურთხია** „წყალკურთხევა“ — აღინიშნება 19 იანვარს; ქრისტიანული კალენდრის მიხედვით, ეს დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეა; ხალხური ტრადიციებით, **წაკურთხია**, ამავე დროს არის **ქოთომიშ კუჩხა** („ქათმის ფერხვა“);

ბარბალობა (17 დეკემბერი ახ.სტ.) წმინდა ბარბარეს ხსენების დღეა. ხალხური ტრადიციის თანახმად, მეგრულში **ბარბალობა** „ქათმის კუჩხაა“. ეს დღე ოჯახისათვის განსაკუთრებული დღეა შინაური ფრინველის დაბედების მხრივ. ოჯახის დიასახლისი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ ვინ ესტუმრება ბარბალობას, რადგანაც მისი ფეხი მთელი წლის განმავლობაში დაებელება ოჯახს. მთქმელთა განმარტებით: **ბარბალობას** (resp: „ქოთომიშ კუჩხას“) ოჯახის სტუმარს დიასახლისი თბილად უნდა შეხვდეს. აუცილებლად შინ უნდა შეიპატიჟოს, დასვას სკამზე და დააპუროს. თუ სტუმარმა არ ისურვა სკამზე დაჯდომა და არც შეჭამა, ეს დიასახლისს ცუდად ენიშნება, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ იმ წელს კრუხი კვერცხებზე არ დაჯდება, წიწილებს არ გამოჩეკს.

ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მასალებიდან იკვეთება, რომ ქართველი ტომების რწმენაში ღვთაება ბარბარე ღრმად იყო გამჭდარი. ის „სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენაში მესაქონლეობის მფარვე-

ლი ღვთაებაა და ამასთანავე, მდედრობით სქესის არსებათა ნაყოფიერებისა და გამრავლების ღმერთად წარმოუდგენიათ. ხოლო ბარელი მოსახლეობის — ქართლელების, იმერლების, გურულების, რაჭველების, მეგრელების რწმენაში ბარბარე უმთავრესად შინაურ ფრინველთა გამამრავლებელი უზენაესი არსებაა“ (ბარდაველიძე, 1941).

ამგვარად, ხალხში დაცული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, **ბარბალობა** შინაური ფრინველის მოშენებასთან არის დაკავშირებული და მის წეს-ჩვეულებათა ერთ-ერთ დანიშნულებას შინაური ფრინველების გამრავლება წარმოადგენს (შდრ.: **მარეშელი, მარეშალი, მარეშლობა** (ზ.იმერ.; იმერ.) „წვრილფეხა საქონლისა და ფრინველთა მფარველი ღვთაება; **მარეშლობა** — დღესასწაული მარეშლისა (ბ.წერ.); ქათმების დღეობაა ყველიერის წინა კვირას“ (ქ.ძოწ.).

სამეგრელოში, სხვა კუთხეების მსგავსად, კალანდის („ახალი წლის“) მეორე დღეს იმართებოდა **კუჩხა**, ანუ ფერხვა. „ფერხვის“ ტრადიციები დღესაც შემონახულია, ოღონდ ამჟამად ამ რიტუალის შესრულებისას არ დასტურდება **ჯარჯილი კვერცხი**. მეგრულში **ჯარჯილი კვერცხი** ჰქვია სარიტუალოდ გამხმარ კვერცხის გულს, რომლითაც ძველად რიტუალურ ღვეზელს აცხობდნენ.

მთქმელთა განმარტებით: „ქათმის კუჩხას“ (resp.: კალანდის მეორე დღეს) **მოკუჩხური** („მეკველე“) არის ოჯახის ერთ-ერთი წევრი. **მოკუჩხურმა** კუჩხას გარკვეული წესები უნდა დაიცვას, კერძოდ: სხვენზე არ უნდა ავიდეს — ქათამი გარეთ დაიწყებს გადაფრენას, სოფელ-სოფელ სიარულს და დაიკარგება; მოკუჩხურს სკამზე გვერდით არავინ დაუჯდეს — ქათამი ქათამს მიუჯდება კვერცხის დების დროს; მოკუჩხურის სკამზე სხვა არ უნდა დაჯდეს — კრუხი კვერცხს დატოვებს, გააცივებს (შდრ.: **ქათმის ფერხვა** (გურ.) „კალანდის მეორე დღეს ქათმის დღეობაა (გ.შარ.; ს.ჟღ.); ამ დღეს ფეხბედნიერი „ფერხავს ქა-

თამს“. ჰერ გაავსებს დიდ მწარე ხაპს სიმინდის ან ლომის მარცვლებით და დაუყრის ქათმებს საკენკს. საკენკის ბნევის დროს მფერხავი დარბის და მღერის. სიმღერისას ქათმები მას ზურგში მისდევენ და კენკავენ მარცვლებს, ბოლოს მფერხავი გაჩერდება, მარცვლებით სავე მწარე ხაპს ფეხით გატეხს, მარცვლები გადმოცვივა და იტყვის: ასე გამრავლდეს ჩემი ქათმებიო“).

შობას (7 იანვარს ახ.სტ.), ტრადიციის მიხედვით, ნათლულმა ნათლიას ოჯახი უნდა მოინახულოს მოსაკითხით. მოსაკითხის აუცილებელი ატრიბუტია **ყვარილი** („დაკოდლილი მამალი“). სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია მამლის დაკოდვის წესი, რათა მას გააზრდევინონ სხვა ქათმის გამოჩევილი წიწილები. მთქმელთა ღრმა რწმენით, **ყვარილი** საუკეთესოდ ზრდის და იცავს მტაცებელთაგან წიწილებს.

ეთნოგრაფიულ მასალებში ცნობილია ოჯახის ლოცვის, **„გითოხვამას“** რიტუალები:

საალერტო — ოჯახის ლოცვაა. საალერტოს ზოგი კვერცხდაუდებელი ვარიით, ზოგი ალერტის ეკლესიაში გამოლოცვილი მამლით ასრულებდა;

საარდგილო („საადგილო“) — ქალების ლოცვა იყო. რამდენი ქალიც ცხოვრობდა ოჯახში, იმდენ მამალს დაკლავდნენ;

ოტუტუცი — ესეც ქალების ლოცვა იყო. იმდენ დედალს შეწვავდნენ, რამდენი ქალიც იყო ოჯახში. სანამ ყველაფერს გააწყობდნენ, შემწვარი ქათმები შამფურით კედელზე იყო მიმაგრებული. კედელს ხვრეტდნენ იმდენ ადგილას, რამდენი ქალიც იყო;

საწაჩხურო — როდესაც ბავშვს რაიმე ფათერაკი შეემთხვეოდა, „საწაჩხურო“ შესაწირავ მამალს დანიშნავდნენ, რასაც მეგრულში **წურუა**-ს ეძახიან. ამ მამალს **წურუა**-ს დროს **თიკს** („ბიბილოს“) წააჭრიდნენ;

ჟინი ანთარი — ოჯახის დალოცვაა. ფეხებშებორკილ მამალს თავზე შემოივლებდნენ და შემდეგ დაკლავდნენ.

ოჯახის დალოცვის რიტუალი ზოგიერთ ოჯახში დღესაც სრულდება. **ხვამას** ოჯახის ყველაზე ხანდაზმული წევრი ასრულებს, სასურველია ის მამრობითი სქესისა იყოს. **ხვამა** („ლოცვა“) მიზანშეწონილია **გეკულა დღას** (მდრ.: სამეგრელოში ნებისმიერ „სამშაბათ“, „ხუთშაბათსა“ და „შაბათ“ დღეს გეკულას ეძახიან). **მახვამური||მეოხვამური** („მლოცველი“) თავისი ხელით ჩამოქნის სანთელს, შესაწირავ მამალს სანთელთან ერთად ოჯახის ყველა წევრს თავზე შემოავლებს და შემდეგ დაკლავს.

თუ ოჯახში ბატონები ბრძანდებოდა (მაგ.: წითელა, ფილვია, ყივანა), მაშინ ბატონების კეთილად წაბრძანების მიზნით, მას **ქათამს** სწირავდნენ. თუმცა, ქათმის სისხლი ბატონების ბრძანების პერიოდში სახლში არ უნდა დასხმულიყო.

შავი ფერის ქათამი დაკავშირებულია შეშინებულის გამოხსნის რიტუალთან. შეშინებულის ბებიამ (მამის მხრიდან) ან დედამ ღამის თორმეტი საათის შემდეგ (აუცილებლად ლუწი დღე უნდა იყოს) სამი გზის საყარზე უნდა გაუშვას შავი ფერის ქათამი (შესაწირი ფრინველის სქესი განისაზღვრება შეშინებულის სქესის მიხედვით).

სამეგრელოში დღესაც შემონახულია მიცვალებულის სულის გარდაცვალების ადგილიდან მოყვანა ოჯახში. რიტუალის შესასრულებლად საჭიროა მამალი, ძაფი, სანთლები და ჩონგური. მეჩონგურე ორი ადამიანის თანხლებით (ღამის თორმეტი საათის შემდეგ) მიდის იმ ადგილას, სადაც მიცვალებულს სული ამოხდა. იქ ანთებს სანთლებს (გზას უნათებს სულს). მეჩონგურე იწყებს ჩონგურზე დაკვრასა და სიმღერას. სიმღერით ეხვეწება სულს, დაბრუნდეს შინ, სადაც მას ნათესაეები, მეგობრები ელოდებიან. მეორე თანმხლებ პირს ხელში ფეხზე ძაფშებმული მამალი და ძაფის გორგალი უჭირავს. გარკვეული ცერემონიალის შესრულების შემდეგ, როდესაც მეჩონგურე მამლის მოძრაობის მიხედვით დარწმუნდება, რომ

სული მათთანაა, ისინი შინ ბრუნდებიან. შინ მობრუნებულთ სრული სიჩუმე და განათებული სახლ-კარი უნდა დახვდეთ, რომ სული არ შეშინდეს. მიცვალებულს სამჯერ შემოუვლიან გარს ჩონგურზე დამღერებითა და მამლით ხელში, მერე ძაფს შეხსნიან მამალს. ძაფს მიცვალებულს სხეულზე დაადებენ, მამალს კი თავთან დაუსვამენ, როგორც მისი სულის მატარებელს, და მთელი ღამის განმავლობაში იქვე ტოვებენ. თუ მამალი მიცვალებულის თავთან გარინდებული გაჩერდება მთელი ღამის განმავლობაში, ეს იმის მაუწყებელია, რომ სული შინ დაბრუნდა. დილას მამალმა მზის ამოსვლის მერე უნდა იყივლოს და თან ფრთებიც შეიბერტყოს. ჭირისუფალი მამალს არ დაკლავს, დიდ პატივში ჰყავს, როგორც მათი მიცვალებულის სულის მატარებელი ფრინველი (შდრ.: მსგავსი რიტუალი არის დაცული სვანურში, მცირეოდენი სხვაობით. „სვანურში მიცვალებულის სულის შინ მოყვანას **„ქვინი ლიტხე“** („სულის დაბრუნება“) ეწოდება. სწამდათ, რომ სხვაგან სიკვდილის შემთხვევაში შესაძლებელია სულმა ვერ მიაგნოს სახლს და სამუდამოდ დაიკარგოს. ამიტომაც, ჭირისუფლები მიდიოდნენ იმ ადგილას, სადაც ადამიანი დაიღუპა. ერთ კაცს ჩანგი მიჰქონდა, მეორეს — მამალი ეჭირა მარჯვენა იდლიაში. ადგილზე მისულნი სულს ევედრებოდნენ დაბრუნებულყო შინ. ამ ცერემონიალის შესრულების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. გზაზე მამალს უნდა დაეყივლა, რაც ადასტურებდა იმას, რომ სული თან მიჰყვებოდათ“ (ჩართოლანი, 1961).

შემონახული ტრადიციის მიხედვით, ყველიერის პირველ ორშაბათს ოჯახის დიასახლისი ღიუ-ლაუზე (გამთენიისას მზის ამოსვლამდე) კვერცხის ნაჭუჭს დატენის პურითა და ყველით და შორს მოისვრის, თან მიაცოლებს: **„გორჯინ ყვარია“** (სიტყვას.: „გაჯობე ყვავო“). ამ რიტუალის შესრულების შემთხვევაში ხალხს სჯერა, რომ იმ წელს ოჯახის მოსავალი (მარცვლეული კულტურა) და შინაური ფრინველები დაცული იქ-

ნება სოფლის მეურნეობისათვის მავნე ფრინველებისაგან. მეგრულში ეს რიტუალი „გორჯინ ყვარია“-ს სახელითაა დადასტურებული.

დადასტურებულია ასავე **ყვარიაშ თია** („ყვავის წილი“): ყველიერის მარხვის დაწყებისას კვერცხის ნაჭუჭს აავსებენ ღომით და ყველით და გადააგდებენ, თან იტყვიან **ყვარიაშ თიაო** („ყვავის წილიო“), ამის შემდეგ, მათი რწმენით, ყვავი წიწილს აღარ წაიღებს; ასევე, ყველიერის აღების მეორე დღეს ყვავმა ჩხავილი თუ დაგასწრო, იმ წელს თავი სულ გეტკინებაო;

ქირიში თია — ქორსაც წილს გადაუგდებენ. მთქმელის სიტყვით, ქორი რომ არ იყოს, ქათმები გაველურდებიანო;

ხალხში გავრცელებული წარმოდგენების მიხედვით, ახალგამოჩევილ წიწილს ფრჩხილი უნდა წააჭრა გამოსარჩევად, როცა იგი გაიზრდება, უნდა გაყიდო, აღებული ფულით სანთელი იყიდო და რაც დარჩება, ის ფული ილორში (ეკლესიაში) გააგზავნო. ამის მერე ქათმებს არასოდეს დაემართება **ივანია** („ქირი“).

ხალხში ჩიტების **ჭურჭულს** („ჭიკჭიკს“) დილაობით **ჩიტის სამადლობელს** ეძახიან. მთქმელების განმარტებით, ჩიტი ღმერთს მადლობას უხდის იმის გამო, რომ **„ოქმარეშ გოთანა მოძირიანი დო ოხვეწ მათია ოქმარეშ ძირაფას“** (სიტყვას.: „დილის გათენება რომ მანახეო და ეხვეწება მეორე დილის ნახვას, გათენებას“); ამას **ოქმარე-ონჯუაშ სამადლობელს** („დილა-სალამოს სამადლობელს“) ეძახიან. ლაზური ანდაზის თანახმად: ქოთუმეკე წკაი შუფს დო თრანგის ახვამენ „ქათამი წყალს სვამს და ღმერთს ელოცება“-ო (ხალხური სიბრძნე, 1994, 255.729).

სამეგრელოში დაცდილი ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) ამა თუ იმ მოვლენის აკარგიანობა, რომლის მიხედვითაც მომავალზე წინასწარმეტყველებდნენ. შევეცადეთ, მსგავსი რამ ფრინ-

ველებთან მიმართებითაც დაგვედასტურებინა. მაგალითად:

ჩიტები თუ გროვდებიან და მიწაზე სხდებიან, იმის ნიშანია, რომ თოვლი იქნება; **ბოლოქანქალა** თუ სახლის ახლოს დაჯდა, ოჯახში ხმლიანი კაცი შემოვაო; **ოფოფის** დანახვა და ოჯახში შესვლა არ ვარგა — გლოვას მოასწავებსო; **მოლალურის** ეზოში შემოსვლა არ ვარგა, ის თავის ბარტყებს ეძებს, ტირისო და ოჯახში მწუხარება შემოაქვსო; **მამალი** თუ კარზე შემოფრინდა და სახლში შემოიყვილა, ეს მწუხარების ნიშანია და ვინმე ცუდ ამბავს მოიტანსო; **ქათმები** თუ საღამოს ადრე აღიან ხეზე, ეს შიმშილის მომასწავებელიაო; თუ **მამალმა** ადრე დაიწყო ყვილი, სოფელში მავნე კაცი შემოვაო; **გუგულისა** და **მოლალურის** ხმას სანამ პირველად გაიგონებდნენ, დილაადრიან ცოტათი შენაყრდებოდნენ. მათი ხმის გაგონებისას კი შესძახებდნენ — **გორჯინი-ა** („გაჯობეო“).

მთქმელებს **მაცაქელა** („მაბზაკუნა, ბოლოქანქალა“) ჩიტებზე დაკვირვებით დაცდილი აქვთ, რომ თუ ეს ჩიტი სახლის სახურავზე ჩამოფრინდა და იქიდან მოჰყვა ჰიკჰიკს, იმ დღეს სტუმარი აუცილებლად შორი გზიდან მოვა; ხოლო თუ ეზოში ჩამოფრინდა, მაშინ სტუმარი ახლო გზიდანაა მომავალი.

მოჰიკჰიკე ჩიტებს ხშირად ეტყვიან **ჯგირიშ-სიკეთშია** (სიტყვას.: „კარგის-სიკეთისო“). მთქმელების განმარტებით, **კვინჩაშ ჰურჰული** („ჩიტის ჰიკჰიკი“) ზოგს ავადა აქვს დაცდილი, ზოგს — კარგად: „ჩიტიქ ენგოჯინენ თეში ქუდაჰყუ ჰურჰული და, გაფრთხილენს, ჯგირობუა ვამორძუ დო ვეგნორთა კარსია“ („ჩიტი თუ პირდაპირ გიყურებს და ისე დაიწყო ჰიკჰიკი, გაფრთხილებს, რომ კარგი არ დაგემართება და არ გახვიდე კარშიო“); ასევე: გულსაკლავად თუ მოჰყვა ჩიტი ჰიკჰიკს, მაშინ გზიდან რამე ცუდ ამბავს შეიტყობო.

მთქმელთა განმარტებით, შინაურ თუ გარეულ ფრინველთაგან ყველაზე გრძნეულ ფრინველად **სკვინჩა** არის აღიარებული. მათი დაკვირვებით, თუ სკვინჩა მარჯვენა მხრიდან და-

სძახებდა ადამიანს, სიკეთის მომასწავებლად ითვლებოდა, თუ მარცხენა მხრიდან — ცუდისა; თუ სკვინჩა სტვენას ჭიკჭიკით დაასრულებდა, ესეც კარგის ნიშანი იყო.

ძველად შინაურ ფრინველებს ბედის მოზიარედ თვლიდნენ ადამიანები. მათი რწმენით, თუ **დედალი** დაიყვილებდა, ეს ხიფათის მომასწავებლად მიაჩნდათ და მას დაკლავდნენ: ქოთუმეჭოყიუ ნა გიოქკას, თი ნოჭკირაფან „ქათამი ყვივოს რომ დაიწყებს, თავს მოკვეთენ“ (ხალხური სიბრძნე, 1994, 255. 727). ძველი წარმოდგენებით, ფრინველისა თუ ცხოველის ბეჭზე დამახასიათებელი ნიშნებით აღირიცხებოდა მათი პატრონის ყოველივე ავ-კარგი. ხანდაზმული მთქმელები ადასტურებენ ქათმის აფხაზე („ბეჭზე“) მკითხაობის ფაქტებს. ფრინველის დაკვლის შემდეგ ბეჭის ძვალს გააშრობდნენ და მასზე მკითხაობდნენ.

წმ. ფრინველებთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მეგრულ-ლაზურში

ხშირად საინტერესო ისტორია აქვს მთლიან გამოთქმას, ფრაზას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ საუბრისას თუ მხატვრულ აზროვნებაში. ამგვარ გამოთქმებს დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და ვხმარობთ ხატოვნად, ამიტომაც მათ ხატოვანი, ფრთიანი გამოთქმები, ანუ იდიომები ეწოდება. იდიომი ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს თავისებურებას. იდიომატიკა ლექსიკის ორგანული ნაწილია.

დარგობრივი ლექსიკის კვლევა-ძიებისას გამოიკვეთა, რომ ფრინველებთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი საკმაო სისრულითაა ასახული მხატვრულ აზროვნებაში. მოძიებული მასალის მიხედვით შემდეგი სურათი წარმოგვიდგება. შედარება ხდება შემდეგი ნიშნის მიხედვით:

ა) მოხერხებულობა: მეგრ.: უჩა ქოთომცალო გეკეთ შავი ქათამივით აშენდა“. გამღიდრება, შეძენა. გეეკეთ სქანი საქმეკ უჩა ქოთომცალო „გაკეთდა შენი საქმე შავი ქათამივით“; ლაზ.: მამულისთი გდოსქვაფაფს „მამალსაც (კვერცხს) დაადებინებს“. მოხერხებული, ყოვლისშემძლე. ნა მეხთან ფერიშა, დულა დიქიფს, მამულისთი გდოსქვაფაფს „სადაც არ უნდა მივიდეს, საქმეს გააკეთებს, მამალსაც (კვერცხს) დაადებინებს“ შდრ.: ქართ.: შავი მამალივით გაკეთდა „ძალიან კარგად გახდა, ფერ-ხორცი მოიკიდა, გასუქდა“. ეს თქმა იმერეთში იციან. ყველა დაკვირვებულმა მეოჯახე ქალმა იცის, რომ შავი დედალის ყოლა სახეიროა, ხორცს თეთრ დედალზე უკეთ იკიდებს, გასუქება მალე იცის, ხორციც მოყვითალო ფერისა აქვს. შავი დედლის ნათქვამადვე მიიჩნევენ შემდეგი დალოცვის სიტყვებს: ჩემს მეტი შავით ნურავინ შესულა ოჯახშიო. ე. ი. შავმა (სიკვდილმა) აქ ფეხი არ შემოდგას, აქ უნდა იყოს მხოლოდ მხიარულება და ბედნიერება (სახოკია, 1950).

ბ) განსაკუთრებულობა: მეგრ.: ჭითა კვერცხი „წითელი კვერცხი“ წითელი კოჭი, გამორჩეული ვინმე. სი მუ ჭითა კვერცხი რექო, საქმეს ხეს ვაკიდენქენი? „შენ რა წითელი კვერცხი ხარ. საქმეს ხელს რომ არ ჰკიდებ?“; ლაზ.: მჭითა მარქვალი (რენ) „წითელი კვერცხი“ ემუს დულია მუშენ ვარ მეჩაფთ მჭითა მაქვალი რენი? „იმას რატომ არ ასაქმებ, წითელი კვერცხია?“

შდრ.: ქართ.: **რა წითელი კვერცხია** „საფერებელი, სალოლი-
ვებელი არ არის; ყველაზე უკეთესობამდე ბევრი უკლია; სხვას
არავის სჯობია; სხვაზე უკეთესი რითია“

გ) მიუვალობა: მეგრ.: **ჩიტის ვეგნაფურინე** „ჩიტი ვერ
გადაფრინდება“. სულიერი ვერ გაიჭაჭანებს, ვერავინ მიუახლოვ-
დება, კარგად არის დაცული. ექ მის მხართ, იშა ჩიტის ხოლო
ვეგნაფურინე „იქ ვინ მივა, ჩიტიც ვერ გადაფრინდება“; **დუს**
ჩიტი ვეგოიჭურჭულანს „თავზე ჩიტიც ვერ დააჭიკჭიკებს“. ბუ-
ზიც არ აუფრინდება, მცირეოდენ შეწუხებასაც ვერავინ გაუბე-
დავს. ნუ გოშქურუ, ის დუს ჩიტი ხოლო ვეგოიჭურჭულანს „ნუ
გეშინია, მას თავზე ბუზიც არ აუფრინდება“. ლაზ.: **კვინჩი ვარ**
მეშვაფუთხენ „ჩიტი ვერ შეფრინდება“ დაცულია, ძალზე მიუწ-
ვდომელია. ფათიშაიში ბალის კვინჩი ვარ მეშვაფუთხინენ „ხელ-
მწიფის ბაღში ჩიტი ვერ შეფრინდება“.

დ) გულჩვილობა: მეგრ.: **ჩიტის გური ინოძ** „ჩიტის გული
უღევს“ უმნიშვნელო რამ ეწყინება. ჩიტის გური ინოძ, უცბას
ინგარს „ჩიტის გული უღევს, უცებ ატირდება“; ლაზ.: **კვინჩიში**
გური უღუნ „ჩიტის გული აქვს“. გულჩვილია. პაპულის მოთა-
ლეფე ნა გვაშინატუ, თოლის ჩილამურე გააუხთეტუ, კვინჩიში
გური უღუტუ „ბაბუას შვილიშვილები რომ მონატრებოდა, თვა-
ლები ეცრემლებოდა, ჩიტის გული ჰქონდა“. შდრ.: ქართ.: **ჩიტის**
გული აქვს „პატარა, სუსტი გული აქვს, გაჭირვებას ვერ უძ-
ლებს“. მეგრულში ხშირად გვესმის **ზესქვიშ ჩილამური** „შაშვის
ცრემლი“. მეტად საბრალოა, საცოდავია. ცნობილია, რომ შაშვის
და საერთოდ ფრინველს, როცა მძიმედ დაჭრილია ან მოტეხილი
აქვს რამე და მეტად გამწარებულია, თვალზე ცრემლის მსგავსად
უსველდება. ადამიანის მდგომარეობის მიმსგავსება ცრემლიან
შაშვის მდგომარეობას უდრის საშინელ, უკიდურეს ყოფას, რო-
მელზე მეტი გაჭირვება წარმოუდგენელია.

ე) მზრუნველობა: ლაზ.: **მონჭვასთერი მათეენ** „კრუხივით
გადაეფარება“ იზრუნებს, არ დააჩაგვრინებს, მხარში ამოუდგება.
ნანა ბერეფეს მონჭვასთერი მათეენ „დედა შვილებს კრუხივით
გადაეფარება“ მეგრ.: **მონჭვაცალო გაართუ** „როგორც კრუხი
წიწილს, ისე დასტრიალებს თავს, ერთგული“

ვ) ხელის მოცარვა: მეგრ.: **ჩიტიქ გიოჭურჭულუ** „ჩიტმა
დააჭიკჭიკა“. საწუხარი რამ, საწყენი, წინააღმდეგობა, სიძნელე.
მუ იყიდ აბა, ჩიტიქ გიოჭურჭულე „რა იქნებოდა, აბა, ჩიტმა და-

აქიკტიკა“; ლაზ.: **მაქვალი ვარ გდასქუ** „ვერცხი ვერ დადო“. კარგად არ წაუვიდა საქმე, არ გაუმართლა, გული ვერ დაუდო. ექ ნატუ, აქ ნატუ, მაქვალი ვარ გდასქუ „აქ ეცა, იქ ეცა, კვერცხი ვერ დადო“. შდრ.: ქართ.: **შავი ყორნის დაჩხავლება** „შავბედობის მომასწავებელი, უბედურების ნიშანი“. ზოგიერთ ფრინველს თუ ცხოველს, ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობის თანახმად, შეუძლია სიკვდილის მოახლოება გვამცნოს. მაგ.: თუ ხარმა შემოგბრავლათ, სიკვდილი გარდაუვალია, თუ შავმა ყვავმა დაგჩხავლათ, ასეთივე ბოლოა მოსალოდნელი (სახოკია, 1950).

ზ) სიზანტე: ლაზ.: **კუჩხეს მაქვალი მოკინს** „ფეხზე კვერცხი აქვს ამოკრული“. ნელი სიარული იცის. ადიმი ფეხი, კუჩხეს მაქვალი მოგოკინს?! „ნაბიჯი გადადგი, ფეხზე კვერცხი გაქვს ამოკრული?!“ შდრ.: ქართ.: **კრუხივით შინ ჯდომა** „როცა კაცს ურჩევნია თავისუფალი დრო შინ გაატაროს, შინ ჯდომა უყვარს“. როგორც ვიცით, კრუხი როდესაც ზის კვერცხებზე გამოსაჩეკად, მაშინ იქიდან კაცი ვერ ააგდებს. კრუხი ცდილობს კვერცხებს არ მოაკლოს სითბო და მხოლოდ წყლის დასაღვეად თუ ადგება“

თ) ხანდაზმულობა: მეგრ.: **ხონჭკა ცვარიაშ ხელა** „ბებერი ყვავის ტოლა“. საკმაოდ ასაკგადაცილებული, ხანში შესული. ქოცოფე აბა ენა ხონჭკა ცვარიაშ ხელა. ზედმ.: „ქე ყოფილა, ეს კარგა ხანს მიღწეული“ (გამოთქმა დაცინვას შეიცავს, ამ ფრთიანი გამონათქვამის ადრესატი ძირითადად ასაკგადაცილებული გასათხოვარი ქალბატონები არიან).

ი) უცოდველობა, ღვთისნიერობა: მეგრ.: **ღორონთიშ ქოთომცალი კოჩი** „ღვთის ქათამივით კაცი“. უცოდველი, ჩუმი, უწყინარი, მორჩილი კაცი. ეშა მუ ოკონა, ღორონთიშ ქოთომცალი კოჩი ე „ამასთან რა უნდათ, ღვთის ქათამივით კაცია“. შდრ.: ქართ.: **გუგულივით ცხოვრობს** „მყუდროდ, მშვიდობიანად, სხვის გაუნაწყენებლად ყოფნა“ გუგული მშვიდ და უწყინარ ფრინველად ითვლება.

კ) გათამამება: მეგრ.: **სუაშ გოფაჩუა** „ფრთების გაშლა“. გალაღება, თავისუფალი მოქმედების დაწყება, გათამამება, გათავხედება, ბოლო დროს სუა გოფაჩუ „ბოლო დროს ფრთა გაშალა“

ლ) აცუნდრუკება, არასერიოზულობა: მეგრ.: **ოფოფეფო ურქენს** „ოფოფეფი უზის თავში“, **ოფოფიშ ეფურინუა** „ოფოფის აფრენა“ თავაშეება, სისულელეების თქმა, თავის გამოსულე-

ლება, მრავალი არასერიოზული აზრი უტრიალებს თავში, სიღინჯე აკლია. ქააფურინუ ექ ზოლო ასე ოფოფეფი „ააფრინა ახლა ამანაც ოფოფები“.

მ) ენაკვიმატობა: მეგრ.: ნინათ ყვარიას გეგთაყოთანს „ენით ყვავს ჩამოაგდებს“. ენამჭრელობა, ენამახვილობა, ენამოსწრებულობა. თიცალი რაგადი უჩქუ, ნინათ ყვარიას გეგთაყოთანს „ისეთი ლაპარაკი იცის, ენით ყვავს ჩამოაგდებს“. შდრ.: ქართ.: კრუხის თავი უჭამია „ბევრი, დაუსრულებელი ლაპარაკი იცის“. კრუხი როდესაც წიწილებს ზრდის, ახასიათებს გულის გამაწვრილებელი ხმიანობა და ამით მტერს აშინებს, რომ წიწილებს არაფერი ავნოს. კრუხის თავის შექმა, თანახმად ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობისა, ადამიანს უვითარებს ბევრი ლაპარაკის უნარს მოშლილი წისკვილივით. ამრიგად, კრუხის ხმიანობა გადატანილია ისეთ ადამიანზე, ვინც ერთთავად როზროხებს, დაუსრულებლივ ლაპარაკობს და ამით ყველას გულს უწყალებს (სახოკია, 1950).

ნ) უგუნებობა, გაბრაზება: მეგრ.: მოქვაშ დუდი აფუ ნაჭკომა „კრუხის თავი აქვს ნაჭამი“ ცუდ ხასიათზეა, კარგად ვერ არის. ჩეერცხი, მოქვაშ დუდი ოკო აფუდას ნაჭკომა „შეეშვი, კრუხის თავი უნდა ჰქონდეს ნაჭამი“; ლაზ.: მისიქთაულისთერი იბარენ „ინდაურვიით იბერება (იფხორება). გაბრაზდება“. პატი მუთუ ვარ გიწვი დო სინ მისიქთაულისთერი იბარე „კული არაფერი გითხარი და შენ ინდაურვიით იბერები“.

ო) სიამაყე, ქედმაღლობა: მეგრ.: მუმული ოსური ზედმ.: „მამალი ქალი“. დიდგულა, ამაყი. შდრ.: ქართ.: მამალივით იბღინძება. „თავმომწონედ დადის, იფხორება. ცუდმედილობს, ამპარტავნობს. ყველას საქმეში ერევა“

კ) საქმისადმი ერთგულება: მეგრ.: მოქვაცალი ძღაბი „კრუხივით ქალიშვილი“. საქმის ერთგული და ბოლომდე მიმყვანი, მონდომებული. მოქვაცალი ძღაბი ე, მუსუთ ხეს მოკიდენსუნი, კვანწუნს „მონდომებული გოგოა, რასაც ხელს მოკიდებს, კარგად (კობტად) აკეთებს“. შდრ.: ქართ.: კვერცხში გამოწივის „ყოჩაღია, შნო აქვს ყველაფრის კეთებისა, გაჭირვებას ადვილად დააღწევს თავს, მარჯვეა, ხელიდან ყველაფერი გამოუვა“. ქათმის წიწილი, ჩვეულებრივ, გამოჩეკის შემდეგ წივის, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთი წიწილის წივილი კვერცხიდანვე მოისმის. ცხადია, აღნიშნული თქმაც აქე-

დან მოდის. ე. ი. თქმა მიეწერება ისეთ ადამიანს, ვინც ადრეული ასაკიდანვე ყოჩაღია, მეტისმეტად მარჯვეა (სახოკია, 1950).

ე) დაზრდა: მეგრ.: **მოჩიტოლუა**; ლაზ.: **ქომოიკვინჩას**; ქართ.: **დაჩიტება, დაშაშვება** „გაზრდა, დიდად გახდომა, დაფრთიანება“. მოჩიტოლუა (დაჩიტება) ნიშნავს ფრინველის ბარტყის ბუმბულთ შემოსვას, ფრთების გამოსხმას იმდენად, რომ ბარტყმა უკვე ჩიტის სახე (ფრთები, ბოლო) მიიღოს და ნელ-ნელა ფრენაც ისწავლოს. ხატოვნად **დაჩიტება** ადამიანის შვილებზე მაშინ ითქმის, როცა ესენი იმდენად წამოიზრდებიან, რომ სხვების დაუნმარებლად შეუძლიათ მისვლა-მოსვლა, ცხოვრებაში აუცილებელი უნარის გამოჩენა, საკუთარი გზით სიარული.

ვ) ძილისმოყვარული: მეგრ.: **ქოთომცალო იყონუ** „ქათამივით იბუდებს“; ლაზ.: **ქოთუმეფეკალა ონჯირუს მეშულუნ** „ქათმებთან ერთად დაწვება“ ადრიან სალამოს დაწვება. ქიმოლი ოჩალიშენშენ დონოქკინდუ ნა მოხთას, ქოთუმეფეკალა ონჯირეს მეშულუნ „ქმარი სამუშაოდან დაღლილი რომ მოვა, ქათმებთან ერთად დაწვება“. შდრ.: ქართ. **ქათმების შესხდომის დრო** „სალამო ხანი, დაბინდება.

საანალიზო მასალაში მრავლად გვხვდება შედარების ნიმუშები. მაგალითად: მეგრ.: **მაჭირხოლგჟუა ძღაბი** „იგულისხმება კონტა, ცქრიალა, ლამაზი გოგო; **ინდურო, ღორღონჯი, ბატი** (შინაური ფრინველები) — ითქმის უტვინო, სულელ, განსჯის უნარს მოკლებულ ადამიანზე; **ყვარიაჯჟუა**-ს იტყვიან შავგვრემან ადამიანზე; **ქორცალი** „ქორივით“; ლაზ.: **ბულდუჯინისთეი** „მიმინოსავით“ — დადასტურებულია მახვილი თვალის, ძლიერი აღნაგობის ადამიანის მიმართ; **მიმინოცალი, ათმაჯასთეი** „მიმინოსავით“ — შურდულივით სწრაფ ადამიანზე ითქმის; ჩია, პატარა ტანის ადამიანს მიემართება **ბურბუ, ჩიტეჯჟუა** ლექსემები.

აქვე საილუსტრაციოდ მოვიტანთ ანდაზებში ფრინველებთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნიმუშს: **ჭკვერ ჩიტეჟია ყირხოლო კუჩხით ქიჯთიბუა** „ჭკვიანი ჩიტი ორივე ფეხით ჩამოეკიდაო“; **ქოთომქ თქუა: მა შემიღებუნი, კვერცხი რენია** „ქათამმა თქვაო: მე რომ შემიძლია, კვერცხი არისო“; **კაი აჯვიქ მზესქუს ვარ ასტომერს** „კარგი მონადირე შაშვს არ ესვრის“; **კარაბათადის მართინიქ გენტომილუ ოჯურუ, ოკულე მუს ქოგოქკონდუ** „ჩემას თოლიამ ყვინთვა ასწავლა, მერე თვითონ დაავიწყდა“ **წიწილეფს დამორჩილს ემარკენანია** „წიწლებს

შემოდგომაზე დაითვლიანო; ბოლო გამოაჩენს საქმესო“; წყაროსინდის ქუა ქაჯათია: ქუმოხვადღდა, ჭგირია დო ვარდა, ქუა ქუას შიამინუნია „წყლის ჩიტს (იხვს) ქვა ესროლეო: თუ მოხვდა, კარგი და თუ არა, ქვა ქვას მიემატებო“; ჭინჭა ირო წიწილა ნოფოფუნია „ჭინჭრაქა თურმე ყოველთვის წიწილა იქნებო“; ყვარაის ნოლო მუში ბართვე მოწონსია „ყვავსაც თავისი ბაბალა მოსწონსო“; ურგებელი მოქვა წიწილეფს ადრე დარღვანსია „ურგებელი კრუხი წიწილებს ადრე დაყრისო“; ფრინველც ფსულეფი ამშვენენც, კოჩის — გონება (სქულეფი) „ფრინველს ფრთები ამშვენებს, კაცს — გონება (შვილები). ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი — საქმითო“; გომითირუ ქიანაქ, ჩიტი ჭკუნდუ მიმინოს „გადაბრუნდა (გამოიცივალა) ქვეყანა, ჩიტი ქამდა მიმინოსო“; ინდურში მეტი ქვეში მუთუნი ვერგუნია „ინდაურის მეტი ძველი არაფერი ვარგაო“; ქოთუმე ჩქინიქ ოხოსი კარკალაფს დო ქაშქაშის მაქვალი მუსქუფს „ჩვენი ქათამი სახლში კაკანებს და სხვისას კვერცხს დებს“; ცანას ვით ნენა უჩიქტუ, ოდჭოფუში, ირი გოჭკონდუ „გულწითელამ ათი ენა იცოდა, რომ დაიჭირეს, ყველა დაავიწყდა“; მაქვალიშენ გამახთიმერიქ მაქვალი სქუმს „კვერცხიდან გამოჩეკილი (გამოსული) კვერცხს დებს“; უჩა ქოთუმექთი ხჩე მაქვალი გესქუფს „შავი ქათამიც თეთრ კვერცხს დებს“; დუნია მაქვალისთერი რენ „დედამიწა კვერცხივითააო (მრგვალია)“; ქოთუმექ ოყიუ ნა გოჭკას, თი ნოჭკირაფან „ქათამი ყივილს რომ დაიწყებს, თავს მოკვეთენ“

ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის
სიტყვაწარმოებითი ანალიზი

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ენა სხვადასხვა საშუალებას იყენებს: წარმოქმნა (სიტყვაწარმოება), სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, სესხება. ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლაში სიტყვაწარმოებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ახალ ფუძეთა წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუპლიკაცია (ფუძეთგანმეორება), შინაგანი ფლექსია და სხვა. დერივაციას (წარმოქმნა), როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა (კომპოზიცია), რომელიც არსებითად სხვა საშუალებაა სახელის შესაქმნელად. დერივაცია გულისხმობს ახალ სიტყვათა წარმოქმნას პრეფიქსით, ან სუფიქსით, ან ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის მეშვეობით (შანიძე, 1973, 120). როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართველურ ენებში გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია (რედუპლიკაციითურთ). სრულიად უმოქმედოა ქართულსა და ზანურში შინაგანი ფლექსია (თოფურია, 1979, 103).

წარმოქმნილ სახელთა დაჯგუფება შესაძლებელია როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით. ფორმის მიხედვით წარმოქმნილი სახელები იყოფა პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ჯგუფებად. შინაარსის მიხედვით კი გამოიყოფა კნინობითი, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხარისხისა და სხვათა სახელები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მრავალფეროვანი და სხვადასხვა ფუნქციების მქონე პრეფიქს-სუფიქსებიდან (რომელთაც ქართველურ ენებში ადგილი აქვთ), ზოგიერთს დროთა მანძილზე იმდენად დაჰკარგვია წარმოების უნარი და ისე ორგანულადაა შეზრდილი ძირებს, რომ ოდესღაც აფიქსად გამოყენებული, დღეს ძირის განუყოფელ

ნაწილად გამოიყურება.

აღწერილი დარგობრივი ლექსიკის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი სტრუქტურული მოდელები: მარტივი ფუძეები და წარმოქმნილი სახელები. წარმოქმნილი სახელების მიხედვით გამოიყოფა ოდენსუფიქსური, ოდენპრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. დადასტურებულია ასევე სახელზმნური წარმოების ტერმინები, კომპოზიტები და ტერმინოლოგიური შესიტყვებები.

1. სუფიქსური წარმოების ტერმინები. ნაშრომში სახელთა წარმოებისას სათანადო მაწარმოებელი აფიქსები გამოყოფილი გვაქვს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. ოდენსუფიქსური წარმოების სახელებს ეკუთვნის კნინობითობისა და ქონების სახელები.

მეგრულში კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსებითაა გაფორმებული ფრინველთა გარეგნობის, ფერისა და სქესის აღმნიშვნელი ტერმინები. ისინი ძირითადად ნაწარმოებია კნინობითობის **-ია** და **-ა** სუფიქსებით (შდრ.: გრამატიკულ ლიტერატურაში აღნუსხულია კნინობითობის მაწარმოებელი მრავალფეროვანი სუფიქსები (ყიფშიძე, 1914; მარი, 1910; შანიძე, 1973); ხოლო ლაზურში მსგავსი წარმოების სახელები ფრინველთა ლექსიკაში არ დასტურდება.

-ია სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრულში: **მუმუია** „მამალი“; **დადუია** „დედალი“; **გარაია** „მოზრდილი დედალი“; **ცურუია** „პატარა, მომცრო წიწილა“; **ჭერჭოია** „ჭრელი“; **ჭურჭოია** „სხვადასხვაგვარად აჭრელებული“; **დაჟოია** „წითლად აჭრელებული“; **ჭაჭვოია** „ჭაჭვისებური ჭრელი“; **დანტურია**||**ხანტურია** „ჭრელი“; **ქოჩოჩია** „ქოჩორა ქათამი“; **ფიღვია** „ქათამი, რომელსაც ყურის ძირებში წანაზარდები აქვს“; **ჩელაია** „თეთრი“; **ჩელერია**||**ჩეკერია** „მალალ ფეხებზე მდგომი მამალი“.

-ა სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრული: **ბუძგა** „აბურძღნული ბუმბულის მქონე ქათამი“; **ჭვირკა** „გამხდარი ქათამი“;

ცუჭა „ქათამი, რომელსაც ყურები ბუმბულით აქვს დაფარული“.

ქონების ჯგუფის სახელებიდან ყურადღებას იქცევს მეგრ. -ამ- სუფიქსით გაფორმებული სახელები. ფრინველთა გარეგნობის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად სწორედ ფუძეზე მქონებლობის -ამ- სუფიქსის დართვითაა წარმოდგენილი. მეგრულში -ამ- სუფიქსი ერთვის როგორც ძირეულ სახელებს, ასევე კომპოზიტებსაც. -ამ- სუფიქსითაა ნაწარმოები: **ღაბაბამი** „ღაბაბიანი ქათამი“ (შდრ.: **ღაბაბი**); **კუდეღამი** „კუდიანი“ (შდრ.: **კუდეღი**); **ბურღღამი** „ხშირბუმბულიანი ქათამი“ (შდრ.: **ბურღღა**); **ჩექქამი** „ფეხზე ჩექმის მსგავსად ბუმბულის მქონე“ (შდრ.: **ჩექქა**); **შარვალამი** „ფეხზე შარვლის მსგავსად ბუმბულის მქონე ქათამი“ (შდრ.: **შარვალი**); **ფრიმულამი** „წვერებიანი მამალი“ (შდრ.: **ფრიმული**); **ქოჩოჩამი** „ქოჩოჩიანი ქათამი“ (შდრ.: **ქოჩოჩი**); **ფილაჯამი** „წვერებიანი მამალი“ (შდრ.: **ფილაჯი**); **ქუღამი** „ქუღის მსგავსად ბუმბულის მქონე ქათამი“ (შდრ.: **ქუღი**).

მეგრულში ქონების სახელთა მაწარმოებელი -ამ- სუფიქსი შეიძლება ვივარაუდოთ -იან სუფიქსის ფონეტიკურ ვარიაციად (შდრ.: ქართ. -იან-. როგორც ცნობილია, -იან- მაწარმოებელი მიღებულია -იან- ისაგან. -იან- სუფიქსმა ქართულშივე განიცადა ფონეტიკური ცვლილებები: -იან (-იან- <-იევან-) (შანიძე, 1973) ანუ, სუბსტიტუციის გზით ნ-ს ადგილი მ თანხმოვანმა დაიკავა.

მქონებლობის -ამ სუფიქსი დაერთვის კომპოზიტებსაც: **კუჩხბურღღამი** „ფეხბუმბულიანი“; **გინძეკუდეღამი** „გრძელკუდიანი“.

მეგრულში ქონების -ამ- სუფიქსს ზოგჯერ მქონებლობის -ა სუფიქსი ენაცვლება: **ბურღღამი**||**ბურღღა** „ბუმბულიანი“; **ჩექქამი**||**ჩექქა** „ჩექმიანი“; **შარვალამი**||**შარვალა** „შარვლიანი“; **კუჩხბურღღამი**||**კუჩხბურღღა** „ფეხბუმბულიანი“ შესაძლებე-

ლია, რომ ეს -ა მქონებლობის -ამ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი იყოს. -ა სუფიქსი ზოგჯერ ცოცხალი არსების სხეულის ნაწილ-თა აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის და მქონებლობის გაგება ახლავს. მსგავსების სახელებში -ა სუფიქსი მასუბსტანტივებე-ლია. მაგ.: **ჩაქვა** „ჩაქვის მაგვარი“; **ცუჭა** „ყურიანი“.

ლაზურში ქონების სახელების საწარმოებლად დადასტუ-რებულია -ა და -ონ სუფიქსები: -ა სუფიქსითაა ნაწარმოები: **ქუქუდა** „ქუდიანი“; **ქოჩორა** „ქოჩრიანი“ (შდრ.: ქართ. ქოჩო-რი); **კუჩხექოჩორა** „ფეხბუმბულიანი“; -ონ- სუფიქსი საანალი-ზო მასალის მიხედვით ერთვის კომპოზიტებს: **თიქუდონი** „თავქუდიანი“; **თიხერხონი** „თავხერხიანი“.

2. პრეფიქსული წარმოება. წარმოქმნილ ფორმათაგან ყველაზე მწირადაა წარმოდგენილი პრეფიქსული წარმოების ტერმინები. პრეფიქსული წარმოების მაგალითებია მეგრულში: **ნიხძგვი**||**ნიძგვი**, **ნიქითი** „ნიხკარტი“. დადასტურებულ ფორ-მებში **ნი-** პრეფიქსი სიტყვის საწარმოებელ პრეფიქსად არის მიჩნეული (ყიფშიძე, 1914, 289; თოფურია, 1973). (შდრ.: **ნი-სკარტი**, **ნი-კარტი** (დიალექტ.), **ნი-კაპი**, **ნი-ჩური**). ამ ძირის უაფიქსო ვარიანტი უნდა გვქონდეს სიტყვაში **ჩიჩვირი** „ინდა-ურის, ქათმის ცხვირი დაკიდებული და მსგავსი მისნი“ (საბა). **ჩიჩვირი** რედუპლიცირებული ძირი ჩანს: **ჩიჩვირი — ჩვიჩვირი** (ერთელიშვილი, 1980). გ. კლიმოვი მეგრ. **ნიძგვი**||**ნიძგვი** ძირს უკავშირებს ქართ. **ნიჩუ** ძირს (კლიმოვი, 1964, 148), სხვა მო-საზრების თანახმად, მეგრ. **ნიძგვი** — (**ნიჩგუ**) შესატყვისია ქართ. **ნიჩგვი**-ისა (გამყრელიძე, 1959; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 361) (შდრ.: ქართული ენის დიალექტში დასტურდება **ნიჩგვა** „ცხვირგანიერი და დაბალი ადამიანი“; ქართლურში კი **ნიჩგო** (**ნიჩგვა**) „ცხვირშეჭეჭყილი ადამიანი“.

პრეფიქსულ წარმოებას მიეკუთვნება ფრინველებზე სანა-დირო იარაღების აღმნიშვნელი შემდეგი ლექსიკური ერთეუ-ლები:

მეგრ.: მარყუჭი „მარყუჭი“. მეგრულში მარყუჭი ნაწარმოებები ჩანს ყუჭ- ბირზე მა- პრეფიქსის დართვით. მეგრ.-ლაზ. ყუჭ||ყუჭ შესატყვისია ქართ. ყურ- ძირისა, რ- ფონეტიკურად ჩართული ბგერაა. მარყუჭი ტერმინი დადასტურებულია აქარულ-გურულში. სამეცნიერო ლიტერატურაში მარყუჭი ზანური წარმოშობის სიტყვად არის მიჩნეული (როგავა, 1959, 277; დანელია, 1984, 86). ეს სიტყვა ქართულში იხმარება ოთხი ფონეტიკური ვარიანტით: მარყუჭი||მარყუჭი||მარყუჭი-||მარყუჭი. ამათგან ამოსავლად მიჩნეულია მარყუჭ, რომლის ჭ-ს სპირანტიზაციით მიღებულია -მარყუჭ, ხოლო ამ უკანასკნელის დაყრუებით -მარყუშ: მარყუჭ>მარყუჭ>მარყუშ; ხოლო ჭ-ს გამკვეთრებით მარყუჭი ფორმა (როგავა, 1959, 277).

ლაზ.: ირეკი „ფრინველთა მახე“. ს. ჟღენტს დაწვრილებით აქვს აღწერილი იმერული ირენჭკა და ლაზურ ირეკ-ს უკავშირებს (ჟღენტი, 1936). კ. დანელია ირეკი||ირენჭკა-ში ი- თავსართს გამოყოფს, რაც აიხსნება იიე მონაცვლეობით (შდრ.: ირეკი||ერეკი). ძირეული რეჭ-||რე(ნ)ჭკ- ზანური შესატყვისია ქართ. რწყმა ზმნის რეწყ ძირისა. ქართ. რეწყ-ძირს ზანურში რაჭყ- უნდა მოეცა, მაგრამ ბრუნვის ნიშნისეული ი-ს გავლენით ა>ე-ში გადასულა: რაჭყ-ი > რეჭყ-ი, მაგრამ ლაზურისათვის ჭყ- კომპლექსი უჩვეულოა და მათი დაძლევა ორგვარად ხდება: ჭყ>ჭკ (შდრ.: ირეჭკა < (ირეჭყა) (გურ.) ან ჭყ>ჭ (შდრ.: ირეჭი (< ირეჭყი). ასე რომ, ირეჭი, ირენჭკა, ირენჭი ლაზური გაბგერებისაა, მეგრულს იგი არ დაუცავს (დანელია, 1984, 77-78). ალ. ჭინჭარაულის თვალსაზრისით, ირეკი დაკავშირებულია ქართ. იჭერ ზმნურ ძირთან (იჭერ>ირეჭ), რაც გასაზიარებლად მიგვაჩნია.

3. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ტერმინები. სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას განეკუთვნება დანიშნულების სახელები, ხელობის სახელები, უქონლობის სახელები, ხარისხის სახელები. საანალიზო

მასალის მიხედვით განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

ა. **დანიშნულების სახელები.** მეგრულ ლაზურში დანიშნულების სახელებს აწარმოებს **ო-ე** პრეფიქს-სუფიქსი (შდრ.: ქართ. სა-ე). ზანურში დადასტურებულია დანიშნულების **ო-ე** კონფიქსით ნაწარმოები ფრინველთა ლექსიკასთან დაკავშირებული რამდენიმე ლექსიკური ერთეული. მაგ.: მეგრ. **ო-ქოთომე**, ლაზ. **ო-ქოთუმალ-ე** „საქათმე“; მეგრ. **ო-ღორღონჯ-ე** „საბატე“; **ო-ინდურ-ე** „საინდაურე“; **ო-კვატ-ე** „საიხვე“; **ო-კარი-ე** „საქათმე“.

მეგრ. **ოჩხოტეიოჩხოტე** „მოზრდილი, დასაკლავად ვარგისი წიწილა“ ლექსემა გაფორმებული ჩანს **ჩხოტ** ძირზე დანიშნულების ცირკუმფიქსის დართვით. ბგერათშესატყვისობის კანონზომიერების მიხედვით, მეგრ. **ჩხოტ**- ძირი უნდა მოეცა ქართ. **ცხატ**- ძირს, მაგრამ ამ უკანასკნელში ეს ფორმა არ დასტურდება. სამაგიეროდ, გურულსა და იმერულში დადასტურებულია **ჩხოტ**- ძირის შემცველი ზმნური ფორმები. მაგ.: **ჩხოტვა**, **მოჩხოტვა** „ხის ფოთლების მოკრეფა“ (ი. ჰყ); „ხისათვის ფოთლების გაცლა (ს. ყდ.)“ (შდრ.: მეგრულსა და ლაზურში ამავე მნიშვნელობით იხმარება მეგრ. **ცხოტუა**||**ცხოტუა**||**ჩხოტუა**; ლაზ. **ოცხაპუ**, **ოჩხოტალუ**. დიალექტებში დადასტურებული ლექსემები **ჩხოტვა**, **მოჩხოტვა** (გურ.) ზანიზმადაა მიჩნეული (ყდენტი, 1940,229).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დანიშნულების სახელებს მეგრულში **ო-ე** კონფიქსის პარალელურად აწარმოებს ქართული წარმოების **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსი. მაგ.: მეგრულში **ო-კვატ-ე** ფორმის პარალელურად ხშირ შემთხვევებში დასტურდება **სა-კვატ-ე** ფორმა. ასეთი კონტამინირებული ფორმა მეგრულში (ძირი მეგრულია, აფიქსი კი ქართული) **საკამაწყარო**, **საბულიონო** „დასაკლავად ვარგისი წიწილა“ ტერმინები. დასახელებული ლექსიკური ერთეულები სინონიმებია. მეგრ.: **საკამაწყარო** ტერმინი აგებულებით რთული

ფუძე ჩანს: სახელი+სახელი (გაფორმებული დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსით). კომპოზიტის პირველი კომპონენტია **კაძა** („სურნელ-სანელებელი ბოსტნეული მცენარე“). მეორე კომპონენტია **წყარი** (შდრ.: ქართ. **წყალი**; მეგრ.-ლაზ. **წყარი** (ჩიქობავა, 1938, 182; 1942, 21). **კაძაწყარი** შესაძლებელია თავდაპირველად წარმოდგენილი ყოფილიყო მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით ***კაძაწყარი** (შდრ.: მეგრ. **ზღვაპიჯი** < ***ზღვაშპიჯი** „ზღვის პირი“; **ჭუბურხინჯი** < ***ჭუბურიშხინჯი** „წაბლის ხიდი“).

მეგრ. **საორინჯო** „საყოლი“ ტერმინი ნაწარმოები ჩანს საობიექტო მიმღეობაზე ქართ. **სა-ო** დანიშნულების ცირკუმფიქსის დართვით. (შდრ.: მეგრ. **ორიჯი||ორინჯი||ორჯი** „საქონელი“ (ყიფშ.; ელიავა). ივ. ჯავახიშვილი **ორინჯ-||ორჯ-** ფუძეს განიხილავს მეგრ. **ერჯ-თან** (**ერჯი** < ***ორჯი**-დან მომდინარეობს ასიმილაციის გზით) „მამალი ცხვარი, ვერძი“ მიმართებაში და უკავშირებს მეგრ. **რინა** „არსებობა“ ზმნის ფორმას (ჯავახიშვილი, 1937, 203).

ო-ე კონფიქსითაა ნაწარმოები ზანურში შინაურ ფრინველთა საბუდრის აღმნიშვნელი სახელები. მაგ:

მეგრ. **ო-გვაჯ-ე** „საბუდარი“. სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრ. **გვაჯ-** ფუძის შესატყვისად მიჩნეულია ქართ. **კვერ-** ფუძე. **გვაჯ-**, **კვერ-** ფუძეებში გამოყოფენ **გვ-**, **კვ-** ძირებს, ხოლო მეგრ. **-აჯ-**, ქართ. **-ერ-** ის შესატყვისი დეტერმინანტი სუფიქსია (როგავა, 1946, 8). ქ. ლომთათიძე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ქართულ **ბუდე** სიტყვაში იგივე ფუძე გვქონდეს, რაც მეგრ. **ო-გვაჯ-ე**-ში. ქართ. **ბუდე** და მეგრ. **ო-გვაჯ-ე** ფორმებში საერთო ფუძედ გამოიყოფა **ბუდე-**, **გვაჯ-** (<**გვადე-**). ქართული **ბუდე-**, ზანური **გვადე-**ის მიხედვით, შესაძლოა მომდინარეობდეს ***გვედე-**ისაგან: ***გვედე->გვოდ->ბოდ->ბუდე**. **ბ-** მიღებული ჩანს **გვ-** ლაბიალური კომპლექსისაგან: **გვ->ბ**. ცნობილია, რომ ქართველურ ენებში დასტურდება უკანა წარმოების ხშულ ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმის შედეგად **ბ-ფ-ბ**

ხშულთა მიღება გარკვეულ შემთხვევებში (ლომთათიძე, 1984). (შდრ.: გველი „საჯდომელი კუნძი“ (საბა); აჭარულში **„ეგვედებო“** იტყვიან, როდესაც ქათამს კვერცხის დება უნდა (ბსკიდა). სავარაუდოა, რომ **ეგვედება** ზმნურ ფორმაში დაცული იყოს ზანური **გვედ-** ძირი.

ლახ. **ო-ბღ-ე** „ბუდე, კვერცხის დასადები“; **ო-სქვ-ე** „საბუდარი“. ლახ. **ოსქვე** მიღებული ჩანს **სქვ-** ძირზე **ო-ე** კონფიქსის დართვით. ლახურში **სქვ-** ძირიდანაა ნაწარმოები **ო-სქუ** „კვერცხის დება“; **მსქუმეა** „კვერცხისმდებელი“ და სხვა (შდრ.: მეგრ.: **სქულა** „კვერცხის დება“; **მასქული** „კვერცხისმდებელი“). ამავე **სქვ-** ძირისაა **სქუა** „შვილი“. მეგრ.-ლახ. **სქვ** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **შევ-** ძირისა. ოღონდაც, ამ ძირებს შორის მნიშვნელობის გადაწევა მომხდარა. ზანურში იგი (**სქვ**) აღნიშნავს „კვრცხის დებას“, ქართულში კი „შობაზე, აღამიანის დაბადებაზე“ იტყვიან (ჩიქობავა, 1938, 315). ლახურში შესამჩნევია **ოსქვეოსკვე** ფორმათა მონაცვლეობა (შდრ.: მეგრ.: **სქუოსკუა** „შვილი“; **მასქულიოსკული** „კვერცხისმდებელი“; **ოხორასქილიოსორასკილი** „მაზლი, მული“ და სხვა). მეგრულ-ლახურში **„სქოსკ** კომპლექსთა მონაცვლეობა კანონზომიერია. რაც აიხსნება ყრუ სპირანტთა მომდევნო გლოტალიზაციის დაპირისპირების ნეიტრალიზაციით“ (გუდავა, გამყრელიძე, 1984, 105).

ბ. ხარისხის სახელები. ხარისხის სახელები საგნის ნიშანთვისებას მეტი ან ნაკლები ოდენობით წარმოგვიდგენენ. ნიშანთვისებათა მეტ-ნაკლებობა ემყარება ძირეულ და წარმოქმნილი სახელების შედარებას. ძირეული სახელი მიჩნეულია დადებით ხარისხად, მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა უფროობით ხარისხად, მასზე ნაკლები კი-ოდნობითია. ზოგიერთი მკვლევარი ოდნობითს ხარისხის ფორმად არ მიიჩნევს რიგ ნიშანთა

გამო, რითაც იგი განსხვავდება უფროობითი ხარისხისაგან¹ ხარისხის გადმოსაცემად ენას მოეპოვება ორი მთავარი წარმოება: აღწერითი (ანალიზური) და წარმოქმნილი (სინთეზური). თითოეული წარმოების გამოსახატავად ენას სხვადასხვა საშუალება აქვს.

ოდნობითი ხარისხი ყველა ზედსართავ სახელს არ გააჩნია. იგი ეწარმოება ზედსართავთა განსაზღვრულ ჯგუფს, ძირითადად ფერისა და სიდიდის აღმნიშვნელ სახელებს² სხვა თვალსაზრისით, ოდნობითი გამოხატავს რა საგნის ნიშან-თვისებას, გარკვეულ რაოდენობრივ შეფარდებას დადებით ფორმასთან შეფარდებით, უთუოდ წარმოადგენს ხარისხის ფორმას³

ოდნობითი ხარისხი იწარმოება ფუძეზე **მო-ე** თავსართბოლოსართის დართვით. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ოდნობითის მაწარმოებელი **მო-** პრეფიქსი შესაძლოა მომდინარეობდეს სათანადო ზმნისწინიდან⁴. ოდნობითი ხარისხის პრევერბულ წარმოებას ადასტურებს ლაზურის მონაცემებიც. ლაზურში ოდნობითი ხარისხის გამოსახატავად გამოიყენება **მო-ა, მო-ო, გე-ა**.

ოდნობით ხარისხს მეგრულში ი. ყიფშიძეც გამოყოფს (ყიფშიძე, 1914, 035), თუმცა გ. როგავა ქართ. **მო-ო** და მეგრ. **მო-ე** წარმოებას სხვა რიგისად მიიჩნევს და თვლის, რომ მას ამოსავალში ხარისხის კატეგორიასთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო (როგავა, 1958, 100).

¹ გ. როგავა, ზედსართავის გაქვევებული ხარისხის ფორმები ქართულში, იკე, IX-X, თბ. 1957, 107; ო. ზურაბიშვილი, ხარისხის სახელი ქართველურ ენებში, თუშ, 67, თბ. 1957, 137; გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თუშ, 71, თბ. 1959.

² გ. როგავა, ზედსართავის... იკე, IX-X, თბ. 1957, 107.

³ ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ. 1957, 452.

⁴ აკ. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973; თ. ზურაბიშვილი, ხარისხის სახელი... თუშ, 67, თბ. 1957, 137-138.

საკვლევი მასალის მიხედვით, მეგრულში ფრინველის ფერთა ლექსიკაში დადასტურებულია ოდნაობითი ხარისხის ფორმები, რომლებიც ნაწარმოებია ზედსართავ სახელზე მო-პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით. მაგ.: მეგრულში ფრინველის შეფერილობის ოდნაობითი ხარისხის აღსანიშნავად დადასტურებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: მორჩე „მოთეთრო“ (←ჩე „თეთრი“); მოჭითე „მოწითალო“ (←ჭითა „წითელი“); მოუჩე „მოშავო“ (←უჩა „შავი“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის ბუმბულის შეფერილობა გამოხატულია ქართველური წარმოშობის ზედსართავი სახელებით და არც ერთი მათგანი არაა ოდენ მეფრინველობის ლექსიკისათვის დამახასიათებელი სიტყვა. ისინი გამოიყენება სხვა ჯგუფის ლექსიკის მსაზღვრელ სახელადაც.

გ. უქონლობის სახელები. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, უქონლობის, წინა ვითარებისა და დანიშნულების სახელებში ამოსავლად მიაჩნიათ ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით, ქართველურ ენათა უარყოფითი ფორმის უ-პრეფიქსი მომდინარეობს ვე←(უე) უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამ ნაწილაკის ნულსაფეხურიანი ვარიანტი უ-პრეფიქსის სახით დასტურდება ქართველურ ენებში (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965).

უარყოფითი ფორმები განხილული აქვს ვ. თოფურიას, რომლის მიხედვითაც „1. ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიცემა სუფიქსური წარმოებით და 2. უქონლობის გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ-“ (თოფურია, 1940, 417-539).

უქონლობის სახელთა მწარმოებლები ქართველურ ენათა მასალის მიხედვით შემდეგია: მეგრ. უ-ო, უ-ე, უ-ურ, ო-ოლ; ლაზ. უ-ე, უ-ელ; ქართ. უ-ო, უ-ურ, უ-არ.

საანალიზო მასალაში დადასტურებული გვაქვს რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომლებიც გაფორმებულია უქონლობის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსით: მეგრულში უ-ე, უ-უ, ხოლო ლაზურში უ-ელ. მაგ.: მეგრ.: უ-კუდეღ-ე „უკუდო“, უ-მუმულ-ე|უ-მუმულ-უ „დაუმამლავი“, უ-ჩიჩ-უ „უმამლავი“; ლაზ.: უ-თომ-ელ-ი „უთმო“.

დ) ხელობის აღმნიშვნელი სახელები. ზანურში გვხვდება ფრინველთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაწარმოები ჩანს ფუძეზე პრეფიქს-სუფიქსის დართვით. მაგ.:

მეგრ. **მაფშალია** „ბულბული“: სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, მეგრ. **მაფშალია** ლექსემაში საწარმოებელი ფუძეა **ფშალი|ფშალა** „სვია“ (შდრ.: მეგრ. **ფშალა, ფშალი** „სვია“ (ყიფშ.; ქარ.) **ფშალა** „მცენარის სახელია“ (საბა), საწარმოებელ ფუძეს დაერთვის სიტყვაწარმოების **მა-ია** ცირკუმფიქსი. ამჟამად **ფშალა** ლექსემა მხოლოდ მეგრულ **მაფშალია** ტერმინშია დაცული. **მაფშალია** ეტიმოლოგიურად შეედრება ქართ. „მე-სვი-ე“-ს.

მეგრ. **მალუღია**, ლაზ. **მალაღუდე** „მელედვიე“: საანალიზო ლექსემის მიხედვით, საწარმოებელი ფუძე ჩანს **ზან. ლუღი**: ქართ. **ლეღვი**. სამეცნიერო ლიტერატურაში შეპირისპირებულია ქართ. **ლეღუ** და **ზან. ლუღი**. ქართ. **ლეღუ** (←***ლადღუ**) უმლაუტის შედეგია. ქართ. ***ლადღუ**-ს შესატყვისი ზანურში უნდა ყოფილიყო ***ლოღუ**, რომლისგანაც, ტ. გუდავას დადგენილი წესის თანახმად, მიღებული ჩანს მეგრ.-ლაზ. **ლუღ-** (გუდავა, 1960, 120). სავარაუდოა, რომ ზანური ***ლადღუ** არქეტები იყოს შემონახული მეგრულში **მალუღია**-ს პარალელურად დადასტურებულ **მალაღური**, **მოლაღური** და ლაზურ **მალაღუდე**, **მალაღურე** ფორმებში. **მალუღია|მა-ლადღუდე** ტერმინი ეტიმოლოგიურად ქართული „მელედვიე“-ს ფარდია.

პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას განეკუთვნება მეგრ. **მაწკინტილაია** „ფრინველთ განავალი“. ტერმინი ნაწარმოებია **წკინტილ** ფუძეზე **მა-** პრეფიქსისა და **-ია** კნინობითობის სუფიქსის დართვით.

სიტყვაწარმოების ცნობილი **მა-ოლ** პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრ. **მაჭირხოლი** „მერცხალი“. მეგრ. **მაჭირხოლი** და ქართ. **მერცხალი** ფონეტიკურად ერთმანეთის შესატყვისი ფუძეებია. მეგრ. **მაჭირხოლი-ს** მიხედვით ქართულში „მერცხლის“ ძველი სახელი — ***მერწინალ** — აღდგება (შდრ.: ამოსავალი ***მერწინალ-** ასე იშლება: ***მე-რწინ-ალ, მე-ალ** სიტყვაწარმოების პრეფიქს-სუფიქსია). მეგრულს შემოუნახავს ამ ფუძის სრულხმოვნიანი შიშინა ვარიანტი (გულავა, 1964, 144).

4. **სახელზმნური წარმოების ტერმინები.** დარგობრივი ლექსიკის (resp. ფრინველთა ლექსიკის) არაერთი საანალიზო ლექსემა არის დადასტურებული სახელზმნური წარმოების ტერმინებით. სახელზმნური წარმოების ტერმინები დაყოფილი გვაქვს მასდარული წარმოებისა და მიმღობური წარმოების მიხედვით.

ა) როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მეგრულში მასდარის ერთი ძირითადი — ოდენსუფიქსური წარმოება მოქმედებს. ი. ყიფშიძე მეგრულში მასდარის რამდენიმე დაბოლოებას გამოყოფს. ესენია: **-უა** (resp. ვა; ჯა), **-უვა, -ა, -აფა, -უალა, -ალა, -ება** (ქართულიდან ნასესხები), **-ოფა, -აფა** (ქართ. **-ება-ს** ეკვივალენტი) (ყიფშიძე, 1914, 093-094). პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების მასდარი თითქმის მხოლოდ გასუბსტანტივებულ სახელებშია შემორჩენილი.

ლაზურში მასდარის წარმოების რამდენიმე ტიპი დასტურდება: პრეფიქსულ-სუფიქსური, ოდენსუფიქსური და უნიშნო. ლაზურში **-ა** სუფიქსიანი მასდარის წარმოება ახალ წარმოე-

ბად არის მიჩნეული და მას ქართულიდან თუ მეგრულიდან შეთვისებულად თვლიან. მასდარის ძირითადი ტიპი ლაზურში **ო-უ** კონფიქსით წარმოებაა. „**ო-უ** ტიპი ქართულიდან ცნობილი **სა-ა** ტიპის ზანური ეკვივალენტი, ქართულში ეს ტიპი იშვიათია, მისი შესატყვისი **ო-უ** კი ჰანური მასდარის ძირითადი ტიპია“ (ჩიქობავა, 1942, 240).

მეგრულში მასდარის წარმოება ქართულის ანალოგიურია, ანუ მეგრულში დადასტურებულია წარმოების ერთი ძირითადი — ოდენსუფიქსური — წარმოება, ხოლო ლაზურში — მასდარის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება, რომელიც ქართველური ენებისათვის მასდარის წარმოების უძველეს ფორმადაა მიჩნეული. თუმცა, ლ. ნადარეიშვილი თვლის, რომ „შესაძლოა, სუფიქსური წარმოებაც ძველი მოვლენა იყოს ქართველური ენებისათვის, ისევე როგორც პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. კერძოდ, მასდარის **-ა** სუფიქსიანი წარმოება შესაძლოა ძველთაგანვე არსებობდა ზანურში უძველესი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების პარალელურად“ (ნადარეიშვილი, 1970, 143).

მეგრულში **-აფ-**, **-აფა** სუფიქსებითაა გაფორმებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: მეგრ. **კვირ-აფი** „ხმიანობა საფრთხის დროს“. მეგრ. **კვირაფი** უკავშირდება ქართ. **გაკვირვება-ს** (ყიფშიძე, 1914); **კუხ-აფ-ი** „კრუხუნი“; **წი-აფ-ი** „წივ-წივი“. არნ. ჩიქობავას მიერ შეპირისპირებულია ქართ. **წ-ივ** და მეგრ.-ლაზ. **წ-ი(ვ)**, სადაც საერთო ქართველურ ძირად **წ-** არის გამოყოფილი (ჩიქობავა, 1938, 394), **-ივ** ელემენტი შენახულია ქართ. **წივწივ** რედუბლიცირებულ ფორმაში, ხოლო ზანურში **-ვ** დაკარგულია **ი-სა** და მომდევნო ხმოვანს შუა; **ჰყი-აფ-ი** „ჰყივილი“. მეგრ. **ჰყი-** ძირის შესატყვისია ქართ. **ჰყივ-** ძირი (სარჯველაძე, 1985, 25).

ამავე წარმოებას განეკუთვნება მეგრ.: **კუთ-აფ-ი** „ფრინველის ხმიანობა“, **ჩხირკ-აფ-ი** „ქექვა(ნისკარტი)“, **ჰუქ-აფ-ი**

„ფრინველის ხმიანობა“, **ბუცხ-აფ-ი** „ჩხრეკა“, **ჭვიტ-აფ-ი** „ელურტული, ჭიკჭიკი“.

-**აფა** სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრ. **გოლინ-აფა** „გასეირნება“, **რგილ-აფა** „გაცივება (კვერცხის)“, **გუშაფონ-აფა** „გამოყვანა (წიწილის)“.

როგორც ვიცით, ლაზურში მასდარის სუფიქსური წარმოებისას ძირითადი მაწარმოებელია -**ა** სუფიქსი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება -**აფ** სუფიქსიანი წარმოებაც. საანალიზო ლექსემათა შორის მსგავსი წარმოებისაა ლაზ. **ყუ-აფ-ი** „ფრინველის ხმიანობა“, **წი-აფ-ი** „წივწივი“ ტერმინები.

მეგრულში -**უ-ა** სუფიქსითაა გაფორმებული **ლანდ-უ-ა** „დალანდვა“, **ცურშ-უ-ა** „დაბუღება“, **ცონ-უ-ა** „დაბუღება“, **ნადირ-უ-ა** „ნადირობა“, **ჭვიტ-უ-ა** „ფრინველის ხმიანობა“.

-**უ-ა** სუფიქსიანი მასდარის წარმოება პროდუქტიულია მეგრულში. ამ ტიპის, -**უ-ა** წარმოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, მეგრულში -**უნ**(←-**ომ**) თემისნიშნიან ზმნას -**უ-ა** დაბოლოებიანი მასდარი შეესატყვისება (ნათაძე, 1959, 140-142). ტ. გუდავას მოსაზრებით კი, -**უ-ა** დაბოლოებიან მასდარში — -**ოვ**(←-**ავ**)-ისგან მომდინარეობს და, ამდენად, თემისნიშნის ნაშთს წარმოადგენს. იგი წარმოქმნილია **ვ-ს** წინამავალ **ო-ს**თან შერწყმის გზით ხმოვნის წინა პოზიციაში. ლ. ნადარეიშვილის ვარაუდით, -**უნ** თემისნიშნიანი ზმნებისაგან ნაწარმოები -**უ-ა** დაბოლოებიანი მასდარი ანალოგიით გავრცელებულა იმ მასდარებშიც, რომელთა ზმნურ ფუძეებს აწმყოში არა აქვთ -**უნ** თემისნიშანი (ნადარეიშვილი, 1964, 263). ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს.

-**ა** სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრ. **ჭინ-ა** „ცქერა, ყურება“ და **ნწყემ-ა** „აქნა“ — ლექსიკური ერთეულები.

-**ინ**- ბოლოსართითაა გაფორმებული მეგრულში **თიკ-ინ-ი**

„გაბლენდა“, გვეჯ-ინ-ი „წრიალი“, ღულ-ინ-ი „ღულღნი“, წირწ-ინი „წივილი“, ჰირჰ-ინ-ი „ჰრიჰინი“, ჰირხ-ინ-ი „მერცხლის ხმიანობა“ ლექსიკური ერთეულები. დადასტურებულ ლექსება-თაგან ოთხი ტერმინი (ღულინი, წირწინი, ჰირჰინი, ჰირხინი) ხმაბაძვითი ხასიათისაა.

-ინ- სუფიქსიანი მასდარები ქართულში ძალზე იშვიათია და თანაც შეზღუდული (ჩიქობავა, 1942, 218), ხოლო მეგრულში -ინ სუფიქსი ჯერ კიდევ აქტიური, ცოცხალი აფიქსია, რომელიც პირიან ფორმაში ხან შენარჩუნებულია, ხან ჩამოცილებული. გარდა ამისა, მეგრულში -ინ სუფიქსიანი მასდარი ხანდახან თემის ნიშნიან ფორმაზე დაირთავს მასდარის მაწარმოებელ -უ-ა სუფიქსს. მაგ.: მეგრ. ღულინი||ღულინუა „ღულღნი“, წირწინი||წირწინუა „წივილი“.

-ონ- სუფიქსითაა ნაწარმოები მეგრ. კიკ-ონ-ი „კენკვა“, ცი-ონ-ი || ყი-ონ-ი „ყივილი“, ცხიკ-ონ-ი „ჩხრეკა“ ტერმინები.

-ულ- და -ალ- სუფიქსითაა ნაწარმოები ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვები. საანალიზო მასალის მიხედვით, ამ ტიპის წარმოებისაა მეგრ. ტკარჩ-ალ-ი „ტკრციალი“, ღურჰ-ულ-ი „მერცხლის ხმიანობა“ ერთეულები.

-ება (ქართ. -ება სუფიქსი) ბოლოსართითა და ზმნისწინის დართვითაა გაფორმებული მეგრ. და-ლეცერ-ება-ა „დაპურება“ ტერმინი.

მასდარის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება ძირითადად დამახასიათებელია ლაზურისათვის. ამ ტიპის მასდარის მაწარმოებლებია ო-უ და ო-ა კონფიქსები.

საანალიზო მასალის მიხედვით დადასტურებულია მხოლოდ ო-უ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები. მაგ.: ლაზ. ო-ჰიხონ-უ „ჰიკჰიკი“, ო-ფუთხინ-უ „ფრენა“, ო-კარკალ-უ||ო-კაკან-უ „კაკანი“, ო-კვირ-უ „ხმიანობა საფრთხის დროს“, ო-ყი-უ||ო-კი-უ „ყივილი“, ო-წი-უ „წივილი“, ო-კუნ-უ „კრუხენი“, ო-სტვინ-უ „სტვენა, გალობა“, ო-ბირ-უ „მღერა“.

ლაზურში **ო-ბირ-უ** ტერმინი წარმოდგენილია პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებით, თუმცა შეიძლება დადასტურებული ფორმას შეენაცვლოს ოდენსუფიქსური წარმოების მასდარი **ბირ-აფ-ა** (მდრ.:ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში გაარსებულია: ლაზ. **ბირაფა** „სიმღერა“).

ბ) მეგრულში მიმღობის ფორმები ფართოდაა გავრცელებული. ი. ყიფშიძე გამოყოფს მოქმედებითი გვარის მიმღობას, ვნებითი გვარის მიმღობასა და მომავალი დროის მომღობას (ყიფშიძე, 1914, 094-096).

ლაზურში მიმღობის გამოყენების არეც და წარმოებაც შედარებით შეზღუდულია, ვიდრე ქართულსა და მეგრულში. ეს განსაკუთრებით პრეფიქსულ წარმოებას ეხება, შედარებით პროდუქტიულია ოდენსუფიქსური წარმოება. არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ლაზურში „უცხო ენის — თურქულის — ინტენსიურ გავლენას მიეწერება, ალბათ, მორფოლოგიურად მნიშვნელოვანი კატეგორიის წარმოების მოდუნება“ (ჩიქობავა, 1942, 199).

მაგრამ არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ ლაზურს არ გააჩნია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ტიპი პრეფიქსიანი მიმღობისა. მაწარმოებელ პრეფიქსთაგან მეგრულ-ლაზურში საერთოა **მა-**, **ნა-**, **ო-** პრეფიქსები. „**მო-** პრეფიქსი ლაზურში არ დასტურდება, იგი საერთო მონაცემია მეგრულ-ქართულისათვის; **ნა-** საერთო ჩანს მეგრულ-ლაზურისათვის, ზოგჯერ მეგრულში იცვლება ის **ნა-**თი; **ნა-ე** კონფიქსი მხოლოდ ლაზურისათვისაა დამახასიათებელი; **მა-ე** საერთოა მეგრულ-ლაზურისათვის; **ო-** პრეფიქსი კი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. **სა-სი**“ (ნადარეიშვილი, 1962, 184). **ო-** და **სა-** პრეფიქსი სხვადასხვაგვარადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილია, რომ „სახელთა ხმოვანთავსართული წარმოება საერთო იყო ქართველური ენებისათვის. იგი ახასიათებდა ზანურთან ერთად ქართულსაც და სვანურსაც. ხმოვან-

თავსართი სიტყვასაწარმოებელი ნიშანია“ (თოფურია, 1947, 458-459).

მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსითაა გაფორმებული მეგრ. **მაბზაკუნა**||**მაზაკელა** „ბოლოქანქარა ჩიტი“ ტერმინი. ლექსემა **მაბზაკუნა**-სათვის ამოსავალია **ბზაკ**- ფუძე, რაც ქართული **ბზეკ**-, მეგრული **ზაკ**- ფუძეთშესატყვისობის შუალედური საფეხურია და დასავლეთქართულ დიალექტებში **ზანიზნია**, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში გავრცელებული **ბზაკუნი** „სკუპ-სკუპით სიარული“ (ცხადაია, 1999) (შდრ.: ბზაკუნი, „უშვერი სელა“ (დ. ჩუბ.)

ქართ. **ბზეკ**- ძირის მეგრული ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტია **ზაკ**-. შესატყვისობა ქართ. ე: მეგრ. ა დაცულია, ხოლო ტ. გუდავას მიერ დადგენილი წესის თანახმად, მეგრულში ჩქამიერის წინ ბ იკარგება (გუდავა, 1979, 81-88).

მეგრულში **ზაკ**- ფუძიდან იწარმოება ზმნური ფორმები. მაგ. **უ-ზაკ-უ-ან-ს** „ატოკებს, ზევით და ქვევით სწევს, აქანავებს, აქანქარებს, ფშეკს“. **ზაკ**- ფუძის სათანადო სასუბიექტო მიმღეობაა **მა-ზაკ-ელ-ა**, საობიექტო კი — **ო-ზაკ-ა-ია**. **მაზაკელა** ფორმა გაარსებითებულია და მეგრულში ფრინველის სახელადაა დადასტურებული (შდრ.: **ზაკ**- ზმნური ძირის საობიექტო მიმღეობა **ოზაკაია** გაარსებითებულია და აღნიშნავს „ფიცრის საქანელას, სარწვევლას“. პ. ცხადაიას მიერ დადასტურებულია ტოპონიმი **ოზაკაია**. **ოზაკაია** მორფოლოგიურადაც და სემანტიკურადაც ქართ. საქანელას ეკვივალენტია).

მეგრ. **მასაქელა** „ბოლოქანქარა“ ტერმინი წარმოების თვალსაზრისით სასუბიექტო მიმღეობაა, რომელიც გასუბსტანტივებულია. ამოსავალი ზმნური ფუძეა **საქ-უა** „ქნევა, რწევა, რხევა“.

მეგრ. **მა-სქუ-ალ-ი** („კვერცხისმღებელი“) ლექსემა ნაწარმოებია **სქუ**- ძირზე **მა-ალ** ცირკუმფიქსის დართვით.

მეგრ. **მა-ჯინ-ე** „მონადირე“ ტერმინი მიღებულია **ჯინ-**ძირზე სასუბიექტო მიმღობის მაწარმოებლის დართვით. დადასტურებული ლექსემა ეტიმოლოგიურად უკავშირდება „მაყურებელს“. ამავგე წარმოებისაა **მაფურინე** („ფრინველი“) ტერმინიც. ამოსავალია **ფურინი** „ფრენა“.

მეგრ. **ორინჯი, ორენჯი** „საყოლი“ ლექსიკური ერთეულები ნაწარმოები ჩანს ფუძეზე ვნებითი გვარის მყოფადის მიმღობის **ო-ინჯ, ო-ენჯ** ცირკუმფიქსის დართვით.

მეგრ. **მოჩიტოლირი** „მოჩიტული“ სახელი ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობაა, საწარმოებელი ფუძეა **ჩიტოლი** (შდრ.: მეგრ. **ჩიტოლუა** „ზრდა“).

საკვლევ მასალაში დადასტურებული გვაქვს მიმართულე-ბით ბრუნვაში დასმული მიმღობის ორი მაგალითი, რომელიც გამოყენებულია ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში. მაგ.: მეგრ. **ონადირუშა ულა** „სანადიროდ წასვლა“ და **ოჯინუშა ულა** სიტყვას.: „საყურებლად წასვლა“.

ლაზ. **მაბუზალე** „ბოლოქანქარა“ ტერმინი ნაწარმოებია **ბუზ-**ფუძეზე მიმღობის მაწარმოებელი **მა-ალ** ცირკუმფიქსის დართვით. საწარმოებელი ფუძე **ბუზ-** ლაზურში დაკავშირებულია „ცემა-დარტყმასთან“. ჩანს, ლაზ. **მაბუზალე** თავდაპირველად წარმოადგენდა სასუბიექტო მიმღობას, რომელიც შემდეგ გასუბსტანტივებულა. **მაბუზალე** ფორმის პარალელურად ნ. მარი ადასტურებს **მაბუზალე** ფორმასაც. ლაზურში **ბ→პ** შენაცვლება დასაშვებია, რასაც ს. ჟღენტი ხსნიდა რეგრესული დისიმილაციური გამკვეთრებით (ჟღენტი, 1953, 140).

5. კომპოზიცია. კომპოზიციას ენა იყენებს ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოსაქმნელად. კომპოზიციის გამოყენების არე საკმაოდ ფართოა ქართულში, ვიდრე მეგრულ-ლაზურში. ზანურში კომპოზიტები მიიღება ფუძის გაორკვევებითა და სხვადასხვა ფუძის შეერთებით (ყიფშიძე, 1914; მარი, 1910;

თოფურია, 1959; სანიკიძე, 1977).

ქართველურ ენებში დადგენილია კომპოზიტის ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული და ფუძეგანსხვავებული, როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო. მეგრულ-ლაზურში დადასტურებული კომპოზიტები წარმოების თვალსაზრისით ქართულის წესს იცავს, თუმცა ზანურში კომპოზიტის ზოგიერთი წარმოება შეზღუდულია.

მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ მეგრულ-ლაზურის დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებულია კომპოზიტები, სადაც ა) თხზული სახელის ორივე კომპონენტი არსებითი სახელია: პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მეორე კი — სახელობითი ბრუნვის ფორმით. მაგ.: მეგრ. **კუჩხბურღლა** „ფეხბუმბულა“; ლაზ. **გუ(რ)პიჯი** „გულისპირი“.

ხშირად ასეთი ტიპის წარმოებისას კომპოზიტის მეორე კომპონენტს დაერთვის მქონებლობის სუფიქსები — მეგრულში **-ამ**; ლაზურში **-ონ**. მაგ.: მეგრ. **კუჩხბურღლამი** „ფეხბუმბულიანი“; ლაზ. **თიქუდონი** „თავქუდიანი“; **თისერზონი** „თავხერხიანი“.

ლაზ. **ცალიუთომელი** „კისერუთმო“. დადასტურებული კომპოზიტის ორივე კომპონენტი არსებითი სახელია, რომლის მეორე კომპონენტიც წარმოდგენილია **უ-ელ** უქონლობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსით.

ლაზ. **მოსა-მანთა** „ბადე“. თხზული სახელი წარმოდგენილია სინონიმური წყვილებით. კომპოზიტი მიღებულია ძირეული და უცხოური წარმოშობის სიტყვების შეერთებით.

ბ) კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი — არსებითი სახელია, მეორე კი — ზედსართავი სახელი. მაგ.: მეგრ. **ჰი-კორკული** „კუჭი“; **გურწითე, გურჰითა** „გულწითელა ჩიტი“; **გურყვინთელი** „გულყვითელა“; ლაზ. **კუჩხგანძე** „ფეხგრძელი“; **კუჩხემწყუი** „ფეხმოკლე, ფეხპატარა“; **თიტეტელი** „თავშიშველი“; **ცალიტეტელი** „ყელტიტველი“. ლაზ. **თიტეტელი**, **ცალიტეტელი** კომპოზიტების მეორე კომპონენტი **ტეტელი**

რედუქციური ფუძე ჩანს, პირველი ფუძის ბოლოკიდული **ლ** სონორის დაკარგვით: ***ტელტელი**→**ტეტელი**.

გ) დადასტურებულია კომპოზიტთა ერთი ჯგუფი, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი ზედსართავი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი — არსებითი სახელი. ზოგჯერ ამ ტიპის წარმოების თხზული სახელები მეგრულ-ლაზურში გაფორმებულია მქონებლობის აფიქსებით. მაგ.: მეგრ. **გინძეკუდეღამი** „გრძელკუდიანი“; **ძელხორცი** „რბილი ხორცი“; **უჩაჩიტი** „შავი ჩიტი“; ლაზ. **კარაგიოზი** „შავთვალეზა“; **უჩათლონი** „შავთვალეზა“; **სათლონი** „ყვითელთვალეზა“; **იეშილბაში** „მწვანეთავიანი“; **ქურბაში**, **გურბაში** „ვარდისფერთავიანი“.

გაანალიზებული მასალის მიხედვით, ლაზურში ზედსართავი+არსებითი ტიპის თხზული სახელების შემადგენელი კომპონენტები უმეტესწილად უცხოური წარმოშობისაა.

დ) თხზული სახელის პირველი შემადგენელი ნაწილი არსებითი სახელია, მეორე კი — მიმღეობა. მაგ.: მეგრ. **წყარწყვიტია** „ჩიტის სახელია“; **წყარკაკია** „ჩიტის სახელია“; **წანამოთირელი** ზედმიწ. „წელიწადგამოცვლილი“ (ძველ ინდაურს ეძახიან). (შდრ.: მეგრულში **თირ-ძირი** სემანტიკურად დაკავშირებულია „თრევა“-სთან. მეგრ. **თირ-ძირს** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **თარ-** და ლაზ. **თორ-** (**თორ-||თურ-||თირ-**) ძირი); ლაზ. **კუდეღამწინუ** „ბოლოქანქალა ჩიტი“: კომპოზიტის მეორე კომპონენტი სასუბიექტო მიმღეობაა, ლაზური **წინ-** ძირი სემანტიკურად დაკავშირებულია „აწევა, გაჭიმვა, ფშეკასთან“; **ცალიბარელი** „კისერგამობერილი“ ნაწარმოებია სახელისა და მიმღეობისაგან: **ცალი+ბარ-ელ-ი**. ლაზ. **ბარელი** ზუსტი ფონემური შესატყვისია ქართ. **ბერ-** („ბერვა“) ძირისა (შდრ.: მეგრ. **ბარ-||მბარ-||ნბარ-** „ბარუა „ბერვა“); **ლუღიმონჭაფუ** „ჩიტის სახელია“.

ე) მეგრულში დადასტურებულია კომპოზიტი, რომელიც ნაწარმოებია ზმნისართისა და მიმღობისაგან. მაგ.: მეგრ. **ჟინ-მალუ** „ჩიტის სახელია“ (სიტყვას.: „ზევითმოსიარულე“, „ზევითმავალი“).

ვ) ლაზურში, მასალის მიხედვით, დადასტურებული გვაქვს კომპოზიტთა ისეთი ტიპები, რომელთა პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი გაურკვეველი ეტიმოლოგიისაა. მაგ.: ლაზ. **თიკაუნა** „უშნოთავიან ქათამს ჰქვია“; **თიკუნკულა** „თავქოჩრიან ქათამს ეძახიან“ (შდრ.: ლაზ. **თი** „თავი“); **დვაბუჭა** სიტყვას.: „ლოყებგამობერილი ქათამი“ (შდრ.: ლაზ. **დვა** „ლოყა“) (ყლენტი, 1938).

ზ) ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი. ასეთი კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად შერწყმის გზითაა მიღებული და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტების სახელითაა ცნობილი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული, ანუ მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში, ქართულის მსგავსად, შეიძლება ასე დალაგდეს:

1) კომპოზიტები ბრუნვის ნიშნის სრული დაბოლოებით. მაგ.: მეგრ. **ცაშლაკვეფი** „ჩიტის სახელია“ (სიტყვას. „ცის ლეკვები“); **ჯაშექიმი** „კოდალა“ (სიტყვას. „ხის ექიმი“); ლაზ. **დიკაშკინჩი**, **ბრინჯიშკვინჩი** „ბელურა“ (სიტყვას. „ხორბლის (ბრინჯის) ჩიტი“).

დადასტურებული ტიპის კომპოზიტები ასევე წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელითა და სიტყვა „ფერი“-ით. მაგ.: მეგრ. **ტუტაშფერი** „ნაცრისფერი“; **ხვილარიშფერი** „ხვლიკისფერი“; **დინაშფერი** „მიწისფერი“; **ოქროშფერი** „ოქროსფერი“; **ჭუბურიშფერი** „წაბლისფერი“ და სხვა; ლაზ. **კავერენგი** „ყავისფერი“ (შდრ.: თურქ. **rengi** „ფერი“).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მართულმსაზღვრელიან კომპოზიტსა და შესიტყვებას შორის ზღვარის დადგენა ხშირად სიძნელეებთან არის დაკავშირებული;

2) თხზული სახელები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი. მაგ.: მეგრ. წყარისინდი←*წყარიშინდი „წყლის იხვი“; ლაზ. წკაიმზესქუ←*წკაიმზესქუ „წყლის შაშვი“; წკაიქოთუმე←*წკაიშქოთუმე „წყლის ქათამი“.

3) ასევე დადასტურებულია მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთაც ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილი აქვს. მაგ.: ლაზ. გოლაკვინჭახი←*გოლაშიკვინჭახი, გოლაკვინჩა ← *გოლაშ(ი)კვინჩა „მთის ჩიტი“; ჭურჭახიჯა←*ჭურჭაშისიჯა „ჩიტის სახელია“.

რედუბლიკაცია, როგორც სიტყვათა წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალება, ქართველურ ენებში გავრცელებული მოვლენაა, განსაკუთრებით ქართულსა და მეგრულში, ხოლო ლაზურსა და სვანურში იშვიათად დასტურდება.

საკვლევ მასალაში დადასტურებულია რედუბლიკაციით მიღებული ერთეულები:

ა) რედუბლიკაციისას დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი კომპონენტები უცვლელად არის წარმოდგენილი, მაგ. მეგრ.: ჭაჭა „თირკმელი“, ტურტურუე „გვრიტი“; ლაზ. დაფლაფი „ფრინველის ხმიანობა“, ვიწივიწი „ჩიტის სახელია“;

ბ) გაორმაგებისას იცვლება ფუძისეული ხმოვანი ა-უ; მაგ.: მეგრ. ჭარჭულია||ჭარჭულია „ჭრელი“. ჭარჭულია ფუძეგაორკეცებული ფორმაა, სონორ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეში დისიმილაციისა და ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით (-ია კნინობითობის სუფიქსია); ლაზ. ჭაკაჭუკა „ჭრელ-ჭრელა“. მაგალითებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მეგრულ-ლაზურში, ქართულის მსგავსად, რედუბლიკაციისას ბუნებრივია

ხმოვნის მონაცვლეობა;

გ) რედუბლიკაციისას ერთ-ერთი ფუძე კარგავს თანხმოვანს. მაგ.: მეგრ. **გუგუფა** „ფრინველის მკერდი“. დაკარგულია პირველი სეგმენტის თანხმოვანი; **ქოჩოჩი** „ქოჩორი“. **ქოჩოჩი** ფუძეგაორკეცებული ძირი ჩანს, რომელსაც დაკარგული აქვს მეორე სეგმენტის თავკიდური თანხმოვანი: **ქოჩოჩი**←***ქოჩქოჩი**; **ლაზ.**: **ქუქუდა** „ქოჩორი“. **ლაზური ქუქუდა** რედუბლიკაციით ჩანს მიღებული. დაკარგულია პირველი ფუძის ბოლოკიდური **დ** თანხმოვანი: **ქუქუდა**←***ქუდქუდა**;

დ) რედუბლიკაცია თანხმოვნის მონაცვლეობით. მაგ.: **რ-ლ**; მეგრ. **ჭვარჭვალა** „ჭრელი“ ფორმა მიღებულია რედუბლიკაციის შედეგად ფუძეში თანხმოვნის მონაცვლეობით: **ჭურჭული**←***ჭურჭური** „ჩიტის ხმიანობა“; **ჭვარჭვალა**←***ჭვარჭვარია** „ჭრელი“; **კარკალი** „კაკანი“. გაორკეცებისას ფუძეში მიღებული ორი **რ**-დან ერთ-ერთი, კერძოდ, მეორე, დისიმილაციით გადასულა **ლ**-ში: **კარკალი**←***კარკარი**. ი. ქობალავას აზრით, გამჭვირვალეა **-აღ-**ზე დაბოლოებული თხზული სახელების აგებულება. ისინი მიღებულია ბოლოკიდური **რ** სონორისა და **ა** ხმოვნის შემცველი **ევე** ტიპის ძირთა გაორკეცებით. გაორკეცებისას ფუძეში მიღებული ორი **რ**-დან ერთ-ერთი — მეორე, დისიმილაციით გადადის **ლ**-ში (ქობალავა, 1979, 112);

ე) რედუბლიკაცია ფუძისეული მარცვლის მონაცვლეობით. მარცვლის მონაცვლეობა შესაძლებელია ცალკე ხმოვნის და ცალკე თანხმოვნის მონაცვლეობის შედეგი იყოს. მაგ.: მეგრ. **კუჭმაჭი** „ფრინველის შიგნეულობა“; **ჭკარჭკუნტია** „ჭრელი“. მეგრულში **ჭკანჭკურტია**-ს ტრანსფორმაცია შემდეგნაირად შეიძლება მომხდარიყო: ***ჭკარ-ჭკარ**→**ჭკარ-ჭკურ**→**ჭკარ-ჭკურტ**. **ჭკარჭკუნტია** ფორმაში **ნ**- სონორი განვითარებული ჩანს, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ზანურში წინაენისმიერი ხშულების წინ. **-ია** ბოლოსართი ფუძის საწარმოებე-

ლი სუფიქსი ჩანს. მეგრ. **ჭკარჭკუნტია** ეტიმოლოგიურად შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქართულ **ჭრელ**-ს (საინტერესოა ფ. ერთელიშვილის დაკვირვება, რომლის მიხედვით, **ჭრ-ელ** მიღებულია რედუპლიცირებული ძირის თანმიმდევრული გამარტივებით: ***ჭერ-ჭერ**→**ჭერ-ჭელ**→**ჭერელ**→**ჭრელ** (ერთელიშვილი, 1980, 192), ა. არაბულის მოსაზრებით კი, **ჭრ-ელ** ფორმისათვის ამოსავალი ჩანს **ჭერ-(ჭრა)** ზმნური ძირი. ამას ადასტურებს „ჭრით ჭრელების“ გამომხატველი სემანტიკა ძველ ქართულსა და დიალექტებში (არაბული, 2001, 190). შესატყვისობა დაცულია (ქართ. **ჭერ**:- მეგრ. **ჭკარ**:-; ქართ. **ე**: მეგრ. **ა**) ქართ. **ჭ** ზანურში იძლევა **ჭკ**- კომპლექსს. ეს მოვლენა ახსნილია, როგორც „პირველადი შიშინა თანხმოვნების ველარული წარმოებით ზანურში, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ მათ შემდგომ განვითარებულიყო უკანაენისმიერი ხშული თანხმოვნები“ (ყლენტი, 1953, 93).

ბ. ტერმინოლოგიური შესიტყვებები. ფრინველთა აღმნიშვნელ ლექსიკაში დადასტურებული გვაქვს ტერმინოლოგიური შესიტყვებები, რომლებიც წარმოდგენილია: ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმითა და ბ) მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით.

ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმითაა წარმოდგენილი შემდეგი ერთეულები: მეგრულში: **ჩე ხორცი** „თეთრი ხორცი“, **რუმე ჭაჭვა** „უფერული ჭაჭვა (ფერი)“, **ჩე ჭაჭვა** „თეთრი ჭაჭვა“, **ღია ჭაჭვა** „ღია ფერის ჭაჭვა“, **ლანდღვე წყაროშფერი** „მღვრიე წყლისფერი“, **ხომლა ჭაშფერი** „ხმელი ჩალისფერი“, **ჭიჭე კვინჩა** „პატარა ჩიტი“, **ჟირფა ბადე** „ორფა ბადე“. ამ უკანასკნელში შესიტყვების პირველი კომპონენტი წარმოდგენილია კომპოზიტით: **ჟირ** (რიცხვ. სახ.)+**ფა** „ფენა“ (არს. სახ.). სხვა დანარჩენ მაგალითებში მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით.

საანალიზო მასალის მიხედვით ლაზურში ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი სინტაგმები დადასტურებული არა გვაქვს.

ბ) მეფრინველეობის ლექსიკაში მართულმსაზღვრელიანი სინტაგმის მაგალითებია: მეგრულში: **დუდიშ ზოპო** „თავის ქალა“; **კიდირიშ ძვალი** „მკერდის ძვალი“; **ოჭიშიში ძვალი** „ზურგის ძვალი“; **ფსუაშ ძვალი** „ფრთის ძვალი“; **კისერიშ ძვალი** „კისრის ძვალი“; **კურტუმელიშ ძვალი** „კურტუმოს ძვალი“; **ტიშ ციმა** „ტილის ცვენა“; **გოლაშ კვინჩა** „მთის ჩიტი“; **ტყაშ ქოთომი** „ტყის ქათამი“; **დუდიშ რღვაფა** „თავის ყვლეფა“ და სხვა.

ლაზურში: **მჩხუშ ტოოჯი** „დიდი (მსხვილი) მტრედი“; **მჭიფეშ ტოოჯი** „პატარა (წვრილი) მტრედი“; **მზოლაშ ჩიტი** „ზღვის ჩიტი“; **ოხორიშ მამული** „სახლის მამალი“ და სხვა.

დადასტურებული ტერმინები წარმოდგენილია მართულ-მსაზღვრელიანი სინტაგმით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირად ჰირს ზღვარის დაღება კომპოზიტსა და კომპოზიტივით აგებულ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს შორის. ისმის კითხვა, როგორ გაირჩეს კომპოზიტი და ტერმინოლოგიური შესიტყვება ერთმანეთისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი წესის თანახმად, ხდება შემადგენელ ნაწილთა გათიშვა. სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის ქცეული, გათიშვა შეუძლებელია, ხოლო, სადაც გათიშვა დაუბრკოლებრივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა, ანუ გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე (ჩიქობავა, 1952, 227).

დასტურდება, რომ მეგრულში, არა მარტო კომპოზიტებში, არამედ, საერთოდ, შესიტყვებაში, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, წესის თანახმად, წინ უძღვის საზღვრულს და არ ეთანხმება მას ბრუნვასა და რიცხვში. ხშირად შესამჩნევი ხდება ფორმანტისეული -შ-ს დაკარგვის ფაქტი. მაგ.: **საცი-**

ცემი რაგი→საციცემ რაგი→ საციცემ რაგი→ საციცე რაგი.
ამ ფაქტზე ყურადღება ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა გაამახვილა
(ცაგარელი, 1880). ი. ყიფშიძემაც მიაქცია ამ მოვლენას ყუ-
რადღება (ყიფშიძე, 1914). მისი აზრით, -შ-ს დაკარგვის ფაქ-
ტი შენიშნულია მხოლოდ კომპოზიტებში და არა საერთოდ
შესიტყვებაში. მაგრამ მეგრულში -იშ(ი)||-შ-ს დაკარგვა დას-
ტურდება არა მარტო კომპოზიტებში, არამედ შესიტყვებაშიც.
ცნობილია, რომ საზღვრულის წინ ნათესაობითში დასმული
მსაზღვრელის ფორმანტიესული -შ საკმაოდ ხშირად ე-ს სახი-
თაა წარმოდგენილი: შ→ე, ხოლო შ-ხ ბგერინაცვალი ე
სიტყვის ბოლოში იკარგება (ლომთაძე, 1954, 221). შესაძლოა,
სწორედ ეს ფონეტიკური პროცესები იყოს გაკომპოზიტების
ერთ-ერთი ნიშანი.

აღწერილი დარბობრივი ლექსიკის
ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

§1. ქართველური დონის ძირეული ლექსიკა ზანურში

ყოველ ენაში გამოიყოფა ძირეული და ნასესხები ლექსიკა. ეს იმას გულისხმობს, რომ ლექსიკურ ერთეულთა შესწავლისას მთავარია მასში უძველესი მასალის გამოყოფა შემდეგ შეთვისებული მასალისაგან. ქართველური ენის უძველესი ლექსიკური ფენის შესასწავლად ბევრი ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომია ცნობილი (ჩიქობავა, 1938; 1942; კლიმოვი, 1964; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 და სხვა). არნ. ჩიქობავა ერთგან აღნიშნავდა, რომ „ენის ლექსიკურ შემადგენლობაში შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფო ვრცელია, ვიდრე ენის ლექსიკური შემადგენლობა... ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად“ (ჩიქობავა, 1952, 185). ძირეული მონაცემების წილი უმნიშვნელო არა ჩანს ე.წ. ფრინველთა ლექსიკაშიც.

ნაშრომში ქართველური დონის ძირეულ მასალას წარმოვადგენთ შინაარსეული ჯგუფის მიხედვით.

ფრინველთა სახელდებიდან უძველეს ლექსიკურ მასალას წარმოადგენს:

მეგრ.-ლაზ.: **დადული**||**დადულე** „დედალი“ (შდრ.: ქართ. **დედალი**), მეგრ.-ლაზ. **დადულ**-ი კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **დედალ**-ის. ძირეულია ზან. **დად**-, ქართ. **დედ**-, ხოლო **ულ**-, **-ალ** დეტერმინანტი სუფიქსებია (ჩიქობავა, 1942, 100).

მეგრ.: **მუმული**; ლაზ.: **მამული** „მამალი“ (შდრ.: ქართ. **მამალი**). დადასტურებულ ფორმებში ძირეულია **მამ**-. **მამ**-უცვლელად არის წარმოდგენილი ლაზურში. მეგრულში **მუმ**- მიღებულია **მომ**-ისაგან, **მ**-ს მეზობლობაში: **ო**→**უ**. ნ.მარი **მუმული** ვარიანტს ადასტურებს ათინურშიც. ქართ.-**ალ**, ზან. **-ულ**

(ულ ← *ოლ) დეტერმინანტი სუფიქსებია (ჩიქობავა, 1942, 100).

ზან.: **ღორღონჭი||ღორღოჯი** „ბატი, ღერღედი“ (შდრ.: ქართ.**ღერღედი**; სვან. **ღარღად**). დადასტურებული ფორმები კანონზომიერი შესატყვისებია. მეგრულში ჯ-ს წინ ნ-განვითარებულა, რაც დამახასიათებელია წინაენისმიერთა წინ (ჟლენტი, 1953, 92-98). არნ. ჩიქობავას დადასტურებულ ფორმებში ძირეულად მიაჩნია ქართ.**ღერღ-**, მეგრ.-**ლაზ. ღორღ-**, ხოლო **ელ|-ოჯ-|-ონჯ** დეტერმინანტ სუფიქსებად (ჩიქობავა, 1938, 103); **ღ** → **ჯ** მონაცვლეობა პალატალიზაციის შედეგია (როგავა, 1947, 302). საერთოქართველური ფუძე ენისათვის აღდგენილია ***ღარღად** არქეტიპი (კლიმოვი, 1964, 201). დადასტურებული ლექსემა ხმაბაძვითი ხასიათისა ჩანს.

მეგრ.: **ყვარია**; ლაზ.: **კვაოჯი** „ყვავი“: მეგრულ-ლაზურში დადასტურებულია **კვარია||ყვარია, კვაოჯი||ყვაოჯი** პარალელური ფორმები. **კ||ყ** მონაცვლეობას ქართველურ ენებში ანალოგები ეძებნება (ჟლენტი, 1953; ჯორბენაძე, 1995) (შდრ.: ლაზ. **კუაროჯი** „ყვავი“ (მარი, 1910). „ყვავის“ სახელწოდება (მეგრ. **კვარია**: ლაზ. **კვარო**) გ. როგავას ძველი ბერძნულიდან შეთვისებულად მიაჩნია ზეპირი გზით (შდრ.: ბერძ. **χαρᾶν** „ყვავი“). გ. როგავა ლაზ. **ყვაოჯი** ფორმაში **-ად-** სუფიქსს გამოყოფს, ბოლოკიდური **ჯ** მიღებულად მიაჩნია **ღ** მჟღერისაგან სახელობითი ბრუნვის ნიშნის მპალატალიზებული გავლენის შედეგად: **კვაოჯი** <***კვაოდი** (როგავა, 1988, 32); დადასტურებულ ლექსემაში ძირეული ჩანს **ყვ-||კვ-**. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ლაზ. **ყვაოჯი** მიღებული უნდა იყოს **ყვაგ-ოჯ-**ისაგან: ***ყვაგოჯი**→**ყვაოჯი** (ჩიქობავა, 1938, 109); ხოლო, ლ.ნოზაძის ვარაუდით, **ყვაოჯი** ფუძე ნაწარმოები უნდა იყოს **მ-ორ** მიმღებობური კონფიქსით: ***მ-ყვა-ორ-ი**<**ყვაოჯი** „ყვას მძახებელი, წარმომტქმელი“ (ნოზაძე, 1992, 60-68). დადასტურებული

ტერმინი ხმაბაძვითი ხასიათისა ჩანს.

ზან.: **ქოთომი||ქოთუმე** „ქათამი“: მეგრულში ქართულის ზუსტი შესატყვისი გვაქვს, ლაზურში მეორე **ო** გადადის **უ** ხმოვანში ლაბიალური თანხმოვნის მეზობლად.

მეგრ.: **ზესქვი**; ლაზ.: **მზესქუ** „შაშვი“: ზანური **ზეს-ქუ||მზესქუ** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **შაშუ**. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, დადასტურებულ ლექსემაში ძირეული უნდა იყოს **-შ-**, **ზე-||შა-** თავსართებია: **შა←სა. ზე-** მიღებული უნდა იყოს **დე-სგან ძე-**ს შუალობით: **ზე←დე←ძე**. თავკიდური **მ** ლაზურში ფონეტიკური დანართია (ჩიქობავა, 1938, 105-106). ზემოთქმულის თანახმად, ქართ. **შა-შ-ვი←*სა-შ-ვი**; ზან. **ზე-სქ-ვ-ი||მზე-სქ-უ←*დე-სქ-ვ-ი**. შეფარდება ქართ. **შაშ-ვი**: ზან. **ზესქვი||მზესქუ** გვაგვარაუდებინებს ***ზაშუ** არქეტიპს. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ ***საშუ** (კლიმოვი, 1964, 162), ***ეაშუ** (გუდავა, 1964, 497), ***ზაშუ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 167) არქეტიპს. მეგრულ-ლაზურში **ზესქვი||მზესქუ** ფორმათა პარალელურად დადასტურებულია **ზესკვი ||მზესკუ-ც, სქ-კომ-პლექსის** დისიმილაციური გამკვეთრებით.

მეგრ.: **ჭყორი** „მწყერი“: მეგრული **ჭყორ-ძირის** ეკვივალენტია ქართ. **მწყერ-ი**. ლაზურში ამ ძირის შესატყვისი არა ჩანს. მოსალოდნელი ბგერათშესატყვისობა ქართ. **ე**: ზან. **ა** დაცული არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მეგრულ-ჭანური **ო** ასახავს არა საერთოქართველურ **ე** გახმოვანებას, არამედ პარალელურად არსებულ **ა** გახმოვანებას“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 159), ხოლო **ზ**. სარჯველაძე რეგულარული ბგერათშესატყვისობის ასეთ დარღვევას (ქართ.**ე**: მეგრ.**ო**) ხსნის ოდესღაც ქართულში არსებული უმლაუტით (სარჯველაძე, 1985, 195). მეგრულში მოსალოდნელია არსებულიყო ***ჭყოჯ** ვარიანტიც, რასაც მოწმობს

სვან. **შყანჭუ**, რაც მეგრულიდან ნასესხობად არის მიჩნეული: *ჭყოჯ→შყუეეჟ→*შყეეჟ→*შყანჭუ (ქალდანი, 1969, 87). სამეცნიერო ლიტერატურაში სვან. **შყანჭუ** ფორმის საფუძველზე აღდგენილია *წყარ არქეტიპი (კლიმოვი, 1964, 252; ონიანი, 1969, 229; მაკავარიანი, 1958, 274).

ზან.: **გუგული** „გუგული“: დადასტურებული ტერმინი ქართველურ ენებში წარმოდგენილია ფონეტიკურად იდენტური ფორმით, რაც ამ სიტყვის ონომატოპოეტური ბუნებით უნდა აიხსნას. აშკარაა აღნიშნული ლექსემის ხმაბაძვითი ხასიათი. სტრუქტურული თვალსაზრისით, არნ. ჩიქობავა საერთო ძირად **გუგ**-ს გამოყოფს, ხოლო **-ულ-** დეტერმინანტ სუფიქსად აქვს გააზრებული (ჩიქობავა, 1938, 104-105).

მეგრ.: **ოფოფი**; ლაზ.: **ოფამფე** „ოფოფი“: ლექსემა დადასტურებულია ძველ ქართულში: „არს ფრინველი რაიმე, რომელსა სახელი ეწოდების ოფოფი, ლევიტ.11.19“. არნ. ჩიქობავას **ოფოფი** ლექსემა ქართველურ ენებში შეთვისებულად მიაჩნია, ლაზურში **ფ**-ს წინ **მ**- განვითარებულია და **ო**-ს ადგილასაც **ა** გვაქვს (ჩიქობავა, 1938, 105); ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე ქართ. **ოფოფ**- ძირის შესაძლო შესატყვისად მიიჩნევენ მხოლოდ მეგრ. **ოფოფ**-ს, ხოლო ლაზ. **ოფამფე** ტერმინის ვოკალიზმის მიმართება სათანადო ქართულ-მეგრულ ფორმასთან ბუნდოვნად არის ჩათვლილი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 367). წარმოდგენილი ლექსემა წარმოების თვალსაზრისით ფუტეგაორკეცებული ძირი ჩანს.

მეგრ.: **კიდუ**; ლაზ.: **კიდი** „კოდალა“: მეგრულ-ლაზურ ფორმათა შესატყვისია ქართ. **კოდალა**. ძირეულია **კოდ**-. მეგრულ-ლაზურში ძირეული **ო→უ→ი**-დ შეცვლილა. მეგრულთან შედარება მოწმობს, რომ ლაზურშიც ბოლოკიდური **უ** უნდა ყოფილიყო: **კიდ-ი←კიდ-უ** (ჩიქობავა, 1939, 106-107).

მეგრ.: **ქირი**; ლაზ.: **ქური** „ქორი“: შდრ.: ქართ. **ქორი**.

ლაზურისათვის **ქურ-** ფუძეა ამოსავალი. **ქურ-** ფუძეზე **მ-**ს და-
რთვითა და **ჟ-**ს **ი-**დ შეცვლით მიღებულია **მქირო** ფორმა.
მქიო ვარიანტში კი-ხმოვნებს შორის დაკარგულია **რ** სონორი.
არნ. ჩიქობავას ვარაუდით, მეგრ.: **ქირო** მომდინარეობს **ი-**ანი
ლაზური ვარიანტისაგან.

მეგრ.: **კვინჩა**; ლაზ.: **კვინჩი** „სკვინჩა“: ლაზურში დადას-
ტურებულია **კინჩი** ვარიანტიც **ვ-**ს დაკარგვით. მნიშვნელობის
მხრივ სხვაობა იმაშია, რომ ლაზურში ამ ერთი ჩიტის სახელი
განზოგადებულია და საერთოდ ჩიტის აღმნიშვნელადაა გამო-
ყენებული (შდრ.: სვან. **კალმახა** — ყველანაირი თევზის სახე-
ლია).

მეგრ.: **ბალირე||ბალრე** „ბელურა“: სამეცნიერო ლიტერატუ-
რაში, მეგრულში დადასტურებული ტერმინი ნაწარმოები მიაჩ-
ნიათ ქართ. **ბელ-** მეგრ. **ბალ-**ისაგან **-ურ**, **-ერ** სუფიქსების
დართვით. მეგრულისათვის ამოსავლად იგულისხმება ***ბალურ**
(შდრ.: ***ბალურე→ბალგრე→ბალირე** (როგავა, 1962, 56).

ლაზ.: **ლაჟო** „ლაჟო“. არნ. ჩიქობავა ქართ. **ლაჟო-**ს ეკვივა-
ლენტად მიიჩნევს ლაზ. **ლაჟო-**ს და განმარტავს, რომ ეს სიტ-
ყვა შესაძლოა უცხო ენიდან იყოს შემოსული, მეგრულმა კი
არ იცის აღნიშნული ტერმინი (ჩიქობავა, 1938, 108). უნდა
აღვნიშნოთ, რომ მეგრულში **ლაჟო** ტერმინი პოლისემური
მნიშვნელობით დასტურდება. **ლაჟო** ერთ-ერთი ფრინველის სა-
ხელია და, ამავე დროს, აღნიშნავს ზოგადად, კრულ ფერს.

ზან.: **ჩხვიკი** „ჩხიკვი“ (შდრ.: ქართ. **ჩხიკვი**). მეგრულში
ჩხიკვი-ს პარალელურად **ჩხვირკი** (რ-განვითარებულია) ფორ-
მაცაა დადასტურებული. საერთოდ ფუძეა **ჩხიკ**. ზანურში **ჩხვიკ-**
მეტათეზისის შედეგია.

მეგრ.: **ჭღგრჭღუ||ჭღირჭღუ** „ჩხართვი“: მეგრული **ჭღირჭი**
ფორმის კანონზომიერ შესატყვისად გამოვლენილია ქართ.
ჭიჭღ-ფორმა. ქველ-ში **ჭიჭღი** განმარტებულია, როგორც „ერ-

თვარი ფრინველი, შაშვის მაგვარი“. მეგრ. **ჭლირჭლ** (*ჭიჭლ-) თავკიდურა კომპლექსი ჩამოყალიბებული არის ასიმილაციურად, რასაც ი.ყიფშიძე მეგრულისათვის ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს (შდრ.: *ხვარხვი <ხახვი, *ცხორცხალი<ცოცხალი).

მეგრ.: **ყვარილი**; ლაზ.: **ყვარელი** „ყვერული“. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ეს სიტყვა წარმოშობით მიმღეობაა ქართულშიც და მეგრულ-ლაზურშიაც.

მეგრ.-ლაზ.: **ტორონჭი|ტოროჯი** „მტრედი“. მეგრულ-ლაზურში ერთი და იგივე **ტორ**-ძირი გვაქვს, ოღონდ მეგრულში **ჭ**-ს წინ **ნ** განვითარებულა. ქართული შესაბამისი ფუძე უნდა იყო **ტრედ** (<***ტრად**). მეგრულ-ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზან. ***ტროდ**-. **ო** განვითარებულია **ტრ**- კომპლექსის გასათიშავად (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 440). არნ.ჩიქობავა თვლის, რომ ფონეტიკურად მეგრ.-ლაზ. **ტოროჯი|ტორონჭი** უფრო ახლოსაა ქართ. **ტოროლა**-სთან: **ტოროლა**←**ტორორა**, მაგრამ დაბრკოლებას ხედავს იმაში, რომ სამეგრელოში **ტოროლა** არ იცის.

მეგრ.: **ჭინჭა**; ლაზ.: **ჭურჭა** „ღობემძვრალა“ (შდრ.: ქართ. **ჭინჭრაქა**). არნ.ჩიქობავას თვალსაზრისით, მეგრ. **ჭინჭა** და ქართ. **ჭინჭრაქა** ერთსა და იმავე **ჭინჭ**- ფუძეს შეიცავს. ლაზურისათვის ამოსავალია **ჭურჭა**, **ჭაურჭა** ფორმა მეორეული ჩანს.

ლაზ.: **მჭაჯი** „ძერა“: ლაზ. **მჭაჯი**- ფუძის შესატყვისია ქართ. **ძერა**-. მეგრულში დღეს ეს ფუძე არა ჩანს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მეგრული ეკვივალენტი ქართ. **ძერა** სიტყვისა დაცული აქვს გურულს (შდრ.: გურ. **ჭაჯაი** „ძერა“) (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 624). ლაზური ეკვივალენტი გამოავლინეს ზ.თანდილაძემ და ც.ნარაკიძემ (თანდილაძე, ნარაკიძე, 1986, 109).

მეგრ.: **სინდი** „გარეული იხვი“: მეგრ. **სინდი** მომდინარე-

ობს *სინჯ- ფორმისაგან დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. მეგრ. სინჯ-||სინდ-ი ძირის კანონზომიერი შესატყვისია ქართ. სირ- ძირი (შდრ.: ძვ.ქართ. სირი „ჩიტი, ფრინველი“).

მეგრ.: მოჭვა; ლაზ.: მონჭვა||მონჭა||მოჭვე „კრუხი“: შდრ.: იმერულში დასტურდება მოჭუა, მოჭვა. ლაზურ მონჭვა ფორმაში ნ- ფონეტიკურადაა განვითარებული. შესაძლოა მოჭვა||მონჭვა კავშირში იყოს ქათმების დაპურებასთან მეგრულში ხმარებულ მოწოდებასთან: მოიჭან, მოიჭანო.

ენებში უძველეს ფონდს მიაკუთვნებენ სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელებს (იგულისხმება ადამიანის ანატომიის, ცხოველების, ფრინველების სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები). ფრინველებთან დაკავშირებულ ლექსიკაში უძველეს ფენას განეკუთვნება ფრინველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. შევნიშნავთ, რომ საანალიზო ლექსემების მეტი წილი საერთოქართველური ლექსიკის კუთვნილებაა, თუმცა ვხვდებით ნაესხებ სიტყვებსაც.

ზან.: ბურღდა||ბუნღდა „ფრინველის ბუმბული“: ძველ ქართულში გვხვდება ნაბრღღუ-ენ-ი „ბუმბული“: აღიმკვნენ ახლითა ნაბრღღუენითა, ვითარცა ორბნი, ესაია, 40.31. ბურღდა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ზანიზმად არის მიჩნეული (ჩიქობავა, 1938, 101). ლაზურში ბუნღდა მიღებულია რეგრესული ასიმილაციით ბურღდა-საგან (ჟღენტი, 1953, 124).

ზან.: სუა||ფსუა||მსუა „ფრთა“ დადასტურებულია ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. მეგრულ-ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ.ჩიქობავამ (ჩიქობავა, 1938, 101-102) ქლომთათიძის ვარაუდით, ზან. ფსუა||ფსვა||მსვა||სუა; თუშ.-ხევს. სვე („ფრთა“) კავშირში უნდა იყოს აფხაზურ ა-ფსმა-რა („ფრენა“), აფსაა||აფსაატი და ადიღ. ბზგუ სიტყვასთან, რაც „ჩიტს, ფრინველს“ ნიშნავს (ლომთათიძე, 1947, 307-312).

ზან.: **კუდელი** „კუდი, ბოლო ფრინველის“: მეგრ.-ლაზ. **კუდ-ელ-ი** და ქართ. **კუდ-ი** ფონეტიკური შესატყვისებია ერთმანეთის. **კუდელი** ფორმაში **-ელ-** მაწარმოებელი სუფიქსია. მეგრულ-ლაზურში მრავლადაა დადასტურებული **კუდ-** ძირისაგან ნაწარმოები ფორმები (მაგ.: **ე-კუდ-ელ-ერი** „ბოლომოკვეცილი“; **უ-კუდ-ელ-ე** „უკუდო“; **კუდ-ელ-ონ-ი** „კუდიანი“ და სხვა).

ზან.: **გური||გუი** „გული“: ძველ ქართულში დასტურდება **გულ-** ძირი. ქართ. **გულ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ.-ლაზ. **გურ-ი**. ლაზურში გვაქვს **გუი** ფორმაც, რომელიც მიღებულია ხმოვნებს შორის **რ-**ს დაკარგვით.

ზან.: **კუნხი||კუნხე** „ფეხი“: ნ.მარი თვლის, რომ **კუნხ-** ფორმა ძველი ქართულის **კუარცხ-** ფორმის ზანური ვარიანტია (შდრ.: **მკვრცხლ** „ესე არს ქუშითი, ფრჯივ მავალი“ (საბა); **მკვრცხლი**, **მკვრცხი** „ქვეითი“ (აბულაძე). არნ.ჩიქობავა **კუნხ-**ს უკავშირებს **მ-კვრცხ-**ლ ფორმას (ჩიქობავა, 1938, 63). შესაძლოა, მეგრ.-ლაზ. ფორმები მომდინარეობდეს საერთოზანური ***კუორჩხ-**ფორმისაგან: ***კუორჩხ** → **კუურჩხ** → **კურჩხ**→**კუნხ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 275). **კურჩხ-**ფორმა შემონახულია მეგრულში **ო-კურჩხან-ე||ო-კუნჩან-ე-ს** სახით.

მეგრ.: **ზისხირი**; ლაზ.: **დიცხირი||დუცხირი** „სისხლი“: **ზისხირ** ფუძის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული: არნ. ჩიქობავას საერთოქართველურ ძირად **-სხ-** მიაჩნია, ლაზ. **-ცხ-** კი **-სხ-**სგან მომდინარედ; ქართ. **სი-**: მეგრ. **ზი-(დი)** და ლაზ. **დი-** პრეფიქსები ნივთის კლასის გაქვეავებული ნიშნებია; ხოლო **-ლ-** ქართულში, **-ირ-** ზანურში ფუძის საწარმოებელი სუფიქსებია (ჩიქობავა, 1938, 72-73). გ.კლიმოვის ვარაუდით, ამოსავალი ფორმაა **ზისხირ-** (კლიმოვი, 1964, 82). ტ.გუდავას თვალსაზრისით კი, ქართვე-

ლური ენებისათვის ამოსავალია ***ზისხლ-** ფორმა, რომელიც მეგრულში **ზისხირ** და სვანურში **ზისხ** ფუძეთა სახით შემოგვენახა. ქართულში სრული რეგრესული ასიმილაციითა მიღებული **სისხლ**. ხოლო ლაზურში, ჯერ **სხ** კომპლექსი შეიცვალა **ცხ-**დ, შემდეგ ნაწილობრივი ასიმილაციით მოხდა თავკიდური **ზ-ს ძ-**დ ქცევა, ბოლოს კი, ლაზურისათვის დამახასიათებელი დეზაფრიკატიზაციის კანონით მიღებული იქნა **დიცხირი**: >***ძიცხირ** >***ზიცხირ** >***ზისხირ** (გუდავა, 1964, 499).

ზან.: ქა||ქრა||ქია „რქა“: არნ. ჩიქობავას მიერ შედარებით ლექსიკონში წარმოდგენილია ქა||რქა-ს მიღების შემდეგი გზა: ლაზ. რქ-ალ→რქა→ქრა (მეტათეზისით)||ქია; მეგრ. რქალ→რქა||ქრა||ქა; ქართ. რქ-ალ→რქა (ჩიქობავა, 1938, 14). ქართულსა და მეგრულ-ლაზურში საერთო ამოსავალ ფუძედ ***რქალ** გვევლინება (ჩიქობავა, 1942, 14). ამ ძირის სიტყვები ფართოდ არის გავრცელებული ბევრ სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში.

მეგრ.: ცმ||ციმუ „ქონი, ცხიმი“: შესატყვისობის დონეზე ქართ. ცმ-ელ-ი, მეგრ. ცმ||ციმუ, სვან. ნა-ცმ-უნ („ქონი, საცხი“) წინა-სიბილანტური რიგისაა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 89-90). ბოლოკიდური ქართ. -ელ- მიმდევრობას მეგრ.-ლაზ. -ალ- მიმდევრობა შეესაბამება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მოსალოდნელი მიმდევრობის ნაცვლად -უ ხმოვანი გვხვდება. მაგ.: ცმელი-ციმუ, წელი-ჭუ, წელი-ჭინუ||ჭუნუ. ეს შეფარდებები უნდა აიხსნას ამოსავალი საერთო მასალის კანონზომიერი დიფერენციაციით, რამაც ისტორიულად მონათესავე ენებში ფონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ოდენობები მოგვცა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 89-90).

მეგრ.: პუნუ „კუზი“; შდრ.: პადუ-ი „დიდი მუცელი“ (საბა). მეგრ. პუნუ|| პულუ ქართ. პალუ-ს შესატყვისი ჩანს

(პულუ<*პოლუ, ო>უ აიხსნება უ-ს ზეგავლენით. პუნუ<*პულუ (გულავა, 1960, 119-120).

ზან.: ბირცხა||ბუცხა „ფრჩხილი“: მეგრ.-ლაზ. ბირცხა||ბუცხა შეპირისპირებულია ქართ. ფრცხილი||ფრჩხილი-სთან (ჩიქობავა, 1938, 61-62).

მეგრ.: ჭი||ჭე; ლაზ. ჭუ||ჭუ „ნაწლავი“: მეგრ.-ლაზ. ჭი||ჭუს შეესატყვისება ქართ. წელ-ი (ჩიქობავა, 1938, 69-70; კლიმოვი, 1964, 249). ჭი||ჭე-საგანაა ნაწარმოები მეგრ. ოჭიში („ზურგი“) ტერმინი (ო- დანიშნულების პრეფიქსისა და -ში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით).

მეგრ.-ლაზ.: ძელი „რბილი ხორცი“: ი.ყიფშიძე ძელი სიტყვას უკავშირებს „ძორს, ხორცს“ (ყიფშიძე, 1914, 379). მეგრულმა იცის ძორი ლექსემა, რომელიც შესაძლოა ქართ. მძორი ფორმიდან მომდინარეობდეს (შდრ.: სვან. ძჷერ-; ლენძჷერ „ხორცი“; ძვ. ქართ. მძორი „გვამი“; ახ. ქართ. მძორი „ლეში“). ამოსავალი შეიძლება იყოს ძერ-||ძორ- ძირი. სვანურ-მეგრულის მიხედვით, ი.ყიფშიძეს მძორი ფორმაში მ ფონეტიკურ დანართად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ მძორ- ფუძისათვის პირველადი იყოს „ხორცის“ მნიშვნელობა და არა „ლეშისა“. ამ ვარაუდს მხარს უჭერს მეგრ. ძელი ფორმაც (შდრ.: ძელი „რბილი ხორცი“). ძელი-ს მძორ-თან დაკავშირება ფონეტიკურად და სემანტიკურადაც შესაძლებელია.

მეგრ.: დუდი; ლაზ.: თი „თავი“: მეგრულ დუდ-ს შეესატყვისება ლაზ. დუდ-: ქართ. (დიალექტ.) დუდ-; სვან. დუდ-ი (შდრ.: ქართული ენის ზოგ დიალექტში დუდი ნიშნავს „ქათმის ბიბილოს, თავის თხემს“). ლაზურში დადასტურებული დუდი ლექსემა აღნიშნავს „თავს, კეფას, სათავეს“. ლაზურში დუდი ერთეულს ენაცვლება თი ერთეული, როგორც ირკვევა, ლაზურში დუდი და თი ლექსემათა დიფერენციაცია მომხდარა. ლაზ. დუდი ტერმინით აღინიშნება „თავის ნაწილი, თხემი, კეფა“, ხოლო თი ერთეულით — „თავი“ (მეგრულმა შე-

ინარჩუნა **დუდი** ერთეულის თავდაპირველი მნიშვნელობა და მთლიანად „თავის“ აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა).

ლაზ.: **თი** („თავი“)-ს ეკვივალენტად დადასტურებულია ქართ. **თ-ავ-ი**, სადაც **თ-** ძირეულია. ქართ. **-ავ** ფუძის საწარმოებელი სუფიქსი ლაზურში არ ჩანს. მის ადგილას ლაზურში შეიძლება **ვ→უ** გვექონოდა, მაშინ ლაზ. **თი**-ს ბოლოკიდური **-ი** უსგან მიღებული იქნებოდა და ისტორიულად ფუძისათვის უნდა განგვეკუთვნებინა (ჩიქობავა, 1938, 44). ეს პროცესი ასე წარმოჩინდება: ***თავ→თოვ→თუ(ვ)→თი**. ვ.თოფურიას აზრით, სვან. **შდა** („თავთავი“) სიტყვას პირველი მნიშვნელობა „თავი“ უნდა ჰქონოდა, რაც მტკიცდება, ერთი მხრივ, **ჩერშდა** კომპოზიტით, სადაც **ჩერი** ნიშნავს ცალკე აღებულ „თითისტარს“ (შდრ.: ჩერია), ხოლო **ჩერშდა** „ჩეროს თავს, კვირისთავს“; მეორე მხრივ, **შდაშუ** სიტყვით, რომლის შესატყვისია ქართულში ჩვენამდე ნათ. და მოქმ. ბრუნვების გაქვავებული სახით მოღწეული ***თვს**, ***თვთ-ის** ***თუ** ძირი უნდა იყოს, ხოლო მეგრ.-ლაზ.-ით **-თი** („თავი“; „თიტეტელი“ (თავშიშველი) (თოფურია, 1979, 8). საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღდგება ***თაჟ** არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 227).

ზან.: **თოლი** „თვალი“: **თჟალი** დასტურდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, სადაც ამ ძირს უკავშირდება „თვალის, ძვირფასი ქვის, წყაროს სათავის, ხორბლის, ბუშტის“ მნიშვნელობები. მეგრულ-ლაზური **თოლი** მიღებული ჩანს **თუ-ალ**-ისაგან **უა**-ს **ო**-დ შერწყმის შედეგად (ჩიქობავა, 1938, 45). მეგრულ-ლაზური **თოლი**-ფორმისათვის ამოსავალი უნდა იყოს **თჟოლ** არქეტიპი. **ო**-ს წინ **ჟ**-ს დაკარგვამ მოგვცა **თოლი**-ი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 235).

მეგრ.: **კვდგრიი**||**კიდირი** „მკერდი“: მეგრ. **კიდირი** შესატყვისია ქართ. **მკერდი**-ს, სვან. **მუჟჟედ←მუჟოდ**. რადგანაც სვანური **ო** ხმოვანი მეგრულში **-ირ** მიმდევრობას შეესატყვისე-

ბა, ამიტომ მეგრულ კიდირ ფუძეს რ-ს მეტათეზისით კირდ ფორმიდან მომდინარედ მიიჩნევენ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 280). ანლაუტში ჩქამიერის წინ ბაგისმიერი შ დაკარგულია (გუდავა, 1979, 80-84), შმიდტი კი მეგრ. კიდირს ქართულიდან ნასესხობად თვლის: კერდი→კირდი→კიდრი→კიდი-რი. როგორც ცნობილია, სიახლოვე შეიძლება შეინიშნოს ქართულ და ინდოევროპულ ტერმინებს შორის ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების აღმნიშვნელ სახელწოდებებში. სამეცნიერო ლიტერატურაში თვლიან, რომ შესაძლოა მკერდი ტერმინი სიახლოვეს ამჟღავნებდეს ინდოევროპულ ენებში „გულის“ მნიშვნელობით ფართოდ გავრცელებულ *Kerd — ტერმინთან, თუმცა ეს აუცილებლად პირდაპირ ამ ფორმის შეთვისებაზე არ უნდა დაბრუნდეს.

მეგრ.: ფირტივი, ლაზ.: ფურფუ „ფილტივი“: დასტურდება ძველ ქართულში: ფირტიუ. მეგრ. ფირტივ-ძირს შესატყვისება ქართ. ფირტიუ-, ამ ძირის ლაზ. ფურფ- ძირთან დაკავშირება ცოტათი პრობლემატურია (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 468).

ლაზ.: ყვილი||ცილი||ილი „ძვალი“: შდრ.: მეგრ. ცვილი „ძვალი, მკლავი“; ქართ. ყულივი „მკრის ძვალი“ (საბა). ქართული ყულ- ძირის შესატყვისად მეგრული ცვილ- და ლაზ. ყვილ- მიაჩნიათ. თუმცა თვლიან, რომ დაკავშირება პრობლემატურია, რადგანაც ქართული უ-ს შესატყვისად მეგრულსა და ლაზურში უნდა იყოს უ და არა ვი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 539). მეგრულში ცვილი ძირი დაცულია ყვიყვილი („მენჯის ძვალი“) ტერმინში (ჩიქობავა, 1938, 71). ლექსემა წარმოდგენილია რედუპლიცირებული ძირით: *ყვილყვილი→ყვიყვილი.

მეგრ.: ბორკი||ბარკალი „ფეხი, ბარკალი“: მეგრულში შეინიშნება ბორკი-||ბარკალ- ფორმათა მონაცვლეობა. ბარკალი ტერმინი დადასტურებულია ძველ ქართულშიც (შდრ.: ბარკა-

ლი „თედოს ქუშმოთი“ (საბა). მეგრ. **ბორკ-**, ქართ. **ბარკ-** ფორმის შესატყვისია, ლაზურში შესაბამისი შესატყვისი ფუძე არ ჩანს. ლ.გელენიძე **ბარკ-||ბორკ-** ძირს ვარაუდობს სვან. **ბორკა||ბარკა-**ში („კაკა, მრუდფეხა“) (გელენიძე, 1971, 81); თ. გონიაშვილი ძველ ქართულში ნასესხობად მიიჩნევს **ბორკილი** ლექსემას (გონიაშვილი, 1940, 594). ქართულში ამ ფუძის ნასესხობაზე მოწმობს ის, რომ **ბორკ-** ზმნა, რომლის ვნებითი გვარის მიმღეობაა **ბორკილი**, ძველ ქართულში არა ჩანს. სამაგიეროდ, დასტურდება **ბორკილ** ფუძისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები, **ბორკვა** ზმნა გვხვდება გურულში, რომელიც ზანიშმად არის ჩათვლილი. ამოსავალი ჩანს მეგრ. **ბორკი-**ი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 96-97).

მეგრ.: **ჩირქე** „ფეხი“: სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრ. **ჩირქე** შედარებულია ქართ. **ჩლიქ-**თან და მის შესატყვისად მიიჩნევენ (შდრ.: ჩლიქი „ფერჯვანებულის ფრჩხილი“ (საბა). ქართ. ჩ-ს მეგრ. ჩქ- კომპლექსი უნდა მოეცა, მაგრამ მის ჩამოყალიბებას ძირში არსებულმა ქ-მ შეუშალა ხელი (გამყრელიძე, 1959, 21).

ლაზ.: **ყალი||ცალი||ალი** „კისერი, ყელი“: შდრ.: მეგრ. **ცალი** „ყელი“, ქართ. **ყელი**. არნ. ჩიქობავა მეგრ. **ცალი**, ლაზ. **ყალი||ცალი||ალი** და ქართ. **ყელი-**ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისებად მიიჩნევს (ჩიქობავა, 1938, 56-57). ოლონდ, მეგრულში **ცალი** ლექსიკური ერთეულის ნაცვლად დღეს იხმარება **კისერი** ტერმინი. საბას განმარტებით, **კისერი** არის „ქედი და ყელი, ქედი უკანა ნაწილია, ხოლო ყელი-წინა“. შესაბამისად, მეგრულსა და ლაზურში „ქედი“ აღნიშნული იყო მეგრ. **კინჩხი||კენჩხი**, ლაზ. **ჭინიქი** ტერმინებით, ხოლო „ყელი“-მეგრ. **ცალი**, ლაზ. **ყალი||ცალი||ალი**-თ. **ცალი** „ყელის, კისრის“ მნიშვნელობით, ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულს თანდათან დაუკარგავს, თუმცა **ცალ-**ფუძე შემონახულია ნაწარმოებ სიტყვაში: **ო-ცალ-ეშ-ი** („საყელო“).

გაანალიზებული ერთეულების მიხედვით, ფრინველის შეფერილობასთან დაკავშირებული სახელებიდან ძირეულ მასალას მიეკუთვნება:

მეგრ.: ჩე; ლაზ.: ხჩე „თეთრი“: ლაზურში დადასტურებულია აღნიშნული ფუძის ხჩე||ქჩე||ჩქე||ჩე ფონეტიკური ვარიანტები. მეგრ.-ლაზ. ფორმა შესატყვისია ძველი ქართულის მწცე-სი. ზანურში ამოსავალი სახეობა დაცულია ხჩე-ს სახით. რადგანც მეგრულისათვის არაბუნებრივია მიმდევრობა უკანაენისმიერს + წინაენისმიერი, ამიტომაც მეგრული ფორმა მიღებული ჩანს ხჩე-სგან -ხჩ- თანხმოვანთკომპლექსის გამარტივებით. ლექსემის ტრანსფორმაცია შემდეგნაირად ხდება: *ხჩე→ჩჩე→ჩე. მეგრ.-ლაზ. ე←*ა უმლაუტის შედეგია (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 166).

მეგრ.: ჭითა; ლაზ.: მჭითა „წითელი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური მჭითა (მ ფონეტიკური დანართი ჩანს) დაკავშირებულია ქართ. წითელ-თან. ქართულ ფორმაში -ელ დეტერმინანტი სუფიქსია, ხოლო მეგრ.-ლაზ. ბოლოკიდური -ა დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენია: *ელ→ალ→ა (ჩიქობავა, 1938).

მეგრ.-ლაზ.: უჩა „შავი“: ზანურში უჩა მიღებულია ჩე ფორმისაგან უარყოფითობის მაწარმოებელი თავსართის დართვით და ეტიმოლოგიურად უკავშირდება „არათეთრს“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

მეგრ.: რუმე „ბნელი, უფერული“: ქართ. მრუმე დასტურდება ძველ ტექსტებში: მრუმე „მრომი, ესე არს ბნელი, საჩინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი“. რუმე- ძირი აღდგენილია ქართ. მ-რუმე-ე ფორმის საფუძველზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მრუმე ტიპის წარმოებაში თავკიდური მ- და ბოლოკიდური -ე თანაბრობითი ხარისხის ნააფიქსარი, ფუძეში შეზრდილი ელემენტი იყოს (როგავა, 1958, 100).

მეგრ.: **ჭაჭვა||ჭაჭვა** „ჭრელი“: ტერმინი მოტივირებულია, ამოსავალია **ჭაჭვ-** ფუძე. ი.ყიფშიძე **ჭაჭვი** ტერმინს განიხილავს როგორც საკუთრივ მეგრულ სიტყვას (ყიფშიძე, 1914). სამეცნიერო ლიტერატურაში **ჭაჭვი**-ს ქართ. ეკვივალენტად **ძეწკვი** სიტყვაა გამოვლენილი (მარი, 1910, 29). ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა ქართველურ ენათა მკვლევრების მიერ, თუმცა **ჭაჭვ-** და **ძეწკვ-** ფუძეთა სხვაობაზე, რომელიც მეორეული მიაჩნია, უთითებს გ.როგავა (როგავა, 1951, 96) (შდრ.: საბასთან **ჭაჭვი** ითავსებს **ძეწკვი**-ს მნიშვნელობას. **ჭაჭვი** „ეწოდების ყოელსა ილეკროსა ერთი მეორეში გაყრილსა“; **ძეწკვი** „წვრილი ჭაჭვი“ (საბა).

ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, ქართულისათვის **ჭაჭვი** უფრო ძირეული ჩანს, ვიდრე **ძეწკვი**. ამასთან, **ჭაჭვი** ითავსებს **ძეწკვი**-ს მნიშვნელობასაც და დასაშვებად მიაჩნია, რომ **ჭაჭვი** ქართულია, ხოლო **ძეწკვი**-ზანური (შდრ.: შესატყვისობის მხრივ: ქართ. **მარჯვენა**: ზან. **მარძგვანი**; ქართ. **შაშვი**: ზან. **ზესქვი** (გიგინეიშვილი, 1965, 739-742). ამ ვარაუდის თანახმად, ქართ. **ჭაჭვ-**ს ზანურში უნდა მოეცა ***ჭოჭკვი**. **ჭკვ-** კომპლექსის გასისინებით მიღებული ჩანს **წკვ-** კომპლექსი, ხოლო ***ჭოწკვი** ფორმისაგან რეგრესული ასიმილაციით ***ძოწკვი**. ხოლო ***ძოწკვი** ფორმიდან **ძეწკვი**-ს მიღება მოსალოდნელი იყო, გ.მაჭავარიანის თეორიით, უმლაუტის საფუძველზე: **ო→ო→უე→ე** (მაჭავარიანი, 1965).

ამ ვარაუდის გათვალისწინებით, მეგრულში **ჭაჭვა||ჭაჭვა||ჭაჭვი** ფორმისათვის ამოსავალი ჩანს ქართ. **ჭაჭვ||ჭაჭვი**.

ძირეულ ლექსიკას მიეკუთვნება ფრინველებთან დაკავშირებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

მეგრ.-ლაზ.: **ტიმტი** „ტილი“: (შდრ.: ქართ. **ტილი**) ლექსემა დადასტურებულია ძველ ქართულშიც.

ზან.: **მოსა** „ბადე, ქსელი“: (შდრ.: **მასე** „ცალწუერი და

უმძიო ბადე“ (საბა; დ.ჩუბ.). ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***მასეა** არქეტიპი (კლიმოვი, 1964, 128).

მეგრ.-ლაზ.: **რაგვი||რაგი** „ჩიტის საჭერი მახე“: მეგრ.-ლაზ. **რაგვი||რაგი** ერთ-ერთი ძირეული სახელია, რომელიც ქართული **რეგუ-**(**რეგვავს**); ზანური **რაგვ-** (**რაგვინა**, **რაგვაფა** „დაცემა, გადაყირავებით“) შეპირისპირებით აიხსნება. ავთ. არაბული თვლის, რომ **რეგვ-** ზმნის ამოსავალი სემანტიკა უკეთ არის შენარჩუნებული დ. და ნ.ჩუბინაშვილების განმარტებებში. ხოლო მისი გავრცელებული შინაარსი „სეტყვით დამტრევა, დაბეგვა“ დავიწროებული მნიშვნელობა უნდა იყოს (შდრ.: **დარეგვა** „მაღლიდან ჩამოწოლილისა ანუ ჩამოქცეულისაგან დაღწევა“ (ნ. ჩუბ.); **რეგუა** „ქვეშ დატკებნა, გასრესა“ (დ.ჩუბ.). ეს სემანტიკა უნდა იყოს საფუძველი სპეციალური მახის მნიშვნელობისა. **სარეგუავი** „არს მახე... თავს დასაცემელი“ (საბა). **რაგვი**, როგორც მითითებულია, მახის ერთ-ერთი სახეა, რომელიც შედგება გაპობილი ძელისაგან და შიგ სასხლეტი აქვს (შდრ.: **რაგვი** „გაუთლელი მორი, ძელი“ (ლეჩხ.). ამ უკანასკნელი მაგალითიდან გამომდინარე, ავთ. არაბულის აზრით, **რაგვ-** ფუძე დამოუკიდებელი, ალტერნაციული წარმომავლობისაა ქართულში. მნიშვნელობიდან აშკარაა, რომ **რაგვ-**ს როგორც „სარეგვავ მახეს“, მნიშვნელობა გაუფართოებია მახის ზოგადი სახელისაკენ, აქედან კი მოლობვის სემანტიკისაკენ (არაბული, 2001, 135)(შდრ.: **რაგი** „წნელის ღობე“ (ქეგლი); „დაწნული ღობე, შემოღობილი, შემორაგული“ (იმერ.).

მეგრ.: **სხაპი**; ლაზ.: **ცხაპი||სხაპი** „მახე“: მეგრ. **სხაპ-**, ლაზ. **ცხაპ-**, ქართ. **სხებ-||სხიპ-** შესატყვისობაში ფუძისეული გახმოვანება კანონზომიერად განეკუთვნება საერთოქართველურ ***ე-**ს (კლიმოვი, 1964, 166). გამოვლენილია **სხაპ-**ის შესატყვისის სვან. **ცხებ-||ცხაპ-** „ხტომა“ ფუძე (სარჯველაძე, 1983, 24). ივარაუდება **სხაპ-** ფუძის შემოსვლა მეგრულიდან, ვინაიდან ის

ქართ. **სხვებ-** ფუძის შესატყვის ხმოვანს შეიცავს. ავთ. არაბული არ გამოორიცხავს, რომ ქართ. **სხვებ-** დამოუკიდებელი ალტერნირებული ფუძე იყოს (შდრ.: **სხვები** (ქვ.იმერ.) „ზღვისა და ხაჟოს დასაჭერი მკედის ძაფისა და ცხენის ძუისაგან გაკეთებული მახე“). **სხვებ-** დასტურდება ქართული ენის ფშაურ დიალექტში: „პეპლად გარდაქცეული გამოვსხვებ მიწის ზღუდესა“ (ალ.ლლ.); ფშაურშივე არის **სახსიბურა** „ჩიტის მახე ერთგვარი“. ალ.კინჭარაული **სხვებ-** ფუძეს „მახის“ მნიშვნელობით საერთო გავრცელებისად მიიჩნევს, თუმცა ლექსიკონებში იგივე სახელი **-სხვები-** სხვა მნიშვნელობითაც ჩანს. **სხვებ-||სხვები-** ძირს ფუძეთა მნიშვნელოვანი ნაყარი შეუქმნია ქართულში და აშკარაა სემანტიკური გადაწვევაც (იხ.ალ.ლონტი, 1984).

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, **სხვები-** ძირის გავრცელების არეალის გათვალისწინებით, რომ ის ზანური შენატანია დასავლურ კილოებში, ავთ.არაბულის თვალსაზრისით, აფერხებს ამ ძირის ალტერნაციული შესაძლებლობები ქართულში (არაბული, 2001, 131).

ლაზ.: **წარი||წაი||წაი** „ტუა“: ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ შესაძლებელია ლაზ. **წარი||წაი** უკავშირდებოდეს ქართ. **წარბს**, მეგრ. **წარ-||წაბ-**ს (შდრ.: მეგრ. **წარი||წაბი** „წარბი“). შესაძლოა ამავე ძირისა იყოს ლაზ. **წარი||მწარი||წარი** „ცხენის ან ხარის კუდის ტუა“ (გელენიძე, 1974, 18). გ.კლიმოვის ცნობით, მ.ბროსეს დადასტურებული აქვს **წარბის** კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი მეგრულში ***ჭობ-** ფუძე. ლექსემა ქართულში სახეზეა, ხოლო **ჭობ** მეგრული შესატყვისი მხოლოდ მ.ბროსეს ჩანაწერებშია დაცული. რაც შეეხება ლაზ. **წარი-**ს, მისი დაკავშირება სემანტიკურადაც შესაძლებელია ქართ. **წარბ-**თან.

§2. ქართული ლექსიკური ერთეულები ზანურში

მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ზანურის დარგობრივ ლექსიკაში შეიძლება თავი იჩინოს ისეთმა სიტყვებმა, რომლებიც ქართული ენიდანაა შეთვისებული. ზანურში სალიტერატურო ქართულიდან ზოგი ლექსიკური ერთეული უცვლელადაა შემოსული, ზოგიც დროთა ვითარებაში ფონეტიკურ წესებს დამორჩილებული დამკვიდრებულა. სესხების მიზეზი ერთ შემთხვევაში (მეგრულში) შეიძლება იყოს სალიტერატურო ენის გავლენა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ლაზურში) უცხოენოვან გარემოში მოხვედრა. ცნობილია, რომ უცხოენოვან გარემოცვაში მოხვედრილი ენა განიცდის ცვლილებას, რაც ყველაზე მეტად ლექსიკაში აისახება. ამ მხრივ, ბერძნული და თურქულენოვანი სამყაროს უშუალო გარემოცვამ თავისი კვალი დააჩნია ლაზურს.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ქართველურ ენებში ურთიერთსესხების შედეგია და გამოყენებულია ფრინველებთან მიმართებაში.

მეგრ.-ლაზ.: **ხორცი** „ხორცი“: მეგრულ-ლაზურში ეს ლექსემა ქართულის იდენტური ფორმითაა დადასტურებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის შესულია.

მეგრ.: **ტვინი** „ტვინი“: (შდრ.: სვან. **თჷელი** „ტვინი“) სვანურის შესაბამისად, მეგრულისათვის ცნობილია **თვინგა||თვენგე||თვინგალი|| თვენგერე||თვენგერია** ფორმები (შდრ.: მეგრულშივე **ტვიგა||ტვინგალი**). **თვინ-** ფუძისათვის ამოსავალი ჩანს **თვინ-** ვარიანტი, ვფიქრობთ, რომ **თვინ-** ფუძიდან ნაწარმოებ სახელებში **-გა** უარყოფითობის მაწარმოებელი სუფიქსია, რომელსაც გ.როგავა მეგრულში აფხაზურ-უბიხურ-ადიღეური ენებიდან შეთვისებულად მიიჩნევს (მაგ. ხანგა, ცუნგა, ბუგა). ლაზურში „ტვინი“ **ქუნი** ლექსემითაა აღნიშნული. არნ.ჩიქობავას საეჭვოდ მიაჩნია **ქუნი-**ს წარმომავლობა, რადგანაც **ქუნ-**

ქონ- მეგრ.-ქართ.-ში სხვა ფუძითაა წარმოდგენილი. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ აგებულების მხრივ **ქონ-**თან **ქუნ-**ის დაკავშირება დაბრკოლებას არ ქმნის (ჩიქობავა, 1938, 45).

მეგრ.: **კისერი** „კისერი“: მეგრულში **კისერი** ქართულიდან ყოველგვარი ცვლილების გარეშეა შეთვისებული.

მეგრ.: **ძვალი** „ძვალი“: სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზანური ეკვივალენტი **ძუ-ალ** ფუძისა შენახულია სვანურში **ჯიჯვ-**ის სახით (ჩიქობავა, 1938), **ჯიჯვ** ფონეტიკური სახეცვლითა და ერთგვარი სემასიოლოგიური გადახრით დაცული აქვს გურულს **ჯიჯვ-** ფორმით, რაც „ძვალ-მსხვილს“ ნიშნავს (შდრ.: მეგრ. **იჯგვიჯგვინანს** „უხეშად, ტლანქად გამოიყურება“).

მეგრ.: **ობრი** „ობრი“: მეგრულში **ობრი** ტერმინი ქართულიდან ჩანს შეთვისებული უმნიშვნელო ფონეტიკური ცვლილებით: **ობრი←ობრი** (მეტათეზისი მეგრულისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია. შდრ.: **ორქო←ოქრო, ქრა←რქა**).

მეგრ.: **ნძერა** „ძერა“: მეგრულში **ნძერა** ტერმინი ქართული **ძერა** ფორმის იდენტურია (ნ სონორი ძ აფრიკატის წინ განვითარებული ჩანს).

მეგრ.: **კაკაბი** „კაკაბი“: ქართ. **კაკაბ-** ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისია მეგრ. **კოკობ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 261). **კოკობე** ტერმინი დადასტურებულია ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში (შდრ.: წყარისინდი წყარსგ გეხე, მიკორდე კოკობე „წყლის იხვი წყალში ზის, ნაპირთან კი კაკაბი“). **კოკობე** „კაკაბი“ (ქაჯაია, 2001), მაგრამ, დღეს მეგრულში **კაკაბ** ფორმის გავრცელებულობა ალბათ ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს.

მეგრ.: **ჭირი** „ავადმყოფობა, ჭირი“: ლექსემა ქართულიდანაა შემოსული (ყიფშიძე, 1914).

მეგრ.: **ფარალათი** „ფალარათი“: **ფალარათი** არაბული წარმოშობის სიტყვაა (ქეგლი). მეგრულში ტერმინი ქართულის გზითაა დამკვიდრებული. მეგრ. **ფარალათი**←**ფალარათი** ფორმიდანაა მიღებული თანხმოვანთა მეტათეზისით.

მეგრ.: **ძუა** „ძუა“: მეგრულში **ძუა** ერთეული ყოველგვარი ცვლილების გარეშე ჩანს ქართულიდან შემოსული. ამას ადასტურებს ი.ყიფშიძეც. ბეგრათშესატყვისობის დონეზე ქართ. **ძუა**-ს შესატყვისება მეგრ. **ჭუა** (შდრ.: სვან. **ჭგ||ჭი** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 631), მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში **ჭუა** ფორმა „კუდის, თმის, ძუის“ მნიშვნელობით არ დასტურდება. მეგრულში **ჭუა** „ძუს, ძუკნას“ ნიშნავს. ლაზურში ეს ძირი საერთოდ არ ჩანს და ამ ფორმათა სემანტიკური შესატყვისია **წარი** (იხ. ზემოთ გვ. 155).

მეგრ.: **ბუდე** „ბუდე“: დადასტურებული ტერმინი მეგრულში ქართულიდან ჩანს შემოსული. **ბუდე** სიტყვა ქართულის უძველეს ფენას მიეკუთვნება. **ბუდე** დადასტურებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (შდრ.: საბა **ბუდე**-ს ფსალმუნზე მითითებით განმარტავს). სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **ბუდე**-ე ფუძის შესატყვისად მიჩნეულია სვან. **ბუდე**-**||ბიდე**-, სვანურში -**ე** აუსლაუტში იკარგება: **ბიდე**←**ბუდე**←**ბუდე** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 122).

მეგრ.: **მონადირე** „მონადირე“: ლექსემა მეგრულში ქართულიდან ჩანს შემოსული. ტერმინი ნაწარმოებია **ნადირ**- ფუძეზე **მო**-ე პრეფიქს-სუფიქსის დართვით. **მო**-ე აფიქსთა ხელობის მაწარმოებლად გააზრება შესაძლებელია გვიანდელი მოვლენა იყოს (შდრ.: ქეგლ-ში „მონადირე“ სახელური ძირიდან ნაწარმოებად არის ჩათვლილი). ფაქტია, რომ აქტიური მიმდევობები სემანტიკურად ახლოს დგანან ხელობის სახელებთან და გაარსებითების გზით ზოგჯერ კარგავენ კიდევ ზმნურ შინაარსს. საყურადღებოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომ „სახე-

ლისაგან ნაწარმოები სახელისა და ზმნისაგან ნაწარმოები სახელის გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება“ (ჩიქობავა, 1942, 150).

ლაზ. კუპი „კუპი“.

მეგრ.-ლაზურში ასევე ქართულიდანაა შემოსული ფრინველთა ჯიშის აღმიშენელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა **ირაო, მიმინო, არწივი, გედი, შვილოგოგია, შევარდენი, წერო, გალია.**

§3. ნასესხები ლექსიკა მეგრულ-ლაზურში

„სიტყვათა სესხება, როგორც ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსებისა და გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო, ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ნასესხები მასალის გამოყოფას და გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ნასესხები მასალის გამიჯვნა მკვიდრისაგან ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული“ (ჩიქობავა, 1952).

მეგრულ-ლაზური დარგობრივი ლექსიკის შედარებისას გამოიკვეთა, რომ ზანურის ეს ორი დიალექტი ლექსიკური თვალსაზრისით ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთს სცილდება, რაც უმეტესწილად ლაზურში თურქულენოვანი ლექსიკის შეჭრით აიხსნება.

როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში ლაზურის ლექსიკური სისტემის განვითარება არამონათესავე ენის ძლიერი ზემოქმედების პირობებში ხდებოდა. სწორედ ამ ისტორიულ-ენობრივი კონტაქტებით არის გამოწვეული უცხოური ლექსიკური ერთეულების ჭარბი ფენის შემოჭრა ლაზური დარგობრივი ლექსიკის თითქმის ყველა უბანზე.

სიტყვის სესხება ერთი ენიდან მეორეში სხვადასხვა გზით ხდება, რაც ხშირად განაპირობებს ერთი და იმავე სიტყვის ნა-

ირგვარი ფონეტიკური ვარიანტით დამკვიდრებას. ამ პროცესს ზოგჯერ თან სდევს მნიშვნელობის ცვლა. ნასესხები სიტყვა მსესხებელი ენის კუთვნილება ხდება და, ბუნებრივია, სიტყვა-წარმოების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარება. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ნასესხები სიტყვა განდევნის ამა თუ იმ ენაში არსებულ ლექსიკურ ერთეულს და საბოლოოდ იკავებს მის ადგილს. მაგ.: ლაზურში **კაზი** (თურქ. **kaz** „ბატი“) სიტყვას განუდევნია **ლორლოჯი** („ღერღედი“) ძირეული სიტყვა.

ჩვენ მიერ საკვლევ ლაზურის დარგობრივ ლექსიკაში მეგრულისაგან განსხვავებით, საკმაოდ დიდია თურქული ლექსიკის ხვედრითი წილი. აღსანიშნავია, რომ ლაზურზე, თურქულის გარდა, ბერძნულის გავლენაც შეინიშნება.

მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შეიძლება გამოვყოთ ნასესხები ლექსიკის ჯგუფები: ა) უცხო სიტყვათა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მეგრულ-ლაზურ ლექსებთან ერთად ქმნიან სინონიმურ წყვილებს; ბ) ნასესხები სიტყვები, რომლებიც დროთა განმავლობაში დამკვიდრებულია მეგრულ-ლაზურში და მის ორგანულ ნაწილად ქცეულა.

ა) სინონიმური წყვილების გაჩენის საფუძველს ენაში ქმნის საკუთარი და უცხოენოვანი სიტყვების გვერდიგვერდ არსებობა. თავის მხრივ, სინონიმთა არსებობა განაპირობებს სიტყვებს შორის კონკურენციას და საბოლოოდ ერთ-ერთი ტერმინის დამკვიდრებას, ხოლო მეორის — გაქრობას.

მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზურში ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ზოგჯერ რამდენიმე ლექსიკური ერთეულია დადასტურებული. ზოგჯერ ამგვარ ფორმებს აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობები არ გააჩნია. შეინიშნება მათ შორის ნიუანსობრივი სხვაობა, ანუ ისინი არაზუსტი სინონიმებია.

„როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას აღ-

გილობრივ ხედება იმავე მნიშვნელობის სიტყვა-ეკვივალენტი, ერთხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად. ენაში ამ ბუნებრივად გამომჟღავნებული ფორმულის მიზანია გაავრცელოს ეს უცხო ტერმინი, ერთგვარად განმარტებლის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, შემოიყვანოს იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში“ (ძიძიგური, 1982, 60).

მსგავსი ვითარების ამსახველი უნდა იყოს ქვემოთ წარმოდგენილი მასალა: **ლაზ.:** **ბიბი** და **ორდეღი** (თურქ. *ordē* „იხვი“): მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ლაზურში ბიბი** და **ორდეღი** სიტყვების სემანტიკური დიფერენციაცია ხდება. **ბიბი** ერთეულით აღნიშნავენ „შინაურ იხვს“, ხოლო **ორდეღი** „გარეული, სანადირო იხვის“ სახელია, თუმცა შესაძლებელია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ერთმანეთის პარალელურად, ერთ კონტექსტში იქნეს დასახელებული.

ლაზ.: **ღორღოჯი** და **კაზი||ყაზი** „ღერღედი, ბატი“: **კაზი** **ლაზურში** თურქულ ნასესხობას წარმოადგენს. აღნიშნული სიტყვა დადასტურებულია აქარულსა და გურულში (**ყაზი←თ.კაზ**) (მდრ.: თურქ. *kaz* „ბატი, სულელი, ყუყყჩი, წყლის დიდი ფრინველი“); **ლაზ. ღორღოჯ-ს** („ღერღედი“) ქართველურ ენებში ეძებნება კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა (ჩიქობავა, 1938, 103). **ლაზურში** ქართველური ფუძე **ღერღედი||ღორღოჯი||ღორღონჯ** შევიწროებულია თურქულიდან შემოსული ლექსებით და, საბოლოოდ, **ლაზი** მთქმელისათვის დროთა განმავლობაში ბუნებრივი გამხდარა თურქული **კაზი||ყაზი**.

როგორც ვრწმუნდებით, **ლაზურისა** და **ქართულისაგან** განსხვავებით, ძირეული **ღორღონჯ** („ღერღედი“) ლექსემა მეგრულს შემოუნახავს, ხოლო **ლაზურიდან** ის საბოლოოდ გამოუდევნია თურქულ ნასესხობას, ქართულში კი არაბული წარ-

მოშობის სიტყვა დამკვიდრებულა.

ლახ.: **შილიდონი** და **კუდეღმაკასი** „მერცხალი“: ნ. მარის ვარაუდით, ლახურში **შილიდონი** ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა (შდრ.: ბერძ. χελιδνι „მერცხალი“).

ლახ.: **კვაოჯი** და **კარლა** „ყვავი“ (შდრ.: ლახ. **კვაოჯი**, მეგრ. **კვარია**, ქართ. **ყვავი**). დადასტურებულ ლექსემაში ძირეული ჩანს **კვ-||ყვ-**: ლახ. **-ოჯ**, მეგრ. **-არ**, ქართ. **-ავ** დეტერმინანტი სუფიქსებია. ლახური **ყვაოჯი||კვაოჯი** მიღებული უნდა იყოს **ყვაგ-ოჯ-ისაგან**: **ყვაგოჯი**→**ყვაოჯი** (ჩიქობავა, 1938, 109). ლახურში ძირეული **კვაოჯი**-ს პარალელურად დადასტურებული არის თურქულიდან ნასესხები **კარლა** (შდრ.: თურქ. karğa „ყვავი“). ლახურში შესამჩნევია თურქული **კარლა** ტერმინის გაბატონების ტენდენცია.

ლახ.: **კუდეღი** და **კუღეჟი**, **კუღეჟსოხუმი** „კუდი“ (შდრ.: მეგრ.-ლახ. **კუდეღი**, ქართ. **კუდი**). ძირეულია **კუდ-**. მეგრულსა და ლახურში ლექსემა **-ელ-** სუფიქსითაა წარმოდგენილი (ჩიქობავა, 1938, 92). ზანურში **კუდეღი** სიტყვა „კუდსაც“ აღნიშნავს და „ბოლოსაც“. ლახი მთქმელები **კუდეღი**-ს პარალელურად ადასტურებენ **კუღეჟი** და **კუღეჟსოხუმ** ფორმებსაც. აღნიშნული ტერმინები ნასესხები ჩანს. აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ ლახურში მათი დამკვიდრების პროცესი ჯერ არ ჩანს დამთავრებული (შდრ.: kuyruk „კუდი“; kuyrusokumu „კურტუმი“).

ლახ.: **მზოღაშ კინჩი** და **მართინი** „თოლია“: ლახურში „თოლია“-ს სახელი მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებით არის წარმოდგენილი. დღეისათვის ლახურში **მზოღაშ კინჩი**-ს („ზღვის ჩიტი“) ადგილს იკავებს **მართინი** (შდრ.: თურქ. marti „თოლია“).

ლახ.: **მოსა**, **ნეჭერი**, **ჩერგა**, **თენტა** „მოსა“: ლახურში „ბადე“-ს **მოსა** ჰქვია. ლახთა მეტყველებაში საკუთრივ ლახურ-

რი ფუძის პარალელურად ბადის მნიშვნელობით დადასტურებულია **ნეძერი, ჩერგა, თენტა** ტერმინები, რომლებიც თურქულენოვანი სამყაროდან არის ნასესხები: **ჩერგა** (შდრ.: თურქ. çerğa „კარავი, მახე, ბადე ქორის დასაჭერი“); **თენტა** (ლაზ.) „ბადე მიმინოს დასაჭერად“ (შდრ.: თურქ. tente „კარავი, ფარდული, მახე“); **ნეძერი** „ბადე“ — სიტყვა არაბული წარმოშობისაა, ლაზურში თურქულის გზით არის დამკვიდრებული (შდრ.: თურქ. nefes „ალაფი, დავლა, ნადავლი“).

ლაზ.: **შეგარდენი** და **შაჰინი** „შეგარდენი“: ლაზურში **შეგარდენი** სიტყვა განუდევნია ნასესხებ **შაჰინი** ლექსემას (შდრ.: თურქ. şahin „შეგარდენი“).

ლაზ.: **ოტრიკე, ორტიკი, ბულდუჯინი** „მწყერი“: ლაზი მთქმელების თქმით, **ოტრიკე** ლაზური სიტყვაა, თუმცა დღეს ლაზი მთქმელისათვის ბუნებრივი გამხდარა **ბულდუჯინი** სიტყვა. **ბულდუჯინი** თურქული წარმოშობისაა (შდრ.: თურქ. bül-dürçin „მწყერი“). აღსანიშნავია, რომ ლაზური **ოტრიკეს** ერთ-ერთ ფონეტიკურ ვარიანტად ნ. მართან დადასტურებულია ბერძნული ნასესხობა **ორტიკი** (მარი, 1910) (შდრ.: ბერძ. ὀρτυχι το „მწყერი“).

ლაზ.: **ტოოჯი** და **ტირღონი** „მტრედი“ (შდრ.: ლაზ. ტოოჯი, მეგრ. ტორო(ნ)ჯი, ქართ. მტრედი): ზანურში ძირეულია **ტოო-** ფუძე, ქართულში კი შესაბამისი ფუძე უნდა იყოს **მტრ-ედ-** (ჩიქობავა, 1938, 104). ლაზური **ტოოჯი** ლექსემის პარალელურად დასახელებული **ტირღონი** ნ. მარს ბერძნულ ნასესხობად აქვს ჩათვლილი (შდრ.: ბერძ. τρυχών „მტრედი“) (მარი, 1910). თუმცა სავარაუდოა, რომ **ტირღონი** სიტყვა დაკავშირებული იყოს თურქულ turgay-სთან („ტოროლა“).

ლაზ.: **ობღე, ოსქვე** და **იოვა** „ბუდე“: ლაზური **ობღე** და **ოსქვე** ტერმინები ნაწარმოებია დანიშნულების **ო-ე** ცირკუმფიქსით. ლაზურში „ბუდის“ აღმნიშვნელი უცხო წარმომავლო-

ბის **ოვგა** სიტყვაა დადასტურებული (შდრ.: თურქ. *üva* „ბუღ“).

ლაზ.: **მქიი** და **ჩაიღალი** „ქორი“ (შდრ.: ლაზ. *ქური||მქირი||მქიი*, მეგრ. *ქირი*, ქართ. *ქორი*). ქართველურ ენებში შესატყვისობა დაცულია (ჩიქობავა, 1938, 103). ლაზურში გავრცელებულია **მქიი** სიტყვის პარალელურად თურქული **ჩაიღალი** (შდრ.: თურქ. *çaiğali* „ქორი“).

ლაზ.: **შუშანა** და **მზიულული**, **სივირჭული** „ჩიტი, შაშვის-მაგვარი“ (შდრ.: თურქ. *sivihrcuği* „შოშია“; *syuluği* „შაშვი“).

ლაზ.: **წიწილა** და **ფილიქი** „წიწილი“ (შდრ.: თურქ. *pilic* „წიწილი“).

ლაზ.: **მიმინო**, **ათმაჯა**, **სიფთერი** „მიმინო“ (შდრ.: თურქ. *atmaca* „სამონადირეო ჯიშის ქორი“). ტერმინი თურქულიდან უცვლელად არის გადმოსული. ლაზი მთქმელებისათვის დღეს **ათმაჯა** ლექსემა ბუნებრივი გამხდარა). რაც შეეხება **სიფთერი** ერთეულს, მას ნ.მარი ბერძნულიდან ნასესხობად მიიჩნევს (მარი, 1910).

ლაზ.: **ტუტული** და **ბუთი** „ბარკალი“: ლაზები არჩევენ **ჟინი ბუთი** („ზედა ბარკალი“) და **თუდენი ბუთი-ს** („ქვედა ბარკალი“) (შდრ.: თურქ. *but* „ბარკალი“).

ლაზ.: **ფურფუ** და **ჭიგერი** „ფილტვი“: **ჭიგერი** სპარსული წარმოშობის სიტყვაა. (შდრ.: სპ.-თურქ. *jigär* „ღვიძლი“; თურქ. *akciğer* „ფილტვი“). მთქმელები ასახელებენ **ხჩე ჭიგეი-ს** („თეთრი ჭიგერი“) და **უჩა ჭიგეი-ს** („შავი ჭიგერი“). ამ დაყოფით ლაზურში ხდება აღნიშნული ტერმინის სემანტიკის დიფერენციაცია (შდრ.: „თეთრს ჭიგერს“ თურქულში „ფილტვებს“ ეძახიან). ლაზური **ხჩე ჭიგე(რ)ი** თურქული *akciğer*-ის ნაწილობრივი კალკია. თურქული *karaciğer*-ი („შავი ჭიგერი“) „ღვიძლის“ სახელია. მეგრულში „ფილტვსა და ღვიძლს“ სხვადასხვა სახელი აქვს და ერთმანეთისაგან გასარჩევად ზედსართავი სახელე-

ბი არ იხმარება (შდრ.: მეგრულში **ჩხონჩხი** „ღვიძლს“ ჰქვია, **ფიფი** კი-„ფილტვს“).

ბ) როგორც აღვნიშნეთ, მეფრინველეობის ლექსიკაში დადასტურებული გვაქვს ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დროთა განმავლობაში დამკვიდრებულა მეგრულ-ლაზურში და მის ორგანულ ნაწილად ქცეულა:

ლაზ.: **საი||სარი** „ყვითელი“: **საი** ფერიშ ქოთუმე მიყონუნა „ყვითელი ფერის ქათმები გვყავს“. ლაზურში გავრცელებული **საი||სარი** თურქული წარმოშობის სიტყვაა (შდრ.: თურქ. saarı „ყვითელი“). იგი უცვლელად დამკვიდრებულა ლაზურ მეტყველებაში.

ლაზ.: **კავერნეგი** „ყავისფერი“: აღნიშნული ლექსემა კომპოზიცია (შდრ.: არაბ.-თურქ. kahve „კოფე“; თურქ. renk(g) „ფერი“). ლაზურში **რენგი** ლექსემა დადასტურებულია როგორც კომპოზიტებში, ასევე შესიტყვებებში: **რენგი** უჩა ყვაოჯი „შავი ფერის ყვავი“.

ლაზ.: **კაბულა||კაბულა**: ლაზები „ფრინველის კურტუმოს მომყოლ ძვალს, „ზურგს“, **კაბულა**-ს ეძახიან. ლაზური **კაბულა** უნდა მომდინარეობდეს თურქულიდან (შდრ.: თურქ. kaburğa „1. ნეკნი; 2. გულის ფიცარი“).

ლაზ.: **ჭანგი** „ფრინველის კლანჭი“: ლაზურ **ჭანგს** სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევენ (შდრ.: სპ. çanğx „ფრინველის ბრჭყალი“ (ანდრონიკაშვილი, 1996, 56).

ლაზ.: **იალი||იალ(ლ)ი** „ცხიმი, ქონი“ (შდრ.: თურქ. yay „კარაქი, ერბო, ზეთი“; yaylu „მსუქანი, მსუყე“).

ლაზ.: **სკემბე||სკემბე** „შიგნეულობა“ სპარსული წარმოშობის სიტყვად არის მიჩნეული (შდრ.: სპ. škam „მუცელი, კუჭი“ (ანდრონიკაშვილი, 1996, 54).

ლაზ.: **სადადი** „ჩიტების მონადირე“: ლექსემა არაბული წარმოშობისაა. ჩანს, ლაზურში თურქულის გზით დამკვიდრე-

ბულა (შდრ.: არაბ.-თურქ. *saiyad* „ჩიტების მკვლელი“).

ლახ.: ავჯი „მონადირე“; ავჯობა „ნადირობა“ (შდრ.: თურქ. *avci* „მონადირე“). ავჯობა ტერმინი ნაწარმოები ჩანს ავჯ (-თ. *avc*) ფუძეზე -ობა ქართული სუფიქსის დართვით.

ლახ.: ბულბულ „ბულბული“ (შდრ.: სპ.-თურქ. *bülbü* „ბულბული“). მეგრულში „ბულბულს“ მაფშალიას ეძახიან. თუმცა, ი.ყიფშიძე ამ ფრინველის სახელად ადასტურებს ბერძნული წარმოშობის სიტყვა იადონსაც. ცნობილია, რომ ქართულმა ამ ჩიტის აღსანიშნავად, ერთი მხრივ, ბერძნულიდან ნასესხები იადონი||აედონი (შდრ.: იადონი ბერძნული *ἀϊδών*, ἰ-დან მომდინარეობს) და, მეორე მხრივ, სპარსული ბულბული დაამკვიდრა.

ლახ.: კართალი „არწივი“ (შდრ.: თურქ. *kartal* „არწივი“).

ლახ.: დოღანი „ქორის მსგავსი დიდი ფრინველი“: ლექსემა თურქული წარმოშობისაა (შდრ.: თურქ. *doğan* „შეგარდენი“).

ლახ.: კარაბათალი „შავ-შავი ფრინველი, ჩვამა“ (შდრ.: თურქ. *karabatak* „ჩვამა“).

ლახ.: ანკე „ფრინველის სახელია“ სიტყვა თურქულიდან არის შემოსული. ანკე არაბული წარმოშობის სიტყვა ჩანს (შდრ.: არაბ.-თურქ. *anka* „1. მითიური ფენიქსი, ფასკუნჯი; 2. ძალიან მდიდარი“).

ლახ.: კარაგიონი „ერთგვარი მიმინოა“: ტერმინი თურქული წარმოშობის კომპოზიტია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „შავვალეზას“ (შდრ.: თურქ. *kara* „შავი“; *göz* „თვალი“).

უცხოური წარმოშობის კომპოზიტებია ლაზურში იეშილბაში, გულბაში||ქურბაში („ გარეული იხვის ერთ-ერთი სახეობა“) ლექსიკური ერთეულები. კომპოზიტის შემადგენლობაში შედის ზედსართავი და არსებითი სახელები (შდრ.: თურქ. *gül* „ვარდისფერი“; *yasil* „მწვანე“; *bas* „თავი“).

ლაზ.: ალო||ალო||აღუ „მომწვანო-ყვითელი ფერის მწარე სითხე, რომელსაც გამოყოფს ღვიძლი“ (შდრ.: მეგრ. ნოდმე-ლი||ნოდველი. ტერმინი მეგრულში ქართულიდან ჩანს შემოსული). ლაზურში აღუ თურქულიდან მომდინარე ჩანს (შდრ.: თურქ. ayu||ağya „საწამლავი, მომწამვლელი ნივთიერება, შხამივით ძალიან მწარე“). მზ. ანდრონიკაშვილი ქართ. ნადველ-ს თურქ. აღუ-სთან აკავშირებს (ანდრონიკაშვილი, 1996). შესაძლებელია ეს ვარაუდი გაზიარებული იქნეს, რასაც ლაზურში დადასტურებული ალო||ალო||აღუ ფორმები უწყობს ხელს. ქართ. ნაღუელი დღეს ძირზე ნა- სიტყვასაწარმოებელი პრეფიქსისა და -ელ სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. მეგრულს, როგორც ჩანს, უცვლელად შეუთვისებია ქართული ფორმა. ოღონდ შემდეგში მეგრულს ქართ. ნა- პრეფიქსი შეუცვლია ზუსტი ფონემური შესატყვისით ნო-თი. ამავე დროს, მომხდარა დგ- კომპლექსის სუბსტიტუცია არტიკულაციურად მონათესავე ბგერებს შორის, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ზანურისათვის.

ასევე ნასესხები ჩანს ლაზურში ძავრი „ბარტყი“ (შდრ.: თურქ. yavru „ბარტყი, ბახალა, ბოკვერი“); ძელვე „ღარღა“ (შდრ.: თურქ. yelve „ბეკასი, ჩიბუხა, ალიონი“); მესმერთული „წეროს მსგავსი გრძელფეხა ფრინველი“ (შდრ.: თურქ. me-smertuği „წერო“); კული „ფრინველი ბატისმაგვარი“ (შდრ.: თურქ. kuğu „წერო“); კუშლული „ფრინველებზე ნადირობა“ (შდრ.: თურქ. kuslugi „ჩიტზე ნადირობა“); საკა (შდრ.: თურქ. saka „ჩიტბატონა“).

მეგრულში უცხოური წარმოშობისაა კოკუში „ინდაური“ (შდრ.: თურქ. kökü||gogus „ინდაური“). დადასტურებული ტერმინი კომპოზიტია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ლურჯ ფრინველს“ (სევორთიანი, 1978, 66).

მეგრ.: მაჰმუზი||მუხამუზი „მამლის დეზი“: სიტყვის არა-

ბულ წარმოშობაზე უთითებს ი.ყიფშიძე (შდრ.: არაბ.-თურქ. mahmuz „ღეზი“).

მეგრ.: **ღორღონჯი** და **ბატი** „ღერღედი, ბატი“: მეგრულში **ღორღონჯ** სიტყვის პარალელურად დასტურდება არაბული წარმოშობის სიტყვა — **ბატი**. პ. ჭარაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“ დართულ კომენტარში ვკითხულობთ: „სიტყვა **ბატი** (შინ.ფრ.) მეგრულად არის **ღორღონჯი**. ეს სიტყვა უფრო სამურზაყანოსა და ზოგან ზუგდიდის მაზრაშიაც იხმარება, სხვაგან ყველგან იხმარება მეგრულადაც **ბატი**. ისტორიულად ქართულში **ბატი** შემოდებული სიტყვაა, ხოლო ქართულში ამის მსგავსად იხმარებოდა საკუთარი სიტყვა **ღერღეტი**, რომელიც ადვილად გასაგები იყო ყველა ქართველთათვის“ (ჭარაია, 1997, 258).¹

მეგრ.: **მათირიფი** და **ჩაიკა** „თოლია“ (შდრ.: რუს. чайка „თოლია“).

ამრიგად, მასალაზე დაკვირვებამ ნათელი გახადა, რომ ლაზურში ნასესხები ლექსიკის დიდი წილი თურქული სიტყვებია. ვხვდებით აგრეთვე თურქულის გზით შემოსულ სხვა აღმოსავლურენოვან ლექსიკას. მეგრულში მსგავსი ფაქტები ნაკლებია, აქ ძირითადად შემორჩენილია საერთოქართველური ლექსიკური ფონდი, რაც ქმნის სხვაობას მეგრულ-ლაზურ დიალექტებს შორის. ლაზურში კი უცხო სიტყვათა სიმრავლე აიხსნება ლაზურის ისტორიითა და გეოგრაფიულ-პოლიტიკური მდგომარეობით.

¹ შდრ.: სულხან-საბა ბატი ტერმინის განმარტებისას მის სომხურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

54. სახელდების მოტივაციის საკითხი ფრინველებთან დაკავშირებულ ლექსიკაში

4.1. მოტივაციის საკითხი ფრინველთა ტერმინოლოგიაში

სახელდების მოტივაციის საკითხი ძირეული ფონდის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემაა. სახელდება არსებითად დაკავშირებულია „საგნის შემეცნების“ (ენობრივი შეცნობის) პრობლემასთან.

ახალი სიტყვა მოტივაციით იწყება, რაც ნიშნავს, რომ აღმნიშვნელი თავისი შინაარსით შეესაბამება აღსანიშნს. თითოეული სიტყვის მოტივაციის დადგენა მისი ეტიმოლოგიის გარკვევაც იქნება. სიტყვის ისტორიის კვლევისას საინტერესოა, თუ რატომ დაერქვა ამა და ამ საგანს ესა თუ ის სახელი, ანუ „მოლაპარაკე ინდივიდის ფსიქიკაში არსებულმა რა ასოციაციამ მისცა ბიძგი მის განკარგულებაში მყოფი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულიდან ახალი ერთეულის წარმოქმნას. ამასთან, როგორ შემოვიდა ენობრივი კოლექტივის სიტყვაზმარებაში ახალი სიტყვა ან არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობა“ (ფოჩხუა, 1974, 121).

წარმოქმნის მომენტში ყველა სახელი მოტივირებულია, ე.ი. სემანტიკურად გამჭვირვალეა, სახელდების მიზეზი ნათელია, სიტყვა შესაძლოა მოტივირებული იყოს გრამატიკულად (ე. ი. წარმოებით) და სემანტიკურად (ე. ი. სიტყვის მნიშვნელობით). „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისებაა და არა უთუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება“ (ფოჩხუა, 1974, 121).

მოტივირებული სიტყვა გულისხმობს ნებისმიერ ენობრივ ელემენტთა კომბინაციას, ამ კომბინაციის ფუნქციურ დატვირთულობას. ეს კომბინაცია საგნის შინაგანი ბუნებით კი არ არის შეპირობებული საზოგადოდ, არამედ, ისევ ამ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ა.ბაინდურაშვილი ასკვნის: „სახელდება რომ განხორციელდეს, საჭიროა სახელმძღვანელო ბგერითი კომპლექსი და სახელსაღებები შინაარსი ერთმანეთის შესაფერისად, ერთმანეთის შესატყვისად განიცადოს“ (ბაინდურაშვილი, 1971, 243-244).

სახელდება ყოველთვის რალაციით შეპირობებული, მოტივირებულია.

ტ. ფუტყარაძის ვარაუდით, სახელდება „არც პირველყოფილი და არც თანამედროვე ადამიანისათვის არ ხდება აბსოლუტურად ნებისმიერად, ყოველთვის შეპირობებულია რაიმე თვისებით (მიზეზით, საბაბით). ნებისმიერ ენობრივ კოლექტივში ასეთი მოტივი მრავალგვარია. ადამიანის ცნობიერება სახელდების პროცესში ერთმანეთთან აკავშირებს არა საგანსა და ბგერას, არამედ საგანზე შთაბეჭდილებას (წარმოდგენას) და ამ უკანასკნელისათვის შესაბამის ენობრივ სემანტიკას, რომელიც განუყოფლად დაკავშირებულია აკუსტიკურ ხატთან“ (ფუტყარაძე, 1996, 248-249).

ყოველ ენაში მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიცავენ შინაურ ფრინველთა დახასიათებას მათი გარეგნობისა თუ რაიმე საგანთან მათი მსგავსების მიხედვით. ზოონიმთა უმეტესი ნაწილი მოტივაციის მქონეა, რაც გამოწვეულია ადამიანთა კოლექტივის საჭიროებით-განასხვავოს ერთმანეთისაგან ერთგვარი ობიექტები. „ინდივიდის ცნობიერებაში წარმოიქმნება გარკვეული ასოციაცია, რომელიც რეალიზდება (გამოხატვას პოულობს) ენობრივი საშუალებით“ (ცხადია, 1987, 411).

შინაურ ფრინველთა სახელდების მოტივად ხშირია გარეგნულ ნიშან-თვისებათა, ფრინველის სხეულის რომელიმე ნაწილისათვის დამახასიათებელი ნიშნისა თუ სხვა თავისებურების გამოყენება.

გამოქვეყნებული ტექსტებისა თუ ჩვენ მიერ ველზე მოძიებული მასალის მიხედვით, შინაურ ფრინველთა გარეგნობისა-

თვის დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით მოტივირებული ჩანს შემდეგი ტერმინები:

მეგრულში: **ბურღლა, კუჩხბურღლაში, შარვალა, ქუდამი, ქოჩორა, ოფოფია**; ლაზურში: **ბუძგინეი, საპოზონი, თიკაუხა, თიკუნკულა, თიქუღონი, ქუქუღა** — ტერმინები. სახელდება დაკავშირებულია შინაური ფრინველის სხეულის ნაწილებთან (ტანის, თავის, ფეხის ბუმბულთან);

ფრინველის კისრის სიშიშვლის მიხედვითაა მოტივირებული მეგრ. **კიტაია**; ლაზ. **ცალიტეტელი, ცალიუთომელი** სახელები.

ზანურში ზოგიერთი გარეული ფრინველის სახელიც მოტივირებული ჩანს. მათ სახელები შერქმევიათ ფრინველის თვალშისაცემი თავისებურებით. მაგ.: მეგრ.: **მასაქელა, მაზაკელა**; ლაზ.: **მაბუზალე** „ბოლოქანქალა“: ამ ჩიტს სახელი მისი თვისების გამო შერქმევია, კერძოდ, ქვაზე ან ხეზე რომ ჩამოვდება, ცმუკავს, ბოლოს ზევით-ზევით აქანქარებს.

ლაზ.: **კუდელი-მწინუ** „ბოლოქანქარა“: ტერმინი მოტივირებული ჩანს. სახელდება დაკავშირებულია ამ ფრინველის ბოლოს, კუდის მოძრაობასთან.

მეგრ.: **ცაშლაკვეფი** „გადამფრენი ფრინველი“: ამ ფრინველის სახელდების მოტივი „ძალის მაგვარი“ ყუფის ხმიანობაა, რომელსაც ის გამოსცემს.

მეგრ.: **მალლაკია, მალრაკია** „ასპუჰაკი“: ამ ჩიტის სახელდების მიზეზი მისი თვისება — კისრის გრეხა, დრეკა გამხდარა.

მეგრ.: **კიუ-კიუ** „მინდვრის ჩიტი“: ეს ფრინველი დღენიადაგ **კიუ-კიუ, კიუ-კიუ**-ს მსგავს ხმიანობას გამოსცემს, შესაძლებელია ამის გამოც შეარქვეს მას ეს სახელი.

აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ ავთ.არაბულის მოსაზრებას, რომ „საგანი იმდენად გვევლინება სახელდების ობიექტად, რამდენადაც იგი ხდება აღქმადი (აქტუალური) რაიმე ნიშან-თვისების გამოვლენის სახით

(ფორმით). საგანს სახელი ერქმევა, როგორც მოვლენას (მისი რაიმე არსებითი გამოვლენის ფორმას) (არაბული, 2001, 305).

4.2. ცალკეულ ტერმინთა წარმომავლობა-ეტიმოლოგია

ლექსიკის ისტორიული შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ სიტყვათა წარმომავლობის დადგენას, რაც ხშირად ღრმა ეტიმოლოგიურ ანალიზს მოითხოვს. ეტიმოლოგიური ძიება იძლევა საშუალებას ამა თუ იმ ენის ბგერითი და გრამატიკული აგებულების გადრმავეებული შესწავლისა. საანალიზო დარგობრივი ლექსიკის ერთი ნაწილი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონეა, ზოგის წარმომავლობაც დაბინდულია და მხოლოდ დაკვირვების შედეგად შესაძლებელი ხდება სახელდების ამოსავალი პრინციპების განსაზღვრა, ამ სახელწოდებათა მოტივაციის საფუძვლების დადგენა. შესაბამისად, ნაშრომში არის ცდა ზოგი ფუძის ეტიმოლოგიური კვლევისა.

განვიხილავთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს: ა). ზან. **ქოთომი**||**ქოთუმე** „ქათამი“. ტერმინი დადასტურებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: „ვითარცა **ქათამმან** შეიკრიბნის მართუენი ქვეშე ფრთეთა. მ. 23.37. ს“. როგორც ცნობილია, **ქათამი** თავდაპირველად ფრინველის ერთ-ერთი ზოგადი თვისების გამომხატველ სიტყვად მიაჩნდათ. შესაძლებელია იგი ყოფილიყო ფრენის თვისების მაუწყებელი, ანდა თუნდაც, თავისი შემოსილობის აღმნიშვნელი (შდრ.: ტერმინი **ქათამი** „სხვაგვარ მფრინველთა, მათ შორის გარეულთა სახელებისთვისაც ძირითად ნიშნად არის გამოყენებული“ (ჯავახიშვილი, 1937, 615).

ქართველურ ენებში შესატყვისობა დაცულია: მეგრ. **ქოთომი**; ლაზ. **ქოთუმე**; სვან. **ქათალ**; ქართ. **ქათამი**. ლაზურში **ქოთუმე** ფორმაში მ-ს უშუალო მეზობლობაში **ო** — **უ**-ში გადასულა, რაც განპირობებულია პოზიციური ხმოვანმონაცვლებით.

ლაზურში **ქოთუმე** ჩვეულებრივი ფორმის პარალელურად **ქორმე** ფორმაც დასტურდება¹ არნ. ჩიქობავა სვან. **ქათალ** ტერმინიდან გამომდინარე, ძირეულად ვარაუდობს **ქათ-ს**, ნაგრამ ლაზ. **ქორმე** ფორმაზე (ლაზ. **ქორმე** კომპოზიტად არის მიჩნეული — ხაზგასმა ჩვენია ნ.გ.) დაყრდნობით პირველ ძირად მიაჩნია **ქორ||ქო-**, ხოლო **თამ-||თომ-||თუმ-** მეორე ძირად. ე.ი. **ქათამ||ქოთომ||ქოთუმ** რთული ფუძე-კომპოზიტი იქნება (ჩიქობავა, 1938, 96-97).

ივ. ჭავჭავიძე ეთანხმება დადასტურებული ტერმინის (**ქათამი, ქოთომი, ქოთუმე**) კომპოზიტობას და ამ სახელებში შემოსილობის გამომხატველი სიტყვის კვალს ამჩნევს. ამავე დროს, შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მეგრულ-ლაზური ფორმის მეორე და მესამე მარცვლების კომპლექსი **თომი||თუმი** ზანურში „თმის“, ასევე ქართულში „ბალახის“ ანდა „თივის“ სახელის — **თომი-ს** ზედმიწევნითი შესატყვისი იყოს (ჭავჭავიძე, 1937, 615). შდრ.: ზანურში **თმა, თომა** ფრინველის შემოსილობის გამომხატველია: კინჩიშ **თომა**; ხოლო მოსვის, შემოსვის ცნების გამოსახატავად ზანურს **ქუნ-კომპლექსი** აქვს: მეგრ. **მიკო-ქუნა** „ჩაცმა, შემოსვა“; ლაზ. **დოლო-ქუნუ** „შემოსვა, სამოსელი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით, ტერმინი **ქათამ||ქოთომ||ქოთუმე** კომპოზიტია (ჩიქობავა, 1938, 96-97) და ამ ტერმინის პირველი ნაწილი უკავშირდება შემოსილობას, ხოლო მეორე — თმას, ზოგადად ბალანს (ჭავჭავიძე, 1937, 615). შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინი **ქათამი||ქოთომი||ქოთუმე** თავდაპირველად რთუ-

¹ ლაზური **ქოთუმეს** პარალელურად არსებული **ქორმე** ფორმა გ.მაჭავარიანს წარმოდგენილი აქვს შემდეგი სახის ტრანსფორმაციით: **ქორმე** < **ქოთმე** < **ქოთუმე**. თ<რ აქ აქცესიური **თმ** ჩვეუთის სუპერაციის საშუალებას წარმოადგენს (მაჭავარიანი, 1965, 19).

ლი ფუძე იყო, ხოლო სემანტიკურად — ბუმბულ-ფრთებ-შემოსილის ანუ ფრთოსნობის აღმნიშვნელი ყოფილა.

ბ). მეგრ.: **ჭიკორკული**||**ჭკორკული** „ფრინველის, ქათმის კუჭი“: მეგრულში **ჭიკორკული** ტერმინი ზოგჯერ წარმოდგენილია რ-ს გარეშეც **ჭიკოკული**||**ჭკოკული** ფორმით. **ჭიკორკული**-პოსტპოზიციური წყობის კომპოზიტია. ტერმინი მოტივირებულია. ნათლად ჩანს ფრინველის სხეულის ამ ნაწილის სახელდების საფუძველი. კომპოზიტის პირველი კომპონენტი გადმოცემულია არსებითი სახელით, მეორე კი — ზედსართავი სახელით. **ჭიკორკული** ზედმიწევნით ნიშნავს „ნაწლავ-მრგვალს, პატარას“: **ჭი||ჭკ** „ნაწლავი“+**ორკული**||**კოკული** „პატარა, მრგვალი“.

საანალიზო კომპოზიტის პირველი კომპონენტი **ჭი||ჭკ** „წელი, ნაწლავი“ საერთო ქართველურ ფუძეს წარმოადგენს (შდრ.: ქართ. **წელი** (ჩიქობავა, 1938, 69). მეორე კომპონენტი, რომელიც **ორკული** ზედსართავი სახელის სახითაა წარმოდგენილი, რედუპლიცირებული ძირი ჩანს: **ორკული** <***ორკალი** <***ვარკვალი** <***ვარკვარი** (შდრ.:მეგრ. **ვარკვალია** <***ვარკვარია** „მრგვალი;“ ქართ. **კვერკვერა** <***კვერკვერა** „მრგვალი“. მეგრ. **კვარ-**; ქართ. **კვერ-** ძირის რედუპლიკაციით).

გ. კლიმოვი საერთოქართველური დონისათვის აღადგენს ***კვერკვერ-**ს „მრგვალი“ (შდრ.: ქართ. **კვერკვერა** „მრგვალი“; მეგრ. **ვარკვალია** „მრგვალი“; ლაზ. **კორკოლა** „ცხვრის განავალი“). **კვერკვერა** მიაჩნია ***კვერ-** ძირის რედუპლიკაციით მიღებულად. ლაზურში სახეზეა ამ ერთეულის სემანტიკური სხვაობა (კლიმოვი, 1964, 110). ლაზურში **ჭიკორკულის** მნიშვნელობით დადასტურებულია ქართულიდან შემოსული **კუჭი** ტერმინი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხილული ტერმინის — **ჭიკორკული** — კომპოზიტობა უდავოა. ამავე დროს, დადასტურებული კომპოზიტის შემადგენელი

ორივე კომპონენტი (ვგ „ნაწლავი“, კორკული „მრგვალი“) ქართველურ ენათა კუთვნილებას წარმოადგენს.

გ) მეგრ.: გეცხირილი „მახე, ბრტყლად დაწნული ხაფანგი“: მეგრულში ცხირი, ცხირუა, გეცხირილი, გოცხირილი, დოცხირილი, დოცხირუა ფორმებისათვის ამოსავალი ფუძე ჩანს ცხირ- (შდრ.: მეგრ. ცხირი „ძუის მარყუჟიანი მახე“ (კილ.); ცხირუა „ბადის მოქსოვა“ (კილ.) „ძუის დაგება“ (ქარ.).

ცხირ- ფუძეზე -ილ სუფიქსის დართვით ნაწარმოები ჩანს ცხირ-ილ-ი ფორმა, რომელიც ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობაა, ხოლო ცხირილი ფორმაზე გე- ზმნისწინის დართვით მიღებულია გე-ცხირ-ილ-ი ტერმინი. ცხირილ ფუძეზე გე-, გო- ზმნისწინის დართვა სიტყვას უცვლის სემანტიკას (შდრ.: გეცხირილი „მიწაზე ზედ დაწნული“; გოცხირილი „გარს, ირგვლივ შემოწნული“).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისტორიული თანხმოვანთშეფარდება ქართულსა და მეგრულ-ლაზურში: ქართულის სისინა სპირანტებისა და აფრიკატების ნაცვლად მეგრულ-ლაზურში გვაქვს შიშინა სპირანტები და აფრიკატები. ქართულის სისინა გაბგერების ნაცვლად შიშინა გაბგერება ახსნილია წარმოების უკან გადაწვევით (ცაგარელი, 1880; ჩიქობავა, 1938).

წარმოდგენილი მოსაზრების თანახმად ქართული ცხირ-ის შესატყვისი უნდა ყოფილიყო მეგრული ჩხინჯ-ი. ზანურში ამჟამად ჩხინჯი არ დასტურდება, მაგრამ აფხაზურში არსებული ა-ჩხიჯნი (<*ა-ჩხიჯნიჯ „ჩამოსაკიდებელი, ცეცხლის პირას აღმაცერად დასობილი ჭდეებიანი ჯოხი“) ლექსიკური ერთეული ექვს არ იწვევს, რომ ეს ლექსემა არსებობდა მეგრულში (მაჭავარიანი, 1965, 59).

ფაქტია ისიც, რომ იმ სახის თანხმოვანთმონაცვლეობა, როგორც დასტურდება ქართულსა და მეგრულ-ლაზურს შო-

რის, არსებობს თვით მეგრულისა და ლაზურის კილოკავებში (ყლენტი, 1953). ი.ყიფშიძეს დადასტურებული აქვს ისეთი პარალელური ფორმები, როგორიცაა **ჩხვერკი||ცხვერკი** „გამხმარი ტოტი“; **ჩხოტუა||ცხოტუა** „სხლვა“; **სა-ნ-ჩხირე||სა-ნ-ცხირე||სა-ცხგრე** „ჩხირი“ (ყიფშიძე, 1914). რამდენადაც, მეგრულისათვის უცხო აღარ არის **ჩხ-||ცხ-** კომპლექსთა მონაცვლეობა, ჩვენი ვარაუდით, დადასტურებული ლექსიკური ერთეული-**გეცხირილი**-ს საწარმოებელი **ცხირ-** ფუძე შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული **ჩხირ<-*ჩხინჯ-**ისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შესატყვისი ჩანს ქართული **ჩხირო**-ს (შდრ.: ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტში **ჩხირო** სახელი რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება. ქეგლ-ის მიხედვით, **ჩხირო** არის: 1) ხის წვრილი და ხმელი ტოტის ჩამონატეხი ან ჩამონასხები: -წკირი, ლითონის ან სხვა მასალის ჯოხი; 2) საქსოვი იარაღი, ფოლადის სწორი მავთული ან ხისგან გათლილი წვრილი ჯოხი; წინდის ჩხირი; 3) კუთხ. (ქართ.) თიხის ჭურჭლის სალესი ჯოხი; 4) კუთხ. (ქიზ.) ჩირის ასასხმელი კაპებიანი ტოტი (ს.მენტეშ.) (ქეგლ VIII);

ამასთანავე, **ცხირო** სემანტიკურად იგივეა, რაც **ჩხირო**. ჩვენი ვარაუდით, **გეცხირილი** ტერმინი სემანტიკურად დაკავშირებულია **ჩხირუა||ცხირუა**-სთან, რაც ნიშნავს „ლობვას წნელის შორი-შორს მოღებით“.

დ) ლაზ.: **სინდომი** „ფრინველის დასჭერი სამკუთხა ფორმის ბადე“: ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია ლაზური **სინდომი**-სათვის ამოსავალი იყოს ამჟამად მეგრულში თითქმის მივიწყებული სიტყვა **სინდი** (←**სინჯი**) (შდრ.: მეგრ.**სინდი** „იხვი“, **წყარ(ი)სინდი** „გარეული იხვი“ (სიტყვას. „წყლის იხვი“) (ყიფშიძე, 1914). პ.ცხადაია აცხადებს, რომ ხანდაზმული ინფორმატორებისათვის **სინჯი** არის არა „იხვი“, არამედ ზოგადად „ჩიტი, ფრინველი“, ან სულაც „წყლის ჩიტი“. ამ უკანასკნელი

მნიშვნელობით უფრო გავრცელებულია **წყარსინჯი** (<-წყაროს სინჯი) „წყლის სირი“. შეუქმნიათ ამ სიტყვის ხალხური ეტიმოლოგიაც: **წყარსინჯი** ზღვის ჩიტია, კისერხატულა, გრძელნისკარტა, წყლის სინჯვა უყვარს (ხშირად ჩაჰკრავს ნისკარტს წყალში), ამიტომ დარქმევია **წყარსინჯი**. პ.ცხადაიას თვალსაზრისით, სამეგრელოში დადასტურებული **ოსინდალე||ოსინჯალე ||ოცინდალე** ტოპონიმებისათვის შეიძლება ამოსავალი სწორედ მეგრული **სინდი||სინჯი** იყოს (ცხადაია, 1999, 70-71).

მეგრულში ორი პარალელური ფორმიდან **სინდი||სინჯი** ამოსავალია **სინჯი** ფორმა. მეგრული **სინჯი||სინჯი** შესატყვისია ქართული **სირ-ძირისა**. **სირი** ლექსემა დასტურდება ძველ ქართულში: „მომინადირეს მე, ვითარცა **სირი**, მტერთა ჩემთა ცუდად. 0. გოდ.იერემ.3.52“; **სირი** „ჩიტი, ბარტყი, ფრინველი“ (საბა).

ქართ. რ: ზან. ჯ. ზანურში ჯ მიღებულია პოზიციურად, ამოსავალი ბგერის პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის გზით (როგავა, 1959, 277-82). ნ განვითარებულია წინაენისმიერთა წინ. **სინჯ-** ფორმისაგან დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის გზით მივიღეთ **სინდ-** ფორმა, რაც განპირობებულია სიტყვაში წინამავალი ყრუ სპირანტის არსებობით (როგავა, 1947, 351-355). თავის მხრივ, **სინჯი** უფრო ადრინდელი ***შინჯი** ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს დისიმილაციური გასისინებით, ისევე როგორც მეგრული **სვანდ>სვანჯ>*შვანჯ**. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სვანურში დაცული მეგრულიდან ნასესხები **წყარშინდ** „იხვი“ ლექსემა, რომლის მეორე ნაწილი **შინდ-** წარმოადგენს ზანური სიტყვის შიშინა ვარიანტს ***შინდ-<*შინჯ**. სვანურში **წყარშინდ** ერთეულის პარალელურად დადასტურებულია **წყარსიჯ** ერთეულიც (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 133-134).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისების გათვალისწინების საფუძველზე, შესაძლებელია, ლაზური

სინდომი ნაწარმოები იყოს ზანური ***სინდ**(< **სინჯ**) ძირისაგან -**ომ** სუფიქსის დართვით.

ე) ლაზ.: **ბუჯერი**||**ბუჯერი** „საბუდარი“: დადასტურებული ტერმინი ლაზურში ქართულიდან ჩანს შემოსული. სავარაუდოა, რომ **ბუჯერი** ფორმა მომდინარეობდეს ქართულ ***ბუდ-**ძირზე -**ერ-** სუფიქსის დართვით (შდრ.: ქართ. **დ:** ზან. **ჯ**). **დ→ჯ** გადასვლა უნდა მომხდარიყო იმავე პალატალიზაციის საფუძველზე, რაც დამახასიათებელია ისტორიულად მეგრულ-ლაზურისათვის (ცაგარელი, 1980, 65; ყლენტი, 1953, 152). გ.მაჭვარიანის თვალსაზრისით, მეგრულ-ლაზურში **ღ** ფონემის პალატურმა ალოფონმა განიცადა ასიმილაცია და შეერწყა **ქ** ფონემას. **ღ** ფონემის პალატური ალოფონი და მისგან მიღებული **ქ** თავდაპირველად უნდა გვქონოდა ისეთ ფორმებში, სადაც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ფუძის ბოლოკიდური **ღ** თანხმოვანს **ღ** მოსდევდა. უფრო გვიან, ამ გზით მიღებული **ქ** თანხმოვანი პარადიგმის სხვა წევრებზეც გავრცელდა (გამყრელიძე, 1965, 22).

დ→ჯ ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე შესაძლებელია ლაზური **ბუჯერი**||**ბუჯერი** ფორმა მიღებული იყოს შემდეგი გზით: ***ბუდ-ერ→ბუჯ-ერ→ბუჯ-ერ-ი** (ასიმილაციით). **ბუდ-**||**ბუჯ-** ძირისაგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებში (შდრ.: **ბუდარობა** (ფშ.) „ფრინველთ ბუდობის დრო“; **ბუდრააშ-ბუდრააშ** (გურ.) „კრუხის მოსახმობი ბუდეში ჩასაჯდომად“; **ბუდნა** (ქართ.; იმერ.) „თივა, რომელიც ქათმის ბუდეშია ჩადებული“; **ბუჯარ** (იმერ.) „ქექვა, ძებნა“).

ვ) ლაზ.: **ობდე** „ბუდე, კვერცხის დასადები“: **ობდე** „гнездо, птицы гнездо, вообще гнездо, плетенка для новорожденного телёнка. ср. ფაცხა (მარი, 1910). ნ.მარისეული **ობდე** „მოწონული სათავსი“-ა.

ალ. ჭინჭარაული ლაზურ ობღე-ს უკავშირებს საერთო-ქართველურ ***ღობ-ძირს** (შდრ.: ქართ. **ღობე**; მეგრ. **ღობგა** „წვნა“ (ჩიქობავა, 1938, 146); სვან. **ღობ||ღუებ** „სკა“ (კლიმოვი, 1964, 205). ალ.ჭინჭარაულის ვარაუდით, ობღე მიღებული ჩანს ***ღობ-ძირზე** ო-ე კონფიქსის დართვით: ***ო-ღობ-ე**, რასაც უნდა გამოეწვია ო-ს ამოღება და უნდა მიგველო ***ობღე**. რადგანაც **ღბ-** კომპლექსი ლაზურისათვის მიუღებელია, იგი შეცვლილია ბუნებრივი **ბღ-** კომპლექსით (ჭინჭარაული, 1987, 54-57).

ალ. ჭინჭარაულის თვალსაზრისით, ობღე-ს მიღების გზა შემდეგნაირად წარმოიდგინება: ***ოღობე**→**ობღე**→**ობღე**.

ლაზურში **ბღ-** ძირი დადასტურებულია ზმნურ ფორმებში: **ღო-ბღ-უ**, **ღოლო-ბღ-ეს**, **ღო-ბღ-აფ** და სხვა, რომლებიც სემანტიკურად „ყრა“-სთან არის დაკავშირებული. მაგ.: ყონა **ღო-ტახეს** **ღო** არ ფერს ქოდობღეს „სიმინდი (ყანა) დატეხეს და ერთ ადგილას დაყარეს“ (კარტოზია, 1972).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ლაზური **ბღ-** ძირი წარმოდგენილია მეგრულში **ღვ-ს** სახით. მეგრ. **ღვ-აფ-ა||რღვ-აფ-ა** „ყრა“: ქართ. **ღვ-(←*ღვ-არ)**. ქართულში ***ღვარ**→**ღვ-** ძირი სითხის მიმართ არის გამოყენებული. მეგრულ-ლაზურში სითხის დაღვრის აღსანიშნავად სხვა ლექსიკური ერთეული-**ღო-ბუნა||ღობუმა** არის დადასტურებული. მეგრული და ქართული მასალის შეპირისპირება ერთსა და იმავე **ღვ-** ძირს იძლევა, თუმცა სემანტიკა გადაწეულია, ხოლო ლაზურში **ბღ←ღვ-**საგანაა **ვ||ბ-**ს შენაცვლებით მიღებული. ლაზურისათვის მიუღებელია **ღბ-**კომპლექსი და მას მეტათეზისით მოუცია ჰარმონიული კომპლექსი: ***ღვ**→**ღბ**→**ბღ** (ჩიქობავა, 1938).

3. ფენრიხისა და ზ.სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მეგრ. **რღვ-||ღვ-** (რ-ს დაკარგვით), **რღვაფა** („ყრა“) შესატყვისად დადასტურებულია ქართული **რღუ<*რეღუ** და სვანური **რღუ-||რეღუ-** ძირი (ფენრიხი, სა-

რკველაძე, 2000, 384). არა ჩანს **რღვ-||რღჳ-** ძირის შესატყვისი ლაზური ეკვივალენტი.

მაშასადამე, ლაზურში **ობღე** ტერმინითაა აღნიშნული 1) ფაცხა (მოწნული); 2) ბუღე (ფრინველთათვის); 3) საყრელი. ვფიქრობთ, რომ ალ.ჰინჭარაულის მიერ გამოთქმული მოსაზრება მართებული ჩანს „ფაცხა“, „ბუღე“ და, ზოგადად, მოწნული, მოღობილი საგნების აღმნიშვნელ **ობღე** ლექსემათათვის, ხოლო როდესაც **ობღე** „საყრელის“ მნიშვნელობითაა ნახმარი, ამ შემთხვევაში, ამოსავალი **ბღ-** ძირისათვის მართებული ჩანს არნ.ჩიქობავას დაკავშირება მეგრულ **ღვ-||რღვ-** (რღვაფა „ყრა“) ძირთან. ხოლო ლაზურში **ღვ→ღბ→ბღ** (**ღვ→ბღ**) მონაცვლეობის საკითხი აუხსნელი რჩება.

ზ) ლაზ.: **გიობღე** „მკერდი“: ლაზურში ფრინველის მკერდის სახელის აღმნიშვნელად დადასტურებულია **გუ(რ)პიჯი||გუპიჯი** და **გიობღე** ლექსემები. ლაზ. **გუ(რ)პიჯი** ლექსემის კომპოზიტობა უდავოა: **გუ(რ)პიჯი←*გურპიჯი ←*გურიშპიჯი** (სიტყვას. „გულისპირი“).

ჩვენი ვარაუდით, ლაზ. **გუ(რ)პიჯი** ტერმინის სინონიმი **გიობღე** ლექსემაც წარმოშობით რთული ფუძე ჩანს. შესაძლოა ის მომდინარეობდეს ***გურიობღე** ფორმიდან. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ორივე შემთხვევაში (**გუ(რ)პიჯი; გიობღე**) უკავშირდება ძირეულ **გურ-||გულ-** ფუძეს. **გურ-** ძირი ზანურში საფუძვლად ედება ნაწარმოებ ფუძეთა მთელ რიგს (მაგ.: მეგრ. **გურიჭვილი** „გულდამწვარი“; ლაზ. **არგურიში** „ერთგული“) (მდრ.: ასევე, ძვ. ქართულსა და სალიტერატურო ქართულში დადასტურებულია **გულ-** ძირიდან ნაწარმოები მრავალი ფუძე. მაგ.: **გულსნეული, გულსავსე, გულმოწყალე** და სხვა).

ვფიქრობთ, კომპოზიტის მეორე კომპონენტი დაკავშირებულია ლაზ. **ობღე** „ბუღე“ ტერმინთან (იხ. ზემოთ ლაზ. **ობღე** „ბუღე“, გვ. 178-180).

ლაზ. გიობლე ლექსემის მიღების გზა შესაძლოა შემდეგნაირად წარმოჩნდეს: გიობლე←*გუიობლე←*გურიობლე←*გური-შობლე (ჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -იშ ფორმანტის დაკარგვით, შემდეგ რ სონორის ამოვარდნითა და ბოლოს, უიო ტრიფთონგის გამარტივებით).

ლაზ. გიობლე ტერმინი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ქართულ გულბუდე, გულისბუდე ლექსიკურ ერთეულებს (შდრ.: ქართ. თვალისბუდე, თვალბუდე).

თ) ლაზ.: სერი „უფერული, ბნელი“: შდრ.: მეგრ. სერი „ღამე“. სერი ფუძისაგანაა ნაწარმოები: მეგრ. ო-სერ-შე „სადილი“; სი-სერ-ა „საღამო“ და სხვა; სერი ლექსემა დასტურდება ძველ ქართულშიც: ძვ.ქართ. სერი „საღამო ჟამს პურის ჭამა“ (ქეგლი); „ოდეს ხყოფდე სადილსა გინა სერსა, ნუ ხხადი მეგობართა შენთა.ლ.14.12“ (ვახშმის მნიშვნელობით); „სერით ვიდრე ცისკრამდე. sin-11, 240v“ (საღამოს მნიშვნელობით).

ქართ. სერ- უკავშირდება მეგრ. სარ-ს, რომელიც აღდგება ო-სარ-ე ფუძეში (შდრ.: მეგრ. ოსარე „საღამური“). ზანური სერი „ღამე, ბნელი“ საერთოზანური *სარ არქეტიპისაგან მომდინარეა *სარ>სერ უმლაუტის შედეგად (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 160-170).

როგორც ჩვენი საანალიზო მასალიდან ჩანს, ლაზურში სერი ლექსემა ფერის აღმნიშვნელია (მაგ. სერი ფერიშ ქოთუმე მიყონუნა „უფერული ფერის ქათმები გვეყავს“). ეტიმოლოგიურად, სემანტიკის მხრივაც, ლაზ. სერი ახლოსა დგას სერი-ს („ღამის“) ძირეულ მნიშვნელობასთან (შდრ.: სერუა, სისერა „ღაბნელება, საღამო“). სერი ლექსემის სემანტიკის გაგება „ღამისა“ და „ფერის“ მნიშვნელობით მეგრულშიც დასტურდება. მაგ.: ზოთონჯიშ სერი დღას ვედილიებუ „ზამთრის ღამე (საღამო) არასდროს არ გაილევა“. შდრ.: სერი ქობალი „შავი, რუხი პური“; სერი ქვირი „შავი, რუხი ფერის ფქვილი“.

1. ზანურში (resp. მეგრულ-ლაზურში) საკმაო როდენობით აღმოჩნდა ფრინველების აღმნიშვნელი სახელები და საერთოდ, ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკა. ნაშრომში განხილულია 697 ლექსიკური ერთეული. ამთგან, მეგრულში დადასტურებულია 442 ერთეული, ლაზურში კი 319 (ერთ ერთეულადაა მიჩნეული სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები).

მასალის მიხედვით, ზანურში **შინაური ფრინველის** მიმართ გამოყენებულია 42 ტერმინი (მეგრულში — 23; ლაზურში — 12; მეგრულ-ლაზურში საერთოა — 8 ტერმინი); **გარეული ფრინველების** სახელების აღსანიშნავად გამოყენებულია 204 ტერმინი (მეგრულში — 102; ლაზურში — 86; მეგრ.-ლაზ. საერთოა — 16); **ფრინველის სხეულის ნაწილების** აღმნიშვნელი ლექსიკა გადმოცემულია 98 ლექსიკური ერთეულით (მეგრულში — 50; ლაზურში — 39; მეგრ.-ლაზურში საერთოა — 9); დადასტურებულია **შინაურ ფრინველთა გარეგნული იერის** მიხედვით შერქმეული 51 ტერმინი (მეგრულში — 31; ლაზურში — 18; მეგრ.-ლაზურში საერთოა — 2); **ფრინველთა შეფერილობის** აღსაწერად დადასტურებულია 49 ერთეული (მეგრული — 43; ლაზურში — 3; მეგრ.-ლაზურში საერთოა — 3); **შინაური ფრინველის ხშიანობის** გადმოსაცემად დადასტურებულია 16 (მეგრულში — 9; ლაზურში — 6; მეგრ.-ლაზურში საერთოა — 1), ხოლო **გარეული ფრინველის ხშიანობის** გადმოსაცემად გამოყენებულია 45 ერთეული (მეგრულში — 19; ლაზურში — 19; მეგრ.-ლაზურში საერთოა — 7); **შინაური ფრინველების სადგომების** სახელები გადმოცემულია 27 ტერმინით (მეგრულში — 14; ლაზურში — 12; საერთოა — 1); **ფრინველთა მოხმობა** — **გადენის** ლექსიკა 39 ერთეულითაა წარმოდგენილი (მეგრულში — 18; ლაზურში — 11;

მეგრ.-ლაზურში საერთოა — 10); ფრინველთა გამრავლებისათვის დადასტურებულია 41 ტერმინი (მეგრულში — 27; ლაზურში — 13; საერთოა — 1); ავადმყოფობის აღსანიშნავად — 13 (მეგრულში — 10; ლაზურში — 3); ფრინველთა მოქმედების გამოსახატავად დადასტურებულია 21 ერთეული (მეგრულში — 16; ლაზურში — 5); ფრინველთა ნადირობასთან დაკავშირებულია 54 ტერმინი (მეგრულში — 25; ლაზურში — 26; მეგრულ-ლაზურში საერთოა — 3).

2. დარგობრივი ლექსიკის ანალიზი ზანურში ავლენს სიტყვაწარმოების მრავალფეროვნებას, წარმოქმნილ სიტყვათა ნაირგვარობას. მეგრულ-ლაზურში გამოყენებულია სიტყვაწარმოების თითქმის ყველა ის ფორმა, რაც საერთოდ ცნობილია ქართველური ენებისათვის (კომპოზიცია, პრეფიქსულ-სუფიქსური, სუფიქსური წარმოება), თუმცა ზოგჯერ გვხვდება სხვაობებიც.

3. სტრუქტურული თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია:

ა) სუფიქსური წარმოების ტერმინები: -ია, -ა კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსები (15 ლექსიკური ერთეული მეგრულში); -ამ (მეგრ.), -ონ (ლაზ.) მქონებლობის მაწარმოებელი სუფიქსები (11 ტერმინი მეგრულში; 5 — ლაზურში).

ბ) პრეფიქსული წარმოების სახელები (3 ტერმინი მეგრულში; 1 — ლაზურში).

გ) პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების სახელებიდან გამოიყოფა:

დანიშნულების სახელები: ო—ე (7 ტერმინი მეგრულში, 4 — ლაზურში); სა—ო (3 ტერმინი მეგრულში); სა—ე (1 ტერმინი მეგრულში);

უქონლობის სახელები: უ—ე (1 ტერმინი მეგრულში); უ—უ (2 ტერმინი მეგრულში); უ—ელ (1 ტერმინი ლაზურში);

ხარისხის სახელები: მო—ე (3 ტერმინი მეგრულში);

ხელობის აღმნიშვნელი სახელები: (5 ტერმინი მეგრულში, 1 — ლაზურში).

4. სტრუქტურული თვალსაზრისით საინტერესოა **სახელ-
ზმნური წარმოების** ტერმინები:

ა) **მასდარების სუფიქსური წარმოება**: -აფ (10 ტერმინი მეგრულში, 2 — ლაზურში); -ჟ—ა (15 ტერმინი მეგრულში); ინ (7 ტერმინი მეგრულში); -აფა (3 ტერმინი მეგრულში); -ონ (3 ტერმინი მეგრულში); -ულ (2 ტერმინი მეგრულში); -ალ (2 ტერმინი მეგრულში); -ა (2 ტერმინი მეგრულში); -ება (1 ტერმინი მეგრულში);

პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ტიპის მასდარიდან დადასტურებულია ო-ჟ კონფიქსით ნაწარმოები 2 ტერმინი მეგრულში, ლაზურში კი — 11.

ბ) **მიმღეობის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების** 5 ტერმინი მეგრულში, 1 — ლაზურში; **სუფიქსური წარმოებისა** კი — 2 ტერმინი მეგრულში.

5. საკვლევი მასალის მიხედვით, დადასტურებულია **კომპოზიტა** შედგენის სხვადასხვა ხერხი:

ა) კომპოზიტები, სადაც ორივე კომპონენტი არსებითი სახელია (ზოგჯერ კომპოზიტის მეორე კომპონენტი გაფორმებულია მქონებლობის აფიქსით): (2 ტერმინი მეგრულში; 7 — ლაზურში); ამავე ტიპის კომპოზიტი გაფორმებულია უქონლობის მაწარმოებელი ცირკუმფიქსით (1 ტერმინი ლაზურში);

ბ) კომპოზიტები, სადაც პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, მეორე კი — ზედსართავი (6 ტერმინი მეგრულში, 5 — ლაზურში);

გ) კომპოზიტები, სადაც პირველი კომპონენტი ზედსართავი სახელია, მეორე კი მქონებლობის სუფიქსიანი სახელი (8 ტერმინი მეგრულში; 7 — ლაზურში);

დ) კომპოზიტები, რომლებიც შედგება არსებითი სახელისა

და მიმღეობისაგან (3-3 ტერმინი მეგრულსა და ლაზურში);

ე) კომპოზიტები, რომლებიც შედგება ზმნისართისა და მიმღეობისაგან: (1 ტერმინი მეგრულში);

ვ) კომპოზიტები, რომლებიც შედგება არსებითი სახელისა და გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე ერთეულისაგან: (3 ტერმინი ლაზურში).

ზ) კომპოზიტები, რომელთა შედგენილობაში შედის სიტყვა „ფერი“: (10 ტერმინი მეგრულში; 1 — ლაზურში);

თ) კომპოზიტები ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრული დაბოლოებით: (2-2 ტერმინი მეგრულ-ლაზურში);

ი) კომპოზიტები, სადაც შენარჩუნებულია ბრუნის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი: (1 ტერმინი მეგრულში; 2 — ლაზურში);

კ) კომპოზიტები ნათ. ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი: (3 ტერმინი ლაზურში);

ლ) რედუპლიცირებული ძირები: (25 ერთეული მეგრულში; 12 — ლაზურში).

6. მრავლადაა დადასტურებული **ტერმინოლოგიური შეხიტუვებები**:

ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმები: (30 ერთეული მეგრულში);

ბ) მართულმსაზღვრელიანი სინტაგმები: (30 ლექსიკური ერთეული მეგრულში; 7 — ლაზურში).

7. წინამდებარე ნაშრომში განხილული დარგობრივი ლექსიკის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს:

ა) **ქართველური დონის ძირეული ლექსიკა**;

ბ) **ქართული ლექსიკური ერთეულები ზანურში**;

გ) **ნასესხები ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**.

8. ფუძეთა ანალიზმა ცხადყო, რომ დადასტურებულ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა **ქართველურია**, თუმცა გარკვეული ნაწილი ნასესხებია. კერძოდ, მეგრულ-ლაზური ლექსიკის შედარებამ გვიჩვენა, რომ მეგრულისაგან განსხვავებით, ლა-

ზურში საკუთრივ ზანური (resp. ქართველური) ლექსიკის გვერდით აქტიურადაა წარმოდგენილი თურქულიდან ნასესხები ტერმინოლოგია. ნაშრომში განხილულია უცხოური წარმოშობის 55 ლექსიკური ერთეული.

9. საანალიზო მასალის მიხედვით, ქართულიდან ზანურში უცვლელადაა დამკვიდრებული 23 ლექსიკური ერთეული.

10. ნაშრომში განხილულია მოტივაციით მიღებული სახელები. ამავე დროს, არის ცდა, ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის წარმომავლობა — ეტიმოლოგიის გარკვევისა.

ბამოყენებული წყაროები (შემოკლებანი)

1. **ალავიძე მის.**, ლეჩხუმური ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ვ.ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.

2. **ალავიძე მის.**, ოკრიბული ლექსიკონი, „ა.წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. X, თბ., 1950-51.

3. **ალავიძე მის.**, ქართული დიალექტური ლექსიკიდან, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XXIV, თბ., 1968.

4. **ასათიანი ირ.**, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

5. **ბაგრატიონი თ.**, წიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრიბა და ანბანთრიგზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ.შარაძემ, თბ., 1979.

6. **ბაგრატიონი ი.**, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნ. კიკნაძემ, თბ., 1986.

7. **ბსკიდა**, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური ფონდის არქივი, საქმე №11-13, 1973 წ; №20-21, 1976 წ; №24,25,26, 1977 წ; №58, 1989წ; №40, 1981წ; №36; 1980 წ; №61, 72, 73, 1984წ; №88; 1989წ;

8. **ბერიძე ვ.**, „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, აპბ., 1918.

9. **გაჩეჩილაძე ბ.**, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

10. **დანელია კ., ცანავა აბ.**, ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), II, თბ., 1991.

11. **ელიავა გ.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

12. **ერისთავი რაფ.**, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, 1884.
13. **კაიშაური ლ.**, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.
14. **კარტოზია გ.**, ლაზური ტექსტები, I, თბ., 1972.
15. **კიკვაძე თ.**, ეგ. ნინოშვილის ლექსიკონი; ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციითა და შენიშვნებით. ტ. I-II, თბ., 1932.
16. **კილანავა ბ.**, ცხრაასი მეგრული სიტყვა, თბ., 1998.
17. **კირიონი**, სალექსიკონო მასალა, „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, განყ. V, თბ., 1913.
18. **კობახიძე ა.**, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
19. **ლენონიძე ლ.**, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.
20. **მაყაშვილი აღ.**, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.
21. **შენთეშაშვილი სტ.**, ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა), იკე, XVII, თბ., 1970.
22. **ნიჟარაძე შ.**, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), რედ. აკად. ს. ჯიქია, ბათუმი, 1971.
23. **ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991; ტ. II, თბ., 1993.
24. **ფლენტი ს.**, გურული კილო, თბ., 1936.
25. **ფლენტი ს.**, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
26. **რაზიკაშვილი თ.**, ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, №127-135, 1990.
27. **სამუშია კ.**, ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშების მიხედვით, 1990.
28. **ფიფია დ.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1999.

29. **ქეგლი**, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
30. **ქაჭაია ო.**, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XI, ცხინვალი, 1967.
31. **ქაჭაია ო.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 2001.
32. **ქაჭაია ო.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბ., 2002.
33. **ქეშიკაშვილი ივ.**, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969.
34. **ღლონტი ალ.**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
35. **შარაშიძე გ.**, გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I. პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
36. **ჩიქობავა არნ.**, ქანური ტექსტები, ნაკვეთი I, ხოფური კილო, თბ., 1929.
37. **ჩიქოვანი მის.**, ლეჩხუმური ლექსიკონი, „ა.ს.პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941.
38. **ჩუბინაშვილი ნ.**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
39. **ჩუბინაშვილი დ.**, საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887.
40. **ძონენიძე ქ.**, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
41. **წერეთელი ბ.**, ზემოიმერული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
42. **ჭარაია პ.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

43. ჭყონია ი., სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სპბ., 1910.

44. ხალხური სიბრძნე, I. მეგრულ-ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია, ო.მემიშიში, თბ., 1994.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშია, 1998თ: რ.აბაშია, საერთო-ქართველური ლექსიკიდან, VI, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, თბილისი.
2. აბულაძე, 1973: ილ.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
3. ამირანაშვილი, 1961: შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.
4. ანდრონიკაშვილი, 1966: მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ.1, თბილისი.
5. ანდრონიკაშვილი, 1996: მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ.2, ნაწ. 1., თბილისი.
6. არაბული, 2001: ავთ.არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.
7. ბაინდურაშვილი, 1971: ა.ბაინდურაშვილი, სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბილისი.
8. ბარდაველიძე, 1941: ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბარბარ), თბილისი.
9. ბერიძე, 1974: ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი.
10. ბერძნიშვილი, 1969: მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზის ისტორიისათვის, თბილისი.
11. ბუკია, 1999: მ. ბუკია, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), დისერტაცია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

12. **ბურჭულაძე, 1981:** გ.ბურჭულაძე, „კვერცხის“ აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 104, 1, თბილისი.

13. **ბუსბეკი, 1582:** ოგიერ ბუსბეკის წერილი გაგზავნილი სტამბულიდან.

14. **ბოროზდინი, ერისთავი, მურიე, 1927:** კ.ბოროზდინი; რაფ.ერისთავი; მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), თბილისი.

15. **გამყრელიძე, 1959:** თ.გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

16. **გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:** თ. გამყრელიძე; გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

17. **გამყრელიძე, 1993:** გ.გამყრელიძე, ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბილისი.

18. **გაჩეჩილაძე, 1972:** ო. გაჩეჩილაძე, ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი.

19. **გელენიძე, 1974:** ლ.გელენიძე, ადამიანის ანატომიო-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

20. **გეორგიკა, 1965:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი.

21. **გვანცელაძე, 1982:** თ.გვანცელაძე, ფრინველთა სახელწოდებანი აფხაზურში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია (თეზისები), თბილისი.

22. **გვენცაძე, 1987:** ა.გვენცაძე, ცხოველებთან შეხშიანების ენობრივი საშუალებები ქვემორაქულში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

23. **გოგინეიშვილი, 1981:** ბ.გოგინეიშვილი, მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი.

24. **გოგინეიშვილი, 1965:** ბ.გოგინეიშვილი, ჯაჭვისა და ძეწკვის ურთიერთმიმართებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXVIII, 3, თბილისი.

25. **გობეჯიშვილი, 1943:** გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი.

26. **გორდეზიანი, 1985:** რ.გორდეზიანი, ქართველური კომპონენტები წინარებერძულ ლექსიკაში, წინარებერძული და ქართველური, თბილისი.

27. **გუდავა, 1958:** ტ.გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბილისი..

28. **გუდავა, 1960:** ტ.გუდავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXV, 1, თბილისი.

29. **გუდავა, 1960:** ტ.გუდავა, მერცხალი (ეტიმოლოგიური ძიება), იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი.

30. **გუდავა, 1979:** ტ.გუდავა, ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

31. **გუდავა, გამყრელიძე, 1981:** ტ. გუდავა; თ.გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებული „აკაკი შანიძეს“, თბილისი.

32. **გურგენიძე, 1973:** ნ.გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

33. **გურძემელი, 1899:** გურძემელი, სამეგრელო, ცრუ-მორწმუნეობა, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №797.

34. **დანელია, 1984:** კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში, თსუ, შრომები, 245 (ენათმეცნიერება), თბილისი.

35. **ერთელიშვილი, 1976:** ფ.ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

36. **ერთელიშვილი, 1980:** ფ.ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

37. **ვანილიში, თანდილავა, 1964:** მ.ვანილიში; ა.თანდილავა, ლაზეთი, თბილისი.

38. **ვახუშტი, 1941:** ვ.ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით.

39. **ზურაბიშვილი, 1957:** თ.ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ-ს შრომები, ტ.67, თბილისი.

40. **ზურაბიშვილი, 1962:** თ.ზურაბიშვილი, ოდნობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIX, №5, თბილისი.

41. **თანთ-ოღლი, 1938:** ალი თანთ-ოღლი, №24. ისტორიული და ეთნოგრაფიული ნარკვევები ლაზთა (ჭანთა) ყოფაცხოვრებიდან (ხელნაწერი).

42. **თაყაიშვილი 1961** — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

43. **თოფურია, 1938:** ვ.თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ნა-, ნე-, ნი- პრეფიქსებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, XV, თბილისი.

44. **თოფურია, 1947:** ვ.თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები, თსუ-ს შრომები, XXXIb, თბილისი.

45. **თოფურია, 1979:** ვ.თოფურია, შრომები, III, თბილისი.

46. **იმნაიშვილი, 1950:** ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

47. **იოანიდის, 1950:** А.А. Иоаннидис, Новогреческо-русский словарь, под редакцией А.А. Блещкого, Москва.

48. **კაკაბაძე, 1921:** ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფილისი.

49. **კალანდრიშვილი, 1890:** ტრ.კალანდრიშვილი, ახალწლის მიგებება და ფერხაობა სამეგრელოში, გაზეთი „ივერია“, №3.

50. **კასტელი, 1977:** დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.

51. **კლიმოვი, 1964:** Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

52. **კუტუბიძე, ჭანაშვილი, 1960:** ლ.კუტუბიძე; ა.ჭანაშვილი, საქართველოს ფრინველების სარკვევი, თბილისი.

53. **კუტუბიძე, 1973:** მ.კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბილისი.

54. **ლამბერტი, 1938:** არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმნა იტალიურიდან ი. ჭყონიამ, თბილისი.

55. **ლომთაძე, 1954:** ე.ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.VI, თბილისი.

56. **ლომთათიძე, 1945:** ქ.ლომთათიძე, აფხაზური აფსაა||აფსაატი („ფრინველი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, 4, თბილისი.

57. **ლომთათიძე, 1961:** ქ.ლომთათიძე, მართვე და მისი ზანური შესატყვისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №1, თბილისი.
58. **ლომთათიძე, 1984:** ქ.ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბილისი.
59. **ლომთათიძე, 1987:** ქ.ლომთათიძე, შინაურ ცხოველთა სახელდების ზოგი ასპექტი ქართული ენის დიალექტთა მონაცემების მიხედვით, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.
60. **ლორთქიფანიძე, 1972:** ო. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბილისი.
61. **მაგაზანიკ, 1945:** Д.А. Магазаник, Турецко-русский словарь, под редакцией члена-корреспондента Акад. Наук СССР проф. В.А. Гордлевского, Москва,
62. **მაკალათია, 1941:** ს.მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
63. **მაკალათია, ბალიაური, 1942:** ნ.მაკალათია; მ. ბალიაური, М; 46. მონადირეობის წესები ხევსურეთში (ხელნაწერი).
64. **მარი, 1910:** И.Я. Марр, Грамматика чанского (лазского) Языка с хрестоматией и словарем, С-ПБ.
65. **მარი, 1910:** И.Я. Марр, Из поездки в Турецкий лазистан, С-ПБ.
66. **მასალები, 1992:** მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ.5. თბილისი.
67. **მარგიანი, 1940:** დ.მარგიანი, კოლექტიური ნადირობა სვანეთში (ხელნაწერი).
68. **მაჭავარიანი, 1965:** გ.მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.
69. **მირიანაშვილი, 1986:** ნ.მირიანაშვილი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულში, თბილისი.

70. **მიქელაძე, 1987:** ნ.მიქელაძე, აჭარულის დარგობრივი ლექსიკისა და სინტაქსური თავისებურების ზოგიერთი ნიმუში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

71. **მეგრელიძე, 1938:** И. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слой в гурийском, Москва-Ленинград.

72. **მელიქიშვილი, 1975:** ი. მელიქიშვილი, ეი პროცესი ზანურ დიალექტებში და ხმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბილისი.

73. **მელიქიშვილი, 1999:** ი.მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბილისი.

74. **მემიშიში, 1988:** ო.მემიშიში, ატრიბუტული და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ჭანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

75. **მკურნალი, 1900:** ნ.მკურნალი, ფრინველების მომშენებელთა კრება დაბა ხობში, გაზეთი „ივერია“, №205.

76. **მკურნალი, 1901:** ნ.მკურნალი, სამეურნეო ფრინველის მოვლა-მომშენება საზოგადოდ და კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში, გაზეთი „ივერია“, №237.

77. **ნადარეიშვილი, 1962:** ლ.ნადარეიშვილი, მიმღეობა ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XVII, თბილისი.

78. **ნადარეიშვილი, 1970:** ლ.ნადარეიშვილი, მასდარის წარმოების შესახებ ჭანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XVII, თბილისი.

79. **ნადარეიშვილი, 1978:** ლ.ნადარეიშვილი, ჭანურში დაცული ძველი ქართული ლექსიკიდან, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XX, თბილისი.

80. **ნათაძე, 1959:** ნ.ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XI, თბილისი.

81. **ნარაკიძე, 1990:** ც.ნარაკიძე, მეფრინველეობის ლექსიკიდან ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბილისი.

82. **ნარიმანაშვილი, 1979:** ალ.ნარიმანაშვილი, ნადირობის ზოგიერთი საკითხის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი.

83. **ნოზაძე, 1992:** ლ.ნოზაძე, თანხმოდანთშესატყვისობის ერთი შემთხვევის გამო ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXI, თბილისი.

84. **ჟორდანია, 1973:** რ.ჟორდანია, საქართველოს იშვიათი ფრინველები, თბილისი.

85. **ჟორდანია, 1970:** რ.ჟორდანია, ფრინველთა მეგრული ტერმინოლოგიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVI-XXVII A.

86. **ჟორდანია, ბოემე, კუზნეცოვი, 1999:** რ. ჟორდანია; რიურჟე ბოემე; ალ. კუზნეცოვი, საქართველოს ფრინველები, საველე სარკვევი, თბილისი.

87. **ჟღენტი, 1940:** ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიმკის მოამბე, ტ.V-VI, თბილისი.

88. **ჟღენტი, 1953:** ს.ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

89. **რეხვიაშვილი, 1962:** ნ. რეხვიაშვილი, სამწყერაო იარაღი „ღურუკო“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII, თბილისი.

90. **რობაქიძე, 1941:** ა.რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი.

91. **რობაქიძე, 1949:** ა.რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, მიმომხილველი, თბილისი.

92. **როგავა, 1946:** გ.როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბილისი.

93. **როგავა, 1958:** გ.როგავა, ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IX-X, თბილისი.

94. **როგავა, 1959:** გ.როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან. ქართ. რ: ზან. ჯ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი.

95. **როგავა, 1960:** გ.როგავა, ბგერათშესატყვისობათა დარღვევის შემთხვევებისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XII, თბილისი.

96. **როგავა, 1961:** გ.როგავა, „მარყუჟ“ სიტყვის გენეზისისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ.II, თბილისი.

97. **როგავა, 1966:** გ.როგავა, იხვ-ფუძის ისტორიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XV, თბილისი.

